საერთო ლოცვანი

საიდუმლოთა აღსრულება
და ეკლესიის სხვა წეს-ჩვეულებანი

ეპისკოპალური ეკლესიის
წესის თანახმად

The Book of Common Prayer (1979)
into the Georgian language

Translated by: Thoma Lipartiani.

Editors: Dr. Paul Crego,
Very Rev. Dr. Leonide Ebralidze.

2025.

სარჩევი

ყოველდღიური ლოცვა:
ყოველდღიური დილის ლოცვა.
შუადღის ლოცვა.
ყოველდღიური საღამოს ლოცვა.
ძილისპირული.
ყოველდღიური ლოცვები ინდივიდუალური და საოჯახო აღსრულებისთვის:
    დილას.
    შუადღისას.
    დღის დასასრულს.

დიდი ლიტანია

კოლექტები:
წელიწადის დროები.
წმინდა დღეები.
წმინდანთა საერთო.
სხვადასხვა შემთხვევებისთვის.

სათანადო ლიტურგიები განსაკუთრებული დღეებისთვის:
წმინდა ევქარისტია: პირველი წესი.
    ევქარისტიული ლოცვა II.
წმინდა ევქარისტია: მეორე წესი.
კვერექსები.

პასტორალური წესები:
ქორწინების აღნიშვნა და კურთხევა - ჯვრისწერა.
მონანულის შერიგება - აღსარება.
მსახურება სნეულისათვის.
მსახურება გარდაცვალების ჟამს.
გარდაცვლილის დაკრძალვა: მეორე წესი.

ლოცვები და სამადლობლები

სარწმუნოების ნარკვევი - კატეხიზმო

ეკლესიის ისტორიული დოკუმენტები

Appendix

ყოველდღიური დილის ლოცვა:

წესი მეორე

აღმსრულებელი მსახურებას იწყებს წმინდა წერილის ერთი ან მეტი წინადადებით, ან შემდგომი საპასუხო მუხლით - "უფალო, გახსენი ჩემი ბაგენი".

ადვენტი

ასევე იფხიზლეთ! რადგან არ იცით, როდის მოვა სახლის პატრონი – საღამოს თუ შუაღამისას, მამლის ყივილზე თუ განთიადისას, რათა მოულოდნელად მოსულმა მძინარენი არ გპოვოთ. *მარკოზი 13:35,36*

უდაბნოში განუმზადეთ გზა უფალს, ბილიკები მოუსწორეთ ტრამალებზე ჩვენს ღმერთს. *ესაია 40:3*

გამოჩნდება უფლის დიდება და იხილავს ამას ყოველი ხორციელი ერთად. *ესაია 40:5*

შობა

აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისთვის იქნება: რადგან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. *ლუკა 2: 10, 11*

აჰა, ღმერთის სავანე კაცთა შორის! და ის დამკვიდრდება მათთან, ისინი იქნებიან მისი ხალხი და თავად ღმერთი იქნება მათთან. *გამოცხადება 21:3*

ეპიფანია

მოვლენ ხალხები შენს ნათელზე და მეფენი – შენი სხივების ნათებაზე. *ესაია 60:3*

მე გაგხდი შენ ხალხების სინათლედ, რათა ჩემი ხსნა დედამიწის კიდემდე იყოს. *ესაია 49:6b*

რადგან დიდია ჩემი სახელი ხალხებში, მზის აღმოსავალიდან მის დასავალამდე. ყოველ ადგილას უკმევენ საკმეველს ჩემს სახელს და წმიდა ძღვენს მწირავენ, რადგან დიდია ჩემი სახელი ხალხებში, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. *მალაქია 1:11*

მარხვა

თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, თავს ვიტყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, იგი, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისაგან. *1 იოანე 1:8, 9*

გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი, დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს; მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი, და ნანობს ბოროტის ქმნას. *იოველი 2:13*

ავდგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: მამა, შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე, ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. *ლუკა 15:18, 19*

ჩვენს უფალსა და ჩვენს ღმერთს; შეწყალებასა შენსა და პატიებასა შენსა განვუდექით და ყურს არ ვუგდებდით უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას, რათა გვევლო მისი რჯულდებებით, თავისი მსახურების – წინასწარმეტყველების – ხელით რომ დაგვიდო წინ. *დანიელი 9:9, 10*

და მოუხმო ხალხს თავის მოწაფეებთან ერთად და უთხრა: „თუ ვინმეს ჩემი გამოყოლა სურს, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე.“ *მარკოზი 8:34*

ვნების კვირა

ჩვენ ყველას გზა აგვებნა ცხვრებივით და თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. უფალმა მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ცოდვები. *ესაია 53:6*

თქვენ გაშოროთ ამგვარი რამ, გზად ჩამვლელნო! შეხედეთ და ნახეთ, თუ არის სალმობა მსგავსი სალმობისა, რომელიც მე მეწია, რომლითაც დამამწუხრა მე უფალმა. *გოდება იერემიასი 1:12*

აღდგომის სეზონი, მოიცავს ამაღლებისა და სულთმოფენის დღეებს

ალელუია! ქრისტე აღდგა.
უფალი ჭეშმარიტად აღდგა. ალელუია!

ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა; ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში. *ფსალმუნი 117:24*

მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ჩვენ ძლევას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით. *1 კორინთელთა 15:17*

ამგვარად, თუ თქვენ აღმდგარი ხართ ქრისტესთან ერთად, ეძიეთ, რაც მაღლაა, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ. *კოლასელთა 3:1*

ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდათა წმიდაში, ჭეშმარიტის წინარესახეში, არამედ თვით ზეცაში, რათა წარდგეს ახლა ღმერთის წინაშე ჩვენთვის. *ებრაელთა 9:24*

თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში, და დედამიწის კიდემდე. *საქმეები 1:8*

სამების კვირადღე

წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, რომელიც არის და რომელიც მოვა. *გამოცხადება 4:8*

ყველა წმინდანისა და სხვა მთავარ წმინდანთა დღეებში

ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც წმიდათა მემკვიდრეობის ნაწილის ღირსი გაგვხადა ნათელში. *კოლასელთა 1:12*

თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და მდგმურები, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი. *ეფესელთა 2:19*

მთელი დედამიწის ზურგზე გადის მათი ხმა და სამყაროს კიდეებამდე აღწევს მათი სიტყვები. *ფსალმუნი 18:4*

სამადლობელის შემთხვევებში

ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, აუწყეთ ერებს მისი საქმენი. *ფსალმუნი 104:1*

ნებისმიერ დროს

მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან. *ფილიპელთა 1:2*

გავიხარე, როდესაც მითხრეს: უფლის სახლში წავიდეთ. *ფსალმუნი 121:1*

დაე, იყოს შენთვის სასურველი ჩემი პირის სიტყვანი და ჩემი გულის ზრახვანი, უფალო, ბურჯო და მხსნელო ჩემო. ფსალმუნი 18:14

გამოგზავნე ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი, რათა წარმიძღვნენ მე და მიმიყვანონ შენს წმიდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან. *ფსალმუნი 42:3*

უფალი კი თავის წმიდა ტაძარშია. დადუმდეს მთელი ქვეყანა მის წინაშე. *აბაკუმი 2:20*

მაგრამ დგება ჟამი და დადგა კიდეც, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგან მამა ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს. *იოანე 4:23*

ასე ამბობს მაღალი და აღზევებული, მარადმსუფევი და წმიდა სახელიანი: „მე ვსუფევ მაღალში და სიწმიდეში, მაგრამ მე ვარ ტანჯულთანაც და სულით გლახაკთანაც, რათა გავაცოცხლო გლახაკთა სული და გავაცოცხლო ტანჯულთა გული. *ესაია 57:15*

შესაძლოა ითქვას ქვემოთ მოცემული ცოდვათა აღსარება; ან მსახურება გაგრძელდეს სიტყვებით „უფალო, გახსენი ჩვენი ბაგენი“.

ცოდვათა აღსარება

აღმსრულებელი ეუბნება ხალხს:

საყვარელნო, ჩვენ ერთად შევიკრიბეთ ყოვლისშემძლე ღმერთის - ჩვენი მამაზეციერის თანდასწრებაში, რომ აღვავლინოთ მისი ქება, მოვისმინოთ მისი წმინდა სიტყვა და შევთხოვოთ ჩვენთვის და სხვათათვის, ის რაც აუცილებელია ჩვენი ცხოვრებისა და ხსნისთვის. და რათა შევამზადოთ ჩვენი თავი გულსა და გონებაში რომ თაყვანი ვცეთ მას, მოდით მუხლი მოვიდრიკოთ მდუმარებაში და მონანული და მორჩილი გულით ვაღიაროთ ჩვენი შეცოდებანი, რათა მისი უსაზღვრო კეთილშობილებითა და მოწყალებით მივიღოთ შენდობა.

ან ეს:

მოდით ვაღიაროთ ღმერთისა და ჩვენი მოყვასის მიმართ ჩადენილი ცოდვები.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება.

ყველა მუხლმოდრეკილია, აღმსრულებელი და ხალხი ერთად ამბობს:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ შენ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში

და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

მხოლოდ მღვდელი წამოდგება და ამბობს:
ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოთ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშეობით შეგინდოთ ყოველი შეცოდება, გაგაძლიეროთ ყოველგვარ სიკეთეში და წმინდა სულის ძალით დაგიფაროთ საუკუნო სიცოცხლეში. ამენ.

დიაკონი ან საერო პირი ზემოთ მდებარე ტექსტის წარმოთქმისას დაჩოქილ მდგომარეობაში რჩება, ხოლო სიტყვებს: „შეგიწყალოთ,“ „შეგინდოთ,“ „გაგაძლიეროთ,“ „დაგიფაროთ“ შეცვლის შემდეგნაირად - „შეგვიწყალოს,“ „შეგვინდოს,“ „გაგვაძლიეროს“ და „დაგვიფაროს“.

მოსაწვევი და ფსალმუნი

ყველა დგას

აღმსრულებელი: უფალო, გახსენი ჩვენი ბაგენი.
ხალხი: **და ჩვენი პირი იტყვის შენს ქებას.**

აღმსრულებელი და ხალხი:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

მარხვის პერიოდის გარდა, ემატება: ***ალელუია.***

ამას მოსდევს ერთ-ერთი მოსაწვევი ფსალმუნი - Venite ან Jubilate.

ერთ-ერთი მომდევნო ანტიფონი შეიძლება იგალობოს ან ითქვას მოსაწვევ ფსალმუნთან ერთად.

ადვენტის ჟამს

ახლა გვიახლოვდება ჩვენი მეფე და მაცხოვარი: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

შობის თორმეტი დღის პერიოდში

ალელუია. ჩვენთვის ბავშვი დაიბადა: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. ალელუია.

ეპიფანიიდან ნათლისღების დღესასწაულამდე, ფერისცვალებასა და ჯვართამაღლების დღესასწაულებზე

უფალმა გამოავლინა თავისი დიდება: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

მარხვის ჟამს
უფალი თანაგრძნობითა და წყალობით აღსავსეა: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

აღდგომიდან ამაღლებამდე
ალელუია. უფალი ჭეშმარიტად აღდგა: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. ალელუია.

ამაღლებიდან სულთმოფენობამდე
ალელუია. ქრისტე უფალი ზეცად ამაღლდა: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. ალელუია.

სულთმოფენობას
ალელუია. უფლის სული ანახლებს სახეს დედამიწისას: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. ალელუია.

სამების კვირადღეს
მამა, ძე და წმინდა სული, ერთი ღმერთი: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

სხვა კვირადღისა და კვირის დღეებისას
დედამიწა უფლისაა, რადგან მან შექმნა ის: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

ან ეს:
თაყვანი ეცით ღმერთს სიწმინდის მშვენიერებით: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

ან ეს:
უფლის წყალობა უსასრულოა: მოდით, თაყვანი ვცეთ მას.

ალელუია შემდგომი ანტიფონებისას გამოიყენება მხოლოდ სააღდგომო პერიოდში.

განკაცების დღესასწაულებზე:

[ალელუია.] სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენს შორის: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. [ალელუია.]

ყველა წმინდანისა და სხვა მთავარ წმინდანთა დღეებში:

[ალელუია.] უფალი დიდებულია თავის წმიდებთან: მოდით, თაყვანი ვცეთ მას. [ალელუია.]

Venite *ფსალმუნი 94: 1-7*

მოდით, ვუგალობოთ უფალს,*
        სიხარულით შევღაღადოთ ჩვენი ხსნის ბურჯს!
სამადლობლით წარვდგეთ მის წინაშე,*
        და სიხარულის ხოტბა შევასხათ მას.
რადგან უფალი არის დიადი ღმერთი,*

დიადი მეფე, ყველა ღვთაებაზე აღმატებული;
მის ხელთაა სიღრმენი მიწისა,*
და მთების მწვერვალებიც მისია.
მისია ზღვა, მან შექმნა იგი;*
და ხმელეთიც მის ხელთა ქმნილებაა.
მოდით, თაყვანი ვცეთ და შევუვრდეთ,*
მუხლი მოვიდრიკოთ უფლის, ჩვენი შემოქმედის წინაშე!
რადგან ის არის ჩვენი ღმერთი,
ჩვენ კი – მისი სამწყსოს ხალხი ვართ და ცხვარი მისი სამწყემსი.*
ო, დღეს რომ მოგესმინათ მისი ხმა!

ან ფსალმუნი 94.

Jubilate *ფსალმუნი 99*

შეჰღაღადეთ სიხარულით უფალს, ყველა ქვეყნებო!*
ემსახურეთ უფალს სიხარულით,
მიდით მის წინაშე სიმღერით!
უწყოდეთ, რომ უფალი ღმერთია;*
მისი შექმნილები ვართ და არა თვით ჩვენი,
მისი ხალხი ვართ და ცხვრები მისი სამწყსოსი.
შედით მის კარიბჭეებში მადლის შეწირვით,
მის ეზოებში – ქება-დიდებით;*
მადლობა შესწირეთ მას, ადიდეთ სახელი მისი!
რადგან კეთილია უფალი,
საუკუნოა წყალობა მისი;*
და თაობიდან თაობამდეა ჭეშმარიტება მისი.

აღდგომის კვირაში, მოსაწვევი ფსალმუნის მაგივრად იგალობება ან ითქმის შემდგომი ტექსტი. ის ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს ყოველდღიურად, სულთმოფენობის დღესასწაულამდე.

ქრისტე ჩვენი პასექი *Pascha nostrum*

1 კორინთელთა 5:7-8; რომაელთა 6:9-11; 1 კორინთელთა 15:20-22.

ალელუია.
ქრისტე - პასექი ჩვენი შეეწირა ჩვენს გამო.*
ამიტომ ვიდღესასწაულოთ,
არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით,*
არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების უფუარი ხმიადით. ალელუია.

მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება;*
და სიკვდილი აღარ ბატონობს მასზე.

რადგან, ის რომ მოკვდა, ცოდვისათვის მოკვდა ერთხელ;*
ხოლო რომ ცოცხლობს, ღმერთისათვის ცოცხლობს.
თქვენც ასევე შერაცხეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად;*
და ღმერთისათვის ცოცხლებად ჩვენს უფალ იესო ქრისტეში. ალელუია.

მაგრამ ქრისტე აღდგა მკვდრეთით,*
განსვენებულთაგან პირველი.
რადგან, როგორც ერთი კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი,*
ასევე ერთი კაცის მიერ არის მკვდრეთით აღდგომა.
რადგან, როგორც ადამში კვდება ყველა,*
ასევე ქრისტეში გაცოცხლდება ყველა. ალელუია.

ამას მოსდევს:

ამორჩეული ფსალმუნი ან ფსალმუნები

ფსალმუნის დასასრულს იგალობება ან ითქმის:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

საკითხავები

ერთი ან ორი საკითხავი, როგორც ამორჩეულია, იკითხება. მკითხველი დასაწყისში ამბობს:

საკითხავი _____ დან.

შესაძლოა ასევე თქვას მოცემული ციტატის თავი და მუხლი.

ყოველი საკითხავის შემდგომ მკითხველმა შესაძლოა თქვას:

უფლის სიტყვა.
პასუხი: **მადლობა ღმერთს.**

ან შესაძლოა თქვას: აქ მთავრდება საკითხავი.

ყოველ საკითხავს შესაძლოა მოსდევდეს მდუმარება. ყოველი საკითხავის შემდგომ შესაძლოა იგალობოს ან ითქვას რომელიმე ჰიმნი საერთო ლოცვანიდან, გვერდი: 47-52 (ჰიმნები 1-7). თუ კი სამი საკითხავი იკითხება, სახარების საკითხავი უნდა წაიკითხოს მეორე ჰიმნის შემდგომ.

8 **გალობა მოსესი** *Cantemus Domino*

გამოსვლა 15:1-6; 11-13; 17-18.

განსაკუთრებით მიესადაგება აღდგომის პერიოდს.

ვუგალობ უფალს, რადგან იგი ამაღლებული და განდიდებულია.*
ცხენნი და მათი მხედარნი ზღვაში ჩაყარა.
ჩემი ძალა და თავშესაფარია უფალი,*
უფალი გახდა ჩემი მხსნელი,
იგია ჩემი ღმერთი, და განვადიდებ მას;*
ჩემი ხალხის ღმერთია და ვადიდებ მას.
უფალი ძლევამოსილი მეომარია,*
იაჰვეა სახელი მისი.
ეტლები ფარაონისა და ლაშქარი მისი ზღვაში ჩაყარა;*
რჩეულნი მათგან, რომელნიც ჯავშანს ატარებენ,
დაიხრჩვნენ მეწამულ ზღვაში.
მორევმა ჩაიხვია ისინი,*
ჩაიძირნენ ისინი სიღრმეში ლოდივით.
მარჯვენა შენი, უფალო, დიდებულია ძალით,*
მარჯვენა შენი, უფალო, მტერს მუსრავს.
ვინ არის შენი სადარი ღმერთთა შორის, უფალო?*
ვინ არის შენი სადარი, სიწმიდით დიდებულო,
საკვირველო ხოტბებით, მოქმედო სასწაულებისა?*
მოიღერე მარჯვენა შენი;
მიწამ ჩაყლაპა ისინი.
შენი მუდმივი სიყვარულით წარმართე ეს ხალხს, შენ რომ გამოიხსენი.*
წინ გაუძღვები შენი ძალით და მიიყვან უსაფრთხო ადგილზე,
შენს წმიდა სამყოფელში.
მიიყვან და დააფუძნებ მათ*
შენს სამკვიდრო მთაზე,
იმ ადგილზე, რომელიც შექმენ შენს დასავანებლად, უფალო*
შენი ხელით დაფუძნებულ საწმიდარში, მეუფეო.
უფალი იმეფებს*
უკუნითი უკუნისამდე!
დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

9 ესაიას პირველი საგალობელი *Ecce, Deus*

ესაია 12:2-6.

ჭეშმარიტად, ღმერთია ის ვინც მიხსნის;*
მას მივენდობი და არ შემეშინდება,
რადგან უფალი ჩემი დასაყრდენი და უეჭველი დაცვაა,*
და ის იქნება მხსნელი ჩემი.

ასე რომ სიხარულით ამოხაპავთ წყალს*
ხსნის წყაროებიდან.
და იტყვით იმ დღეს:*
ემადლიერეთ უფალს, მოუხმეთ მის სახელს;
ხალხებს აუწყეთ მისი საქმენი;*
შეახსენეთ, რომ დიადია მისი სახელი.
უგალობეთ უფალს, დიდია საქმენი მისი!*
განთქმულია მთელს ქვეყანაზე!
ილხინეთ და იმხიარულეთ, სიონის მცხოვრებნო:*
რადგან თქვენს შორის დიდებული ისრაელის წმიდა ღმერთია!
დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

10 ესაიას მეორე საგალობელი *Quaerite Dominum*

ესაია 55:6-11.

ეძიეთ უფალი, ვიდრე შეიძლება მისი პოვნა,*
მოუხმეთ მას, სანამ ახლოსაა.
დატოვოს ბოროტმა თავისი გზა,*
ცოდვილმა – თავისი ზრახვები;
დაუბრუნდეს უფალს და ის შეიწყალებს მას; მიუბრუნდეს ჩვენს ღმერთს. *
რადგან მრავალმოწყალეა ის.
ჩემი ფიქრები თქვენი ფიქრები არ არის, *
და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის, – ამბობს უფალი.
როგორც ცაა დედამიწაზე მაღლა, *
ისე ჩემი გზებია თქვენს გზებზე მაღლა,
და ჩემი ზრახვებია – თქვენს ზრახვებზე მაღლა.
რადგან, როგორც წვიმა და თოვლი ჩამოდის ციდან *
და უკან აღარ ბრუნდება, თუ არ მორწყა მიწა,
თუ არ აშობინა და არ აღმოაცენებინა, *
რომ მისცეს თესლი მთესველს და პური მჭამელს.
ასევეა ჩემი სიტყვაც, რომელიც გამოდის ჩემი ბაგეებიდან, *
ის უკან არ მიბრუნდება უნაყოფოდ,
რადგან იმას აკეთებს, რაც მე მწადია, *
და იმას აღასრულებს, რისთვისაც მე მივავლენ მას.
დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

11 ესაიას მესამე საგალობელი *Surge, illuminare*

ესაია 60:1-3, 11a, 14c, 18-19.

ადექი, განათდი, რადგან მოვიდა შენი ნათელი, *
	და უფლის დიდება შენზე ამობრწყინდა.
რადგან, აჰა, წყვდიადი დაფარავს დედამიწას, *
	და ბნელი – ხალხებს;
შენზე კი უფალი ინათებს, *
	და მისი დიდება შენზე გამოჩნდება.
მოვლენ ხალხები შენს ნათელზე, *
	და მეფენი – შენი სხივების ნათებაზე.
და ღია იქნება მუდამ შენი კარიბჭე, *
	არც დღისით და არც ღამით არ დაიკეტება.
გიწოდებენ საუფლო ქალაქს, *
	ისრაელის წმიდის სიონს.
ველარ გაიგონებენ ძალადობის ხმას შენს ქვეყანაში, *
	ძარცვისა და ნგრევისას – შენს საზღვრებში;
და უწოდებ შენს გალავნებს ხსნას *
	და შენს კარიბჭეებს – დიდებას.
მზე აღარ გექნება დღის სინათლედ *
	ღამით მთვარის ციალი აღარ დაგჭირდება,
უფალი იქნება შენი საუკუნო ნათელი, *
	და შენი ღმერთი – შენი დიდება.
დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
	ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

12 ქმნილების საგალობელი *Benedicite, omnia opera Domini*

სამი ყმაწვილის საგალობელი, ***35-36***

შეიძლება გამოიყენებოდეს ჰიმნის ერთი ან მეტი მონაკვეთი. რომელიც არ უნდა შეირჩეს, ის უნდა იწყებოდეს მოსაწვევით და მთავრდებოდეს დოქსოლოგიით.

მოსაწვევი
უფლის ყოველნო საქმენო, ადიდეთ უფალი, *
	უგალობეთ და განადიდეთ იგი უკუნისამდე.
მისი ძალის ზეცაში, ადიდეთ უფალი, *
	უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

I კოსმიური წესრიგი

განადიდეთ უფალი, ანგელოზნო და ყოველნო ძალნო უფლისა, *
	ცანო და ყოველნო წყალნო ცის ზენანო.
მზე და მთვარევ და ცის ვარსკვლავნო, განადიდეთ უფალი, *
	უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, ყოველნო წვიმავ და ცვარ-ნამო, *
ყოველნო ქარნო, ცეცხლო და სიცხევ.
ზამთარო და ზაფხულო, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, სუსხო და სიცივემ, *
ცვარ-ნამნო და თრთვილნო.
ჭირხლო და სიცივევ, ყინვავ და სეტყვავ, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, ღამენო და დღენო, *
მოკაშკაშე ნათელო და გარემომცველო ბნელო.
ელვავ და ღრუბელნო, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

II *დედამიწა და მისი ქმნილებანი*

დაე განადიდოს დედამიწამ უფალი, *
უგალობოს და განადიდოს ის უკუნისამდე.
განადიდეთ უფალი, მთანო და ბორცვნო,
და ყოველნო, რაც იზრდება დედამიწაზე, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, წყაროსთვალნო, ზღვანო და მდინარეებო, *
ვეშაპნო და წყალში მცურავნო.
ცის ფრინველნო, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, ველურო მხეცნო, *
და ყოველნო ფარანო და ჯოგნო.
კაცებო და ქალებო ყველგან, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

III *ღმერთის ხალხები*

დაე ღმერთის ხალხმა განადიდოს უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.
განადიდეთ უფალი, მღვდელნო და მსახურნო უფლისა, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განადიდეთ უფალი, სულნო და სამშვინველნო მართალთა, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.
თქვენ, რომელნიც ხართ წმინდანი და
გულით გლახაკნი, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

განვადიდოთ უფალი: მამა, ძე და წმინდა სული; *
ვუგალობოთ და განვადიდოთ ის უკუნისამდე.
მისი ძალის სიმყარეში, განადიდეთ უფალი, *
უგალობეთ და განადიდეთ ის უკუნისამდე.

13 ქების საგალობელი *Benedictus es, Domine*

სამი ყმაწვილის საგალობელი, 29-34

დიდება შენ უფალო, ჩვენი მამების ღმერთო; *
ღირსი ხარ ქების; დიდება შენ.
დიდება შენ, შენი წმინდა სახელის ნათებისათვის; *
გიგალობთ და განგადიდებთ უკუნისამდე.
დიდება შენ, შენი ტაძრის ბრწყინვალებაში; *
შენი დიდებულების ტახტზე, დიდება შენ.
დიდება შენ, ქერუბიმთა შორის დაბრძანებულო; *
გიგალობთ და განგადიდებთ უკუნისამდე.

დიდება შენ, სიღრმეთა მხილველო; *
ზეცის მაღალ კამარაზე, დიდება შენ.
დიდება შენ, მამაო, ძეო და წმინდაო სულო; *
გიგალობთ და განგადიდებთ უკუნისამდე.

14 სინანულის საგალობელი *Kyrie Pantokrator*

მენაშეს ლოცვა 1-2, 4, 6-7, 11-15

განსაკუთრებით მიესადაგება მარხვას და სხვა სინანულის შემთხვევებს

უფალო და მბრძანებელო ზეციურ ძალთა, *
ღმერთო აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა,
და მათი ყოველი მართალი მოდგმისა:
შენ შექმენი ცანი და მიწა, *
მთელი მათი მოკაზმულობით.
ყოველივე შიშით კანკალებს შენს წინაშე; *
ძრწიან ისინი შენი ძალის გამო.
მაგრამ განუზომელია მოწყალება შენი აღთქმისა; *
ის აღმატებულია ყოველივეზე, რისი გონებით წვდომაც შეგვიძლია.
უფალო, მოწყალებით ხარ აღვსილი. *
სულგრძელი და მრავალმოწყალე.
უკან გიჭირავს შენი ხელი; *

არ გვსჯის ჩვენი დამსახურებისამებრ.
შენს დიდებულ კეთილშობილებაში, უფალო,
აღუთქვი შენდობა ცოდვილთ, *
რათა მოინანიონ ცოდვა და გადარჩნენ.
ახლა კი, უფალო, მომიდრეკია ჩემი გულის მუხლი, *
და მოგმართავ, დარწმუნებული შენს გულმოწყალე კეთილშობილებაში.
ვცოდე, უფალო, ვცოდე, *
და ჩემი ურჯულოებანი მე თავად ვიცი.
ამიტომ გევედრები: *
მომიტევე, უფალო, მომიტევე.
ნუ დამლუპავ ჩემს ცოდვაში, *
ნურც გამწირავ ქვესკნელისათვის.
რადგან, უფალო, შენ ხარ ღმერთი მონანულთა, *
და მოავლენ ჩემზე შენს სიკეთეს.
მე უღირსს, შენ გადამარჩენ,
შენი უსაზღვრო გულმოწყალებით, *
და გიგალობ შენ შეუჩერებლად, ჩემი ცხოვრების ყოველ დღეს.
რათა ზეცის ყოველნი ძალნი შენს ქებანს გალობენ, *
და შენია დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამენ

15 მარიამის საგალობელი *Magnificat*

ლუკა 1:46-55

ადიდებს სული ჩემი უფალს,
და ზეიმობს ჩემი სული ღმერთში, ჩემს მაცხოვარში; *
რადგან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს.
და ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა: *
რადგან დიდი რამ მიყო ძლიერმა,
და წმიდაა სახელი მისი.
მისი წყალობა მის მოშიშებზე *
თაობიდან თაობამდეა.
აჩვენა ძალა თავისი მკლავით, *
გაფანტა ქედმაღალნი თავიანთ გულის ზრახვებთან ერთად.
ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი, *
და აამაღლა მდაბალნი;
მშივრები სიკეთით აღავსო, *
და მდიდრები ხელცარიელი გაუშვა.
შეეწია თავის შვილს, ისრაელს, *
რადგან გაიხსენა წყალობა,
როგორც აუწყა ჩვენს მამებს, *
აბრაამს და მის ნაშიერთ საუკუნოდ.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

16 ზაქარიას საგალობელი *Benedictus Dominus Deus*

ლუკა 1:68-79

კურთხეულია უფალი ღმერთი ისრაელისა; *
	რომ მოხედა და გაანთავისუფლა თავისი ხალხი.
ჩვენთვის აღამაღლა ძლიერი მხსნელი, *
	დაბადებული თავისი მსახურის - დავითის სახლში.
თავის წმინდა წინასწარმეტყველთაგან აღგვითქვა ძველთაგანვე,
რომ გვიხსნიდა ჩვენი მტრებისაგან, *
	და ყველა ჩვენი მოძულის ხელიდან.
დაგვპირდა რომ უწყალობებდა ჩვენს მამებს *
	და გაიხსენებდა თავის წმიდა აღთქმას.
ფიცს, რომლითაც შეჰფიცა ჩვენს მამას, აბრაამს, *
	რომ გაგვათავისუფლებდა ჩვენი მტრების ხელიდან,
რათა უშიშრად გვემსახურა მისთვის, *
	სიწმიდესა და სიმართლეში მის წინაშე,
	ჩვენი სიცოცხლის ყოველ დღეს.
და შენ, ყრმაო, დაგერქმევა მაღლის წინასწარმეტყველი, *
	რადგან წინამორბედი იქნები უფლის წინაშე მისი გზების გასამზადებლად,
რათა მისცე მის ხალხს ცოდნა ხსნისა, *
	მათი ცოდვების მიტევებით.
ჩვენი ღმერთის გულმოწყალებით *
	რომლითაც გადმოგვხედა აღმოსავლეთმა მაღლიდან,
სიბნელესა და სიკვდილის ჩრდილში
		მსხდომარეთა გასანათებლად, *
	ჩვენს ფეხთა წარსამართავად მშვიდობის გზაზე.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
	ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

17 სიმეონის საგალობელი *Nunc dimittis*

ლუკა 2:29-32

უფალო, ახლა გაუშვი მსახური შენი, *
	თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით.
რადგან იხილა ჩემმა თვალმა შენი მაცხოვარება, *
	რომელიც განამზადე ყოველი ერის წინაშე:
ნათელი წარმართთა გასანათლებლად, *
	და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
	ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

18 კრავის საგალობელი *Dignus es*

გამოცხადება 4:11; 5:9-10, 13

ბრწყინვალება, პატივი და მეფური ძალა *
ღირსეულად შენია, უფალო ღმერთო ჩვენო,
რადგან შენ შექმენი ყოველივე, *
და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ;

და ღირსეულად შენია, კრავო, რომელიც დაიკალი, *
რადგან შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის,
ყოველი ოჯახის, ენის, ხალხისა და ერისაგან, *
მღვდელთა სამეფო, რათა ემსახურონ ჩვენს ღმერთს.

და ასე, ტახტზე მჯომარეს, *
და ქრისტე კრავს,
თაყვანისცემა, ქება, პატივი და დიდება, *
უკუნითი უკუნისამდე.

19 გამომსყიდველის საგალობელი *Magna et mirabilia*

გამოცხადება 15:3-4

სამყაროს მბრძანებელო, უფალო ღმერთო,
დიდებულია საქმენი, რომელნიც მოიმოქმედე, *
აღემატება ადამიანურ გაგებას.
შენი გზები სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გზებია, *
მეფევ ყოველთა საუკუნეთა.

ვინ არ მოგაგებს პატივს, უფალო,
და არ უგალობს ქებას შენს სახელს? *
რადგან მხოლოდ შენ ხარ წმინდა.
ყოველი ერი მოგიახლოვდება და დაეცემა შენს წინაშე, *
რადგან გაცხადნენ შენი სამართლიანი და წმინდა საქმენი.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

20 დიდება ღმერთს *Gloria in excelsis*

დიდება მაღალთა შინა ღმერთს,
        და მშვიდობა ქვეყნად მის ხალხს.

უფალო ღმერთო, ზეციერო მეფე,
ყოვლისშემძლე ღმერთო და მამა,
        თაყვანს გცემთ, გმადლობთ,
        გაქებთ შენი დიდებისათვის.

უფალო იესო ქრისტე, მამის მხოლოდშობილო ძე,
უფალო ღმერთო, ღვთის კრავო,
        რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვა:
        შეგვიწყალე ჩვენ;
მამის მარჯვენით მჯდომო:
        მიიღე ჩვენი ლოცვა.

რადგან მხოლოდ შენ ხარ წმინდა,
მხოლოდ შენ ხარ უფალი,
მხოლოდ შენ ხარ უზენაესი,
        იესო ქრისტე,
        წმინდა სულთან ერთად,
        მამა ღმერთის დიდებაში. ამენ.

21 შენ ხარ ღმერთი *Te Deum laudamus*

შენ ხარ ღმერთი: გაქებთ;
შენ ხარ უფალი: გაღიარებთ.
შენ ხარ მარადიული მამა:
მთელი ქმნილება თაყვანს გცემს.
ყოველი ანგელოზნი, ყოველი ზეციური ძალნი,
ქერუბიმნი და სერაფიმნი, გიგალობენ დაუსრულებელ ქებას:
        წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი, ღმერთი ძალისა და ძლიერებისა,
        ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.
დიდებულ მოციქულთა დასი ქებას გიძღვნიან.
წარჩინებულ წინასწარმეტყველთა ერთობა ქებას გიძღვნიან.
თეთრად შემოსილ წამებულთა ჯარი ქებას გიძღვნიან.
მთელს მსოფლიოში წმინდა ეკლესია გაღიარებს;
        მამას, უსაზღვრო დიდებულების,
        შენს ჭეშმარიტ და ერთადერთ ძეს, ღირსს ყოველი თაყვანისცემის,
        და წმინდა სულს, ნუგეშისმცემელსა და წინამძღოლს.
შენ, ქრისტე, დიდების მეფე ხარ,
მამის მარადიული ძე.
როცა კაცი გახდი რომ გაგენთავისუფლებინეთ
არ დაერიდე ქალწულის წიაღს.
შენ დაამარცხე სიკვდილის ნესტარი

და გაუხსენი ზეციური სამეფო ყოველ მორწმუნეს.
შენ ღმერთის მარჯვენით მჯდომარე ხარ დიდებაში.
გვწამს რომ მოხვალ ჩვენს განსასჯელად.
მოდი, უფალო, და შეეწიე შენს ხალხს,
გამოსყიდულთ შენი სისხლის საფასურით,
და მიგვიყვანე შენს წმინდანებთან
მარადიულ დიდებაში.

მოციქულთა მრწამსი

აღმსრულებელი და ხალხი ერთად, ყველა დგას:

მწამს ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა,
ცისა და ქვეყნიერების შემოქმედი.

მწამს იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე, ჩვენი უფალი.
ის ჩაისახა წმინდა სულის ძალით
და იშვა ქალწული მარიამისაგან.
ივნო პონტოელი პილატეს მიერ,
ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა.
ჩავიდა მკვდრებთან.
მესამე დღეს აღდგა.
ზეცად ამაღლდა,
და ზის მამის მარჯვენით.
და კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.

მწამს წმინდა სული,
წმინდა კათოლიკე ეკლესია,
წმინდანთა თანაზიარება,
ცოდვათა შენდობა,
სხეულის აღდგომა,
და მარადიული ცხოვრება. ამენ.

ლოცვები

ხალხი დგას ან დაჩოქილია

აღმსრულებელი: უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი: **და ასევე შენთან.**
აღმსრულებელი: ვილოცოთ.

აღმსრულებელი და ხალხი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ

შემდგომ მოყვება ორიდან ერთ-ერთი საპასუხო ლოცვა

A

V. გვიჩვენე შენი წყალობა, უფალო;
R. და მოგვმადლე შენი ხსნა.
V. სამართლით შემოსე შენი მსახურები;
R. დაე სიხარულით გიგალობოს შენმა ხალხმა.
V. მიეცი მშვიდობა, უფალო, ყოველს სამყაროში;
R. რამეთუ მხოლოდ შენში შეგვიძლია დაცულად ცხოვრება.
V. უფალო, ამყოფე ეს ერი შენი მზრუნველობის ქვეშ;
R. და წარგვიძეხ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გზაზე.
V. დაე შენი გზა შეცნობილი იყოს ქვეყნიერებაზე;
R. შენი მხსნელი ძალა ყველა ერს შორის.
V. ნუ დაიავიწყებ, უფალო, ღატაკთ;
R. არც უპოვართ წაერთვას სასოება.
V. წმინდა გული შეჰქმენ ჩვენში, ღმერთო;
R. და შენი წმინდა სულით განგვამტკიცე ჩვენ.

B

V. იხსენი შენი ხალხი და აკურთხე შენი სამკვიდრო;
R. მწყემსე ისინი და აამაღლე, აწ და მარადის.
V. ყოველდღიურად გაკურთხებთ შენ;
R. ვადიდებთ შენს სახელს უკუნისამდე.
V. უფალო, განგვაშორე ცოდვას დღეს;
R. შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე.
V. უფალო, გვიჩვენე სიყვარული და წყალობა შენი;
R. რადგან შენ მოგენდობით.

V. უფალო, შენზე ვამყარებთ იმედს;
R. და არასოდეს გაგვიცრუვდება იმედი.

შემდგომ აღმსრულებელი ამბობს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ კოლექტას:

დღის კოლექტა

კოლექტა კვირადღისთვის

ღმერთო, შენ გვახარებ შენი ძის, ჩვენი უფლის დიდებული აღდგომის ყოველკვირეული გახსენებით: მოგვეცი ამ დღე ისეთი კურთხევა ჩვენი შენდამი თაყვანისცემისას, რომ მომავალი კვირა შენთვის სათნოდ გავატაროთ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა პარასკევისთვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის უძვირფასესმა ძემაც სიხარულში აღმასვლამდე, უპირველესად ტკივილი განიცადა და დიდებაში შესვლამდე ჯვარს ეცვა: მოწყალედ გვიბოძე, რომ ჯვრის გზაზე ვიაროთ და მასში ვპოვოთ სიცოცხლისა და მშვიდობის ერთადერთი ბილიკი; შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა შაბათისთვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც სამყაროს შექმნის შემდგომ დაისვენე შენს საქმეთაგან და განწმინდე დასვენების დღე შენი ყოველი ქმნილებისათვის: გვიბოძე რომ ჩვენც, ყოველ მიწიერ შფოთვათაგან ჩამოშორებულებმა, სათანადოდ შევძლოთ შენი წმინდა საწმიდრის მსახურებისათვის მომზადება, და ჩვენი დასვენება აქ დედამიწაზე, იყოს მომზადება შენი ხალხისთვის აღთქმული სამოთხეში მარადიული განსვენებისა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა ცხოვრების განახლებისთვის

ღმერთო, მარადიულო მეფევ, რომლის ნათელიც ყოფს დღეს ღამისაგან და სიკვდილის ჩრდილს დილად გარდაქმნის: განდევნე ჩვენგან ყოველგვარი არასწორი სურვილი, მიდრიკე ჩვენი გულები შენი კანონის დასაცავად და წარმართე ჩვენი ფეხნი მშვიდობის გზისკენ; შევასრულებთ რა შენს ნებას სიხარულით, დაე ღამის დადგომისას ვიხაროთ შენდამი მადლობის მიძღვნით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა მშვიდობისათვის

ღმერთო, მშვიდობის შემოქმედო და თანხმობის მოყვარულო, გიცნობდეთ შენ მარადიული ცხოვრებაა და გემსახუროთ შენ - სრულყოფილი თავისუფლება: დაგვიცავი, შენი თავმდაბალი მსახურნი, ჩვენს მტერთა ყოველი თავდასხმისგან; რომ ჩვენ, შენს დაცვას მტკიცედ დანდობილნი, არ შევუშინდეთ რომელიმე მოპაექრის ძალას; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ძლიერებით. *ამენ.*

კოლექტა მადლისთვის

უფალო ღმერთო, ყოვლისშემძლე და მარადიულო მამა, შენ უსაფრთხოდ მოგვიყვანე ამ ახალ დღემდე: გვიმფარველე შენი ძლიერი ძალით, რათა არ დავეცეთ ცოდვაში, არ დავმარცხდეთ უბედურებით და ყველაფერმა რასაც ვაკეთებთ, მიგვიყვანოს შენი ნების აღსრულებამდე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა წინამძღოლობისთვის

მამაზეციერო, შენში ვცხოვრობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ: თავმდაბლად ვლოცულობთ შენდამი, რომ შენი წმინდა სულით გვიწინამძღვრო და გვიხელმძღვანელო, რათა ჩვენი ცხოვრების ყოველ საზრუნავსა და საქმიანობაში არ დაგივიწყოთ შენ, არამედ გვახსოვდეს რომ შენს წინაშე დავდივართ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

შემდგომ, თუ კი არ მოსდევს ევქარისტია ან საერთო შუამდგომლობის ლოცვა, ემატება ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული ლოცვა მისიისათვის.

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომლის წმინდა სულითაც შენს ერთგულ ხალხთა სხეული მართული და განწმენდილია: მიიღე ჩვენი ვედრებანი და ლოცვანი, რომელსაც შენს წინაშე აღვავლენთ შენი წმინდა ეკლესიის ყოველი წევრისათვის, რათა მათ მოწოდებასა და მსახურებაში ჭეშმარიტად და ღვთისმოსავად გემსახურონ შენ; ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, შენ ერთი სისხლისაგან შექმენი დედამიწის ყოველი ხალხი და შენი კურთხეული ძე მიავლინე მშვიდობის საქადაგებლად შორს და ახლოს მყოფთათვის: მიმადლე ამ ხალხს ყველგან, რათა გეძიონ და გპოვონ შენ; მიიყვანე ერები შენს სამწყსოში; შთაღვარე შენი სული ყოველ ხორციელში; და დააჩქარე შენი სამეფოს მოსვლა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან შემდგომი:

უფალო იესო ქრისტე, შენ გაშალე შენი სიყვარულის მკლავები ჯვრის უდრეკ ხეზე, რათა ყველას შესძლებოდა ეპასუხა შენი მხსნელი ჩახუტებისათვის; ჩვენც შეგვმოსე შენი სული, რათა სიყვარულით ვიწვდიდეთ ხელებს და ისინი, ვინც არ გიცნობენ, გაგიცნონ და შეგიყვარონ; შენი სახელის პატივისათვის. ამენ.

აქ შესაძლოა იგალობოს საგალობელი ან ჰიმნი.

შესაძლოა მოსდევდეს ნებადართული შუამდგომლობის ან მადლიერების ლოცვები.

ლოცვითი მსახურების დასრულებამდე შეიძლება ერთი ან ორივე ქვემდებარე ლოცვის გამოყენება:

ზოგადი სამადლობელი

აღმსრულებელი და ხალხი:

ყოვლისშემძლე ღმერთო, მამავ ყოველი მოწყალებისაო,
ჩვენ, შენი უღირსი მსახურნი, თავმდაბლად გმადლობთ

ყოველი შენი სიკეთისა და კაცთმოყვარეობისათვის,
ჩვენსა და ყოველი შენი ქმნილებისადმი.
გაკურთხებთ ჩვენი შექმნის, დაცვისა
და ამ ცხოვრების ყოველი კურთხევისათვის;
მაგრამ უპირატესად შენი განუზომელი სიყვარულისთვის
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ სამყაროს გამოსყიდვაში;
მადლის საშუალებებისა და დიდების იმედისათვის.
და, ჩვენ ვლოცულობთ, გვიბოძე შენს წყალობათა ისეთი გაცნობიერება,
რომ ჭეშმარიტად მადლიერი გულებით შევძლოთ შენი ქების გამოვლენა,
არა მხოლოდ ჩვენი ბაგენით, არამედ ცხოვრებით,
შენი მსახურებისთვის ჩვენი თავის მიძღვნით,
და შენს წინაშე სიარულით
სიწმინდითა და სამართლიანობით ჩვენს ყოველ დღეს;
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
ვისაც, შენთან და წმინდა სულთან ერთად,
მიეგოს პატივი და დიდება. უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმ. იოანე ოქროპირის ლოცვა

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ მოგვეცი მადლი ამ ჟამს, რათა ერთხმად მოგმართოთ საერთო ვედრებით; და შენ აღგვითქვი შენი ყოვლად-საყვარელი ძის მეშვეობით, რომ სადაც ორი ან სამია შეკრებილი მისი სახელით, შენც მათ შორის იქნები: აღასრულე ახლა, უფალო, ჩვენი საწადელი და სათხოვარი, როგორც უკეთესი იქნება ჩვენთვის; მოგვმადლე ამ წუთისოფელში ცოდნა შენი ჭეშმარიტებისა და მომავალში მარადიული ცხოვრება. *ამენ.*

შემდგომ შესაძლოა ითქვას:

ვაკურთხოთ უფალი
მადლობა ღმერთს.

აღდგომის დღიდან სულთმოფენობის დღის ჩათვლით, ზემოთ მდებარე საპასუხოსა და პასუხს შესაძლოა დაემატოს „ალელუია, ალელუია“.

აღმსრულებელმა შესაძლოა დაასრულოს ლოცვა ქვემოთ მდებარე ერთ-ერთი მუხლით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, ღმერთის სიყვარული და წმინდა სულის თანაზიარება იყოს მარადჟამს ყველასთან ჩვენთან. *ამენ.* *2 კორინთელთა 13:14*

სასოების ღმერთმა აღგვავსოს ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, სულიწმიდის ძალით. *ამენ.* *რომაელთა 15:13*

დიდება ღმერთს, რომლის ჩვენში მოქმედ ძალასაც შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ შეიძლება ვთხოვოთ ან ვიფიქროთ: თაობიდან თაობამდე დიდება მას ეკლესიაში და ქრისტე იესოში, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.* *ეფესელთა 3:20, 21*

შუადღის ლოცვა

აღმსრულებელი: ღმერთო, ისწრაფე ჩვენს სახსნელად.
ხალხი: **უფალო, ისწრაფე ჩვენს დასახმარებლად.**

აღმსრულებელი და ხალხი:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

მარხვის პერიოდის გარდა, ემატება: ***ალელუია.***

შესაძლოა იგალობოს შესაფერისი საგალობელი.

ივალობება ან ითქმის ქვემოთ მოცემულ ფსალმუნთაგან ერთი ან მეტი. სხვა შესაბამისი ფსალმუნებია: ფსალმუნი 18, 66; ერთი ან მეტი ნაწილი 118-ე ფსალმუნიდან; ან ფსალმუნები 119-ე ფსალმუნიდან, 132-ე ფსალმუნის ჩათვლით.

ფსალმუნი 118 *Lucerna pedibus meis*

105 ლამპარია ჩემი ფეხისთვის სიტყვა შენი *
და სინათლე - ჩემი ბილიკისათვის.

106 დავიფიცავ და ავასრულებ, *
დავიცავ შენს მართალ სამართალს.

107 დავიტანჯე მეტისმეტად; *
უფალო, მაცოცხლე შენი სიტყვისამებრ.

108 აღთქმანი ჩემი პირისა ისურვე - გთხოვ, უფალო, *
და სამართალნი შენნი მასწავლე.

109 სული ჩემი ხელისგულზეა მუდამ *
და შენს რჯულს არ ვივიწყებ.

110 დამიგეს ბოროტებმა მახე, *
მაგრამ შენი ბრძანებებისთვის არ გადამიხვევია.

111 დავიმკვიდრე მცნებანი შენი საუკუნოდ, *
რადგან ისინი ჩემი გულის სიხარულია.

112 მოვდრიკე გული ჩემი წესთა შენთა შესასრულებლად. *
უკუნითი უკუნისამდე.

ფსალმუნი 120 *Levavi oculos*

1 მივაპყრობ თვალებს მთებს: *
საიდან მოვა ჩემი შეწევნა?

2 ჩემი შეწევნა უფლისგანაა, *
რომელმაც შეჰქმნა ცა და ქვეყანა.

3 არ წააბორძიკებს შენს ფეხს; *
არ წათვლემს დამცველი შენი.

4 აჰა, არ წათვლემს *
და არ დაიძინებს მცველი ისრაელისა.

5 უფალია შენი მცველი; *
უფალი, შენი მფარველი - შენი მარჯვენის გვერდით.

6 დღისით მზე არ გაგნებს *
და ღამით მთვარე.

7 უფალი დაგიცავს ყოველგვარი ბოროტისაგან, *
დაიცავს შენს სულს;

8 უფალი დაიცავს შენს წასვლას და მოსვლას *
ამიერიდან და უკუნისამდე.

ფსალმუნი 125 *In convertendo*

1 როცა დააბრუნებს უფალი ტყვეს სიონისას, *
თავი სიზმარში გვეგონება.

2 მაშინ აივსება სიცილით პირი ჩვენი *
და ენა ჩვენი - გალობით.

3 მაშინ იტყვიან ხალხებს შორის: *
დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთან.

4 დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთან. *
გავმხიარულდით.

5 დააბრუნე, უფალო, ჩვენი ტყვეები, *
ვით ნაკადები ურწყავ ადგილზე.

6 ცრემლით მთესველნი *
სიმღერით მოიმკიან.

7 მიდის და ტირის მთესველი თესლისა, *
მოდის და სიმღერით მოაქვს ძნები თავისი.

ფსალმუნთა დასასრულს ითქმის ან იგალობება:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: *
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

იკითხება ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი, ან სხვა შესაფერისი მონაკვეთი წმინდა წერილიდან:

ღვთის სიყვარული ჩაისახა ჩვენს გულში სული წმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ. *რომაელთა 5:5.*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან შემდგომი:

ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა, აჰა, ყოველივე ახალია. ყოველივე ღმერთისაგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება. *II კორინთელთა 5:17-18.*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან ეს:

დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე; ყოველ ადგილას დაუკმევენ საკმეველს ჩემს სახელს და წმიდა ძღვენს შემომწირავენ; რადგან დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში, ამბობს ცაბაოთ უფალი. *მალაქია 1:11.*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

შესაძლოა ამას მოჰყვეს მდუმარე და წარმოთქმული მედიტაცია.

შემდგომ აღმსრულებელი იწყებს ლოცვას:

უფალო შეგვიწყალე.
ქრისტე შეგვიწყალე.
უფალო შეგვიწყალე.

აღმსრულებელი და ხალხი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.

აღმსრულებელი: უფალო, ისმინე ლოცვა ჩვენი;
ხალხი: **და ჩვენი ღაღადი მოვიდეს შენთან.**
აღმსრულებელი: ვილოცოთ.

შემდგომ აღმსრულებელი წარმოთქვამს ქვემოთ მოცემულ კოლექტათაგან ერთ-ერთს. თუ კი სასურველია, შესაძლოა დღის კოლექტის გამოყენება.

ზეციერო მამა, მიავლინე შენი წმინდა სული ჩვენს გულებში, რათა გვიძღოდეს და გვმართავდეს შენი ნებისამებრ, რათა გვანუგეშოს ჩვენი ყოველი გასაჭირისას, დაგვიცვას ცდომილებისგან, და წარგვიძღვეს ყოველგვარ ჭეშმარიტებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კურთხეულო მაცხოვარო, ამ ჟამს ჯვარზე იყავი გაკრული, გაშლილი მოსიყვარულე მკლავებით: მიმადლე, რომ დედამიწი ყოველი ხალხი შენ შემოგცქეროდეს, რათა დახსნილნი იყვნენ; შენს სათუთ მოწყალებათა გამო. *ამენ.*

ყოვლისშემძლე მაცხოვარო, რომელმაც შუადღის ჟამს მოუწოდე შენს მსახურს - წმინდა პავლეს, რომ წარმართთა მოციქული ყოფილიყო: გევედრებით, განანათლე სამყარო შენი დიდების ბრწყინვალებით, რათა ყოველი ერი მოვიდეს და თაყვანი გცეს შენ; რადგან შენ ცოცხლობ და სუფევ უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

უფალო იესო ქრისტე, შენ უთხარი შენს მოციქულთ: "მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ:" ნუ მოხედავ ცოდვათა ჩვენდა, არამედ რწმენასა შენი ეკლესიისა, და მოგვმადლე მშვიდობა და ერთობა იმ ზეციური ქალაქისა, სადაც მამასთან და წმინდა სულთან ერთად, შენ ცოცხლობ და სუფევ, აწ და მარადის. *ამენ.*

შესაძლოა აღევლინოს თავისუფალი საშუამდგომლო ლოცვები.
ღვთისმსახურება დასრულდება შემდეგნაირად:

აღმსრულებელი: ვაკურთხოთ უფალი.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ყოველდღიური საღამოს ლოცვა:

წესი მეორე

აღმსრულებელი მსახურებას იწყებს წმინდა წერილის ქვემოთ მდებარე ერთი ან მეტი წინადადებით, ან წმინდა წერილის წინადადებებით, რომლებიც ყოველდღიური დილის ლოცვის დასაწყისშია მოცემული;

ან სინათლის ღვთისმსახურებით, რომელიც ინგლისურენოვანი საერთო ლოცვანის (BCP - 1979) 109-112 გვერდებზეა მოცემული, და გაგრძელდება ამორჩეული ფსალმოდიით;

ან შემდგომი საპასუხო მუხლით - „ღმერთო, ისწრაფე ჩვენს სახსნელად“.

წარემართოს ჩემი ლოცვა შენს წინაშე, ვითარცა საკმეველი, ჩემს ხელთა აღპყრობა იყოს საღამოს მსხვერპლი. *ფსალმუნი 140:2*

მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან. *ფილიპელთა 1:2*

თაყვანი ეცით უფალს მოწიწებით; ათრთოლდი მის წინაშე, მთელო ქვეყნიერებავ. *ფსალმუნი 95:9*

შენია დღე, უფალო, ღამეც შენია; შენ დაადგინე მთვარე და მზე. შენ დასდე ქვეყნიერების ყველა საზღვარი, ზაფხულ-ზამთარი შენ დაადგინე. *ფსალმუნი 73:16, 17*

ვაკურთხებ უფალს, რომელმაც დამარიგა; ღამ-ღამობით მწვრთნიან ჩემი გულისთქმანი. უფალი მუდამ ჩემს თვალწინაა; რადგან ჩემს მარჯვნივ არის, არ დავეცემი. *ფსალმუნი 15:7, 8*

ესწრაფეთ მას, რომელმაც შექმნა ხომლი და ორიონი, რომელიც კუნაპატ ღამეს აისად აქცევს და დღეს ღამესავით აბნელებს; რომელიც მოუხმობს ზღვის წყლებს და მიწის პირზე მოაქცევს: უფალია მისი სახელი. *ამოსი 5:8*

თუ ვიტყვი: ვაი თუ ბნელმა დამფაროს, – ღამეც კი სინათლედ გადაიქცევა ჩემს ირგვლივ. სიბნელეც არაა წყვდიადი შენთვის, უფალო, და ღამე დღესავით განათდება; რადგან სიბნელეც სინათლეა შენთვის! *ფსალმუნი 138:11, 12*

იესომ თქვა: „მე ვარ ნათელი ქვეყნისა. ვინც მე გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას.“ *იოანე 8:12*

შესაძლოა ითქვას ქვემოთ მოცემული ცოდვათა აღსარება; ან მსახურება გაგრძელდეს სიტყვებით „ღმერთო, ისწრაფე ჩვენს სახსნელად“.

ცოდვათა აღსარება

აღმსრულებელი ეუბნება ხალხს:

საყვარელო მეგობრებო ქრისტეში, მოდით მუხლი მოვიდრიკოთ მდუმარებაში აქ - ყოვლისშემძლე ღმერთის თანდასწრებაში, და მონანული და მორჩილი გულებით ვაღიაროთ ჩვენი შეცოდებანი, რათა მისი უსაზღვრო კეთილშობილებითა და მოწყალებით მივიღოთ შენდობა.

ან ეს:

მოდით ვაღიაროთ ღმერთისა და ჩვენი მოყვასის მიმართ ჩადენილი ცოდვები.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება.

ყველა მუხლმოდრეკილია, აღმსრულებელი და ხალხი ერთად ამბობს:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში
და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

მხოლოდ მღვდელი წამოდგება და ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოთ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშეობით შეგინდოთ ყოველი შეცოდება, გაგაძლიეროთ ყოველგვარ სიკეთეში და წმინდა სულის ძალით დაგიფაროთ საუკუნო სიცოცხლეში. ამენ.

დიაკონი ან საერო პირი ზემოთ მდებარე ტექსტის წარმოთქმისას დაჩოქილ მდგომარეობაში რჩება, ხოლო სიტყვებს: „შეგიწყალოთ,“ „შეგინდოთ,“ „გაგაძლიეროთ,“ „დაგიფაროთ“ შეცვლის შემდეგნაირად - „შეგვიწყალოს,“ „შეგვინდოს,“ „გაგვაძლიეროს“ და „დაგვიფაროს“.

მოსაწვევი და ფსალმუნი

ყველა დგას

აღმსრულებელი: ღმერთო, ისწრაფე ჩვენს სახსნელად.
ხალხი: **უფალო, ისწრაფე ჩვენს დასახმარებლად.**

აღმსრულებელი და ხალხი:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

მარხვის პერიოდის გარდა, ემატება: ***ალელუია.***

შემდგომ , სხვა რომელიმე შესაბამისი საგალობელი ან მოსაწვევი ფსალმუნი შეიძლება იგალობოს ან ითქვას:

ნათელო მხიარულო *Phos hilaron*

ნათელო მხიარულო,
ცათა შინა მყოფი მარადცოცხალი მამის სუფთა სიკაშკაშევ,
იესო ქრისტე, წმინდა და ნეტარო!

ახლა, როცა მზის ჩასვლამდე მოვედით,
და ჩვენი თვალნი მწუხრის ნათელს უმზერენ,
შენს ქებას ვგალობთ, ღმერთო: მამაო, ძეო და წმინდაო სულო.

ღირსი ხარ ყოველ ჟამს მხიარული ხმებით გაქებდეთ,
ძეო ღვთისაო, სიცოცხლის მომნიჭებელო,
რისთვისაც განდიდებული ხარ სამყაროთა შინა.

შემდგომ ამას მოსდევს:

ამორჩეული ფსალმუნი ან ფსალმუნები

ფსალმუნის დასასრულს იგალობება ან ითქმის:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

საკითხავები

ერთი ან ორი საკითხავი, როგორც ამორჩეულია, იკითხება. მკითხველი დასაწყისში ამბობს:

საკითხავი _____ დან.

შესაძლოა ასევე თქვას მოცემული ციტატის თავი და მუხლი.

ყოველი საკითხავის შემდგომ მკითხველმა შესაძლოა თქვას:

უფლის სიტყვა.
პასუხი: **მადლობა ღმერთს.**

ან შესაძლოა თქვას: აქ მთავრდება საკითხავი.

ყოველ საკითხავს შესაძლოა მოსდევდეს მდუმარება. ყოველი საკითხავის შემდგომ შესაძლოა იგალობოს ან ითქვას რომელიმე ჰიმნი საერთო ლოცვანიდან, გვერდი: 47-52 (ჰიმნები 1-7). თუ კი სამი საკითხავი იკითხება, სახარების საკითხავი უნდა წაიკითხოს მეორე ჰიმნის შემდგომ.

მარიამის საგალობელი *Magnificat*

ლუკა 1:46-55

ადიდებს სული ჩემი უფალს,
და ზეიმობს ჩემი სული ღმერთში, ჩემს მაცხოვარში; *
    რადგან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს.
და ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა: *
    რადგან დიდი რამ მიყო ძლიერმა,
    და წმიდაა სახელი მისი.
მისი წყალობა მის მოშიშებზე *
    თაობიდან თაობამდეა.
აჩვენა ძალა თავისი მკლავით, *
    გაფანტა ქედმაღალნი თავიანთ გულის ზრახვებთან ერთად.
ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი, *
    და აამაღლა მდაბალნი;
მშივრები სიკეთით აღავსო, *
    და მდიდრები ხელცარიელი გაუშვა.
შეეწია თავის შვილს, ისრაელს, *
    რადგან გაიხსენა წყალობა,
როგორც აუწყა ჩვენს მამებს, *
    აბრაამს და მის ნაშიერთ საუკუნოდ.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
    ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

სიმეონის საგალობელი *Nunc dimittis*

ლუკა 2:29-32

უფალო, ახლა გაუშვი მსახური შენი, *
    თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით.
რადგან იხილა ჩემმა თვალმა შენი მაცხოვარება, *
    რომელიც განამზადე ყოველი ერის წინაშე:
ნათელი წარმართთა გასანათლებლად, *
    და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
    ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

მოციქულთა მრწამსი

აღმსრულებელი და ხალხი ერთად, ყველა დგას:

მწამს ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა,
ცისა და ქვეყნიერების შემოქმედი.

მწამს იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე, ჩვენი უფალი.
ის ჩაისახა წმინდა სულის ძალით
და იშვა ქალწული მარიამისაგან.
ივნო პონტოელი პილატეს მიერ,
ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა.
ჩავიდა მკვდრებთან.
მესამე დღეს აღდგა.
ზეცად ამაღლდა,
და ზის მამის მარჯვენით.
და კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.

მწამს წმინდა სული,
წმინდა კათოლიკე ეკლესია,
წმინდანთა თანაზიარება,
ცოდვათა შენდობა,
სხეულის აღდგომა,
და მარადიული ცხოვრება. ამენ.

ლოცვები

ხალხი დგას ან დაჩოქილია

აღმსრულებელი: უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი: **და ასევე შენთან.**
აღმსრულებელი: ვილოცოთ.

აღმსრულებელი და ხალხი

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ

შემდგომ მოყვება ორიდან ერთ-ერთი საპასუხო ლოცვა

A

V. გვიჩვენე შენი წყალობა, უფალო;
R. და მოგვმადლე ხსნა შენი.
V. სამართლით შემოსე მსახურნი შენი;
R. დაე სიხარულით გიგალობოს შენმა ხალხმა.
V. მიეცი მშვიდობა, უფალო, ყოველს სამყაროში;
R. რამეთუ მხოლოდ შენში შეგვიძლია დაცულად ცხოვრება.
V. უფალო, ამყოფე ეს ერი შენი მზრუნველობის ქვეშ;
R. და წარგვიძეხ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გზაზე.
V. დაე შენი გზა შეცნობილი იყოს ქვეყნიერებაზე;
R. შენი მხსნელი ძალა ყოველ ერს შორის.
V. ნუ დაივიწყებ, უფალო, ღატაკთ;
R. არც უპოვართ წაერთვას სასოება.
V. წმინდა გული შეჰქმენ ჩვენში, ღმერთო;
R. და შენი წმინდა სულით განგვამტკიცე ჩვენ.

B

რათა ეს საღამო იყოს წმინდა, კეთილი და მშვიდობიანი,
შენ გევედრებით, უფალო.

რათა შენი წმინდა ნაგელოზები წარგვიძღვნენ მშვიდობისა და სათნოების ბილიკებზე,
შენ გევედრებით, უფალო.

რათა ნაპატიებნი და მიტევებულნი ვიყოთ ჩვენს ცოდვათა და დანაშაულთათვის,
შენ გევედრებით, უფალო.

რათა მშვიდობა იყოს შენს ეკლესიასა და მთელს სამყაროში,
შენ გევედრებით, უფალო.

რათა შენი რწმენითა და მოშიშებით დავტოვოთ ეს ცხოვრება და არ ვიყოთ მსჯავრდებულნი ქრისტეს დიდი სამსაჯვროს ტახტის წინაშე,
შენ გევედრებით, უფალო.

რათა შენი წმინდა სულით შეკრულნი ვიყოთ თანაზიარებაში [_____ და] შენს ყოველ წმინდანთან, ერთმანეთს და მთელს ჩვენს ცხოვრებას კი მივანდობთ ქრისტეს,
შენ გევედრებით, უფალო.

შემდგომ აღმსრულებელი ამბობს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ კოლექტას:

დღის კოლექტა

კოლექტა კვირადღისთვის

უფალო ღმერთო, რომლის ძემ - ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ გაიმარჯვა სიკვდილის ძალებზე და ჩვენთვის განამზადა ადგილი ახალ იერუსალიმში: გვიბოძე ჩვენ, რომელნიც ამ დღეს გმადლობთ მისი აღდგომისათვის, რომ გიგალობოთ შენ იმ ქალაქში, რომელშიც ის არის ნათელი და სადაც ის ცოცხლობს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

კოლექტა პარასკევისთვის

უფალო იესო ქრისტე, შენ რომელმაც შენი მოკვდინებით სიკვდილის ნესტარი ჩამოგვაშორე: მოგვმადლე, შენს მსახურებს, რომ რწმენით გავყვეთ გზას რომელიც გაკვალე, რათა დასასრულს მშვიდობით მივიძინოთ შენში და გავიღვიძოთ შენს მსგავსებაში; შენს სათუთ მოწყალებათა გამო. *ამენ.*

კოლექტა შაბათისთვის

ღმერთო, მარადიული სინათლის წყაროვ: შენი უსასრულო დღე შთაღვარე ჩვენზე, რომლებიც შეგყურებთ, რათა გაქოს ჩვენმა ბაგემ, გაკურთხოს ჩვენმა ცხოვრებამ და განდიდდე ჩვენი ხვალინდელი თაყვანისცემით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა მშვიდობისათვის

ყოვლადწმინდა ღმერთო, ყოველი კეთილი წადილის, ყოველი სწორი განკითხვისა და მართალ საქმეთა წყაროვ: გვიბოძე შენს მსახურთ, ის მშვიდობა რომელსაც ქვეყნიერება ვერ მოგვცემს, რათა ჩვენი გონება შენი ნების აღსრულებისკენ იყოს მომართული და ჩვენ, ყოველგვარი მტრის შიშისაგან

დაცულებმა, ვიცხოვროთ მშვიდობასა და სიწყნარეში; ქრისტე იესოს, ჩვენი მაცხოვრის მოწყალებათა მიერ. *ამენ.*

კოლექტა საფრთხის არიდებისათვის

იყავი ჩვენი ნათელი წყვდიადში, უფალო, და შენს დიდებულ მოწყალებაში დაგვიცავი ამაღამ ყოველგვარი საფრთხისა და საშიშროებისაგან; შენი ერთადერთი ძის, ჩვენი მაცხოვრის სიყვარულის გამო. *ამენ.*

კოლექტა დაცულობისათვის

ღმერთო, ყოველი ცოცხალის სიცოცხლევ, მორწმუნის ნათელო, მშრომელის სიძლიერევ და მკვდართა განსვენებავ: გმადლობთ ამ დღის კურთხევისთვის რომელიც მიილია და თავმდაბლად შეგავედრებთ მომავალი ღამის დაცულობას. მშვიდობით მიგვიყვანე დღის საათებამდე; შენი ძის, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც მოკვდა და აღდგა ჩვენს გამო. *ამენ.*

კოლექტა ქრისტეს თანამყოფობისთვის

უფალო იესო, დარჩი ჩვენთან, რადგან საღამო ჩამოწვა, დღე კი მიილია; იყავი ჩვენი თანამგზავრი გზაზე, აღანთე ჩვენი გულები და გააღვიძე იმედი, რათა შეგიცნოთ ისე, როგორც გამოვლინდი წმინდა წერილსა და პურის გატეხვაში. მოგვმადლე ეს შენი სიყვარულის გამო. *ამენ.*

შემდგომ, თუ კი არ მოსდევს ევქარისტია ან საერთო შუამდგომლობის ლოცვა, ემატება ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული ლოცვა მისიისათვის:

ღმერთო და მამავ ყოველთა, ვისაც მთელი ზეცა თაყვანს გცემს: დაე ასევე თაყვანი გცეს მთელმა ქვეყნიერებამ, ყოველი ერი შენ გმორჩილებდეს, ყოველი ენა გაღიარებდეს და გაკურთხებდეს შენ, კაცებსა და ქალებს ყველგან უყვარდე და გემსახურონ მშვიდობაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

უთვალყურე, უფალო, მათ ვინც ამაღამ შრომობს, ფხიზლობს ან ტირის, და მიანდე შენს ანგელოზებს მძინარენი. უპატრონე სნეულთ, უფალო ქრისტე; მოასვენე დაქანცული, აკურთხე მომაკვდავი, ანუგეშე გაწვალებული, შეიბრალე ტანჯული, უმფარველე ბედნიერს; და გააკეთე ეს ყველაფერი შენი სიყვარულის გამო. *ამენ.*

ან შემდეგი:

ღმერთო, შენს მსახურებში განასახიერებ შენი მყოფობის ნიშანს: გარდამოავლინე ჩვენზე სიყვარულის სული, რათა თანამოზიარეობაში შენი უხვი მადლი გაიზარდოს ჩვენს შორის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

აქ შესაძლოა იგალობოს საგალობელი ან ჰიმნი.

შესაძლოა მოსდევდეს ნებადართული შუამდგომლობის ან მადლიერების ლოცვები.

ლოცვითი მსახურების დასრულებამდე შეიძლება ერთი ან ორივე ქვემდებარე ლოცვის გამოყენება:

ზოგადი სამადლობელი

აღმსრულებელი და ხალხი:
ყოვლისშემძლე ღმერთო, მამავ ყოველი მოწყალებისაო,
ჩვენ, შენი უღირსი მსახურნი, თავმდაბლად გმადლობთ
ყოველი შენი სიკეთისა და კაცთმოყვარეობისათვის,
ჩვენსა და ყოველი შენი ქმნილებისადმი.
გაკურთხებთ ჩვენი შექმნის, დაცვისა
და ამ ცხოვრების ყოველი კურთხევისათვის;
მაგრამ უპირატესად შენი განუზომელი სიყვარულისთვის
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ სამყაროს გამოსყიდვაში;
მადლის საშუალებებისა და დიდების იმედისათვის.
და, ჩვენ ვლოცულობთ, გვიბოძე შენს წყალობათა ისეთი გაცნობიერება,
რომ ჭეშმარიტად მადლიერი გულებით შევძლოთ შენი ქების გამოვლენა,
არა მხოლოდ ჩვენი ბაგენით, არამედ ცხოვრებით,
შენი მსახურებისთვის ჩვენი თავის მიძღვნით,
და შენს წინაშე სიარულით
სიწმინდითა და სამართლიანობით ჩვენს ყოველ დღეს;
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
ვისაც, შენთან და წმინდა სულთან ერთად,
მიეგოს პატივი და დიდება. უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

წმ. იოანე ოქროპირის ლოცვა

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ მოგვეცი მადლი ამ ჟამს, რათა ერთხმად მოგმართოთ საერთო ვედრებით; და შენ აღგვითქვი შენი ყოვლად-საყვარელი ძის მეშვეობით, რომ სადაც ორი ან სამია შეკრებილი მისი სახელით, შენც მათ შორის იქნები: აღასრულე ახლა, უფალო, ჩვენი საწადელი და სათხოვარი, როგორც უკეთესი იქნება ჩვენთვის; მოგვმადლე ამ წუთისოფელში ცოდნა შენი ჭეშმარიტებისა და მომავალში მარადიული ცხოვრება. *ამენ.*

შემდგომ შესაძლოა ითქვას:

ვაკურთხოთ უფალი
მადლობა ღმერთს.

აღდგომის დღიდან სულთმოფენობის დღის ჩათვლით, ზემოთ მდებარე საპასუხოსა და პასუხს შესაძლოა დაემატოს „ალელუია, ალელუია“.

აღმსრულებელმა შესაძლოა დაასრულოს ლოცვა ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი მუხლით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, ღმერთის სიყვარული და წმინდა სულის თანაზიარება იყოს მარადჟამს ყველასთან ჩვენთან. *ამენ.* *2 კორინთელთა 13:14*

სასოების ღმერთმა აღგვავსოს ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, სულიწმიდის ძალით. *ამენ.* *რომაელთა 15:13*

დიდება ღმერთს, რომლის ჩვენში მოქმედ ძალასაც შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ შეიძლება ვთხოვოთ ან ვიფიქროთ: თაობიდან თაობამდე დიდება მას ეკლესიაში და ქრისტე იესოში, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.* *ეფესელთა 3:20, 21*

ძილისპირული

აღმსრულებელი იწყებს:

უფალმა ყოვლისშემძლემ მოგვმადლოს მშვიდი ღამე და სრულყოფილი დასასრული. *ამენ.*

აღმსრულებელი: ჩვენი შეწევნა უფლის სახელშია;

ხალხი: **ცისა და ქვეყნის შემოქმედისა.**

აღმსრულებელმა შემდგომ შესაძლოა თქვას:

ვაღიაროთ ღვთის წინაშე ჩვენი ცოდვები.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება.

აღმსრულებელი და ხალხი:

ყოვლისშემძლე ღმერთო, ჩვენო ზეციერო მამა:
ჩვენ შევცოდეთ შენს მიმართ,
ჩვენი პირადი ბრალეულობით,
ფიქრით, სიტყვით, საქმითა
და უმოქმედობით.
შენი ძის - ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამო,
მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი;
და მოგვმადლე რომ გემსახუროთ
განახლებულ სიცოცხლეში,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

აღმსრულებელი:

ყოვლისშემძლე ღმერთმა მოგვმადლოს ყოველი შეცოდების მიტევება, და წმინდა სულის მადლი და ნუგეში. *ამენ.*

აღმსრულებელმა შესაძლოა თქვას:

ღმერთო, ისწრაფე ჩვენს სახსნელად.

ხალხი: **უფალო, ისწრაფე ჩვენს დასახმარებლად.**

აღმსრულებელი და ხალხი:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

მარხვის პერიოდის გარდა, ემატება: ***ალელუია.***

ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ფსალმუნი იგალობება ან ითქმის. შესაძლოა შეირჩეს სხვა შესაფერისი შემცვლელი.

ფსალმუნი 4 *Cum invocarem*

1 მიპასუხე, ოდეს მოგიხმობ, ჩემი სიმართლის ღმერთო; *
შენ მიბოძე გასაქანი შევიწროების ჟამს;
შემიწყალე მე და ისმინე ჩემი ლოცვა!

2 შვილნო კაცისა! როდემდე იქნება თქვენი გული დამძიმებული? *
როდემდე გეყვარებათ ამაოება
და ეძიებთ სიყალბეს?

3 უწყოდეთ, რომ უფალი იქმს სასწაულებს თავისი ერთგულისათვის, *
უფალი ისმენს, ოდეს მოვუხმობ მას.

4 რისხვისას ნუ შესცოდავთ: *
განსაჯეთ გულში თქვენს სარეცლებზე და იყუჩეთ.

5 შესწირეთ შესაწირავები სიმართლისა *
და მიენდეთ უფალს.

6 მრავალნი ამბობენ:
ნეტავ გამოგვიჩნდეს სიკეთე! *
გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!

7 შენ უბოძე ჩემს გულს სიხარული, *
უფრო მეტი, ვიდრე მათ აქვთ პურისა და მაჭრის სიუხვისას.

8 მშვიდად დავწვები და დავიძინებ, *
რადგან შენ ერთადერთი, უფალო, მამყოფებ უშიშრად.

ფსალმუნი 30 [31] *In te, Domine, speravi*

1 შენში ვეძებ ხსნას, უფალო,
ნურც შევრცხვენილვარ ნურასოდეს; *
შენი სიმართლით გამომიხსენი.

2 მომაპყარ ყური შენი, *
სწრაფად გადამარჩინე.

3 იყავ ჩემთვის კლდე და ბურჯი, ციხესიმაგრე ჩემს დასახსნელად.
რადგანაც ჩემი კლდე და ბურჯი ხარ; *
შენი სახელის გულისათვის მიჩვენე გზა და გამიძეხი.

4 გამომიყვანე მახისაგან, რომელიც ჩუმად დამიგეს, *
რადგან შენა ხარ სიმაგრე ჩემი.

5 შენს ხელს შევავედრებ ჩემს სულს. *
შენ დამიხსნი,
უფალო, ღმერთო ჭეშმარიტო.

ფსალმუნი 90 [91] *Qui habitat*

1 უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული *
ყოვლადძლიერის ჩრდილქვეშ განისვენებს.

2 ეტყვის უფალს:
„ჩემი ფარი და სიმაგრეა *
ღმერთი ჩემი, რომელსაც ვესავ.“

3 ის გიხსნის მონადირის მახისაგან, *
მომსრავი ჭირისაგან;

4 ბუმბულს გადაგაფარებს,
და მის ფრთებქვეშ შეაფარებ თავს; *
ფარი და ბურჯია მისი ჭეშმარიტება.

5 არ შეგაშინებს საშინელება ღამისა, *
ისარი – დღისით გაფრენილი,

6 შავი ჭირი – ბნელში მოარული, *
სენი – შუადღისას მძვინვარე.

7 დაეცემა შენს გვერდით ათასი
და ათი ათასი შენს მარჯვნივ, *
შენ კი არ მოგეკარება.

8 მხოლოდ შენი თვალით შეხედავ *
და დაინახავ საზღაურს ბოროტთა.

9 რადგან შენა ხარ, უფალო, ჩემი თავშესაფარი, *
– შენს საცხოვრისად აირჩიე უზენაესი,

10 არ შეგემთხვევა სიავე, *
წყლული ვერ მიეკარება შენს კარავს.

11 რადგან თავის ანგელოზებს უბრძანებს *
დაგიცვან შენ ყველა შენს გზაზე.

12 ხელში აყვანილს გატარებენ, *
ფეხი რომ არ წამოჰკრა ქვას.

13 ლომსა და ასპიტს ფეხს დაადგამ, *
ლომის ბოკვერს და ურჩხულს გაქელავ.

14 რაკი შემიყვარა, ვიხსნი მას,
დავიფარავ, *
რადგან შეიცნო სახელი ჩემი.

15 მომიხმობს და ვუპასუხებ, *
მასთან ვიქნები გასაჭირში;
გამოვიხსნი და განვადიდებ.

16 დღეთა ხანგრძლივობით გავაძღებ *
და შემწეობას ვუჩვენებ ჩემსას.

ფსალმუნი 133 [134] *Ecce nunc*

1 აჰა, ადიდეთ უფალი, ყოველნო მსახურნო უფლისა, *
რომელნიც დგახართ უფლის სახლში ღამღამობით!

2 აღაპყრეთ ხელნი თქვენნი წმინდა ადგილისაკენ და ადიდეთ უფალი! *
გაკურთხოს სიონიდან უფალმა, ცისა და ქვეყნის შემოქმედმა!

ფსალმუნის დასასრულს იგალობება ან ითქმის:

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

იკითხება წმინდა წერილის ქვემოთ მდებარე ან რომელიმე შესაფერისი წინადადება:

უფალო, შენ ხარ ჩვენს შორის და ჩვენ შენი სახელით ვიწოდებით: ნუ მიგვატოვებ, უფალო ღმერთო ჩვენო. *იერემია 14:9, 22*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან ეს:

მოდით ჩემთან, ყველა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ. დაიდეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით მდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს. რადგან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი.“ *მათე 11:28-30*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან შემდგომი:

მშვიდობის ღმერთმა, რომელმაც საუკუნო აღთქმის სისხლით მკვდრეთით ამოიყვანა ცხვრების დიადი მწყემსი, უფალი ჩვენი იესო, სრულგყოთ ყოველ კეთილ საქმეში მისი ნების შესასრულებლად. მას, რომელიც იესო ქრისტეს მეშვეობით ჩვენში მის წინაშე მოსაწონს აკეთებს, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამენ. *ებრაელთა 13:20-21*

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან ეს:

მღვიძარენი იყავით! იფხიზლეთ! თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მბრდღვინავი ლომი, და ეძებს, ვინ შთანთქას. წინ აღუდექით მას მტკიცენი რწმენით.

1 პეტრე 5:8-9a

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

შესაძლოა იგალობოს საღამოსთვის შესაფერისი საგალობელი.

შემდგომ მოსდევს:

V. შენს ხელს შევავედრებ ჩემს სულს, უფალო;
R. შენ დამიხსნი, უფალო, ღმერთო ჭეშმარიტო.
V. დამიფარე უფალო, შენი თვალისჩინივით;
R. შემიფარე შენს ფრთებქვეშ.

უფალო, შეგვიწყალე.
ქრისტე, შეგვიწყალე.
უფალო, შეგვიწყალე.

აღმსრულებელი და ხალხი

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.

აღმსრულებელი: უფალო, ისმინე ლოცვა ჩვენი;
ხალხი: **და ჩვენი ღაღადი მოვიდეს შენთან.**
აღმსრულებელი: ვილოცოთ.

აღმსრულებელი შემდგომ ამბობს ქვემოთ წარმოდგენილ კოლექტათაგან ერთ-ერთს:

იყავი ჩვენი ნათელი წყვდიადში, უფალო, და შენს დიდებულ მოწყალებაში დაგვიცავი ამაღამ ყოველგვარი საფრთხისა და საშიშროებისაგან; შენი ერთადერთი ძის, ჩვენი მაცხოვრის სიყვარულის გამო. *ამენ.*

იყავი ჩვენთან მყოფი, მოწყალე ღმერთო, და დაგვიცავი ამ ღამის საათებში, რადგან რომელნიც დაქანცულნი ვართ ამ ცხოვრების ცვლილებებითა და შემთხვევითობებით, დაე მოვისვენოთ შენს მარადიულ უცვალებლობაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

გადმოიხედე, უფალო, შენი სამოთხისეული ტახტიდან და გააცისკროვნე ეს ღამე შენი ზეციური სიკაშკაშით; რომ ღამით, ისე როგორც დღისით, შენი ხალხი ადიდებდეს შენს წმინდა სახელს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ეწვიე ამ ადგილს, უფალო, და განაშორე მისგან მტრის ყოველი ხაფანგი; შენი წმინდა ანგელოზნი დაემკვიდრონ ჩვენთან, რათა დაგვიცვან მშვიდობაში; და შენი კურთხევა იყოს ჩვენზე მარადჟამს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტა შაბათისთვის

გმადლობთ, ღმერთო, შენი ძის იესო ქრისტეს, მისი აღდგომის ნათლით, ჩვენთვის გაცხადებისთვის: მოგვმადლე რომ როგორც ჩვენ ვგალობთ შენს დიდებას ამ დღის მიწურულს, ჩვენმა სიხარულმა იუხვოს დილით, როცა საპასექო საიდუმლოს აღვასრულებთ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

შესაძლოა დაემატოს ერთ-ერთი ქვემოთ მდებარე ლოცვათაგანი:

უთვალყურე, უფალო, მათ ვინც ამაღამ შრომობს, ფხიზლობს ან ტირის, და მიანდე შენს ანგელოზებს მძინარენი. უპატრონე სნეულთ, უფალო ქრისტე; მოასვენე დაქანცული, აკურთხე მომაკვდავი, ანუგეშე გაწვალებული, შეიბრალე ტანჯული, უმფარველე ბედნიერს; და გააკეთე ეს ყველაფერი შენი სიყვარულის გამო. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, შენი უტყუარი განგებულება ინარჩუნებს ქვეყნიერებას, რომელშიც ვცხოვრობთ და სიცოცხლეს, რომლითაც ვცოცხლობთ: გადმოხედე მათ, რომლებიც ღამითა და დღისით შრომობენ, როცა სხვებს სძინავთ, და მოგვმადლე რათა არასდროს დავივიწყოთ, რომ ჩვენი საერთო ცხოვრება ერთურთის ჯაფაზეა დამოკიდებული; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

შესაძლოა შენარჩუნდეს სიჩუმე და აღევლინოს ნებაყოფლობითი სათხოვრები და სამადლობლები.

მსახურება მთავრდება სიმეონის საგალობლით, ამ ანტიფონთან ერთად, რომელიც იგალობება ან ითმის ყველას მიერ:

წარგვიძეხ სიარულისას, უფალო, და დაგვიცავი ძილისას; რათა გაღვიძებისას ვიმზიროთ ქრისტესთან ერთად და მძინარეებმა მოვისვენოთ სიმშვიდეში.

აღდგომის პერიოდში ემატება: ალელუია, ალელუია, ალელუია.

უფალო, ახლა გაუშვი მსახური შენი, *
თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით.
რადგან იხილა ჩემმა თვალმა შენი მაცხოვარება, *
რომელიც განამზადე ყოველი ერის წინაშე:
ნათელი წარმართთა გასანათლებლად, *
და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს:*
ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

ყველა იმეორებს ანტიფონს:

წარგვიძეხ სიარულისას, უფალო, და დაგვიცავი ძილისას; რათა გაღვიძებისას ვიმზიროთ ქრისტესთან ერთად და მძინარეებმა მოვისვენოთ სიმშვიდეში.

აღდგომის პერიოდში ემატება: ალელუია, ალელუია, ალელუია.

აღმსრულებელი: ვაკურთხოთ უფალი.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

აღმსრულებელი ასრულებს:

ყოვლისშემძლე და მოწყალე უფალმა: მამამ, ძემ და წმინდა სულმა გვაკურთხოს და დაგვიცვას.
ამენ.

დილით

50-ე ფსალმუნიდან

უფალო, გახსენი ჩემი ბაგენი, *
   და ჩემი პირი იტყვის შენს ქებას.
წმინდა გული შეჰქმენ ჩემში, ღმერთო, *
   და წრფელი სული განმიახლე ჩემს სხეულში.
ნუ უკუმაგდებ შენგან *
   და ნუ წამართმევ შენი სიწმინდის სულს.
დამიბრუნე შენი ხსნის სიხარული, *
   და მძლავრი სულით განმამტკიცე.
დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: *
   ვითარცა პირველად იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

საკითხავი:

კურთხეულია ღმერთი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამა! რომელმაც თავისი მრავალი წყალობით ხელახლა გვშვა ცოცხალი იმედისთვის, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით. *I პეტრე 1:3*

შესაძლოა ამას მოსდევდეს მდუმარება.

შეიძლება საგალობლის ან ჰიმნის გამოყენება; შესაძლოა წარმოითქვას მოციქულთა მრწამსი.

შეიძლება აღევლინოს ლოცვა ჩვენთვის ან სხვათათვის.

საუფლო ლოცვა.

კოლექტა:

უფალო ღმერთო, ყოვლისშემძლე და მარადიულო მამა, შენ უსაფრთხოდ მოგვიყვანე ამ ახალ დღემდე: გვიმფარველე შენი ძლიერი ძალით, რათა არ დავეცეთ ცოდვაში, არ დავმარცხდეთ უბედურებით და ყველაფერმა რასაც ვაკეთებთ, მიგვიყვანოს შენი მიზნის აღსრულებამდე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

შუადღისას

ყოველდღიური ლოცვა
ინდივიდუალური და საოჯახო აღსრულებისთვის

112-ე ფსალმუნიდან
ადიდეთ, მორჩილნო უფლისა; *
ადიდეთ უფლის სახელი!
კურთხეულ იყოს უფლის სახელი, *
ამიერიდან უკუნისამდე!
მზის აღსავლიდან დაღსავლამდე *
იდიდოს უფლის სახელი!
მაღალია ყველა ერებზე უფალი *
ცათა მაღლაა მისი დიდება!

საკითხავი:

ღმერთო, სულით ძლიერთ შენ გაუგზავნი კეთილდღეობას, რადგან შენზეა მონდობილი; ღმერთთან დაბრუნებასა და მშვიდად ყოფნაში იქნება ჩვენი გადარჩენა; ჩვენი ძალა სიმყუდროვესა და იმედით ყოფნაშია. *ესაია 26:3, 30:15.*

შეიძლება აღევლინოს ლოცვა ჩვენთვის ან სხვათათვის.

საუფლო ლოცვა.

კოლექტა:

კურთხეულო მაცხოვარო, ამ ჟამს ჯვარზე ეკიდე, რომელზეც გაშლილი გქონდა შენი მოსიყვარულე მკლავები: მოგვმადლე, რომ დედამიწის ყოველმა მკვიდრმა გიხილოს შენ და გადარჩეს; შენს სათუთ მოწყალებათა გამო *ამენ.*

ან ეს:

უფალო იესო ქრისტე, შენ უთხარი შენს მოციქულთ: “მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ:” ნუ მოხედავ ცოდვათა ჩვენდა, არამედ რწმენასა შენი ეკლესიისა, და მოგვმადლე მშვიდობა და ერთობა იმ ზეციური ქალაქისა, სადაც მამასთან და წმინდა სულთან ერთად, შენ ცოცხლობ და სუფევ, აწ და მარადის. *ამენ.*

საღამოს

ყოველდღიური ლოცვა
ინდივიდუალური და საოჯახო აღსრულებისთვის

განდიდების ეს წესი შეიძლება აღევლინოს ვახშამამდე, ან მის შემდგომ.

ნათელო მადლიანო,
სამოთხეში მყოფი მარადცოცხალი მამის სუფთა სიკაშკაშევ,
იესო ქრისტე, წმინდა და კურთხეულო!

ახლა, როცა მზის ჩასვლამდე მოვედით,
და ჩვენი თვალები მწუხრის ნათელს უმზერენ,
შენს ქებას ვგალობთ, ღმერთო: მამაო, ძეო და წმინდაო სულო.

ღირსი ხარ ყოველ ჟამს მხიარული ხმებით გაქებდეთ,
ღმერთის ძეო, სიცოცხლის მომნიჭებელო,
რისთვისაც განდიდებული ხარ სამყაროთა ზედა.

საკითხავი:

ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს, ჩვენს თავს კი თქვენს მონებად მივიჩნევთ იესოს მიერ. რადგან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, რომ ნათელი ბნელიდან გამობრწყინებულიყო, მან გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვინათოს ღმერთის დიდების ცოდნის ნათელმა იესო ქრისტეს პირისახეში. *II კორინთელთა 4:5-6*

შეიძლება აღევლინოს ლოცვა ჩვენთვის ან სხვათათვის.

საუფლო ლოცვა.

კოლექტა:

უფალო იესო, დარჩი ჩვენთან, რადგან მოსაღამოვდა და დღე მიიწურა; იყავი ჩვენი თანამგზავრი ამ გზაზე, აღანთე ჩვენი გულები და გაგვიღვიძე სასოება, რათა გიცნობდეთ ისეთს, როგორც გაცხადებული ხარ წმინდა წერილსა და პურის გატეხვაში. მოგვმადლე ეს შენი სიყვარულის გამო. *ამენ.*

დღის დასასრულს

ყოველდღიური ლოცვა
ინდივიდუალური და საოჯახო აღსრულებისთვის

133-ე ფსალმუნიდან

აჰა, ადიდეთ უფალი, ყოველნო მსახურნო უფლისა, *
  რომელნიც დგახართ უფლის სახლში ღამღამობით!
აღაპყრეთ ხელნი თქვენნი წმინდა ადგილისაკენ და ადიდეთ უფალი! *
  გაკურთხოს სიონიდან უფალმა, ცისა და ქვეყნის შემოქმედმა!

საკითხავი:

უფალო, შენ ხარ ჩვენს შორის და ჩვენ შენი სახელით ვიწოდებით: არ მიგვატოვო, უფალო ჩვენო ღმერთო. *იერემია 14:9,22*

შემდგომ შესაძლოა ითქვას:

უფალო, ახლა გაუშვი მხევალი შენი, *
  თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით.
რადგან იხილა ჩემმა თვალმა შენი მაცხოვარება, *
  რომელიც განამზადე ყოველი ერის წინაშე:
ნათელი წარმართთა გასანათლებლად, *
  და შენი ხალხის, ისრაელის სადიდებლად.

შესაძლოა ითქვას ლოცვები ჩვენთვის და სხვათათვის. მიზანშეწონილია, რომ ის შეიცავდეს დღის კურთხევებისთვის მადლიერების ლოცვებსა და სინანულის აქტს.

საუფლო ლოცვა.

კოლექტა:

ეწვიე უფალო ამ ადგილს და აშორე ის მტრის ხაფანგს; დაე შენი წმინდა ანგელოზები ცხოვრობდნენ ჩვენთან ერთად, რათა შეგვინარჩუნონ მშვიდობაში; და ყოველთვის თან გვდევდეს შენი კურთხევა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ყოვლისშემძლე და მოწყალე უფალმა: მამამ, ძემ და წმინდა სულმა გვაკურთხოს და დაგვიფაროს.
ამენ.

დიდი ლიტანია

უნდა იყოს წარმოთქმული ან ნამღერი, დაჩოქილ, ფეხზე მდგომ მდგომარეობაში, ან პროცესიით; ევქარისტიამდე ან დილის ან საღამოს ლოცვის კოლექტების შემდგომ; ან ცალკე; განსაკუთრებით დიდმარხვისა და საევდრებელ დღეებში.

მამა ღმერთო, ცისა და მიწის შემოქმედო,
შეგვიწყალე ჩვენ.
ძე ღმერთო, ქვეყნიერების გამომსყიდველო,
შეგვიწყალე ჩვენ.
სულიწმინდა ღმერთო, მორწმუნეთა განმწმენდელო,
შეგვიწყალე ჩვენ.
წმინდაო, ნეტარო და დიდებულო სამებავ, ერთო ღმერთო,
შეგვიწყალე ჩვენ.

ნუ დაიხსომებ, უფალო ქრისტე, ჩვენს დანაშაულს, ან ჩვენს წინაპართა დანაშაულს;
ნურც ჩვენს ცოდვათა მიხედვით მოგვაგებ საზღაურს. შეგვინდე, კეთილო უფალო,
შეუნდე შენს ხალხს, რომელნიც შენი ყოვლად ძვირფასი სისხლით გამოისყიდე, და შენი წყალობით
დაგვიფარე უკუნისამდე.
შეგვინდე, კეთილო უფალო.

ყოველივე ბოროტისა და სიავისაგან; ცოდვისაგან; ბოროტის ცბიერებისა და
თავდასხმისაგან; და მარადიული წარწყმედისაგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

გულის ყოველგვარი სიბრმავისაგან; ქედმაღლობისგან, ამაოებისა და თვალთმაქცობისაგან; შურის,
სიძულვილისა და ბოროტგანზრახულობისაგან; და სიყვარულის ყოველგვარი ნაკლოვანებისგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ყოველგვარი თავაშვებული და ცოდვიანი სიყვარულისგან; და ქვეყნიერების, ხორცისა და ეშმაკის
ყოველგვარი საცდურისაგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ყოველი მცდარი მოძღვრების, ერესისა და განხეთქილებისგან; გულის სიმძიმისაგან, და შენი
სიტყვისა და მცნების შეუსრულებლობისაგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ელვისა და ქარიშხლისაგან; მიწისძვრის, ხანძრისა და წყალდიდობისაგან; ჭირისაგან, ეპიდემიისა და შიმშილობისგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ყოველგვარი ჩაგვრისგან, შეთქმულებისა და ამბოხებისაგან; ძალმომრეობისგან, ომისგან და მკვლელობისგან; და უცაბედი და მოუმზადებელი სიკვდილისაგან,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

შენი განკაცების წმინდა საიდუმლოთი; შენი წმინდა შობითა და რჯულისადმი მორჩილებით; შენი ნათლობით, მარხვითა და ცდუნებით,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

შენი სულთმობრძაობითა და სისხლიანი ოფლით; შენი ჯვრითა და ვნებით; შენი ძვირფასი სიკვდილითა და დაფლობით; შენი დიდებული აღდგომითა და ამაღლებით; და წმინდა სულის მოვლინებით,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ჩვენი ყოველი გასაჭირის დროს; ჩვენი ყოველი კეთილდღეობის ჟამს; ჩვენი სიკვდილის საათისას და სამსჯავროს დღისას,
კეთილო უფალო, დაგვიფარე ჩვენ.

ჩვენ, ცოდვილნი გევედრებით, შეგვისმინე, უფალო ღმერთო; რათა კმაყოფილებით, მართალი გზით მართო და განაგო შენი წმინდა საყოველთაო ეკლესია,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შენი სიტყვის ჭეშმარიტი ცოდნითა და გაგებით განანათლო ყოველი ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი; რათა ამგვარად, ქადაგებითა და ცხოვრებით, გააცხადონ და წარმოაჩინონ ის,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა აკურთხო და დაიფარო შენი ყოველი ადამიანი,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შენს სამკალში მიავლინო მუშაკნი და შენი სუფევისკენ მიიზიდო მთელი კაცობრიობა,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მადლის სიმრავლე მიმადლო ყოველ ადამიანს, რომ შეისმინონ და მიიღონ შენი სიტყვა, და გამოიღონ ნაყოფი წმინდა სულისა,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ჭეშმარიტების გზაზე მიიყვანო ყოველი გზააბნეული და მოტყუებული.
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მოგვმადლო გული, რომ გვიყვარდე და გვეშნოდეს შენი, და ვიცხოვროთ გულმოდგინებით, შენს მცნებათა შესაბამისად,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა იბატონო შენს მსახურთა გულებზე, ამ ერის პრეზიდენტზე, და ყოველ ხელისუფალზე, რომ აღასრულონ სამართალი, უყვარდეთ მოწყალება და იარონ ჭეშმარიტების გზებით,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შეწყვიტო ომები მთელს ქვეყნიერებაზე; რომ ყოველ ერს მისცე ერთობა, მშიდობა და თანხმობა; რათა უწყალობო ყოველ ერს თავისუფლება,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შეიცოდო ყოველი პატიმარი და ტყვე, უსახლკარო და მშიერი, და ყველა ვინც მარტოსული და დაჩაგრულია,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ჩვენთვის გამოსაყენებლად მოგვმადლო და დაიცვა მიწის უხვი ნაყოფი, რომ სათანადო ჟამს ყველამ იხაროს მათით,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შთაგვაგონო ჩვენს მრავალ მოწოდებაში, რომ ვითარცა შენმა მსახურებმა, გულწრფელებით აღვასრულოთ შენგან მოცემული საქმე, საერთო სიკეთისთვის,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა დაიფარო ყოველი, ვინც მათი გარჯისა თუ მოგზაურობის გამო საფრთხეშია,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა დაიცვა და უზრუნველყო ყოველი მშობიარე ქალი, პატარა ბავშვი და ობოლი, ქვრივი და ყოველი, ვისი ოჯახიც დანგრეულია, ან უთანხმოებით იყოფა,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ეწვიო ეულს; გააძლიერო ყოველი, ვინც გონებაში, სხეულსა თუ სულში იტანჯება; და შენი მყოფობით ანუგეშო ვინც წარუმატებელი და უძლურია,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შეეწიო, დაეხმარო და ანუგეშო ყველას, ვინც საფრთხეში, გაჭირვებასა და ვაებაშია,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა შეიწყალო მთელი კაცობრიობა,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მოგვმადლო ჭეშმარიტი სინანული; მოგვიტევო ყოველი შეცოდება, გულგრილობა და უმეცრება; და შეგვმოსე შენი წმინდა სულის მადლით, რომ შენი წმინდა სიტყვის თანახმად გამოვასწოროთ ჩვენი ცხოვრება,

გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მიუტევო ჩვენს მტრებს, მდევნელებსა და ცილისმწამებლებს, და რათა გარდასახო მათი გულები,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა გააძლიერო უდრეკნი; ანუგეშო და შეეწიო მოშიშს; წამოაყენო დაცემული; და საბოლოოდ ჩვენს ფერხთქვეშ გათელო სატანა,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მარადიული სიცოცხლე და მშვიდობა მიანიჭო ყოველ მართალ გარდაცვლილს,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა მოგვმადლო, რომ [_____ და] ყოველ წმინდანთან ერთობაში, ჩვენც მივაღწიოთ შენს ზეციერ სასუფეველს,
გევედრებით შეისმინე ჩვენი, კეთილო უფალო.

ღვთის ძეო, გევედრებით შეისმინე ჩვენი.
ღვთის ძეო, გევედრებით შეისმინე ჩვენი.

ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
მოგვმადლე ჩვენ მშვიდობა.

ქრისტე, შეისმინე ჩვენი.
ქრისტე, შეისმინე ჩვენი.

უფალო, შეგვიწყალე.		კირიე ელეისონ.
ქრისტე, შეგვიწყალე.	*ან:*	***ქრისტე ელეისონ.***
უფალო, შეგვიწყალე.		კირიე ელეისონ.

როცა ლიტანია შესრულდება ევქარისტიამდე, მაშინ ის დასრულდება აქ, და ევქარისტია დაიწყება მისალმებითა და დღის კოლექტით.

ყველა სხვა შემთხვევაში, აღმსრულებელი და ხალხი ერთად ამბობს:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;

მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამენ.

V. ჩვენზე იყოს შენი წყალობა, უფალო;
R. რადგანაც შენზე ვამყარებთ იმედს.

აღმსრულებელი ამთავრებს შემდგომი, ან სხვა რომელიმე კოლექტით:

ვილოცოთ.

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც აღგვითქვი რომ შეისმენდი მათ ვედრებას ვინც შენი ძის სახელით შეგთხოვს: გევედრებით, მოწყალებით შეისმინე ჩვენი, რომლებმაც ახლა ლოცვა-ვედრება აღვავლინეთ შენსკენ; და მოგვამდლე რომ რაც შენი ნებისამებრ რწმენით ვითხოვეთ, მივიღოთ ქმედითად, ჩვენი გასაჭირის შესამსუბუქებლად და შენი დიდების გამოსავლენად; ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

აღმსრულებელმა შესაძლოა დაამატოს სხვა ლოცვებიც, და ლიტანიის დასასრულებისას თქვას:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, ღვთის სიყვარული და წმინდა სულის თანაზიარება იყოს მარადჟამს ყველასთან ჩვენთან. *ამენ.*

სავედრებელი

საპასუხოს ან კოლექტის ადგილზე (რომელიც საუფლო ლოცვას მოსდევს) ლიტანიაში გამოსაყენებლად; ან დილისა და საღამოს ლოცვის დასასრულს; ან როგორც ცალკე თაყვანისცემისთვის; განსაკუთრებით ომის, ეროვნული მღელვარების ან უბედურების ჟამს.

უფალო, აღდეგ, შეგვეწიე;
და დაგვიფარე შენი სახელის გამო.

ღმერთო, ჩვენი ყურით მოვისმინეთ, და ჩვენი მამები გვიამბობდნენ, თუ რა საქმენი მოიმოქმედე მათ დღეებში, უძველეს დროში.

უფალო, აღდეგ, შეგვეწიე;
და დაგვიფარე შენი სახელის გამო.

დიდება მამასა და ძესა და წმინდა სულს: ვითარცა დასაბამისას იყო, არის ახლა და იქნება მარადიულად. ამენ.

უფალო, აღდეგ, შეგვეწიე;
და დაგვიფარე შენი სახელის გამო.

V. ჩვენს მტერთაგან დაგვიცავი, ქრისტე;
R. სიკეთით მოხედე ჩვენს გასაჭირს.
V. თანაგრძნობით მოხედე ჩვენს გულთა დარდს;
R. მოწყალებით მიუტევე ცოდვანი შენს ხალხს.
V. გულმოწყალედ ისმინე ლოცვანი ჩვენი;
R. ძეო დავითისა, შეგვიწყალე ჩვენ.
V. აწ და მარადის ინებე შესმენა ჩვენი, ქრისტე;
R. კეთილად ისმინე ჩვენი, ქრისტე; კეთილად ისმინე ჩვენი, უფალო ქრისტე.

აღმსრულებელი ამთავრებს:

ვილოცოთ.

თავმდაბლად გევედრებით, მამაო,მოწყალებით მოხედე ჩვენს უძლურებას; და შენი სახელის დიდებისთვის, ჩამოგვაშორე ყოველი უკეთურება, რომელნიც სამართლიანად დავიმსახურეთ; და მოგვმადლე რომ ჩვენს ყოველ გასაჭირში, მთელი სასოება და ნდობა გვქონდეს შენს მოწყალებაში, და მარადჟამს გემსახუროთ სიწმინდითა და სპეტაკი ცხოვრებით, შენი პატივისა და დიდებისათვის; ჩვენი ერთადერთი შუამავლისა და მეოხის, ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

კოლექტები

ადვენტის პირველი კვირადღე

ყოვლისშემძლე ღმერთო, მოგვეცი მადლი რათა განვეშოროთ სიბნელის საქმეებს და შეგვმოსე ნათლის საჭურველით, ახლა - ამ მოკვდავი სიცოცხლის ჟამს, რომელშიც შენი ძე იესო ქრისტე გვეწვია დიდი თავმდაბლობით; რათა უკანასკნელ დღეს, როცა ის დაბრუნდება თავისი დიდებულებით, რომ განსაჯოს ცოცხლები და მკვდრები, დაე ჩვენც აღვდგეთ უკვდავ სიცოცხლეში; მისით, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ადვენტის წინათქმა

ადვენტის მეორე კვირადღე

მოწყალე ღმერთო, რომელმაც გამოგზავნე შენი მაუწყებელი წინასწარმეტყველები, რომ ექადაგათ მონანიება და მოემზადებინათ გზა ჩვენი ხსნისათვის: მოგვეცი მადლი, რათა გავითვალისწინოთ მათი გაფრთხილებანი და მივატოვოთ ჩვენი ცოდვა, რათა სიხარულით შევხვდეთ ჩვენი გამომსყიდველის - იესო ქრისტეს მოსვლას; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ადვენტის წინათქმა

ადვენტის მესამე კვირადღე

აღძარ შენი ძალა, უფალო, და შენი დიდებული ძლიერებით მოდი ჩვენს შორის; და რადგან ჩვენს ცოდვათა გამო ძლიერ დაბრკოლებულნი ვართ, დაე მალე დაგვეხმაროს და გადაგვარჩინოს შენმა უხვმა მადლმა და წყალობამ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც შენთან და წმინდა სულთან ერთად ჰქონდეს პატივი და დიდება, აწ და მარადის. *ამენ.*
ადვენტის წინათქმა

ადვენტის მეოთხე კვირადღე

განწმინდე ჩვენი სინდისი, ყოვლისშემძლე ღმერთო, შენი ყოველდღიური მოვლინებით, რომ შენმა ძემ - იესო ქრისტემ, მისი მოსვლისას, ჰპოვოს ჩვენში მისთვის გამზადებული სასახლე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ადვენტის წინათქმა

ჩვენი უფლის დაბადება: შობის დღე *25 დეკემბერი*

ღმერთო, შენ გვახარებ შენი ერთადერთი ძის - იესო ქრისტეს შობის ყოველწლიური დღესასწაულით: მოგვმადლე ჩვენ, რომელნიც სიხარულით ვიღებთ მას ვითარცა ჩვენს გამომსყიდველს, დაე მტკიცე ნდობით ვპოვოთ ის, როცა ის მოვა ჩვენს განსასჯელად; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, შენ აღძარ ეს წმინდა ღამე რომ ებრწყინა ჭეშმარიტი ნათლის სიკაშკაშით: მოგვმადლე ჩვენ, რომლებმაც ვცანით ამ ნათლის საიდუმლო დედამიწაზე, დაე ასევე ვიხაროთ მისით სრულყოფილად სამოთხეში; სადაც შენთან და წმინდა სულთან ერთად ის ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*

ან ეს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ გაიღე შენი მხოლოდშობილი ძე, რათა მას მიეღო ჩვენი ბუნება და შობილიყო [ამ დღეს] წმინდა ქალწულისაგან: მოგვმადლე ჩვენ, რომელნიც ხელახლა ვიშვით და გავხდით შენი შვილები, შვილად აყვანითა და მადლით, დაე ყოველდღიურად განვახლდეთ შენი წმინდა სულით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელშიც შენ და ხსენებულ სულს გაქვთ პატივი და დიდება, აწ და მარადის. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

შობის შემდგომ პირველი კვირადღე

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ დაღვარე ჩვენზე ახალი ნათელი შენი განკაცებული სიტყვისა: მოგვმადლე, რომ ჩვენს გულებში აალებული ეს ნათელი, დაე ბრწყინავდეს ჩვენს ცხოვრებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

წმინდა სახელი *1 იანვარი*

მარადიულო მამა, შენს განკაცებულ ძეს შენ მიეცი იესოს წმინდა სახელი, რომ იყოს ნიშანი ჩვენი ხსნისა: ვლოცულობთ, დათესე ყველას გულში მისი სიყვარული, ვინც არის სამყაროს მაცხოვარი, ჩვენი უფალი იესო ქრისტე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

შობის შემდგომ მეორე კვირადღე

ღმერთო, რომელმაც გასაოცრად შექმენი და კიდევ უფრო გასაოცრად აღადგინე ღირსება ადამიანური ბუნებისა: მოგვმადლე რომ ჩვენც გავიზიაროთ მისი ღვთაებრივი სიცოცხლე, რომელმაც დაიმდაბლა თავი, რათა მიეღო ჩვენი ადამიანურობა, შენმა ძემ - იესო ქრისტემ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

ეპიფანია *6 იანვარი*

ღმერთო, ვარსკვლავის წინამძღოლობით გამოუვლინე შენი მხოლოდშობილი ძე დედამიწის ხალხებს: წარგვიძეხი ჩვენც, რომლებიც ახლა რწმენის მეშვეობით გიცნობთ, შენს წიაღში, სადაც

პირისპირ ვიხილავთ შენს დიდებას; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ პირველი კვირადღე: ჩვენი უფლის ნათლისღება

ზეცაში მყოფო მამაო, რომელმაც მდინარე იორდანეში იესოს ნათლობისას გააცხადე ის შენს საყვარელ ძედ და სცხე იგი წმინდა სულით: მიმადლე მისი სახელით ყოველ მონათლულს რომ დაიცვან მათ მიერ დადებული შეთანხმება და თამამად აღიარონ ის უფლად და მაცხოვრად; რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მეორე კვირადღე

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის ძეც - ჩვენი უფალი იესო ქრისტე არის წუთისოფლის ნათელი: მიმადლე ეს შენს ხალხს, რათა შენი სიტყვითა და საიდუმლოებით განათლებულებმა, დაე იბრწყინონ ქრისტეს დიდების ბზინვარებასთან ერთად, რათა ის იყოს შეცნობილი, თაყვანცემული და ემორჩილებოდნენ მას დედამიწის კიდეებამდე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მესამე კვირადღე

მოგვეცი მადლი, უფალო, რათა უყოყმანოდ ვუპასუხოთ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მოწოდებას და ყველა ხალხში გავაცხადოთ კეთილი უწყება მისი ხსნისა, რათა ჩვენ და მთელმა სამყარომ შევიცნოთ მის გასაოცარ საქმეთა დიდება; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მეოთხე კვირადღე

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, შენ განაგებ ყოველივეს, ვითარცა ცაში ისე მიწაზე: მოწყალებით ისმინე შენი ხალხის ვედრება და ჩვენს ჟამს გვიბოძე შენი მშვიდობა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მეხუთე კვირადღე

გაგვათავისუფლე, ღმერთო, ჩვენს ცოდვათა მონობისაგან და მოგვეცი იმ უხვი ცხოვრების თავისუფლება, რომელიც შენს ძეში, ჩვენს მაცხოვარ იესო ქრისტეში გაგვიცხადე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მეექვსე კვირადღე

ღმერთო, სიძლიერევ ყოველთა ვინც შენ მოგენდობა: მოწყალედ მიიღე ჩვენი ლოცვები; და რადგან ჩვენს სისუსტეში უშენოდ არ ძალგვიძს რაიმე სიკეთის ქმნა, მოგვეცი შენი მადლისმიერი დახმარება, რათა შენი მცნებების დაცვით გასიამოვნოთ შენ ნებითა და საქმით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მეშვიდე კვირადღე

უფალო, შენ გვასწავლე რომ რაც არ უნდა ვაკეთოთ, სიყვარულის გარეშე ყოველივე ამაოა: გამოგვიგზავნე შენი წმინდა სული და შთაღვარე ჩვენს გულებში შენი უდიდესი ნიჭი, რომელიც სიყვარულია, მშვიდობისა და ყოველივე სათნოების ჭეშმარიტი კავშირი, რომლის გარეშეც ცოცხლები შენს წინაშე მკვდრებად მიიჩნევიან. მოგვმადლე ეს შენი ერთადერთი ძის იესო ქრისტეს გამო, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ მერვე კვირადღე

ყოვლადმოყვარულო მამავ, ვისი ჩვენდამი სურვილიცაა რომ ყოველივესთვის გმადლობდეთ, მხოლოდ შენი დაკარგვის გვეშინოდეს და მთელს ჩვენს საზრუნავს შენ მოგანდობდეთ, რომელიც ზრუნავ ჩვენზე: დაგვიცავი ურწმუნო შიშებისა და ამქვეყნიური შფოთვებისაგან, რათა მოკვდავი ცხოვრების ღრუბელმა არ დაფაროს ჩვენგან სიყვარულის ის ნათელი, რომელიც მარადიულია და რომელიც გამოგვივლინე შენს ძეში - იესო ქრისტეში, ჩვენს უფალში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის, ან საუფლო დღის წინათქმა

ეპიფანიის შემდგომ უკანასკნელი კვირადღე

ეს კოლექტა ყოველთვის გამოიყენება ნაცრისყრის ოთხშაბათის წინა კვირადღეს

ღმერთო, რომელმაც ვიდრე შენი მხოლოდშობილი ძე ევნებოდა, წმინდა მთაზე გამოავლინე მისი დიდება: მოგვმადლე რომ ჩვენ, მისი სახის რწმენით მხილველები, გავძლიერდეთ რათა ვზიდოთ ჩვენი ჯვარი და გარდავისახოთ მის მსგავსებაში, დიდებიდან დიდებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

ნაცრისყრის ოთხშაბათი

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, შენს ქმნილთაგან არავინ გძულს და პატიობ ცოდვებს ყველა მონანულს: შეჰქმენ ჩვენში ახალი და მონანული გულები, რათა ჩვენი ცოდვებისთვის ღირსეულად მგლოვიარეებმა და უბედურების მცოდნეებმა, მივიღოთ შენგან, ყოველი წყალობის ღმერთო, სრულყოფილი პატიება და შენდობა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც

ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

პირველი კვირადღე დიდმარხვაში

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის კურთხეული ძეც სულმა წაიყვანა რათა სატანისაგან ცდუნებულიყო: ისწრაფე ჩვენს დასახმარებლად მოსვლა, რომელნიც მრავალმა ცდუნებამ შეგვავიწროვა; და რადგანაც უწყი თითოეული ჩვენგანის უძლურებებს, დაე ვპოვოთ შენში ხსნის ძალა; შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

მეორე კვირადღე დიდმარხვაში

ღმერთო, რომლის დიდებაცაა რომ ყოველთვის მოიღო წყალობა: შეეწიე ყველას, რომლებმაც შენი გზიდან გადაუხვიეს და დააბრუნე ისინი მონანული გულითა და მტკიცე რწმენით, რათა გულში ჩაიკრან და ჩაეჭიდონ შენი ძის - იესო ქრისტეს, შენი სიტყვის უცვლელ ჭეშმარიტებას; რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

მესამე კვირადღე დიდმარხვაში

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ იცი რომ ჩვენში არ გვაქვს ძალა საკუთარი თავის შემწეობისთვის: დაიცავი გარეგანად ჩვენი სხეული და შინაგანად ჩვენი სამშვინველი, რათა დაცულნი ვიყოთ ყოველგვარი უბედურებისგან, რომელიც შესაძლოა ჩვენს სხეულს დაემუქროს და ყოველი ბოროტი ფიქრისაგან, რომელიც შესაძლოა თავს დაესხას და დააზიანოს სამშვინველი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

მეოთხე კვირადღე დიდმარხვაში

გულმოწყალე მამაო, რომლის კურთხეული ძეც - იესო ქრისტე ზეციდან გარდამოვიდა, რათა ყოფილიყო სამყაროსთვის სიცოცხლის მომნიჭებელი ჭეშმარიტი პური; მარადჟამს მოგვეცი ეს პური, რათა მან იცოცხლოს ჩვენში, ჩვენ კი მასში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

მეხუთე კვირადღე დიდმარხვაში

ყოვლისშემძლე ღმერთო, მხოლოდ შენ შეგწევს ძალა მოაწესრიგო ურჩ ცოდვილთა სურვილები და ვნებები: უბოძე შენს ხალხს მადლი, რომ უყვარდეთ შენი მცნება და ესწრაფონ შენს დაპირებას; რათა ამ სამყაროს სწრაფ და მრავალგვარ ცვლილებათა შორის, ჩვენი გულები დარწმუნებით მიემართოს იქ, სადაც ჭეშმარიტი სიხარული მოიპოვება; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,

რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
დიდმარხვის წინათქმა

ვნების კვირადღე: ბზობა

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო, ადამიანთა მოდგმისათვის შენი სათუთი სიყვარულით გამოგზავნე შენი ძე - ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, რათა მიეღო ჩვენი ბუნება და ჯვარზე სიკვდილით დატანჯულიყო, რითაც მისი დიდი თავმდაბლობის მაგალითს გვაძლევს: მოწყალედ გვიბოძე რომ ვიაროთ მისი ტანჯვის გზაზე და ასევე გავიზიაროთ მისი აღდგომა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, ვინც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

ორშაბათი წმინდა კვირაში

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის საყვარელი ძეც სიხარულში შესვლამდე ჯერ ტკივილით იტანჯა და დიდებაში შესვლამდე ჯერ ჯვარს ეცვა: მოწყალებით გვიბოძე, რომ ჩვენ, ჯვრის გზაზე მოარულებმა, მხოლოდ სიცოცხლისა და მშვიდობის გზაზე ვპოვოთ ის; შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

სამშაბათი წმინდა კვირაში

ღმერთო, შენი კურთხეული ძის ვნებით შენ სამარცხვინო სიკვდილის იარაღი აქციე ჩვენთვის სიცოცხლის არხად. მოგვმადლე, ისე ვიქადოდეთ ქრისტეს ჯვრით, რომ შევძლოთ სიხარულით დავითმინოთ სირცხვილი და დანაკარგი, შენი ძისა და ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტეს გულისათვის; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

ოთხშაბათი წმინდა კვირაში

უფალო ღმერთო, რომლის კურთხეულმა ძემ - ჩვენმა მაცხოვარმა თავისი სხეული მისცა გასამათრახებლად და შესაფურთხებლად: მოგვეცი მადლი რომ სიხარულით მივიღოთ ამჟამინდელი ტანჯვები, იმ დიდებაში დარწმუნებულებმა, რომელიც გაცხადდება; ჩვენი უფლის, შენი ძის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

დიდი ხუთშაბათი

ყოვლისშემძლე მამაო, შენმა საყვარელმა ძემ იმ ღამით, ვიდრე ევნებოდა, დააწესა მისი სხეულისა და სისხლის საიდუმლო: მოწყალედ გვიბოძე, რათა მივიღოთ ის ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლიერებითა და გახსენებით, რომელიც ამ წმინდა საიდუმლოებებში გვაძლევს მარადიული

ცხოვრების საწინდარს; და რომელიც ახლა ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

წითელი პარასკევი

ყოვლისშემძლე ღმერთო, შეგღაღადებთ, მოწყალებით მოხედე შენს ამ ოჯახს, რომლისთვისაც ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ინება რომ გაცემულიყო, ცოდვილთა ხელს გადაცემულიყო და ჯვარზე ტანჯვით მომკვდარიყო; რომელიც ახლა ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

დიდი შაბათი

ღმერთო, ცისა და მიწის შემოქმედო: მოგვმადლე, რომ როგორც შენი საყვარელი ძის ჯვარცმული სხეული იყო დასვენებული საფლავში და განსვენებული ამ წმინდა შაბათს, ასევე ჩვენც მასთან ერთად მოველოდეთ მესამე დღის დადგომას და განახლებულ სიცოცხლეში აღვდგეთ მასთან ერთად; რომელიც ახლა ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

აღდგომა

ღმერთო, რომელმაც ჩვენს გამოსასყიდად ჯვარზე სიკვდილისთვის გაიღე შენი მხოლოდშობილი ძე და მისი დიდებული აღდგომით დაგვიფარე ჩვენი მტრის ძალისაგან: მოგვამდლე რომ ყოველდღიურად მოვკვდეთ ცოდვისათვის, რათა მარადის ვიცოცხლოთ მასთან ერთად მისი აღდგომის სიხარულში; შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, რომელმაც ეს ყოვლადწმინდა ღამე უფლის აღდგომის დიდების ბრწყინვალებად აქციე: აღძარ შენს ეკლესიაში ის შვილობის სული, რომელიც ნათლობისას მივიღეთ, რათა ჩვენ, სხეულითა და გონებით განახლებულებმა, თაყვანი გცეთ სიწრფელითა და ჭეშმარიტებით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

ან ეს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც შენი მხოლოდშობილი ძით - იესო ქრისტეთი დაამარცხე სიკვდილი და გახსენი მარადიული სიცოცხლის კარიბჭე: მოგვმადლე ჩვენც, რომლებიც სიხარულით ვზეიმობთ უფლის აღდგომის დღეს, დაე აღვდგეთ ცოდვითი სიკვდილისაგან, შენი სიცოცხლის მომნიჭებელი სულით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

ორშაბათი აღდგომის კვირაში

მოგვმადლე, შეგღაღადებთ ყოვლისშემძლე ღმერთო, რომ ჩვენ, რომლებიც მოწიწებით ვზეიმობთ საპასექო დღესასწაულს, დაე მარადიული სიხარულის ღირსად ჩავითვალოთ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

სამშაბათი აღდგომის კვირაში

ღმერთო, რომელმაც შენი ძის - იესო ქრისტეს დიდებული აღდგომით დაამარცხე სიკვდილი და გააცხადე სიცოცხლე და მარადიულობა: მოგვმადლე რომ ჩვენც, რომლებიც აღვდექით მასთან ერთად, დაე დავრჩეთ მის მყოფობაში და ვიხაროთ მარადიული დიდების სასოებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, ვისაც შენთან და წმინდა სულთან ერთად, ჰქონდეს ბატონობა და ქება უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

ოთხშაბათი აღდგომის კვირაში

ღმერთო, რომლის კურთხეულმა ძემ პურის გატეხვაში განუცხადა თავი მის მოწაფეებს: გახსენი ჩვენი რწმენის თვალები, რათა ვუმზერდეთ მას მის ყოველ გამომსყიდველ საქმეში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

ხუთშაბათი აღდგომის კვირაში

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომელმაც შერიგების ახალი შეთანხმება დაამკვიდრე საპასექო საიდუმლოში: მოგვმადლე, რომ ყოველი, ვინც ხელახლა იშვა ქრისტეს სხეულის თანამოზიარეობაში, თავიანთ ცხოვრებაში გამოავლინონ, რასაც რწმენით აღიარებენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

პარასკევი აღდგომის კვირაში

ყოვლისშემძლე მამა, რომელმაც გაიღე შენი ერთადერთი ძე, რათა მომკვდარიყო ჩვენი ცოდვებისათვის და აღმდგარიყო ჩვენი გამართლებისათვის: მოგვეცი მადლი, რათა ჩამოგვშორდეს სიავისა და ბოროტების საფუარი, რათა ყოველთვის გემსახუროთ შენ ცხოვრების სიწმინდითა და ჭეშმარიტებით; ჩვენი უფლის, შენი ძის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

შაბათი აღდგომის კვირაში

გმადლობთ შენ, მამაზეციერო, რომ გვიხსენი ცოდვის ბატონობისა და სიკვდილისაგან და შეგვიყვანე შენი ძის საუფლოში; ვლოცულობთ, რომ როგორც მისი სიკვდილით მან შეგვარიგა

სიცოცხლესთან, ასევე მისი სიყვარულით აღგვადგინოს მარადიულ სიხარულში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

აღდგომის მეორე კვირადღე

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომელმაც შერიგების ახალი შეთანხმება დაამკვიდრე საპასექო საიდუმლოში: მოგვმადლე, რომ ყოველი, ვინც ხელახლა იშვა ქრისტეს სხეულის თანამოზიარეობაში, თავიანთ ცხოვრებაში გამოავლინონ, რასაც რწმენით აღიარებენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

აღდგომის მესამე კვირადღე

ღმერთო, რომლის კურთხეულმა ძემ პურის გატეხვაში განუცხადა თავი მის მოწაფეებს: გახსენი ჩვენი რწმენის თვალები, რათა ვუმზერდეთ მას მის ყოველ გამომსყიდველ საქმეში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

აღდგომის მეოთხე კვირადღე

ღმერთო, რომლის ძე - იესო შენი ხალხის კეთილი მწყემსია: მოგვმადლე, რომ როცა ვისმენთ მის ხმას, ვიცნობთ მას ვინც თითოეულს სახელით მოგვიხმობს და გავყვეთ მას, სადაც ის მიგვიძღვის; რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

აღდგომის მეხუთე კვირადღე

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის ჭეშმარიტად შეცნობა მარადიული სიცოცხლეა: მოგვმადლე რომ სრულყოფილად შევიცნოთ შენი ძე - იესო ქრისტე, ვითარცა გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, რომ მტკიცედ მივყვეთ მის ნაბიჯებს იმ გზაზე, რომელიც წარგვმართავს მარადიული სიცოცხლისაკენ; შენი ძისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
აღდგომის წინათქმა

აღდგომის მეექვსე კვირადღე

ღმერთო, შენ ისეთი კარგი რამ მოამზადე მათთვის ვინც გიყვარს, რაც ჩვენს გაგებას აღემატება: შთაღვარე ჩვენს გულებში ასეთი სიყვარული შენს მიმართ, რომ ჩვენ, ყოველივეში და ყოველივეზე შენზე შეყვარებულებმა, დაე მოვიპოვოთ შენი დანაპირებნი, რომელიც აღემატება ყოველივეს, რისი ნატვრაც შეგვიძლია; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

აღდგომის წინათქმა

ამაღლება

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის კურთხეული ძე - ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ცათა ზემოთ ამაღლდა, რათა მოეცვა ყოველივე: მოწყალედ მოგვმადლე რწმენა, რათა მისი დაპირებისამებრ აღვიქვათ ეს, რომ ის მის ეკლესიასთან რჩება დედამიწაზე, ვიდრე საუკუნეთა აღსასრულამდე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*

ან ეს:

მოგვმადლე, გევედრებით, ყოვლისშემძლე ღმერთო, რომ როგორც ჩვენ გვწამს შენი მხოლოდშობილი ძის - ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ცად ამაღლება, ასევე ჩვენც გულსა და გონებაში ავმაღლდეთ და სამარადჟამოდ მასთან დავმკვიდრდეთ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ამაღლების წინათქმა

აღდგომის მეშვიდე კვირადღე: კვირადღე ამაღლების შემდგომ

ღმერთო, დიდების მეფევ, შენ დიდებული გამარჯვებით აღამაღლე შენი ერთადერთი ძე იესო ქრისტე შენს ზეციურ სამეფოში: არ მიგვატოვო უნუგეშოდ, არამედ გამოგზავნე შენი წმინდა სული რათა გაგვაძლიეროს და აგვამაღლოს იქ სადაც ჩვენი მაცხოვარი ქრისტე წავიდა; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*
ამაღლების წინათქმა

სულთმოფენობა

ყოვლისშემძლე ღმერთო, ამ დღეს შენი დანაპირები წმინდა სულის ნიჭით გახსენი მარადიული ცხოვრების გზა ყველა რასისა და ერისათვის: სახარების ქადაგებით გადმოღვარე ეს ნიჭი მთელს მსოფლიოზე, რათა ის მისწვდეს დედამიწის კიდეებს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, რომელმაც ამ დღეს შენი წმინდა სულის ნათლის გამოგზავნით შეამეცნებინე შენი ერთგული ხალხის გულებს: იგივე სულით მოგვმადლე, სწორი განსჯა ყოველივეში და მარადის სიხარული მის წმინდა ნუგეშში; შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
სულთმოფენობის წინათქმა

პირველი კვირა სულთმოფენობის შემდგომ: სამების კვირადღე

ყოვლისშემძლე და მარადიული ღმერთო, შენ მოგვეცი მადლი ჩვენ - შენს მსახურებს, ჭეშმარიტი რწმენის აღიარებით, რომ ვცნოთ მარადიული სამების დიდება და შენი ღვთაებრივი დიდებულების ძალით რომ თაყვანი ვცეთ ერთობას: განგვამტკიცე ამ რწმენასა და თაყვანისცემაში, ბოლოს კი მიგვიყვანე შენს ხილვამდე, მამაო, შენს ერთ და მარადიულ დიდებაში; რომელიც ძესთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობ და სუფევ, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
სამების კვირადღის წინათქმა

პერიოდი სულთმოფენობის შემდგომ

საკუთრივ 1 *11 მაისის უახლოესი კვირადღე*

დაიხსომე უფალო ის, რაც ჩვენში მოიმოქმედე და არა ის, რასაც ვიმსახურებთ; და როგორც მოგვიწოდე შენდამი მსახურებისათვის, გაგვხადე ღირსი ამ ჩვენი მოწოდებისა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
წინათქმა არ გამოიყენება

საკუთრივ 2 *18 მაისის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მოწყალე ღმერთო, შეგთხოვთ რომ შენს სათნოებაში დაგვიფარო ყოველივე იმისგან, რამაც შეიძლება ზიანი მოგვაყენოს, რათა ჩვენ, გონებითა და სხეულით მზად მყოფებმა, თავისუფალი გულით აღვასრულოთ ის, რაც შენი ჩანაფიქრის აღსრულებას ეკუთვნის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
წინათქმა არ გამოიყენება

საკუთრივ 3 *25 მაისის უახლოესი კვირადღე*

მოგვმადლე, უფალო, რომ ამ ქვეყნიერების გზა შენი განგებულებით მშვიდობით იყოს მართული; და რომ შენი ეკლესია სიხარულით გემსახურებოდეს თავდაჯერებულობითა და უშფოთველობით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 4 *1 ივნისის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, შენი უცვლელი განგებულება აწესრიგებს ყოველივეს ცაში და მიწაზე: გევედრებით, განგვაშორე ყოველივე საზიანო და მოგვეცი ის, რაც სასარგებლოა ჩვენთვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 5 *8 ივნისის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, რომლიდანაც ყოველივე კარგი გადმოედინება: მოგვმადლე, რომ შენგან შთაგონებით ვიფიქროთ ის რაც სწორია და შენი მოწყალე წინამძღვრობით აღვასრულოთ ის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 6 *15 ივნისის უახლოესი კვირადღე*

დაიცავი, უფალო, შენი სახლეული - ეკლესია შენს მტკიცე რწმენასა და სიყვარულში, რათა შენი მადლის მიერ, გაბედულად გავაცხადოთ შენი ჭეშმარიტება და თანაგრძნობით ვემსახუროთ შენს სამართლიანობას; ჩვენი მაცხოვრის - იესო ქრისტეს გამო, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივი 7 *22 ივნისის უახლოესი კვირადღე*

უფალო, გაგვხადე შენი წმინდა სახელისადმი სამარადისო სიყვარულისა და მოწიწების მქონენი, რათა არასდროს გადაიფიქრო მათი დახმარება და წარმართვა, რომლებიც დაადგინე შენი მოსიყვარულე ზრუნვის მტკიცე საფუძვლად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 8 *29 ივნისის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ ააშენე შენი ეკლესია მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე, რომლის მთავარი ქვაკუთხედიც იესო ქრისტეა: მოგვმადლე ჩვენც, რომ მათი სწავლებით ვიყოთ შეერთებულნი სულის ერთობაში, რათა შენგან მოწონებულ წმინდა ტაძრად ვიქმნათ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 9 *6 ივლისის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, შენ გვასწავლე რომ დავიცვათ შენი ყოველი მცნება შენი და მოყვასის სიყვარულით: მოგვმადლე შენი წმინდა სულის მადლი, რათა მთელი გულით მოგეძღვნათ შენ და წრფელი სიყვარულით გავერთიანდეთ ერთმანეთთან; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 10 *13 ივლისის უახლოესი კვირადღე*

უფალო, მოწყალედ მიიღე შენი ხალხის ლოცვები, რომლებიც მოგიხმობენ და მიმადლე მათ იმის ცოდნა და გაგება, რაც მათ უნდა გააკეთონ და ასევე ჰქონდეთ მადლი და ძალა რათა ერთგულად შეასრულონ ისინი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 11 *20 ივლისის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე ღმერთო, ყოველი სიბრძნის წყაროვ, შენ უწყი ჩვენი საჭიროებები მანამ, სანამ შეგთხოვთ და ჩვენი უცოდინრობა, როცა შეგღაღადებთ: თანაუგრძენი ჩვენს სისუსტეს და მოწყალედ გვიბოძე ის, რასაც ჩვენი უღირსობის გამო ვერ შემოგბედავთ და სიბრმავის გამო ვერ შეგთხოვთ; შენი ძის იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის ღირსების გამო, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 12 *27 ივლისის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, ყოველთა მფარველო ვინც შენზეა მონდობილი, ვის გარეშედაც არაფერია ძლიერი, არაფერია წმინდა: გაზარდე და გაამრავლე ჩვენზე შენი წყალობა; რათა შენთან - ჩვენს უფალთან და წინამძღოლთან ერთად ისე გავიაროთ წარმავალი, რომ არ დავკარგოთ მარადიული; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 13 *3 აგვისტოს უახლოესი კვირადღე*

დაე შენმა მუდმივმა წყალობამ, უფალო, გაასპეტაკოს და დაიცვას შენი ეკლესია; და რადგან ის დაცულად ვერ იარსებებს შენი შეწევნის გარეშე, დაიცავი და მართე ის ყოველთვის შენი სიკეთით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 14 *10 აგვისტოს უახლოესი კვირადღე*

ვლოცულობთ, მოგვმადლე უფალო, სული რომ ვიფიქროთ და გავაკეთოთ ყოველთვის ის რაც მართალია, რომ ჩვენ, რომლებსაც უშენოდ არ ძალგვიძს არსებობა, შენით გავხდეთ შემძლენი რომ ვიცხოვროთ შენი ნების შესაბამისად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 15 *17 აგვისტოს უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ გაიღე შენი ერთადერთი ძე ჩვენთვის რომ ყოფილიყო მსხვერპლი ცოდვისათვის და ასევე ღვთისმოსავი ცხოვრების მაგალითი: მოგვეცი მადლი რომ მადლიერებით მივიღოთ მისი გამომსყიდველი საქმის ნაყოფნი და რომ ყოველდღიურად მივყვეთ მისი ყოვლადწმინდა ცხოვრების კურთხეულ ნაბიჯებს; შენი ძის - ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,

რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 16 *24 აგვისტოს უახლოესი კვირადღე*

მოგვმადლე, მწყალობელო ღმერთო, რომ შენი წმინდა სულის მიერ ერთობაში გაერთიანებულმა შენმა ეკლესიამ, გააცხადოს შენი ძალა ყოველ ხალხში, შენი სახელის დიდებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 17 *31 აგვისტოს უახლოესი კვირადღე*

ყოველ ძალთა და ძლიერების უფალო, ყოველ სიკეთეთა შემქმნელო და მომცემო: ჩანერგე ჩვენს გულებში შენი სახელის სიყვარული; გაზარდე ჩვენში ჭეშმარიტი რელიგია; გვასაზრდოვე ყოველი სიკეთით; და გამოაჩინე ჩვენში კეთილ საქმეთა ნაყოფი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 18 *7 სექტემბრის უახლოესი კვირადღე*

მოგვმადლე უფალო, რომ მოგენდოთ მთელი ჩვენი გულით; რადგან, ისე როგორც ყოველთვის ეწინააღმდეგები ამაყთ, რომლებიც თავიანთ ძალას მიენდობიან, ასევე არასდროს მიატოვებ მათ, რომლებიც შენი წყალობით დაიკვეხნიან; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 19 *14 სექტემბრის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, რადგან შენს გარეშე არ ძალგვიძს გაამოთ, მოწყალედ მოგვმადლე რომ შენმა წმინდა სულმა წარმართოს და განაგოს ჩვენი გულები ყოველივეში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

14 სექტემბრის შემდგომი ოთხშაბათი, პარასკევი და შაბათი არის ტრადიციული საშემოდგომო 'ოთხეულის მარხვის' [Ember days] დღეები.

საკუთრივ 20 *21 სექტემბრის უახლოესი კვირადღე*

მოგვმადლე, უფალო, რომ ვიყოთ არა მიწიერისკენ სწრაფულნი, არამედ ზეციურის მოყვარულნი; და თუნდაც ახლა, როცა წარმავალთა შორის ვიმყოფებით, ჩავეჭიდოთ იმას რაც მარადიულია; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 21 *28 სექტემბრის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, რომელიც შენს ყოვლისშემძლე ძალას აცხადებ უმთავრესად წყალობისა და თანაგრძნობის გამოვლენით: მოგვანიჭე შენი მადლის სისრულე, რომ ჩვენ, შენი დაპირების მოსაპოვებლად გაშურებულნი, გავხდეთ შენი ზეციური საუნჯის მონაწილენი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 22 *5 ოქტომბრის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, შენ ყოველთვის იმაზე მეტად ხარ მზად შეისმინო, ვიდრე ჩვენ ვლოცულობთ, და მოგვცე, ვიდრე გვწადია ან ვიმსახურებთ: გადმოღვარე ჩვენზე შენი წყალობის სიუხვე, იმ საქმეთა მიტევებით, რომლებზედაც ჩვენი სინდისი შფოთავს და იმ სიკეთეთა მოცემით, რომლის თხოვნის ღირსიც არ ვართ, რომ არა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს დამსახურებითა და შუამდგომლობით, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 23 *12 ოქტომბრის უახლოესი კვირადღე*

უფალო, ვლოცულობთ რომ შენი მადლი ყოველთვის წარგვიძღვეს და თან გვდევდეს, რათა განუწყვეტლივ მივეცეთ კეთილ საქმეებს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 24 *19 ოქტომბრის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომელმაც ქრისტეში გამოავლინე შენი დიდება ერებს შორის: შეინარჩუნე შენს წყალობათა საქმენი, რომ მთელს მსოფლიოში შენი ეკლესია მტკიცე რწმენით შენარჩუნდეს შენი სახელის აღიარებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 25 *26 ოქტომბრის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, გაზარდე ჩვენში რწმენის, იმედისა და სიყვარულის ნიჭი; და რათა დავიმსახუროთ რაც დაგვპირდი, შეგვაყვარე მცნება შენი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 26 *2 ნოემბრის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მწყალობელო ღმერთო, მხოლოდ შენი ნიჭითაა რომ შენი ერთგული ხალხი შემოგწირავენ ჭეშმარიტ და სანაქებო მსახურებას: მოგვმადლე რომ დაბრკოლების გარეშე გავეშუროთ შენი ზეციური დაპირებების მოსაპოვებლად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 27 *9 ნოემბრის უახლოესი კვირადღე*

ღმერთო, რომლის კურთხეული ძე მოვიდა ქვეყნიერებაში, რათა მოესპო ეშმაკის საქმენი, გავეხადეთ ღვთის შვილები და საუკუნო ცხოვრების მემკვიდრენი: მოგვმადლე, რომ ამ სასოების მქონეებმა, განვწმინდოთ ჩვენი თავი, ვითარცა ის არის წმინდა; რათა როცა ის კვლავ მოვა ძალითა და დიადი დიდებით, ჩვენც შევიქმნათ მისი მსგავსნი, მის მარადიულ და დიდებულ სუფევაში; სადაც ის ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 28 *16 ნოემბრის უახლოესი კვირადღე*

კურთხეულო უფალო, რომელმაც დააწერინე ყოველი წმინდა წერილი ჩვენი სწავლებისათვის: მოგვმადლე რომ ვუსმინოთ მათ, წავიკითხოთ, მოვნიშნოთ, ვისწავლოთ და გავიშინაგანოთ, რათა მოვეჭიდოთ და მარად ჩავებღაუჭოთ საუკუნო სიცოცხლის ნეტარ სასოებას, რომელიც ჩვენს მაცხოვარ იესო ქრისტეში მოგვეცი; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
საუფლო დღის წინათქმა

საკუთრივ 29 *23 ნოემბრის უახლოესი კვირადღე*

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომლის ნებაცაა რომ აღადგინო ყოველივე შენს ყოვლადსაყვარელ ძეში, მეფედ მეფეში და უფალთ უფალში: მოწყალედ გვიბოძე რომ დედამიწის ხალხი, ცოდვისგან დაყოფილნი და დამონებულნი, განთავისუფლდნენ და შეკავშირდნენ მისი ყოვლადმოწყალე განგების ქვეშ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
საუფლო დღის, ან ნათლობის წინათქმა

წმინდა დღეები

წმინდა ანდრეა *30 ნოემბერი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც ისეთი მადლი მიეცი მოციქულ ანდრიას რომ ის მაშინვე დაემორჩილა შენი ძის იესო ქრისტეს მოწოდებას და მასთან ერთად მიიყვანა თავისი ძმაც: მოგვმადლე ჩვენც მადლი, რომლებიც შენი წმინდა სიტყვით ვართ მოწოდებულნი, რათა უყოყმანოდ გავყვეთ და ჩვენს ირგვლივ მყოფნი მივიყვანოთ მის მწყალობელ თანდასწრებაში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

მოციქულთა წინათქმა

წმინდა თომა *21 დეკემბერი*

მარადცოცხალო ღმერთო, რომელმაც გააძლიერე შენი მოციქული თომა შენი ძის აღდგომის მტკიცე და დამაჯერებელ რწმენაში: მოგვმადლე ჩვენც რომ ასევე სრულყოფილად და უეჭველად გვწამდეს იესო ქრისტეში, ჩვენს უფალსა და ღმერთში, რომ ჩვენი რწმენა შენს მზერაში არასდროს იყოს ნაკლულად აღმოჩენილი; მის მიერ, ვინც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა სტეფანე *26 დეკემბერი*

გმადლობთ შენ, დიდების უფალო, სტეფანე პირველწამებულის მაგალითისათვის, რომელმაც შეხედა ზეცას და მის მდევნელთათვის ილოცა შენი ძის - იესო ქრისტესადმი, რომელიც შენს მარჯვნივ არის; სადაც ის ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

წმინდა იოანე *27 დეკემბერი*

შენს ეკლესიაზე გადმოღვარე, უფალო, შენი სინათლის ბრწყინვალება, რათა ჩვენც, შენი მოციქულისა და მახარებლის - იოანეს სწავლებით განათლებულებმა, ვიაროთ შენი ჭეშმარიტების ნათელში, რომ საბოლოოდ მივაღწიოთ მარადიული ცხოვრების სისავსეს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

წმინდა უდანაშაულონი *[წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი]* *28 დეკემბერი*

ღმერთო, დღეს ჩვენ ვიხსენებთ ბეთლემის წმინდა უდანაშაულო ჩვილების დახოცვას მეფე ჰეროდეს მიერ. ვლოცულობთ, შენი წყალობის მკლავებში ჩაიკარი ყოველი უდანაშაულო მსხვერპლი; შენი დიდებული ძალით გააქარწყლე ბოროტ ტირანთა ჩანაფიქრი და დაამყარე სამართლიანობის, სიყვარულისა და მშვიდობის შენი წესრიგი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

წმინდა პეტრეს აღიარება *18 იანვარი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც შთააგონე სიმონ პეტრეს, მოციქულთა შორის პირველს, რომ ეღიარებინა იესო მესიად და ცოცხალი ღვთის ძედ: მტკიცედ შეინარჩუნე შენი ეკლესია ამ რწმენის კლდეზე, რათა ერთობასა და მშვიდობაში, ჩვენც განვაცხადოთ ერთი ჭეშმარიტება და გავყვეთ ერთ უფალს, ჩვენს მაცხოვარს იესო ქრისტეს; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა პავლეს მოქცევა *25 იანვარი*

ღმერთო, შენი მოციქულის - პავლეს ქადაგებით შენ გააბრწყინე სახარების ნათელი მთელს მსოფლიოში: შენდამი ვლოცულობთ, მოგვმადლე ჩვენ, რომლებსაც გვახსოვს მისი გასაოცარი მოქცევა, რომ მისი წმინდა სწავლებისადმი მიყოლით, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება შენდამი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

მირქმა *2 თებერვალი*

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო, თავმდაბლად ვლოცულობთ, რომ როგორც შენი მხოლოდშობილი ძე წარედგინა ტაძარში ამ დღეს, ასევე ჩვენც წარვდგეთ შენს წინაშე სპეტაკი და სუფთა გულებით, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

წმინდა მათიასი [მატათა] *27 თებერვალი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც იუდას ადგილზე აირჩიე შენი ერთგული მსახური მატათა, რათა თორმეტთა შორის აღრიცხულიყო: მიმადლე რომ შენი ეკლესია, ცრუ მოციქულთაგან დაცული, ყოველთვის იყოს გაძღოლილი და მართული ერთგულ და ჭეშმარიტ მწყემსთა მიერ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა იოსები *19 მარტი*

ღმერთო, რომელმაც შენი მსახურის - დავითის შტოდან აღადგინე იოსები, რათა ყოფილიყო შენი განკაცებული ძის მცველი და მისი ქალწული დედის მეუღლე: მოგვეცი მადლი რომ მივბაძოთ მისი ცხოვრების სიმართლესა და შენს მცნებათა მიმართ მის მორჩილებას; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

ხარება *25 მარტი*

შთაღვარე შენი მადლი ჩვენს გულებში, უფალო, რათა ჩვენ - რომლებმაც ვიცით შენი ძის იესო ქრისტეს განკაცება, ქალწული მარიამისთვის ანგელოზისგან ნახარები, მისი ჯვრითა და ტანჯვით შეყვანილნი ვიყოთ მისი აღდგომის დიდებაში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

წმინდა მარკოზი *25 აპრილი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, მარკოზ მახარებლის ხელით შენ მიეცი შენს ეკლესიას ღვთის ძის - იესო ქრისტეს სახარება: ჩვენ გმადლობთ ამ მოწმობისთვის და ვლოცულობთ, რომ გაგვამტკიცო მის

ჭეშმარიტებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ყველა წმინდანის წინათქმა

წმინდა ფილიპე და წმინდა იაკობი *1 მაისი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც მადლი და ძალა მიანიჭე შენს მოციქულებს - ფილიპესა და იაკობს, რათა დაემოწმებინათ ჭეშმარიტება: მოგვმადლე რომ ჩვენც, მათი რწმენის გამარჯვების მცოდნეებმა, განვადიდოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელი სიცოცხლესა და სიკვდილში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

ხარება *31 მაისი*

ზეციერო მამა, შენი მადლით შენი განკაცებული ძის ქალწული დედა იკურთხა მისი მუცლადტარებით, უფრო მეტად კი იკურთხა შენი სიტყვის დაცვით: მოგვმადლე ჩვენც, რომლებიც პატივს მივაგებთ მისი სიმდაბლის განდიდებთ, რომ მივყვეთ შენი ნებისადმი მისი ერთგულების მაგალითს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

წმინდა ბარნაბა *11 ივნისი*

მოგვმადლე, ღმერთო, რომ მივყვეთ შენი ერთგული მსახურის - ბარნაბას მაგალითს, რომელიც ესწრაფოდა არა საკუთარი სახელის დიდებას, არამედ შენი ეკლესიის კეთილდღეობას, გულუხვად გაეცი მისი სიცოცხლე და არსი ღარიბთა ნუგეშსა და სახარების გავრცელებას; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთი, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა *24 ივნისი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის განგებითაც შენი მსახური იოანე ნათლისმცემელი საკვირველებით დაიბადა და წარიგზავნა რათა სინანულის ქადაგებით გაემზადებინა გზა შენი ძისა და ჩვენი უფლისათვის: ასევე გაგვხადე ჩვენც, რომ მივყვეთ მის სწავლებასა და წმინდა ცხოვრებას, რათა ჭეშმარიტად მოვინანიოთ მისი ქადაგების შესაბამისად; და მისი მაგალითის მიყოლით, მუდამ ვილაპარაკოთ ჭეშმარიტება, თამამად გავკიცხოთ მანკიერება და მოთმინებით ვიტანჯოთ ჭეშმარიტებისათვის; შენი ძისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ადვენტის წინათქმა

წმინდა პეტრე და წმინდა პავლე *29 ივნისი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის კურთხეულმა მოციქულებმა - პეტრემ და პავლემ თავიანთი მოწამეობით განგადიდეს შენ: მიმადლე, რომ შენი ეკლესია იყოს მათი მოძღვრებითა და მაგალითით წარმართული და შენი წმინდა სულით ერთობაში ერთმანეთთან შეკავშირებული, დაე მუდამ მკიცედ იდგეს ერთ საფუძველზე, რომელიც არის ჩვენი უფალი იესო ქრისტე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

დამოუკიდებლობის დღე *4 ივლისი*

უფალო ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის სახელითაც ამ ქვეყნის დამფუძნებელმა მამებმა მოიპოვეს თავისუფლება თავიანთთვის და ჩვენთვის, და აღანთეს თავისუფლების ჩირაღდანი ჯერ არ დაბადებულ ერთათვის: მოგვმადლე რომ ჩვენ და ამ მიწის ყველა ხალხს ჰქონდეს მადლი, რათა სამართლიანობითა და მშვიდობით შეინარჩუნონ ჩვენი თავისუფლებანი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სუთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
მის მაგივრად შეიძლება გამოიყენოს კოლექტა „ერისთვის“,
სამების კვირადღის წინათქმა

წმინდა მარიამ მაგდალელი *22 ივლისი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის კურთხეულმა ძემ აღადგინა მარიამ მაგდალელი სხეულისა და გონის სიჯანსაღეში, და მოუწოდა მას რომ ყოფილიყო მოწმე მისი აღდგომისა: მოწყალედ მოგვმადლე რომ შენი მადლის მიერ განვიკურნოთ ჩვენი ყოველგვარი უძლურებისგან და გაგიცნოთ შენ მისი დაუსრულებელი სიცოცხლის ძალაში; რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ყველა წმინდანის წინათქმა

წმინდა იაკობი *25 ივლისი*

მწყალობელო ღმერთო, დღეს შენს წინაშე ვიხსენებთ შენს მსახურსა და მოციქულს იაკობს, თორმეტთაგან პირველს, რომელიც იესო ქრისტეს სახელის გამო მოწამეობრივად ევნო; ვლოცულობთ რომ შენი ეკლესიის ლიდერებში შთაღვარო უანგარო მსახურების სული, რითაც ექნებათ ჭეშმარიტი უფლებამოსილება შენს ხალხთა შორის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

ფერისცვალება *6 აგვისტო*

ღმერთო, რომელმაც წმინდა მთაზე გამოუცხადე რჩეულ მოწმეებს შენი საყვარელი ძე, საკვირველად ფერიცვალებული, თეთრ და ქათქათა სამოსში: მოწყალედ მოგვმადლე რომ ჩვენც, ამ ქვეყნიური შფოთვისაგან დაცულებმა, რწმენით ვიხილოთ მეფე მის მშვენიერებაში; რომელიც

შენთან - მამაო, და შენთან - წმინდა სულო, ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

წმინდა მარიამ ქალწული *15 აგვისტო*

ღმერთო, შენ წაიყვანე შენთან ნეტარი ქალწული მარიამი, შენი განკაცებული ძის დედა: მოგვმადლე ჩვენც, რომლებიც გამოსყიდულნი ვართ იესო ქრისტეს სისხლით, რომ ქალწულ მარიამთან ერთად გავიზიაროთ შენი მარადიული სუფევის დიდება; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
განკაცების წინათქმა

წმინდა ბართლომე *24 აგვისტო*

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომელმაც მიჰმადლე შენს მოციქულ ბართლომეს მადლი, ჭეშმარიტად რომ ირწმუნოს და იქადაგოს შენი სიტყვა: მიმადლე რომ შენმა ეკლესიამაც შეიყვაროს რაც მან ირწმუნა და იქადაგოს, რაც მან ასწავლა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა ჯვრის დღე *14 სექტემბერი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის ძეც, ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ჯვარზე გაეკრა, რათა მთელი ქვეყნიერება მისკენ მიეზიდა: მოწყალედ გვიბოძე რომ ჩვენ, რომლებიც ჩვენი გამოსყიდვის საიდუმლოში ვზეიმობთ, გვქონდეს მადლი, რათა ავიღოთ ჩვენი ჯვარი და გავყვეთ მას; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

წმინდა მათე *21 სექტემბერი*

გმადლობთ შენ, მამაზეციერო, მათეს - შენი მოციქულისა და მახარებლის მოწმობისათვის, შენი ძის - ჩვენი მაცხოვრის სახარებაში; და ვლოცულობთ, რომ მისი მაგალითის მსგავსად, მზა ნებითა და გულებით დავემორჩილოთ ჩვენი უფლის მოწოდებას, რომ მივდიოთ მას; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

წმინდა მიქაელი და ყოველი ანგელოზი *29 სექტემბერი*

მარადიულო ღმერთო, შენ დაადგინე და დააწესე ანგელოზთა და მოკვდავთა მსახურების ჩინებული წესრიგი: მოწყალედ მოგვმადლე რომ, ვითარცა შენი წმინდა ანგელოზნი მარადჟამს გმსახურობენ და გეთაყვანებიან ზეცაში, დაე შენი განკარგულებით მათ დაგვეხმარონ და დაგვიცვან ჩვენ, აქ -

დედამიწაზე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
სამების წინათქმა

წმინდა ლუკა *18 ოქტომბერი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც შთააგონე შენს მსახურ ლუკა მკურნალს, რომ სახარებაში გადმოეცა შენი ძის სიყვარული და განმაკურნებელი ძალა: მოწყალედ განაგრძე შენს ეკლესიაში ეს სიყვარული და ძალა განკურნებისა, შენი სახელის ქებისა და დიდებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ყველაწმინდას წინათქმა

წმინდა იაკობ იერუსალიმელი *23 ოქტომბერი*

მოგვმადლე ღმერთო, რომ შენი მსახური იაკობ მართალის - ჩვენი უფლის ძმის მსგავსად, შენმა ეკლესიამაც განაგრძოს საკუთარი თავის მიცემა ლოცვასა და ყოველთა შერიგებისადმი, რომლებიც წინააღმდეგობასა და შუღლში არიან; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ყველაწმინდას წინათქმა

წმინდა სიმონი და წმინდა იუდა *28 ოქტომბერი*

ღმერთო, გმადლობთ მოციქულთა დიდებული დასისათვის, დღეს კი განსაკუთრებით სიმონისა და იუდასათვის; და ვლოცულობთ რომ, როგორც ისინი იყვნენ ერთგულნი და გულმოდგინენი თავიანთ მისიაში, ასევე ჩვენც შევძლოთ მგზნებარე ღვთისმოსაობით ვაცნობოთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სიყვარულსა და წყალობაზე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
მოციქულთა წინათქმა

ყველაწმინდას დღე *1 ნოემბერი*

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ შეაკავშირე შენი რჩეული ერთ თანაზიარებასა და გაერთიანებაში, ჩვენი უფლის, შენი ძის იესო ქრისტეს მისტიურ სხეულში: მოგვანიჭე მადლი, რომ მივყვეთ შენს ნეტარ წმინდანთ, ყოველგვარ სათნოებასა და ღვთისმოსაობაში, რათა მივიდეთ იმ აღუწერელ სიხარულში, რომელიც ჭეშმარიტად შენს მოყვარულებს გაუმზადე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, მარადიულ დიდებაში. ამენ.
ყველაწმინდას წინათქმა

მადლიერების დღე

ყოვლისშემძლე და მოწყალე მამაო, გიძღვნით მადლობას დროული მიწის ნაყოფისა და მათი შრომისათვის, ვინც ის მოიყვანა. ვლოცულობთ, გაგვხადე შენი დიდებული საბოძვარის ერთგული განმკარგველნი, ჩვენს მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისა და საჭიროების მქონეთა

დახმარებისათვის, შენი სახელის დიდებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
სამების კვირადღის წინათქმა

წმინდანთა საერთო

მოწამის

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც შენს მსახურს *N.* მიეცი გამბედაობა, რომ ჩვენი მაცხოვრის - იესო ქრისტეს სახელი ეღიარებინა ამა ქვეყნის მმართველთა წინაშე, და სიმამაცე რომ მომკვდარიყო ამ რწმენისათვის: მოგვმადლე ჩვენც, რათა ყოველთვის ვიყოთ მზად, რომ გავიღოთ იმ სასოებისთვის, რომელიც ჩვენშია, და სიხარულით ვიტანჯოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამო; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
წმინდანის წინათქმა

მისიონერის

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, გმადლობთ შენი მსახურის *N.*-სთვის, რომელსაც მოუწოდე რომ ექადაგა სახარება _____-ს ხალხისათვის. აღადგინე ამ და ყველა მიწაზე შენი სუფევის მახარებელნი და მაცნენი, რათა შენმა ეკლესიამ გააცხადოს ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს შეუცნობელი სავსებანი; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
სულთმოფენის წინათქმა

მწყემსის

ციერო მამა, შენს ხალხთა მწყემსო, გმადლობთ შენი მსახურის *N.*-სთვის, რომელიც ერთგული იყო შენი სამწყსოს ზრუნვასა და აღზრდაში; და ვლოცულობთ, რომ მისი მაგალითის კვალად და მისი წმინდა ცხოვრების სწავლებით, შენი მადლის წყალობით ჩვენც გავიზარდოთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სისავსეში; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
წმინდანის წინათქმა

თეოლოგისა და მასწავლებლის

ღმერთო, შენი წმინდა სულით მიეცი ზოგს სიბრძნის სიტყვა, მეორეს ცოდნის სიტყვა, ზოგს კი რწმენის სიტყვა: ვაქებთ შენს სახელს შენს მსახურ N.-ში გამოვლენილ მადლის ნიჭთათვის, და ვლოცულობთ რომ შენ ეკლესია არასდროს იყოს ასეთ ნიჭთაგან მოკლებული; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
წმინდანის ან სამების კვირადღის წინათქმა

ბერმონაზვნის

ღმერთო, რომლის კურთხეული ძეც გაღატაკდა, რათა ჩვენ გავმდიდრებულიყავით მისი სიღატაკით: დაგვიცავი ამა ქვეყნის უზომო სიყვარულისაგან, რათა ჩვენ, შენი მსახურის N-ს ღვთისმოსაობით შთაგონებულებმა გულწრფელებით გემსახუროთ და მოვიპოვოთ მომავალ საუკუნეთა სიმდიდრე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
წმინდანის წინათქმა

წმინდანის

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენი წმინდა სულით გაგვაერთიანე შენს წმინდანებთან ცასა და მიწაზე: მოგვმადლე რომ ჩვენი მიწიერი პილიგრიმობისას ყოველთვის ვიყოთ შეწევნილნი სიყვარულისა და ლოცვის ამ ერთობით, და ვიცოდეთ რომ გარშემორტყმულნი ვართ შენი ძალისა და წყალობის მათი მოწმობით. ამას შეგთხოვთ იესო ქრისტეს მიერ, რომელშიც ჩვენი ყოველი შუამდგომლობა მისაღებია სულის მიერ, და რომელიც ცოცხლობს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
წმინდანის წინათქმა

სხვადასხვა შემთხვევებისთვის

ნებაყოფლობით გამოსაყენებლად, სურვილის შემთხვევაში, ექვემდებარება საეკლესიო წლის კალენდარში მოცემულ წესებს.

1. წმინდა სამების

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ გამოუცხადე შენს ეკლესიას დიდებული ბრწყინვალება და სრულყოფილი სიყვარული შენი არსებისა, ვითარცა ერთი ღმერთი პიროვნებათა სამებაში: მოგვანიჭე მადლი რომ განვაგრძოთ სიმტკიცე ამ რწმენის აღსარებაში, და მუდმივობა შენდამი ჩვენს თაყვანისცემაში, მამაო, ძეო და წმინდაო სულო; რადგან შენ ცოცხლობ და სუფევ, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
სამების კვირადღის წინათქმა

2. წმინდა სულის

ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალე ღმერთო, მოგვანიჭე რომ ჩვენში მობინადრე შენი წმინდა სულით გავნათლდეთ და გავძლიერდეთ შენი მსახურებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
სულთმოფენობის წინათქმა

3. წმინდა ანგელოზთა

მარადიულო ღმერთო, შენ გასაოცარი წესრიგით განსაზღვრე და დაადგინე ანგელოზთა და მოკვდავთა მსახურებანი: მოწყალედ მოგვანიჭე, რომ ვითარცა შენი წმინდა ანგელოზნი მარადჟამს გემსახურებიან და თაყვანს გცემენ ზეცაში, ასევე შენი განკარგვით დაგვეხმარონ და დაგვიცვან ჩვენ

აქ - დედამიწაზე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
სამების კვირადღის წინათქმა

5. წმინდა ევქარისტიის

განსაკუთრებით მიესადაგება ხუთშაბათს

ღმერთო მამაო ჩვენო, რომლის ძემ, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, საკვირველ საიდუმლოში დაგვიტოვა გახსენება მისი ვნებისა: მოგვმადლე რომ ისე ვცეთ თაყვანი მისი სხეულისა და სისხლის წმინდა საიდუმლოებს, რომ ოდესმე ჩვენს თავში ჩავწვდეთ მისი გამოსყიდვის ნაყოფს; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
ეპიფანიის წინათქმა

6. წმინდა ჯვრის

განსაკუთრებით მიესადაგება პარასკევს

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის საყვარელმა ძემაც ჩვენი გამოსყიდვისათვის ნებით დაითმინა ტანჯვა და ჯვრის სირცხვილი: მოგვეცი სიმამაცე, რომ ავიღოთ მისი ჯვარი და გავყვეთ მას; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ვნების კვირის წინათქმა

8. გარდაცვლილისთვის

მარადიულო უფალო ღმერთო, შენ ინარჩუნებ ყოველ სამშვინველს სიცოცხლეში: მიეცი შენს ეკლესიას სამოთხესა და მიწაზე, ნათელი და მშვიდობა შენი; და გვიბოძე რომ ჩვენ, მათი კეთილი მაგალითის კვალად, რომლებიც გემსახურებოდნენ აქ და ახლა განისვენებენ, საბოლოოდ მათთან ერთად შევძლოთ შესვლა შენს დაუსრულებელ სიხარულში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

ან ეს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, დღეს შენს წინაშე ვიხსენებთ შენს ერთგულ მსახურს **N** ; და ვლოცულობთ, რომ მისთვის ვრცელი ცხოვრების კარიბჭის გახსნით, მიიღებ მას შენს სასიხარულო მსახურებაში, რათა მათთან ერთად, რომლებიც ერთგულებით გემსახურნენ წარსულში, მანაც გაიზიაროს ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს მარადიული გამარჯვება; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
გარდაცვლილის მოხსენიების წინათქმა

9. ქრისტეს სუფევის

ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო, რომლის ნებაცაა რომ აღადგინო ყოველივე შენს ყოვლად-საყვარელ ძეში, მეფეთ მეფეში და უფალთ უფალში: მოწყალედ გვიბოძე, რომ დედამიწის ხალხები, ცოდვით დაყოფილნი და დამონებულნი, განთავისუფლდნენ და ერთად გაერთიანდნენ მისი ყოვლად მოწყალე განგების ქვეშ; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ამაღლების, ან ნათლობის წინათქმა

10. ნათლობისას

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენი ძის - იესო ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში ჩვენი ნათლობით, შენ მოგვაქციე ცოდვისმიერი ძველი ცხოვრებიდან: მოგვმადლე რომ ჩვენ, მასში ახალი ცხოვრებისთვის ხელახლა შობილებმა, ვიცხოვროთ სიმართლესა და სიწმინდეში, მთელი ჩვენი დღენი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ნათლობის წინათქმა

11. კონფირმაციისას

მოგვმადლე, ყოვლისშემძლე ღმერთო, რომ ჩვენ, რომლებიც გამოგვისყიდე ცოდვისმიერი ძველი ცხოვრებიდან, შენი ძის - იესო ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში ჩვენი ნათლობით, დაე ვიყოთ განახლებულნი შენს წმინდა სულში და ვიცხოვროთ სიმართლესა და ჭეშმარიტ სიწმინდეში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ნათლობის, ან სულთმოფენობის წინათქმა

14. ეკლესიის ერთობისათვის

ყოვლისშემძლე მამაო, რომლის კურთხეულმა ძემ მის ვნებამდე ილოცა მის მოწაფეთათვის, რომ ყოფილიყვნენ ერთნი, როგორც შენ და ის ხართ ერთნი: მიანიჭე შენს ეკლესიას, შენთან სიყვარულსა და მორჩილებაში შეერთებულს, რომ იყოს გაერთიანებული ერთ სხეულში - ერთი სულით, რათა ქვეყნიერებამ ირწმუნოს ის, ვინც შენ გამოგზავნე, შენი ძე - ჩვენი უფალი იესო ქრისტე; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
ნათლობის, ან სამების კვირადღის წინათქმა

17. ერისათვის

უფალო ყოვლისშემძლე ღმერთო, შენ შექმენი დედამიწის ყველა ხალხი შენი დიდებისათვის, რომ გემსახურონ თავისუფლებასა და მშვიდობაში: მიეცი ჩვენი ქვეყნის ხალხს მონდომება სამართლიანობისათვის და მოთმინების ძალა, რათა ჩვენი თავისუფლება გამოვიყენოთ შენი გულმოწყალე ნების შესაბამისად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*
სამების კვირადღის წინათქმა

18. მშვიდობისათვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, აღანთე, ვლოცულობთ, ყოველ გულში მშვიდობის ჭეშმარიტი სიყვარული და შენი სიბრძნით წარმართე ისინი, რომლებიც ბჭობენ დედამიწის ერებისთვის, რათა სიმშვიდეში გაიზარდოს შენი ძალაუფლება, სანამ დედამიწა შენი სიყვარულის შემეცნებით აღივსება; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
პერიოდის წინათქმა

20. სნეულთათვის

ზეციერო მამა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომნიჭებელო: ანუგეშე და შეამსუბუქე შენი სნეული მსახურნი, და მიეცი შენი განმაკურნებელი ძალა მათ, რომლებიც მათ საჭიროებებს ემსახურებიან, რათა ისინი (*სახელი, სახელები)* ვისთვისაც ჩვენი ლოცვა აღევლინება, გაძლიერდნენ თავიანთ უძლურებაში და ჰქონდეთ დარწმუნება შენს მოსიყვარულე ზრუნვაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
პერიოდის წინათქმა

21. სოციალური სამართლიანობისათვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც შენს ხატად შეგვქმენი: მოგვანიჭე მადლი, უშიშრად რომ შევებრძოლოთ ბოროტს და არასოდეს წავიდეთ კომპრომისზე ჩაგვრასთან; და რათა მოწიწებით გამოვიყენოთ ჩვენი თავისუფლება, დაგვეხმარე რომ ჩავაყენოთ ის ჩვენს თემებსა და ერებს შორის სამართლიანობის შენარჩუნების საქმეში, შენი წმინდა სახელის დიდებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*
პერიოდის წინათქმა

23. განათლებისათვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, ყოველი სიბრძნის წყაროვ: შენი წმინდა სულით განანათლე ის, ვინც ასწავლის და ის ვინც სწავლობს, რათა შენი ჭეშმარიტების შემეცნებაში გახარებულებმა, თაყვანი გცენ და გემსახურონ, თაობიდან თაობამდე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

წმინდა ევქარისტია: პირველი წესი

ღვთის სიტყვა

შესაძლოა შესრულდეს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

ხალხი დგას, მწირველი ამბობს:

	კურთხეულ იყოს ღმერთი: მამა, ძე და სული წმინდა.
ხალხი:	**და კურთხეულ იყოს მეუფება მისი, აწ და მარადის. ამენ.**

აღდგომიდან სულთმოფენობის ჩათვლით ითქმის:

მწირველი:	ალელუია. ქრისტე აღდგა.
ხალხი:	**ჭეშმარიტად აღდგა უფალი. ალელუია.**

მარხვის ან სხვა სინანულის პერიოდისას ითქმის:

მწირველი: აკურთხევდით უფალსა, შემნდობელსა ყოველთა შეცოდებათა ჩვენთასა.
ხალხი: **რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი.**

მწირველი ამბობს:

ღმერთო, ყოვლადძლიერო, რომლისა მიმართ განხმულ არს ყოველი გული, რომელმან უწყი წადილნი ყოველთა და არა რაჲ არს დაფარულ წინაშე შენსა, განწმინდე ზრახვანი გულთა ჩვენთანი, შთანერგვითა სულისა შენისა წმიდისაჲთა, რაჲთა შეგიყუარეთ შენ ყოვლითა გულითა და ღირსეულად განვადიდოთ სახელი შენი წმიდა, უფლისა მიერ ჩვენისა, იესუ ქრისტჱსა, ამინ.

შემდგომ შესაძლოა ითქვას 10 მცნება (გვ. 317 - BCP), ან შემდგომი ტექსტი:

ისმინეთ, რასა იტყჳს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე:
შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ. [39] და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.

აქ იგალობება ან ითქმის:

უფალო, შემიწყალენ. **კირიე ელეისონ.**
ქრისტე, შემიწყალენ. *ან* ***ქრისტე ელეისონ.***
უფალო, შემიწყალენ. **კირიე ელეისონ.**

ან ეს:

წმიდაო ღმერთო,
წმიდაო ძლიერო,
წმიდაო უკვდავო,
შემიწყალენ ჩუენ.

როცა ეს განსაზღვრულია, შემდგომი საგალობელი ან განდიდების რომელიმე საგალობელი იგალობება ან ითქმის. ყველა დგას.

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.
გიგალობთ შენ, გაკურთხევთ შენ,
თაყუანის-გცემთ შენ,
გადიდებთ შენ,
და გმადლობთ შენ დიდისა დიდებისა შენისათვის.
უფალო, ღმერთო, მეუფეო ზეცათაო, ღმერთო მამაო ყოვლისამპყრობელო.

უფალო, ძეო მხოლოდშობილო, იესო ქრისტე;
უფალო ღმერთო, კრავო ღმრთისაო და ძეო მამისაო,
ამღებელო ცოდვათა სოფლისათაო,
მიწყალენ ჩუენ.

რომელმან აღიხუენ ცოდვანი სოფლისანი,
მიითვალე ვედრება ჩუენი.
მჯდომარეო მარჯვენით მამისათაო,
შემიწყალენ ჩუენ.

რამეთუ შენ მხოლო ხარ წმიდა;
შენ მხოლო უფალი;
შენ მხოლო ქრისტე,
სულისა წმიდისა თანა,
დიდებითა მამისა ღმრთისა. ამინ.

დღის კოლექტა

მწირველი ეუბნება ხალხს:

უფალი თქვენთანა.
ხალხი: **და სულისა შენისა თანა.**
მწირველი: ვილოცოთ.

მწირველი ამბობს კოლექტას, ხალხი კი პასუხობს:

ხალხი: **ამინ.**

საკითხავები

ხალხი დამსხდარია, ერთი ან ორი არჩეული საკითხავი იკითხება.

მკითხველი თავდაპირველად ამბობს:

საკითხავი _____-დან.

საკითხავების შემდგომ მკითხველი ამბობს:

სიტყვა უფლისა.
ხალხი: **მადლობა ღმერთსა.**

შეიძლება ამას მოსდევდეს მცირე ხნიანი დუმილი.
ყველა საკითხავს შეიძლება მოსდევდეს ფსალმუნის, საგალობლის ან ჰიმნის გალობა.
შემდგომ, ყველა დგას, დიაკონი ან მღვდელი კითხულობს სახარებას, მანამ კი ამბობს:

წმინდა სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი _____ მიხედვით.
ხალხი: **დიდება შენდა, უფალო.**

სახარების შემდეგ მკითხველი ამბობს:

სახარება უფლისა.

ხალხი: **ქება შენდა, ქრისტე.**

ქადაგება.

კვირაობით და ყველა სხვა მნიშვნელოვან დღესასწაულზე ითქმის:

ნიკეის მრწამსი

გვრწამს ერთი ღმერთი,
მამა ყოვლისა მპყრობელი,
შემოქმედი ცისა და ქვეყნისა,
ხილულთა ყოველთა და არახილულთა.

გვრწამს ერთი უფალი იესო ქრისტე,
ძე ღვთისა, მხოლოდშობილი,
მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა;
ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან,
ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა,
შობილი და არა ქმნილი,
თანაარსი მამისა,
რომლისაგან ყოველი შეიქმნა.
რომელი ჩვენთვის და ჩვენისა ცხონებისათვის
გარდამოხდა ზეცით:
და ხორცი შეისხა სულისა წმიდისა მიერ,
მარიამისაგან ქალწულისა,
და განკაცდა.
და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატესა ზე,
და ივნო, და დაეფლა,
და აღდგა მესამესა დღესა
მსგავსად წერილისა;
და ამაღლდა ზეცად,
და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა,
და კვალად მომავალ არს დიდებითა განსჯად ცხოველთა და მკვდართა,
რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

გვრწამს სული წმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი,
რომელი მამისაგან გამოვალს,
მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების,
რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.
გვრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.
ვაღიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა,
და მოველით აღდგომასა მკვდრეთით,
და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნეისასა. ამენ.

კვერექსი

შუამდგომლობის ლოცვები აღევლინება ქვემოთ მდებარე ან საერთო ლოცვანში მოცემული რომელიმე სხვა ფორმის შესაბამისად.

დიაკონი ან სხვა ამორჩეული პირი ამბობს:

ვილოცოთ, ქრისტეს ეკლესიათა და სოფლისა კეთილად დგომისათვის.

ამ ლოცვის ყოველი აბზაცის შემდეგ ხალხს შეუძლია თქვას შესაბამისი პასუხი, როგორც მითითებულია.

ღმერთო, ყოვლადძლიერო და დაუსაბამო, რომელმან მასწავლენ წმიდითა სიტყვითა შენითა აღვლენად შენდა ლოცვათა და ვედრებათა და მადლობათა, ყოველთა კაცთათჳს: შეიწირენ ჩვენნიცა ესე ლოცუანი, აღვლენილნი წინაშე შენისა საღმრთოჲსა მეუფეებისა. გხადით, რაჲთა მოუკლებლად განაბრძნო ეკლესიაჲ შენი კათოლიკე სულითა ჭეშმარიტებისაჲთა, ერთობისაჲთა და თანხმობისაჲთა და უბოძო ყოველთა აღმსარებელთა სახელისა შენისა წმიდისაჲთა თანხმობა სიტყვისა შენისა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებაჲ ერთობითა და საღმრთოჲთა სიყუარულითა.

მამაო ზეცათაო, უბოძე მადლი შენი მსახურთა ეკლესიისათა და ეპისკოპოსთა [და მონასა შენსა—----] რათა ცხოვრებითა და მოძღურებითა განაცხადონ სიტყუაჲ შენი ცხოველი და ჭეშმარიტი და მართლმკვეთელობით იმსახურონ საიუდუმლონი შენნი.

ზეგარდამოჲ მადლი შენი მიანიჭე ყოველსა ერსა შენსა და უმეტესად კრებულსა ამასა, რაჲთა თვინიერითა გულითა და კეთილკრძალულებითა ისმინონ და დაიმარხონ სიტყვაჲ შენი წმიდა და გმსახურებდნენ შენ ჭეშმარიტებითა და სიწმიდითა და სიმართლითა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა.

გევედრებით, წარმართებისათვის გულთა ხელმწიფეთა ამის სოფლისა [.....] და ყოველთა ქუაყანისათა, რაჲთა უწინამძღვრო სიბრძნითა და სიმართლით, სიკეთისათვის და სიმშვიდისათვის ყოვლისა სოფლისა.

განახვენ, უფალო, თუალნი ყოველთა ერთა, რაჲთა იხილონ მოწყალებაჲ შენი ყოველთა შინა საქმეთა შენთა და იხარებდნენ ქმნულთა ხელთა შენთასა და განგადიდებდნენ ყოვლითა გულითა და ერთგულებითა მსახურებითა.

ვხადით სიმდაბლითა მოწყალებასა შენსა, უფალო, რაჲთა ნუგეშისცე და შეეწიო [.....] ყოველთა ჭირვეულთა ამისა სოფლისათა და რომელნი არიან უპოვარებასა, დარდსა, სნეულებასა და ყოევლთა განსაცდელთა შინა.

დამატებითი შუამდგომლობები და სამადლობლები შეიძლება გაჟღერდეს აქ:

ვაკურთხევთ სახელსა შენსა წმიდასა, ყოველთა მსახურთათჳს, რომელნი მიიცვალნენ რწმენითა და კრძალვითა შენითა, [.....] და გხადით, რაჲთა მიჰმადლო მათ წარმატებაჲ სიყუარულსა და მსახურებაში; ხოლო ჩვენ მოგვეც მადლი რაჲთა ვბაძვიდეთ [.....] და ყოველთა წმიდათა შენთა კეთილსახიერებასა, რაჲთა მათთანაცა გქუანდეს წილი ზეცისა შენისა სასუფეველში.

მამაო, შეისმინე ლოცვისა ჩვენისაჲ, იესო ქრისტეს მიერ, ნუგეშინისმცემელისა და მხოლოისა შუამდგომელისა, ამინ.

თუ კი არ ტარდება ზიარება, ან მღვდელი არ იმყოფება, მსახურება დასრულდება როგორც ეს მითითებულია 406-ე (BCP) გვერდზე.

ცოდვათა აღსარება

თუ კი ცოდვათა აღსარება ჯერ არ თქმული, მაშინ ის ითქმის ახლა. ზოგჯერ შეიძლება აღსარება იყოს გამოტოვებული.

დიაკონი ან მწირველი ამბობს შემდგომს:

რომელნი ხართ შემნანებელ გულითა და სიწრფოებითა ცოდვათა თქვუენთა და მოწყალენი და მოყუარულნი მოყუასთანი, განზრახუელნი ღვთის მცნებათა მიერ ახლისა ცხოვრებისა და აწ გზათა მისთა წმიდათა სვლისა: მიეახლეთ სარწმუნოებითა ღმერთსა და თავმდაბლობით, კრძალულებით შევრდომილებმა აღუარეთ ცოდვანი ყოვლისშემძლე ღმერთსა.

ან ეს:

მოვედით აწ, მდაბლად აღვიაროთ შეცოდებანი ჩუენნი წინაშე ყოვლისშემძლისა ღმრთისა.

მცირედი დუმილი.

ღვთისმსახური და ხალხი:

ღმერთო, ყოვლისაშემძლეო,
მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო,
შემოქმედო და მსაჯულო ყოვლთაო:
აღგიარებთ და ვინანიებთ მრავალთა შეცოდებათა და უკეთურებათა ჩუენთა,
ჟამითი-ჟამად დაცემასა
ფიქრითა, სიტყუითა და საქმითა, რომელი გვიქმნიეს წინააღდგომად დიდებისა შენისა,

სამართლიანად გამოვიწვიეთ შენი რისხვა და მრისხანება.
გულწრფელად ვინანიებთ,
და გულითადად ვნანობთ ჩვენს უზნეობათა გამო;
მათი ხსომება მძიმეა ჩვენთვის,
მათი ტვირთი კი გაუსაძლისი.
შეგვიწყალენ ჩვენ,

შეგვიწყალენ, მამავ ყოვლადმწყალობელო;
ძისა შენისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გამო,
მოგვიტევე ყოველივე რაც წარსულია;
და მოგვმადლე რომ ამიერიდან
გემსახუროთ და გაამოთ განახლებულ სიცოცხლეში,
შენი სახელის პატივისა და დიდებისათვის;
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. *ამენ*.

ან ეს:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში
და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

ეპისკოპოსი, თუ კი ის არის, ან მღვდელი წამოდგება და ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთმა, ჩვენმა ზეციერმა მამამ, რომელმაც თავისი დიდი მოწყალებით დაჰპირდა ცოდვათა მიტევება ყველას, ვინც გულითადი მონანიებითა და ჭეშმარიტი რწმენით დაბრუნდება მასთან, შეგიწყალოთ თქვენ, შეგინდოთ და გიხსნათ თქვენს ცოდვათაგან, განგამტკიცოთ და გაგაძლიეროთ ყოველგვარ სიკეთეში და შეგიყვანოთ მარადიულ სიცოცხლეში; უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

მსახურს შემდგომ შეუძლია თქვას ერთი ან რამდენიმე ქვემდებარე წინადადება. უპირველესად კი ამბობს:

შეისმინეთ სიტყვა უფლისა, ყოველმა, ვინც ჭეშმარიტად დაბრუნდა მასთან.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ. *მათე 11:28*

რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. *იოანე 3:16*

სარწმუნო არს სიტყუაჲ და ყოვლისა შეწყნარებისა ღირს, რამეთუ ქრისტე იესუ მოვიდა სოფლად ცოდვილთათჳს ცხორებად. *I ტიმოთე 1:15*

უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გვკვის მამისა მიმართ ქრისტე იესუ მართალი. და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთაჲ და არა ხოლო ცოდვათა ჩუენთაჲ, არამედ ყოვლისა სოფლისათაჲ. *I იოანე 2:1-2*

მშვიდობა

ყველა დგას. მწირველი ეუბნება ხალხს:

	მშვიდობა უფლისა იყოს მარადჟამს თქვენთანა.
ხალხი:	**და სულისა შენისა თანა.**

შემდგომ მწირველი და მორწმუნეები უფლის სახელით გაცვლიან მშვიდობის ნიშანს.

წმინდა ზიარება

მწირველმა შესაძლოა დაიწყოს ოფერტორიუმი ერთი ან რამდენიმე წინადადებით (გვ.343-344) ან წმინდა წერილის სხვა წინადადებით.

ოფერტორიუმისას შესაძლოა შესრულდეს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

სამრევლოს წარმომადგენლებს საკურთხეველთან მიაქვთ ხალხის მიერ მიძღვნილი პური, ღვინო და ფული (ან სხვა რომელიმე ძღვენი) აძლევენ მათ დიაკონს ან მწირველს. ძღვენის მირთმევისა და საკურთხეველზე დალაგებისას ხალხი დგას.

დიდი მადლისგება

ევქარისტიული ლოცვა I

ხალხი დგას. მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ეუბნება:

	უფალი თქვენთანა.
ხალხი:	**და სულისა შენისა თანა.**
მწირველი:	მაღლა გულნი.
ხალხი:	**გვაქვს უფლისა მიმართ.**
მწირველი:	ვუმადლოდეთ უფალსა, ღმერთსა ჩვენსა.
ხალხი:	**სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდეგ, მიბრუნდება მწირველი საკურთხევლისაკენ და აგრძელებს:

ჭეშმარიტად შესაფერისი, სამართლიანი და ჩვენი აუცილებელი ვალდებულებაა, რათა მარადჟამს და ყოველგან გიმადლოდეთ შენ, უფალო, მამაო წმინდაო, ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო.

აქ სათანადო წინსართი ითქმის ან იგალობება ყველა კვირადღეს ან სხვა შემთხვევებში, როგორც შესაფერისია.

ამიტომ ანგელოზებთან და მთავარანგელოზებთან და ცის მთელს მხედრობასთან ერთად, ხოტბას ვასხამთ და განვადიდებთ შენს დიდებულ სახელს; მარადის გაქებთ შენ და ვამბობთ,

მწირველი და ხალხი:

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს, უფალი ღმერთი ცაბაოთ:
სავსენი არიან ცა და ქვეყანა დიდებითა შენითა.
დიდება შენდა, უფალო უზენაესო.

აქ შეიძლება დაემატოს:

კურთხეულ არს მომავალი, სახელითა უფლისათა.
ჰოსანა მაღალთა შინა.

ხალხი იჩოქება ან დგას.

მწირველი განაგრძობს:

ყოველი დიდება შენ, ყოვლისშემძლე ღმერთო, მამავ ჩვენო ზეციერო, რამეთუ შენი სათუთი მოწყალების გამო გაიღე შენი ერთადერთი ძე იესო ქრისტე, რათა ჩვენი გამოსყიდვისათვის ჯვარზე სიკვდილით ვნებულიყო; რომელმაც აღასრულა, მის მიერ ერთი თვითშეწირვის ერთხელ მიძღვნით, მთელი, სრულყოფილი და საკმარისი მსხვერპლშეწირვა, წინადაგება და გამოსყიდვა მთელი სოფლის ცოდვათათვის; და დააწესა და მის წმინდა სახარებაში მცნებად დაგვიდო, რომ განვაგრძოთ მისი ძვირფასი სიკვდილისა და მსხვერპლშეწირვის მარადიული გახსენება, მის ხელახალ დაბრუნებამდე.

პურის შესახებ ტექსტის წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინის შესახებ ტექსტის წარმოთქმისას მღვდელმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

იმ ღამით, რომელშიც გაცემულ იქნა, აიღო პური; და როცა მადლობა შესწირა, გატეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა”.

მსგავსად, სერობის აღსრულების შემდეგ, აიღო სასმისი; და როცა მადლობა შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „სვით ამისაგან ყოველთა; რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მოსატევებლად ცოდვათა. ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა“.

ამიტომ, უფალო და ზეციერო მამავ, შენი ყოვლად საყვარელი ძის - ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს განწესების თანახმად, ჩვენ, შენი მდაბალი მსახურნი, აღვნიშნავთ და აღვასრულებთ აქ, შენი ღვთაებრივი სიდიადის წინაშე, შენი ამ წმინდა ძღვენით, რომელსაც ახლა მოგიძღვნით, გახსენებას - რაც შენმა ძემ მცნებად დაგვიდო; მოვიხსენიებთ მის კურთხეულ ვნებასა და ძვირფას სიკვდილს, მის ძლევამოსილ აღდგომასა და დიდებულ ამაღლებას; მოგაგებთ ყოვლად გულითად მადლობას იმ აურაცხელ სიკეთეთავის, ამგვარად რომ მოგვიპოვა.

და მთელი სიმდაბლით შეგთხოვთ შენ, მამავ მოწყალეო, რომ შეისმინო ჩვენი; და შენი ყოვლისშემძლე სიკეთით ინებე რომ შენი სიტყვითა და სულიწმიდით აკურთხო და განწმინდო პურისა და ღვინის ეს შენი ძღვენი და ქმნილება; რამეთუ ჩვენ, რომლებიც მივიღებთ მათ შენი ძის, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს წმინდა განწესების თანახმად, მისი სიკვდილისა და ვნების გახსენებით, ვიყოთ მოზიარენი მისი ყოვლად კურთხეული სხეულისა და სისხლისა.

და ჩვენ მართლაც ველტვით შენს მამობრივ კეთილ გულმოწყალებას, რათა მიიღო ეს ჩვენი ქებისა და მადლიერების მსხვერპლშეწირვა; მთელი სიმდაბლით შეგთხოვთ რომ მოგვმადლო ეს, შენი ძის იესო ქრისტეს დამსახურებათა და სიკვდილის გამო, და მის სისხლში რწმენის მეშვეობით, ჩვენ და მთელმა შენმა ეკლესიამ მივიღოთ შენდობა ცოდვათა და და ყველა სხვა სიკეთენი მისი ვნებისა.

და აქ უფალო ჩვენ გიძღვნით და წარგიდგენთ ჩვენს თავს, ჩვენს სამშვინველებსა და სხეულებს, რომ იყოს შენთვის გონივრული, წმინდა და ცოცხალი მსხვერპლი; თავმდაბლად შეგთხოვთ, რომ ჩვენ და ყოველი სხვა, ვინც იქნებიან ამ წმინდა ზიარებაში მონაწილენი, ღირსეულად მივიღოთ ყოვლადძვირფასი სხეული და სისხლი ძისა შენისა იესო ქრისტესი, აღვივსოთ შენი მადლითა და ზეციური კურთხევით, და შევიქმნათ ერთ სხეულად მასთან, რათა ის დაემკვიდროს ჩვენში და ჩვენ მასში.

და თუმცა უღირსნი ვართ, ჩვენს მრავალ ცოდვათა გამო, რომ შემოგწიროთ რაიმე მსხვერპლი, მაინც შეგთხოვთ რომ მიიღო ეს ჩვენი აუცილებელი ვალდებულება და მსახურება, არა დამსახურებათა გაზომვით, არამედ დანაშაულებათა შენდობით, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ;

მის მიერ და მასთან, ერთობაში სულისა წმინდისა, ყოველი პატივი და დიდება შენია, ყოვლისშემძლე მამაო, უკუნითი უკუნისამდე. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა, გავბედავთ რომ წარმოვთქვათ:

ხალხი და მწირველი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,

და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

პურის გატეხვა

მწირველი ტეხს ნაკურთხ პურს.

ამ დროს არის მდუმარების პერიოდი.

შემდგომ შეიძლება ითქვას ან იგალობოს:

[ალელუია.] ქრისტე, პასექი ჩვენი, შეეწირა ჩვენს გამო;
ამიტომაც ვიდღესასწაულოთ. [ალელუია].

მარხვაში ალელუია გამოტოვებულია, ასევე შეიძლება გამოტოვებული იყოს ის სხვა დროსაც, გარდა აღდგომის პერიოდისა.

შემდგომი ან სხვა შესაბამისი ჰიმნი იგალობება ან ითქმის აქ:

კრავო ღვთისაო, რომელმან აღიღე ცოდვანი სოფლისანი,
შეგვიწყალენ ჩვენ.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღიღე ცოდვანი სოფლისანი,
შეგვიწყალენ ჩვენ.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღიღე ცოდვანი სოფლისანი,
მოგვმადლე ჩვენ მშვიდობა.

შესაძლოა ითქვას შემდგომი ლოცვა. ხალხსაც შეუძლია წარმოთქვას ის:

ჩვენ არ ვკადნიერდებით მივეახლოთ შენს ამ ტრაპეზს, მწყალობელო უფალო,
მხოლოდ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულნი,
არამედ მივეახლებით მას შენს მრავალ და დიდებულ მოწყალებას მინდობილნი.
დიდად არც იმის ღირსნი ვართ, რომ ავკრიბოთ
ნამცეცები შენი ტრაპეზის ქვეშ.
მაგრამ შენ ხარ ისეთი უფალი,
რომლის თვისებაცაა ყოველჟამს იმოწყალოს.
ამიტომ მოგვმადლე, მწყალობელო უფალო,
რომ ვიკვებოთ შენი საყვარელი ძის - იესო ქრისტეს ხორცი,
და შევსვათ მისი სისხლი,
რათა მარადის დავემკვიდროთ მასში, ის კი ჩვენში. *ამენ.*

პირით ხალხისაკენ მწირველს შეუძლია წარმოთქვას შემდეგი მოსაწვევი:

ღვთის ძღვენი ღვთის ხალხისათვის.
შეიძლება დაამატოს: მიიღეთ ისინი იმის გახსენებით, რომ ქრისტე აღესრულა თქვენს გამო და იკვებეთ მისით, თქვენს გულებში რწმენითა და მადლიერებით.

ღვთისმსახური მიიღებს საიდუმლოს ორივე სახით (პურითა და ღვინით) და მაშინვე დაურიგებს მას.

პური და ბარძიმი მიეცემა მაზიარებლებს ამ სიტყვებით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეულმა, რომელიც შენთვის მიეცემა, დაიფაროს შენი სხეული და სამშვინველი მარადიული სიცოცხლისათვის. მიიღე და ჭამე ეს იმის გახსენებით, რომ ქრისტე აღესრულა შენთვის და იკვებე მისით შენს გულში, რწმენითა და მადლიერებით.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სისხლმა, რომელიც დაითხა შენთვის, დაიფაროს შენი სხეული და სამშვინველი მარადიული სიცოცხლისათვის. დალიე ეს იმის გახსენებით რომ ქრისტეს სისხლი დაიღვარა შენთვის და იყავი მადლიერი.

ან ამ სიტყვებით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეულმა (სისხლმა) დაგიფაროს საუკუნო სიცოცხლეში. ***[ამენ].***

ან ამ სიტყვებით:

ქრისტეს სხეული, პური ზეცისა. ***[ამენ].***
ქრისტეს სისხლი, ბარძიმი ცხონებისა. ***[ამენ].***

ზიარების განაწილების დროს შეიძლება იგალობოს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

ზიარების შემდეგ მწირველი ამბობს:

ვილოცოთ.

ხალხსაც შეუძლია წარმოთქვას ის:

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო, ჩვენ გულწრფელად გმადლობთ, რომ გამოგვკვებე ამ წმინდა საიდუმლოში, შენი ძის, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს უძვირფასესი სხეულითა და სისხლით; და ამით დაგვარწმუნე ჩვენს მიმართ შენს კეთილგანწყობასა და სიკეთეში; და რომ ჩვენ ვართ ჭეშმარიტი წევრები შეერთებულნი მისტიურ სხეულში ძისა შენისა, ყოველ მორწმუნე ხალხთა ნეტარი დასი; და ასევე ვიმედოვნებთ რომ ვართ მემკვიდრენი შენი მარადიული სუფევისა. თავმდაბლად შეგთხოვთ, ზეციერო მამაო, რომ შეგვეწიო შენი მადლით, რათა დავრჩეთ ამ წმინდა მოზიარეობაში და ვაკეთოთ ის ყოველი კეთილი საქმე, რომლებიც აღსასრულებლად განგვიმზადე შენ; უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელშიც შენ და წმინდა სულს ჰქონდეს ყოველი პატივი და დიდება, აწ და მარადის. *ამენ.*

ეპისკოპოსი (თუ კი ის იმყოფება) ან მღვდელი აკურთხებს ხალხს:

ღვთის მშვიდობამ, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფაროს თქვენი გულები და ფიქრები ღვთისა და მისი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებასა და სიყვარულში; და კურთხევა ყოვლისშემძლე ღმრთისა: მამისა, ძისა და სულისა წმინდისა იყოს თქვენს შორის და დაივანოს მარადჟამს თქვენთან. *ამენ.*

ან ეს:

კურთხევა ყოვლისშემძლე ღმრთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისა იყოს თქვენზე და დაივანოს თქვენთან მარადის. *ამენ.*

დიაკონი ან მწირველი დაასრულებს ევქარისტიას შემდეგი სიტყვებით:

	წარვიდეთ ქრისტეს სახელით.
ხალხი:	**მადლობა ღმერთსა.**

ან:

დიაკონი:	წადით მშვიდობით, რათა გიყვარდეთ და ემსახუროთ უფალს.
ხალხი:	**მადლობა ღმერთსა.**

ან:

დიაკონი:	წარვიდეთ სოფელში, სულის ძალაში მოზეიმენი.
ხალხი:	**მადლობა ღმერთსა.**

ან:

დიაკონი:	ვაკურთხოთ უფალი.
ხალხი:	**მადლობა ღმერთსა.**

აღდგომის ღამიდან სულთმოფენობამდე გამოსამშვიდობებელ სიტყვას შესაძლოა დაემატოს „ალელუია, ალელუია“, რომელსაც ხალხი პასუხობს: **მადლობა ღმერთსა. ალელუია, ალელუია.**

დიდი მადლისგების ალტერნატიული ფორმა

ევქარისტიული ლოცვა II

ხალხი დგას. მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ეუბნება:

უფალი თქვენთანა.

ხალხი: **და სულისა შენისა თანა.**
მწირველი: მაღლა გულნი.
ხალხი: **გვაქვს უფლისა მიმართ.**
მწირველი: ვუმადლოდეთ უფალსა, ღმერთსა ჩვენსა.
ხალხი: **სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდეგ, მიბრუნდება მწირველი საკურთხევლისაკენ და აგრძელებს:

ჭეშმარიტად შესაფერისი, სამართლიანი და ჩვენი აუცილებელი ვალდებულებაა, რათა მარადჟამს და ყოველგან გიმადლოდეთ შენ, უფალო, მამაო წმინდაო, ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო.

აქ სათანადო წინსართი ითქმის ან იგალობება ყველა კვირადღეს ან სხვა შემთხვევებში, როგორც შესაფერისია.

ამიტომ ანგელოზებთან და მთავარანგელოზებთან და ცის მთელს მხედრობასთან ერთად, ხოტბას ვასხამთ და განვადიდებთ შენს დიდებულ სახელს; მარადის გაქებთ შენ და ვამბობთ,

მწირველი და ხალხი:

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს, უფალი ღმერთი ცაბაოთ:
სავსენი არიან ცა და ქვეყანა დიდებითა შენითა.
დიდება შენდა, უფალო უზენაესო.

აქ შეიძლება დაემატოს:

კურთხეულ არს მომავალი, სახელითა უფლისათა.
ჰოსანა მაღალთა შინა.

ხალხი იჩოქებს ან დგას.

მწირველი განაგრძობს:

ყოველი დიდება შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, რადგან გააჩინე ცა და მიწა და ჩვენ შეგვქმენი შენს ხატად; და შენი სათუთი მოწყალების გამო გაიღე შენი ერთადერთი ძე იესო ქრისტე, რათა მიეღო ჩვენი ბუნება და ჯვარზე სიკვდილით ვნებულიყო ჩვენი გამოხსნისათვის. მან აღასრულა სრული და სრულყოფილი მსხვერპლშეწირვა მთელი ქვეყნიერებისათვის; დააწესა, და მის წმინდა სახარებაში დაგვავალა გაგრძელება, მისი ძვირფასი სიკვდილისა და მსხვერპლშეწირვის მარადიული გახსენება, მის ხელახალ დაბრუნებამდე.

პურის შესახებ ტექსტის წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინის შესახებ ტექსტის წარმოთქმისას მღვდელმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

იმ ღამით, რომელშიც გაცემულ იქნა, აიღო პური; და როცა მადლობა შესწირა, გატეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა”.

მსგავსად, სერობის აღსრულების შემდეგ, აიღო სასმისი; და როცა მადლობა შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „სვით ამისაგან ყოველთა; რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული მოსატევებლად ცოდვათა. ამას იქმოდეთ მოსახსენებლად ჩემდა“.

ამიტომ, უფალო და ზეციერო მამავ, ჩვენ - შენი ხალხი, აღვნიშნავთ და აღვასრულებთ, ამ შენი წმინდა ძღვენით რომელსაც ახლა გწირავთ, გახსენებას - რომლის აღსრულებაც შენმა ძემ დაგვავალა; მოვიხსენიებთ მის კურთხეულ ვნებასა და ძვირფას სიკვდილს, მის ძლევამოსილ აღდგომასა და დიდებულ ამაღლებას; და მოველით მის კვლავ მოსვლას, ძლიერებითა და დიადი დიდებით.

და მთელი სიმდაბლით შეგთხოვთ შენ, მამავ მოწყალეო, რომ შეისმინო ჩვენი, და შენი სიტყვითა და წმინდა სულით, აკურთხო და განწმინდო პურისა და ღვინის ეს ძღვენი, რათა ჩვენთვის ისინი იყვნენ შენი საყვარელი ძის იესო ქრისტეს სხეული და სისხლი.

და ჩვენ მართლაც ველტვით შენს მამობრივ კეთილ გულმოწყალებას, რათა მიიღო ეს ჩვენი ქებისა და მადლიერების მსხვერპლშეწირვა, რომლითაც აქ უფალო ჩვენ გიძღვნით და წარგიდგენთ ჩვენს თავს, ჩვენს სამშვინველებსა და სხეულებს. მოგვმადლე, გევედრებით, რომ ვინც ამ წმინდა ზიარებაში მონაწილეობს, ღირსეულად მიიღოს ყოვლადძვირფასი სხეული და სისხლი ძისა შენისა იესო ქრისტესი, და აღვივსოთ შენი მადლითა და ზეციური კურთხევით; და ასევე, ჩვენ და მთელი შენი ეკლესია გახდეს ერთი სხეული მასში, რათა ის დაემკვიდროს ჩვენში, და ჩვენ მასში; იგივე იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის მიერ. *ამენ.*

მის მიერ, მასთან და მასში, ერთობაში სულისა წმინდისა, ყოველი პატივი და დიდება შენია, ყოვლისშემძლე მამაო, უკუნითი უკუნისამდე. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა, გავბედავთ რომ წარმოვთქვათ:

გაგრძელდება საუფლო ლოცვით.

წმინდა ევქარისტია: მეორე წესი

ღვთის სიტყვა

იგალობება საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

ხალხი დგას, მწირველი ამბობს:

კურთხეულ იყოს ღმერთი: მამა, ძე და წმინდა სული.

ხალხი: **და კურთხეულ იყოს მეუფება მისი, აწ და მარადის.**
ამენ.

აღდგომიდან სულთმოფენობის ჩათვლით ითქმის:

მწირველი: ალელუია. ქრისტე აღდგა.

ხალხი: **უფალი ჭეშმარიტად აღდგა. ალელუია.**

მარხვის ან სხვა სინანულის პერიოდისას ითქმის:

მწირველი: აკურთხეთ უფალი, რომელიც გვპატიობს ყოველ შეცოდებას.

ხალხი: **მარადიულია წყალობა მისი.**

მწირველი ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენთვის ღიაა ყოველი გული,
იცი ყოველი წადილი და შენს წინაშე არ არსებობს დაფარული საიდუმლო:
განწმინდე ჩვენი გულის ზრახვანი შენი წმინდა სულის შთაგონებით,
რათა სრულყოფილად შეგიყვაროთ და ღირსეულად განვადიდოთ შენი წმინდა სახელი. ჩვენი
უფლის, ქრისტეს მიერ. *ამენ.*

როცა ეს განსაზღვრულია, შემდგომი საგალობელი ან განდიდების რომელიმე საგალობელი იგალობება ან ითქმის. ყველა დგას.

დიდება მაღალთა შინა ღმერთს,
და მშვიდობა ქვეყნად მის ხალხს.

უფალო ღმერთო, ზეციერო მეფე,
ყოვლისშემძლე ღმერთო და მამა,
თაყვანს გცემთ, გმადლობთ,
გაქებთ შენი დიდებისათვის.

უფალო იესო ქრისტე, მამის მხოლოდშობილო ძე,
უფალო ღმერთო, ღვთის კრავო,
რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვა:
შეგვიწყალე ჩვენ;
მამის მარჯვენით მჯდომო:
მიიღე ჩვენი ლოცვა.

რადგან მხოლოდ შენ ხარ წმინდა,
მხოლოდ შენ ხარ უფალი,
მხოლოდ შენ ხარ უზენაესი,
იესო ქრისტე,
წმინდა სულთან ერთად,
მამა ღმერთის დიდებაში. ამენ.

სხვა შემთხვევებში გამოიყენება:

უფალო შეგვიწყალე. **კირიე ელეისონ.**
ქრისტე შეგვიწყალე. *ან* ***ქრისტე ელეისონ.***
უფალო შეგვიწყალე. **კირიე ელეისონ.**

ან ეს:

წმინდაო ღმერთო,
წმინდაო ძლიერო,
წმინდაო უკვდავო,
შეგვიწყალე ჩვენ.

დღის კოლექტა

მწირველი ეუბნება ხალხს:

უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი: **და ასევე შენთან.**
მწირველი: ვილოცოთ.

მწირველი ამბობს კოლექტას, ხალხი კი პასუხობს:

ხალხი: **ამენ.**

საკითხავები

ხალხი დამსხდარია, ერთი ან ორი არჩეული საკითხავი იკითხება.

მკითხველი თავდაპირველად ამბობს:

საკითხავი _____-დან.

საკითხავების შემდგომ მკითხველი ამბობს:

უფლის სიტყვა.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

შეიძლება ამას მოსდევდეს მცირე ხნიანი დუმილი.
ყველა საკითხავს შეიძლება მოსდევდეს ფსალმუნის, საგალობლის ან ჰიმნის გალობა.
შემდგომ, ყველა დგას, დიაკონი ან მღვდელი კითხულობს სახარებას, მანამ კი ამბობს:

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წმინდა სახარება _____ მიხედვით.
ხალხი: **დიდება შენ, უფალო ქრისტე.**

სახარების შემდეგ მკითხველი ამბობს:

უფლის სახარება.

ხალხი: **ქება შენ, უფალო ქრისტე.**

ქადაგება.

კვირაობით და ყველა სხვა მნიშვნელოვან დღესასწაულზე ითქმის:

ნიკეის მრწამსი

გვწამს ერთი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა, ზეცისა და ქვეყნიერების, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედი.

გვწამს ერთი უფალი იესო ქრისტე, ღვთის მხოლოდშობილი ძე, რომელიც იშვა მამისაგან, დროის შექმნამდე, ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან, შობილი და არა ქმნილი, მამის თანაარსი. რომლის მიერ ყოველივე შეიქმნა. რომელიც ჩვენთვის, ადამიანთათვის, და ჩვენი ხსნისათვის გარდამოევლინა ზეციდან: წმინდა სულის მიერ განხორციელდა ქალწული მარიამისაგან, და განკაცდა. ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატეს დროს; ეწამა და დაიმარხა. წმინდა წერილის თანახმად აღდგა მესამე დღეს; ამაღლდა ზეცად და დაჯდა მამის მარჯვენით. კვლავ მოვა დიდებით, ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად და მის სუფევას არ ექნება დასასრული.

გვწამს წმინდა სული, უფალი და მაცოცხლებელი, რომელიც მამისაგან გამოდის. მამასთან და ძესთან ერთად ის თაყვანცემული და განდიდებულია, რომელიც საუბრობდა წინასწარმეტყველთა მიერ.
გვწამს ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ვაღიარებთ ერთ ნათლისღებას ცოდვათა მისატევებლად. მოველით მკვდართა აღდგომას და მომავალ საუკუნეებში ცხოვრებას. ამენ.

კვერექსი

ლოცვები აღევლინება:

საყოველთაო ეკლესიის, მისი წევრებისა და მისიისათვის.

ერისა და უფლებამოსილი პირებისათვის.

მსოფლიოს კეთილდღეობისათვის.

ადგილობრივი თემის საჭიროებებისათვის.

მათთვის, ვინც ტანჯვასა და გასაჭირშია.

გარდაცვლილთათვის (წმინდანის მოხსენიებით, როცა ეს საჭიროა).

ცოდვათა აღსარება

აქ ითქმის ცოდვათა აღსარება, თუ კი ის არ თქმულა მანამ. ზოგჯერ შესაძლოა აღსარება გამოტოვებული იყოს.

დიაკონი ან მწირველი ამბობს:

მოდით ვაღიაროთ ღმერთისა და ჩვენი მოყვასის მიმართ ჩადენილი ცოდვები.

მცირედი დუმილი.

ღვთისმსახური და ხალხი ამბობს:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში
და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

ეპისკოპოსი, თუ კი ის ევქარისტიაზე იმყოფება, ან მღვდელი წამოდგება და ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოთ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით შეგინდოთ ყოველი შეცოდება, გაგაძლიეროთ ყოველგვარ სიკეთეში და წმინდა სულის ძალით დაგიფაროთ საუკუნო სიცოცხლეში. ამენ.

მშვიდობა

ყველა დგას. მწირველი ეუბნება ხალხს:

	უფლის მშვიდობა იყოს მარადჟამს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**

შემდგომ მწირველი და მორწმუნეები უფლის სახელით გაცვლიან მშვიდობის ნიშანს.

წმინდა ზიარება

მწირველმა შესაძლოა დაიწყოს ოფერტორიუმი ერთი ან რამდენიმე წინადადებით (გვ.376) ან წმინდა წერილის სხვა წინადადებით.

ოფერტორიუმისას შესაძლოა შესრულდეს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

სამრევლოს წარმომადგენლებს საკურთხეველთან მიაქვთ ხალხის მიერ მიძღვნილი პური, ღვინო და ფული (ან სხვა რომელიმე ძღვენი) აძლევენ მათ დიაკონს ან მწირველს. ძღვენის მირთმევისა და საკურთხეველზე დალაგებისას ხალხი დგას.

დიდი მადლისგება

ევქარისტიული ლოცვა A

ხალხი დგას. მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ეუბნება:

	უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
მწირველი:	შემართეთ გულნი.
ხალხი:	**შევმართავთ უფლისა მიმართ.**
მწირველი:	ვმადლობდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს.
ხალხი:	**სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდგომ, წმინდა ტრაპეზისაკენ მიმართული, მწირველი განაგრძობს:

სამართლიანი, კარგი და სასიხარულოა, რათა ყოველჟამს და ყველგან გმადლობდეთ შენ, ყოვლისშემძლე მამაო, ცისა და მიწის შემოქმედო.

აქ სათანადო წინსართი ითქმის ან იგალობება ყველა კვირადღეს ან სხვა შემთხვევებში, თუ კი ეს გამორჩეულია.

ამიტომ გაქებთ შენ და ხმას ვუერთებთ ანგელოზებს, მთავარანგელოზებსა და ცის მთელს მხედრობას, რომლებიც დაუსრულებლად გალობენ ამ საგალობელს, რათა გააცხადონ დიდება შენი სახელისა:

მწირველი და ხალხი:

წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი ღმერთი ცაბაოთ,
ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.

ჰოსანა მაღალთა შინა.
კურთხეულია ის, ვინც მოდის უფლის სახელით.
ჰოსანა მაღალთა შინა.

ხალხი დგას ან დაჩოქილია.

მწირველი განაგრძობს:

წმინდა და მწყალობელო მამაო: შენს უსაზღვრო სიყვარულში შეგვქმენი შენთვის; და როდესაც ცოდვაში ჩავვარდით და გავხდით ბოროტსა და სიკვდილზე დაქვემდებარებულნი, შენ, შენს მოწყალებაში, გამოგზავნე იესო ქრისტე, შენი მხოლოდშობილი და მარადიული ძე, ჩვენი ადამიანური ბუნების გასაზიარებლად, რომ ეცხოვრა და მომკვდარიყო ვითარცა ერთ-ერთი ჩვენგანი, რათა შევერიგებინეთ შენთან, ღმერთთან და ყოველთა მამასთან.

მან მისი მკლავები გაშალა ჯვარზე, და შენი ნებისადმი მორჩილებით შესწირა თავი, სრულყოფილ მსხვერპლად მთელი ქვეყნიერებისთვის.

პურზე კურთხევის შემდგომი სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინოზე კურთხევის სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

ტანჯვისა და სიკვდილისათვის გადაცემის ღამეს, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ აიღო პური; და როცა მადლი შეგწირა, გატეხა, მისცა თავის მოწაფეებს და თქვა: „მიიღეთ, ჭამეთ: ეს ჩემი სხეულია, თქვენთვის მიცემული. აკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად“.

სერობის შემდეგ აიღო ღვინის სასმისი; და მადლობის შეწირვის შემდეგ მისცა ის მათ და თქვა: „შესვით ყველამ აქედან: ეს ჩემი სისხლია ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. აკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად, რამდენჯერაც შესვამთ.“

ამიტომაც ვაცხადებთ რწმენის საიდუმლოს:

მწირველი და ხალხი:

ქრისტე მოკვდა.
ქრისტე აღდგა.
ქრისტე დაბრუნდება.

მწირველი განაგრძობს:

მამაო, ქებისა და მადლისგების ამ მსხვერპლში აღვნიშნავთ ჩვენი გამოსყიდვის ხსოვნას. მისი სიკვდილის, აღდგომისა და ამაღლების გახსენებით მოგიძღვნით ამ ძღვენს.

შენი წმინდა სულით წმინდაჰყავ ისინი, რათა შენი ხალხისთვის იყვნენ სხეული და სისხლი შენი ძისა, ახალი და უსასრულო სიცოცხლის წმინდა საკვები და სასმელი მასში. წმინდაგვყავ ჩვენც, რათა

ერთგულად მივიღოთ ეს წმინდა საიდუმლო, და გემსახუროთ შენ ერთობით, უცვალებლობითა და მშვიდობით; და უკანასკნელ დღეს შენს ყოველ წმინდანთან ერთად შეგვიყვანე შენი მარადიული სუფევის სიხარულში.

ყოველივე ამას შეგთხოვთ შენი ძის იესო ქრისტეს მიერ. მის მიერ, მასთან ერთად და მასში, წმინდა სულთან ერთობაში, ყოველი პატივი და დიდება შენია, ყოვლისშემძლე მამაო, აწ და მარადის. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა
მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა,
ვბედავთ რომ წარმოვთქვათ:

როგორც ჩვენმა მაცხოვარმა
ქრისტემ გვასწავლა,
ახლა ვლოცულობთ:

ხალხი და მწირველი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ.

პურის გატეხვა

მწირველი ტეხს ნაკურთხ პურს.

ამ დროს არის მდუმარების პერიოდი.

შემდგომ შეიძლება ითქვას ან იგალობოს:

[ალელუია.] ქრისტე, პასექი ჩვენი, შეეწირა ჩვენს გამო;
ამიტომაც ვიდღესასწაულოთ. [ალელუია].

მარხვაში ალელუია გამოტოვებულია, ასევე შეიძლება გამოტოვებული იყოს ის სხვა დროსაც, გარდა აღდგომის პერიოდისა.

პურის გატეხვის დროს შესაძლოა ერთობლივად ითქვას ან იგალობოს შემდეგი:

ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
მოგვმადლე ჩვენ მშვიდობა.

პირით ხალხისაკენ მწირველს შეუძლია წარმოთქვას შემდეგი მოსაწვევი:

ღვთის ძღვენი ღვთის ხალხისათვის.
შეიძლება დაამატოს: მიიღეთ ისინი იმის გახსენებით, რომ ქრისტე აღესრულა თქვენთვის და იკვებეთ მისით, თქვენს გულებში რწმენითა და მადლიერებით.

ღვთისმსახური მიიღებს საიდუმლოს ორივე სახით (პურითა და ღვინით) და მაშინვე დაურიგებს მას ხალხს.

პური და ბარძიმი მიეცემა მაზიარებლებს ამ სიტყვებით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეულმა (სისხლმა) დაგიფაროს საუკუნო სიცოცხლეში. ***[ამენ].***

ან ამ სიტყვებით:

ქრისტეს სხეული, პური ზეციისა. ***[ამენ].***
ქრისტეს სისხლი, ბარძიმი ხსნისა. ***[ამენ].***

ზიარების განაწილების დროს შეიძლება იგალობოს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.
ზიარების შემდეგ მწირველი ამბობს:

ვილოცოთ.

მწირველი და ხალხი:

მარადიულო ღმერთო, ზეციერო მამა,
შენ გულმოწყალედ მიგვიღე შენი ძის,
ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ცოცხალ წევრებად
და დაგვაპურე სულიერი საკვებით
მისი სხეულისა და სისხლის საიდუმლოში.
ახლა მშვიდობით მიგვავლინე ქვეყნად,
გვიბოძე ძალა და გამბედაობა,
რათა გვიყვარდე და გემსახუროთ,
სიხარულითა და გულწრფელებით;

ჩვენი უფლის ქრისტეს მიერ. ამენ.

ან შემდგომი:

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო,
გმადლობთ რომ გამოგვკვებე შენი ძის -
ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს
უძვირფასესი სხეულისა და სისხლის
სულიერი საკვებით;
და ამ წმინდა საიდუმლოებებში ჩვენი დარწმუნებისათვის,
რომ ცოცხალი წევრები ვართ შენი ძის სხეულისა,
და მემკვიდრენი შენი მარადიული სუფევისა.
და ახლა, მამაო, მიგვავლინე
რათა ვქმნათ შენგან ბოძებული საქმე,
რომ გვიყვარდე და გემსახუროთ,
როგორც ქრისტეს - ჩვენი უფლის
ერთგულმა მოწმეებმა.
მასთან, შენთან და წმინდა სულთან,
იყოს პატივი და დიდება, აწ და მარადის. ამენ.

ეპისკოპოსს, თუ კი ის ევქარისტიაზე იმყოფება, ან მღვდელს შეუძლია აკურთხოს ხალხი.

დიაკონი ან მწირველი დაასრულებს ევქარისტიას შემდეგი სიტყვებით:

დიაკონი: წავიდეთ ქრისტეს სახელით.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან:

დიაკონი: წადით მშვიდობით, უფლის სიყვარულისა და მსახურებისათვის.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან:

დიაკონი: წავიდეთ ქვეყნად, სულის ძალაში მოზეიმენი.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან:

დიაკონი: ვაკურთხოთ უფალი.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

აღდგომის ღამიდან სულთმოფენობამდე გამოსამშვიდობებელ სიტყვას შესაძლოა დაემატოს „ალელუია, ალელუია“, რომელსაც ხალხი პასუხობს: **მადლობა ღმერთს. ალელუია, ალელუია.**

ევქარისტიული ლოცვა B

ხალხი დგას. მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ეუბნება:

	უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
მწირველი:	შემართეთ გულნი.
ხალხი:	**შევმართავთ უფლისა მიმართ.**
მწირველი:	ვმადლობდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს.
ხალხი:	**სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდგომ, წმინდა ტრაპეზისაკენ მიმართული, მწირველი განაგრძობს:

სამართლიანი, კარგი და სასიხარულოა, რათა ყოველჟამს და ყველგან გმადლობდეთ შენ, ყოვლისშემძლე მამაო, ცისა და მიწის შემოქმედო.

აქ სათანადო წინსართი ითქმის ან იგალობება ყველა კვირადღეს ან სხვა შემთხვევებში, თუ კი ეს გამორჩეულია.

ამიტომ გაქებთ შენ და ხმას ვუერთებთ ანგელოზებს, მთავარანგელოზებსა და ცის მთელს მხედრობას, რომლებიც დაუსრულებლად გალობენ ამ საგალობელს, რათა გააცხადონ დიდება შენი სახელისა:

მწირველი და ხალხი:

წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი ღმერთი ცაბაოთ,
ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.
ჰოსანა მაღალთა შინა.
კურთხეულია ის, ვინც მოდის უფლის სახელით.
ჰოსანა მაღალთა შინა.

ხალხი დგას ან დაჩოქილია.

მწირველი განაგრძობს:

გმადლობთ შენ, ღმერთო, იმ სიკეთისა და სიყვარულისათვის რომელიც შენს ქმნილებაში განგვიცხადე; ისრაელისადმი მოწოდებაში რომ ყოფილიყვნენ შენი ხალხი; წინასწარმეტყველთა მიერ თქმულ შენს სიტყვაში; და უპირველეს ყოვლისა ხორცშესხმულ სიტყვაში, იესოში, შენს ძეში.

ამ უკანასკნელ დღეებში შენ წარმოგზავნე ის რომ განკაცებულიყო ქალწული მარიამისაგან, რათა ყოფილიყო მსოფლიოს მაცხოვარი და გამომსყიდველი. მისით დაგვიხსენი ბოროტისაგან და გაგვხადე ღირსი შენს წინაშე წარდგომისა. მისით გადაგვიყვანე სიმცდარიდან ჭეშმარიტებაში, ცოდვიდან ღირსებაში, სიკვდილიდან სიცოცხლეში.

პურზე კურთხევის შემდგომი სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინოზე კურთხევის სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

იმ ღამით, ვიდრე ჩვენთვის აღესრულებოდა, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ აიღო პური; და შენს მიმართ მადლობის შეწირვის შემდეგ, გატეხა ის, მისცა თავის მოწაფეებს და თქვა, „მიიღეთ, ჭამეთ: ეს თქვენთვის მიცემული ჩემი სხეულია. ამას აკეთებდეთ ჩემს გასახსენებლად.“

სერობის შემდგომ აიღო ღვინის თასი; მადლობის შეწირვის შემდეგ მისცა ის თავის მოწაფეებს და თქვა; „დალიეთ ეს ყველამ: ეს ჩემი სისხლია ახალი აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. როდესაც შესვამთ ამას, გააკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად“.

ამიტომაც, მისი ნების თანახმად, მამაო

მწირველი და ხალხი:

გვახსოვს მისი სიკვდილი,
ვაცხადებთ მის აღდგომას,
მოველით მის დიდებით მოსვლას;

მწირველი განაგრძობს:

და გთავაზობთ ჩვენი ქებისა და მადლიერების მსხვერპლშეწირვას შენ, ყოველივეს უფალო; შენი ქმნილებიდან წარმოგიდგენთ ამ პურსა და ამ ღვინოს.
ლოცვით გევედრებით, მწყალობელო ღმერთო, რომ გარდამოავლინო შენი წმინდა სული ამ ძღვენზე რათა იყოს ის ახალი აღთქმის საიდუმლოება, ქრისტეს სხეულისა და სისხლისა. მისი მსხვერპლშეწირვით გაგვაერთიანე შენს ძეში, რათა მისაღებნი ვიყოთ მისით, განწმენდილნი წმინდა სულის მიერ. დროის სისრულეში ყველაფერი დაუქვემდებარე შენს ქრისტეს და შეგვიყვანე ჩვენ იმ ზეციურ ქვეყანაში, სადაც [_____და] შენს ყველა წმინდანთან ერთად, ჩვენც შევალთ შენი ძეებისა და ქალიშვილების მარადიულ მემკვიდრეობაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც არის ქმნილებამდე პირველშობილი, ეკლესიის თავი და ჩვენი ხსნის შემოქმედი.
მისით, მასთან ერთად და მასში, წმინდა სულთან ერთობაში ყველა პატივი და დიდება შენია, ყოვლისშემძლე მამაო, აწ და მარადის. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა
მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა,
ვბედავთ რომ წარმოვთქვათ:

როგორც ჩვენმა მაცხოვარმა
ქრისტემ გვასწავლა,
ახლა ვლოცულობთ:

გრძელდება საუფლო ლოცვით.

ევქარისტიული ლოცვა C

ამ ლოცვაში, კურსივით დაწერილი წინადადებები ხალხის მიერ ითქმის.

მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს, ან ამბობს:

უფალი იყოს თქვენთან.
და ასევე შენთან.

შემართეთ გულნი.
შევმართავთ უფლისა მიმართ.

ვმადლობდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს.
სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.

შემდგომ, წმინდა ტრაპეზისაკენ მიმართული, მწირველი აგრძელებს:

ღმერთო ყოველთა ძალთაო, სამყაროს გამგებელო, შენ ხარ ღირსი დიდებისა და ქებისა.
დიდება შენ, უკუნითი უკუნისამდე.

შენი ბრძანებით გაჩნდა ყოველივე: უკიდეგანო ვარსკვლავთშორისი სივრცე, გალაქტიკები, მზეები, პლანეტები მათივე მიმართულებებით, და ეს მყიფე დედამიწა, ჩვენი კუნძული სახლი.
შენი ნებით შეიქმნა ისინი და გააჩნიათ თავიანთი არსებობა.

პირველადი ელემენტებიდან შენ შექმენი ადამიანთა მოდგმა და გვაკურთხე მეხსიერებით, აზროვნებითა და უნარით. შენ გაგვხადე ქმნილების გამგებლები. მაგრამ ჩვენ ზურგი გაქციეთ და ვუღალატეთ შენს ნდობას; და ზურგი ვაქციეთ ერთმანეთს.
შეგვიწყალე, უფალო, რადგან ცოდვილნი ვართ შენს წინაშე.

მრავალგზის მოგვიწოდე რომ მოვბრუნებულიყავით. წინასწარმეტყველთა და ბრძენთა მეშვეობით გაგვიცხადე შენი სამართლიანი კანონი. და დროის სისრულეში გამოგზავნე შენი მხოლოდშობილი ძე, ქალისაგან შობილი, რომ აღესრულებინა რჯული შენი, რათა გაეხსნა ჩვენთვის გზა თავისუფლებისა და მშვიდობისა.
მისი სისხლით შეგვირიგა ჩვენ.
მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ.

და ამიტომ გაქებთ შენ და ვუერთდებით ზეციურ გუნდს, წინასწარმეტყველებთან, მოციქულებთან და მოწამეებთან, და ყოველ თაობაში ყოველ მათგანთან ერთად, რომლებიც იმედით შეგყურებდნენ, რათა მათთან ერთად გავაცხადოთ შენი დიდება, მათ დაუსრულებელ საგალობელში:

მწირველი და ხალხი:

წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი, ღმერთი ცაბაოთ,
ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.
ჰოსანა მაღალთა შინა.
კურთხეულია ის, ვინც მოდის უფლის სახელით.
ჰოსანა მაღალთა შინა.

მწირველი განაგრძობს:

ასე რომ, მამაო, ჩვენ რომელნიც მის მიერ ვართ გამოსყიდულნი და წყლისა და სულის მიერ ახალ ხალხად გამხდარნი, ახლა შენს წინაშე მოგვაქვს ეს ძღვენნი. შენი წმინდა სულით განწმინდე ისინი, რათა იყოს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეული და სისხლი.

პურზე კურთხევის შემდგომი სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინოზე კურთხევის სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

იმ ღამით, როცა გასცეს, მან აიღო პური, წარმოთქვა კურთხევა, გატეხა, მისცა მის მეგობრებს და თქვა: „მიიღეთ, ჭამეთ: ეს არის ხორცი ჩემი, რომელიც თქვენთვის მიეცემა. აკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად.“

სერობის შემდგომ, მან აიღო ღვინის სასმისი, მადლი შესწირა და თქვა: „შესვით ეს ყველამ: ეს ჩემი სისხლია ახალი აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. აკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად, რამდენჯერაც შესვამთ.“

ვიხსენებთ ახლა გამოსყიდვის მისეულ საქმეს და გწირავთ შენ მადლიერების ამ მსხვერპლს,
ჩვენ **აღვასრულებთ** ***მის სიკვდილსა და აღდგომას,***
ვიდრე მოველით მისი მოსვლის დღეს.

უფალო ღმერთო მამათა ჩვენთა; ღმერთო აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთო და მამა: აგვიხილე თვალნი, რათა ჩვენს ირგვლივ არსებულ ქვეყნიერებაში ვიხილოთ შენი მოქმედი ხელი. დაგვიფარე კადნიერებისაგან რომ ამ ტრაპეზზე მხოლოდ ნუგეშისთვის მოვიდეთ და არა გაძლიერებისთვის; მხოლოდ მიტევებისთვის და არა განახლებისთვის. დაე ამ წმინდა ზიარების მადლმა გაგვხადოს ერთი სხეული, ერთი სული ქრისტეში, რათა ღირსეულად ვემსახუროთ ქვეყნიერებას მისი სახელით.
აღმდგარო უფალო, განგვიცხადდი ჩვენ პურის გატეხვაში.

მიიღე ეს ლოცვანი და ქებანი, მამაო, იესო ქრისტეს - ჩვენი დიდი მღვდელმთავრის მიერ, რომელშიც, შენთან და წმინდა სულთან ერთად, შენი ეკლესია გიძღვნის პატივს, დიდებასა და თაყვანისცემას, თაობიდან თაობაში. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა

როგორც ჩვენმა მაცხოვარმა

მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა,	ქრისტემ გვასწავლა,
ვბედავთ რომ წარმოვთქვათ:	ახლა ვლოცულობთ:

გრძელდება საუფლო ლოცვით.

ევქარისტიული ლოცვა D

ხალხი დგას. მწირველი (ეპისკოპოსი ან მღვდელი) მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ამბობს:

	უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
მწირველი:	შემართეთ გულნი.
ხალხი:	**შევმართავთ უფლისა მიმართ.**
მწირველი:	ვმადლობდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს.
ხალხი:	**სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდგომ, წმინდა ტრაპეზისაკენ მიმართული, მწირველი განაგრძობს:

ჭეშმარიტად სამართლიანია რომ გადიდებდეთ და გმადლობდეთ შენ, მამაო; რადგან მხოლოდ შენ ხარ ღმერთი, ცოცხალი და ჭეშმარიტი, მიუწვდომელ ნათელში დავანებული, ჟამის დასაბამამდე და მარადიულად.

სიცოცხლის შადრევანო და ყოველი სიკეთის წყარო, შენ გააჩინე ყოველივე და აღავსე შენი კურთხევით; შენ შექმენი ისინი რომ ეხარათ შენი ნათლის ბრწყინვალებაში.

შენს წინაშე დგას ანგელოზთა უთვალავი დასი, რათა გემსახურონ დღისითა და ღამით; და შენი ყოფნის დიდების მხედველნი, განუწყვეტელ ქებას გწირავენ. მათთან გაერთიანებულნი და ცისქვეშეთში ყველა ქმნილებასთან ერთხმად, გაღიარებთ და განვადიდებთ შენს სახელს, გალობით (სიტყვებით):

მწირველი და ხალხი:

წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი, ღმერთი ცაბაოთ,
ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.
ჰოსანა მაღალთა შინა.
კურთხეულია ის, ვინც მოდის უფლის სახელით.
ჰოსანა მაღალთა შინა.

ხალხი დგას ან დაჩოქილია.

მწირველი განაგრძობს:

გაღიარებთ შენ, წმინდა უფალო, დიდებულო ძალით. შენი ძლევამოსილი საქმეები აცხადებენ შენს სიბრძნესა და სიყვარულს. შენ შეგვქმენი შენს ხატად, მთელი ქვეყნიერება მიანდე ჩვენს ზრუნვას, რათა, შენდამი მორჩილებით, ჩვენო შემოქმედო, გვებატონა და გვემსახურა შენი ყველა ქმნილებისათვის. როცა ჩვენმა ურჩობამ დაგვაშორა შენთან, შენ არ მიგვატოვე ჩვენ სიკვდილის ძალაუფლებაში. შენი მოწყალებით მოხვედი ჩვენს შეწევნად, რათა შენმა მაძიებლებმა გპოვოთ. კვლავ და კვლად მოგვიხმე შენთან კავშირში და წინასწარმეტყველთა საშუალებით გვასწავლე სასოება ხსნისა.

მამაო, ისე ძლიერ შეიყვარე ქვეყნიერება, რომ დროის სისრულეში მოგვივლინე შენი ერთადერთი ძე ჩვენს მაცხოვრად. ხორცშესხმულმა წმინდა სულის მიერ, შობილმა ქალწული მარიამისაგან, მან იცხოვრა ვითარცა ერთ-ერთმა ჩვენგანმა, თუმცა უცოდველად. ღარიბთათვის მან გააცხადა ხსნის კეთილი ამბავი; პატიმართათვის - თავისუფლება; მწუხარეთათვის - სიხარული. შენი მიზნის აღსასრულებლად, მან სასიკვდილოდ გადასცა თავი; და საფლავიდან აღდგომით, დაამარცხა სიკვდილი და განაახლა მთელი ქმნილება.

და რათა აღარ ვიცხოვროთ მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მისთვის ვინც მოკვდა და აღდგა ჩვენთვის, მან გამოგზავნა წმინდა სული, მისი უპირველესი ძღვენი მორწმუნეთათვის, რათა აღესრულებინა თავისი საქმე ამ სამყაროში და წმინდაეყო ყოველივე.

პურზე კურთხევის შემდგომი სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს პური ან ხელი დაადოს მას; ღვინოზე კურთხევის სიტყვების წარმოთქმისას, მწირველმა ხელში უნდა აიღოს ბარძიმი ან ხელი დაადოს იმ ჭურჭელს რომელშიც საზიარებელი ღვინოა.

როდესაც დაუდგა ჟამი განდიდებულიყო შენგან, თავისი ზეციერი მამისაგან,
შეიყვარა რა თავისიანები, ვინც ქვეყნიერებაში იყვნენ, ბოლომდე შეიყვარა ისინი; მათთან სერობაზე აიღო პური, და როდესაც მადლი შემოგწირა, გატეხა ის, მისცა თავის მოწაფეებს და უთხრა: "აიღეთ და ჭამეთ, ეს ჩემი სხეულია თქვენთვის მოცემული. გააკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად".

სერობის შემდეგ აიღო ღვინის თასი; მადლობის შეწირვის შემდგომ მისცა ის თავის მოწაფეებს და თქვა; „დალიეთ ეს ყველამ: ეს ჩემი სისხლია ახალი აღთქმისა თქვენთვის და მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად. როდესაც შესვამთ ამას, გააკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად".

მამაო, ახლა ვზეიმობთ ჩვენი გამოსყიდვის ამ გახსენებას. ვიხსენებთ ქრისტეს სიკვდილს და მკვდრებს შორის მის ჩასვლას, ვაცხადებთ მის აღდგომას და შენს მარჯვნივ მის ამაღლებას, მოველით მის დიდებით მოსვლას; და მოგართმევთ შენ ამ პურსა და სასმისს, შენს მიერ ჩვენთვის მოცემული ძღვენიდან, გაქებთ და გაკურთხებთ შენ.

მწირველი და ხალხი:

გაქებთ, გაკურთხებთ,
გმადლობთ და
შენდამი ვლოცულობთ, უფალო ჩვენო ღმერთო.

მწირველი განაგრძობს:

უფალო, შეგთხოვთ რომ შენი სიკეთითა და მოწყალებით შენი წმინდა სული გარდამოვიდეს ჩვენზე და ამ ძღვენზე, წმინდაჰყავ და გამოავლინე შენი წმინდა ერისათვის ნაკურთხ ძღვენად, სიცოცხლის პური და ხსნის სასმისი, შენი ძის - იესო ქრისტეს სხეული და სისხლი.

მოგვმადლე რომ ყველა, ვინც ამ პურსა და სასმისს გაინაწილებს, გახდეს ერთი სხეული და ერთი სული, ცოცხალი მსხვერპლი ქრისტეში, შენი სახელის ქებისათვის.

მოიხსენე, უფალო, შენი ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, შენი ქრისტეს სისხლით გამოსყიდული. გამოავლინე მისი ერთიანობა, დაიცავი მისი რწმენა და შეინარჩუნე ის მშვიდობაში.

[მოიხსენე (NN. და) ყველა ვინც მსახურობს შენს ეკლესიაში.]
[მოიხსენე შენი ყოველი ხალხი და ისინი, ვინც შენს ჭეშმარიტებას ეძიებენ.]
[მოიხსენე _____.]
[მოიხსენე ყველა, რომლებიც ქრისტეს მშვიდობაში აღესრულნენ და ისინი, რომელთა რწმენაც მხოლოდ შენთვისაა ცნობილი; მიიყვანე ისინი მარადიული სიხარულისა და სინათლის სამყოფელში.]

მოგვმადლე რომ ვპოვოთ ჩვენი მემკვიდრეობა [კურთხეულ ქალწულ მარიამთან, პატრიარქებთან, წინასწარმეტყველებთან, მოციქულებთან და მოწამეებთან, (_____-თან) და] ყველა წმინდანთან, რომლებმაც უწინ შენთან ჰპოვეს წყალობა. გაქებთ მათთან ერთობაში და გადიდებთ შენი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით.

ქრისტეს მიერ, ქრისტესთან და ქრისტეში, მთელი პატივი და დიდება შენია, ყოვლისშემძლე ღმერთო და მამა, წმინდა სულთან ერთობაში, უკუნითი უკუნისამდე. *ა მ ე ნ.*

და ახლა, ვითარცა ჩვენმა
მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა,
ვბედავთ რომ წარმოვთქვათ:

როგორც ჩვენმა მაცხოვარმა
ქრისტემ გვასწავლა,
ახლა ვლოცულობთ:

გრძელდება საუფლო ლოცვით.

კვერექსი

ფორმა I

დიაკონი ან სხვა ლიდერი:

მთელი ჩვენი გულითა და გონებით ვილოცოთ უფლისადმი, პასუხით: “უფალო შეგვიწყალე.”

> ზეგარდმო მშვიდობისათვის, ღვთის კაცთმოყვარებისა და ჩვენს სულთა ცხონებისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
> ***უფალო შეგვიწყალე.***

მსოფლიოს მშვიდობისათვის, ღვთის წმინდა ეკლესიის კეთილდღეობისა და ყოველ ხალხთა ერთობისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ჩვენი ეპისკოპოსის, ყოველი ღვთისმსახურისა და ხალხისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ჩვენი პრეზიდენტის, ერთა ლიდერებისა და ყოველი ხელისუფალისთვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ამ ქალაქისთვის (სოფლისთვის, _____-სთვის), ყოველი ქალაქისა და თემისთვის, და მასში მცხოვრებთათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

> სეზონური ამინდისა და მიწის ნაყოფთა სიუხვისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
> ***უფალო შეგვიწყალე.***

ღვთისაგან ბოძებული კეთილი დედამიწისათვის, და სიბრძნისა და ნებისათვის რათა შევინარჩუნოთ ის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

უფალო შეგვიწყალე.

ხმელეთზე, წყალზე თუ ჰაერში [ან კოსმოსში] მოგზაურთათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ხანდაზმულთა და უძლურთათვის, ქვრივთა და ობოლთათვის, და სნეულთა და ტანჯულთათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

_____-სთვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ღარიბთა და ჩაგრულთათვის, უმუშევართა და გაჭირვებულთათვის, პატიმართა და ტყვეთათვის, და ყოველი მათგანისათვის, ვისაც ისინი ახსოვს და ზრუნავს, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

აღდგომის იმედით ყოველი განსვენებულისთვის, და ყოველი გარდაცვლილისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ყოველი საფრთხის, ძალადობის, ჩაგვრისა და დამცირებისაგან დაცულობისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

ჩვენს ცოდვათა და დანაშაულთა შენდობისა და მიტევებისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

რათა ჩვენი ცხოვრება რწმენითა და იმედით განვასრულოთ, ტანჯვისა და სირცხვილის გარეშე, უფლისა მიმართ ვილოცოთ.
უფალო შეგვიწყალე.

დაგვიფარე, გვიხსენ და შენს მოწყალებაში დაგვიცავ ჩვენ, უფალო, შენითა მადლითა.
უფალო შეგვიწყალე.

[_____-სთან და] ყოველ წმინდანთან თანაზიარებაში თავნი თვისნი და ურთიერთარს და ყოველი ცხოვრებაი ჩვენი ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ.
შენ, უფალო ღმერთო ჩვენო.

მდუმარება

მწირველი ამბობს დამამთავრებელ კოლექტას.

კვერექსი

ფორმა II

ყოველი ლოცვის შემდგომ, ხალხი აღავლენს საკუთარ ლოცვებსმ მდუმარებით ან ხმამაღლა.

შეგთხოვთ ლოცვებს მთელს მსოფლიოში ღვთის ხალხისათვის;
ჩვენი ეპისკოპოს[ებ]ის _____; ამ შეკრებისათვის; და ყოველი ღვთისმსახურისა და ხალხისათვის.
ილოცეთ ეკლესიისათვის.

მდუმარება

შეგთხოვთ ლოცვებს მშვიდობისათვის; ერთა შორის კეთილმოსურნეობისა და ყოველი ხალხის კეთილდღეობისათვის.
ილოცეთ სამართლიანობისა და მშვიდობისათვის.

მდუმარება

შეგთხოვთ ლოცვებს ღარიბთა, სნეულთა, მშიერთა, ჩაგრულთა და საპატიმროში მყოფთათვის.
ილოცეთ მათთვის, ვისაც შეწევნა ესაჭიროება ან გასაჭირშია.

მდუმარება

შეგთხოვთ ლოცვებს ყოველთათვის, ვინც ღმერთს ეძიებს, ან მასში ჩაწვდომა სურს.
ილოცეთ, რათა მათ იპოვონ ის და იყვნენ ნაპოვნი მის მიერ.

მდუმარება

შეგთხოვთ ლოცვებს გარდაცვლილთათვის [განსაკუთრებით _____].
ილოცეთ მათთვის, ვინც მიიცვალა.

მდუმარება

სამრევლოს წევრებს შეუძლიათ იქ მყოფთათვის ლოცვისა და სამადლობლის აღვლენა:

შეგთხოვთ ლოცვებს _____-სთვის.
შეგთხოვთ სამადლობელს _____-სთვის.

მდუმარება

დიდება ღმერთს, ყველა თაობაში მათთვის, ვისგანაც პატივგებულია ქრისტე [განსაკუთრებით _____-სთვის, ვისაც დღეს მოვიხსენებთ].
ილოცეთ, რათა ჩვენც გვქონდეს მადლი, რომ ჩვენს ჟამშიც განვადიდოთ ქრისტე.

მდუმარება

აღმსრულებელი ამატებს დამამთავრებელ კოლექტას.

კვერექსი

ფორმა III

ლიდერი და ხალხი ლოცულობს შეპასუხებით:

მამაო, ვლოცულობთ შენი წმინდა კათოლიკე ეკლესიისათვის;
რათა ყოველნი ერთნი ვიყოთ.

მოგვმადლე რომ ეკლესიის თითოეული წევრი ჭეშმარიტად და თავმდაბლად გემსახუროს შენ;
რათა ყველა ხალხმა განადიდოს სახელი შენი.

ვლოცულობთ ყველა ეპისკოპოსის, მღვდლისა და დიაკვნისათვის;
რათა ისინი იყვნენ შენი სიტყვისა და საიდუმლოების ერთგული მსახურნი.

ვლოცულობთ ყველასთვის, ვინც მსოფლიოს ერებში მმართველობს და ხელთ უპყრია ძალაუფლება;
რათა სამართლიანობა და მშვიდობა სუფევდეს დედამიწაზე.

მოგვეცი მადლი, რათა აღვასრულოთ შენი ნება ყველაფერში, რასაც შევუდგებით;
რათა ჩვენი შრომა სათნო იყოს შენს თვალში.

შეიბრალე ვინც რაიმე დარდით ან განსაცდელით იტანჯება;
რათა განთავისუფლდნენ თავიანთი გასაჭირისაგან.

მიეცი გარდაცვლილებს მარადიული განსვენება;
დაე სამარადისო ნათელი ანათებდეს მათზე.

გაქებთ შენი წმინდანებისათვის, რომლებიც სიხარულში შევიდნენ;
დაე ჩვენც მოვიდეთ შენი ზეციური სამეფოს გასაზიარებლად.

ვილოცოთ ჩვენი და სხვების საჭიროებებისათვის.

დუმილი

ხალხს შეუძლია საკუთარი სავედრებლების დამატება.

აღმსრულებელი ამატებს დამამთავრებელ კოლექტას.

კვერექსი

ფორმა IV

დიაკონი ან სხვა ლიდერი:

ვილოცოთ ეკლესიისა და მსოფლიოსთვის.

მოგვმადლე, ყოვლისშემძლე ღმერთო, რომ ყველა ვინც შენს სახელს აღიარებს, გაერთიანდეს შენს ჭეშმარიტებაში, ერთად იცხოვრონ შენს სიყვარულში და გამოავლინონ შენი დიდება ქვეყნიერებაში.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

წარმართე ამ მიწის ხალხი და ყველა ერი, სამართლიანობისა და მშვიდობის გზებზე; რათა პატივი ვცეთ ერთმანეთს და ვემსახუროთ საერთო სიკეთეს.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

მოგვეცი ყველას, შენი ქმნილების - დედამიწისადმი მოწიწება, რათა სწორად გამოვიყენოთ მისი რესურსები სხვათა მსახურებისა და შენი პატივისა და დიდებისათვის.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

აკურთხე ყველა, რომელთა ცხოვრებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენთან და მოგვმადლე რომ ქრისტეს ვემსახუროთ მათში და გვიყვარდეს ერთმანეთი ისე, ვითარცა მას ვუყვარვართ ჩვენ.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

ანუგეშე და განკურნე ყველა, ვინც იტანჯება სხეულში, გონებასა და სულში; მიეცი მათ გამბედაობა და იმედი მათ გასაჭირში და მიუტანე მათ შენი ხსნის სიხარული.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

შენს მოწყალებას მივანდობთ ყოველ გარდაცვლილს, რათა შენი ნება აღსრულდებს მათთვის; და ვლოცულობთ რომ შენს ყოველ წმინდანთან ერთად ჩვენც გავიზიაროთ შენი მარადიული სასუფეველი.

დუმილი.

უფალო შენს მოწყალებაში
შეისმინე ლოცვა ჩვენი.

აღმსრულებელი ამატებს დამამთავრებელ კოლექტას.

კვერექსი

ფორმა V

დიაკონი ან სხვა ლიდერი ამბობს:

მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ, პასუხით: „უფალო შეგვიწყალე“ (*ან* „კირიე ელეისონ”).

ღვთის წმინდა ეკლესიისათვის, რათა ის აღვსილი იყოს ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, და უდანაშაულო აღმოჩნდეს შენი მოსვლის დღეს, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ჩვენი თავჯდომარე ეპისკოპოსის - *N-სთვის,* ჩვენი ეპისკოპოსის - *N-სთვის*, ყოველი ეპისკოპოსისა და სხვა ღვთისმსახურთათვის, და ღვთის ყოველი წმინდა ხალხისათვის, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ყოველი ღვთისმოშიშისა და შენი მორწმუნისათვის, უფალო ქრისტე, რათა შეწყდეს ჩვენი განხეთქილება და ყველანი იყვნენ ისეთივე ერთნი, ვითარცა შენ და მამა ხართ ერთნი, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ეკლესიის მისიისათვის, რათა ერთგულ დამოწმებაში ის ქადაგებდეს სახარებას დედამიწის კიდეებამდე, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

მათთვის ვისაც ჯერაც არ სწამს და მათთვის, რომლებმაც დაკარგეს რწმენა, რათა მათაც მიიღონ სახარების ნათელი, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

სამყაროს მშვიდობისათვის, რათა ერებსა და ხალხებს შორის გაიზარდოს პატივისცემისა და შემწყნარებლობის სული, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

საჯარო ნდობის პოზიციაზე მყოფთათვის [განსაკუთრებით _____-სთვის], რათა ისინი ემსახურონ სამართლიანობას და ხელი შეუწყონ ყოველი ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ყველასთვის, ვინც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს და მუშაობს [განსაკუთრებით _____-სთვის], შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ყოველი ადამიანის შრომის კურთხევისათვის და ქმნილების დოვლათის სწორი გამოყენებისათვის, რათა ქვეყნიერება განთავისუფლდეს სიღარიბის, შიმშილობისა და უბედურებისაგან, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ღარიბთა, დევნილთა, სნეულთა და ყოველთათვის, ვინც იტანჯება; ლტოლვილთა, პატიმართა და ყოველთათვის, ვინც საფრთხეშია; რათა შემსუბუქებულნი და დაცულნი იყვნენ, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ამ *სამრევლოსთვის* [აქ მყოფთა და არმყოფთათვის], რათა გავთავისუფლდეთ გულის სიმძიმისაგან და გამოვავლინოთ შენი დიდება ყველაფერში რასაც ვაკეთებთ, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ჩვენი მტრებისათვის და მათთვის, ვინც ბოროტებას გვისურვებს; და ყველასთვის, ვისაც ზიანი მივაყენეთ ან შეურაცხვყავით, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ჩვენთვის; ჩვენს ცოდვათა მიტევებისა და წმინდა სულის მადლისათვის, რათა გამოვასწორით ჩვენი ცხოვრება, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

მათთვის, ვინც ჩვენს ლოცვებს საჭიროებს; ჩვენი ოჯახების, მეგობრებისა და მეზობლებისათვის; რათა შფოთვისაგან განთავისუფლებულებმა, სიხარულში, მშვიდობასა და ჯანმრთელობაში იცხოვრონ, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

_____-სთვის, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

ყოველთათვის, რომლებიც შენს ეკლესიასთან თანაზიარებაში მიიცვალნენ, და მათთვის, რომელთა რწმენაც მხოლოდ შენთვისაა ცნობილი, რათა ყველა წმინდანთან ერთად მათაც ჰქონდეთ განსასვენებელი იქ, სადაც არის არა ტკივილი და მწუხარება, არამედ მარადიული ცხოვრება, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ, *ან* ***უფალო შეგვიწყალე.***

[მარად-ნეტარ ქალწულ მარიამთან, (*ნეტარ N.*) და] ყოველ წმინდანთან თანამყოფობაში გახარებულებმა, მოდით ჩვენი თავი, ერთმანეთი და ჩვენი მთელი ცხოვრება მივანდოთ ქრისტეს - ჩვენს ღმერთს.
შენ, უფალო ღმერთო ჩვენო.

მდუმარება

აღმსრულებელი ამატებს დამამთავრებელ კოლექტას ან შემდგომ დოქსოლოგიას:

რამეთუ შენია დიდებულება, მამა, ძეო და წმინდაო სულო; შენია სუფევა და ძალი და დიდება, აწ და მარადის. *ამენ.*

კვერექსი

ფორმა VI

ლიდერი და ხალხი ლოცულობს შეპასუხებით.

მშვიდობით, შენდამი ვლოცულობთ, უფალო ღმერთო.

მდუმარება

ყოველი ადამიანისათვის, მათ ყოველდღიურობისა და შრომისათვის;
ჩვენი ოჯახების, მეგობრებისა და მეგობრებისათვის, და მათთვის ვინც მარტოა.

ამ საზოგადოების, ერისა და ქვეყნირებისათვის;
ყველასთვის, ვინც სამართლიანობის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის შრომობს.

შენი ქმნილების სწორი და სათანადო გამოყენებისათვის;
შიმშილის, შიშის, უსამართლობისა და ჩაგვრის მსხვერპლთათვის.

მათთვის, ვინც საფრთხეში, მწუხარებაში, ან სხვა სახის განსაცდელშია;
მათთვის, ვინც სნეულს, მარტოსულს ან გაჭირვებულს ემსახურება.

ღვთის ეკლესიის მშვიდობისა და ერთობისათვის;
ყოველთათვის, ვინც სახარებას აუწყებს, და ყველასთვის, ვინც ეძიებს ჭეშმარიტებას.

[ჩვენი თავჯდომარე ეპისკოპოსის _____-სთვის, და ჩვენი ეპისკოპოსის _____-სთვის;]
ყოველი ეპისკოპოსისა და სხვა ღვთისმსახურთათვის;
მათთვის, ვინც ღმერთს ემსახურება მის ეკლესიაში.

ამ სამრევლოს განსაკუთრებული საჭიროებებისა და საზრუნავისათვის.

მდუმარება

ხალხს შეუძლია საკუთარი საველრებლის დამატება.

შეისმინე, უფალო;
რადგან დიდებულია წყალობა შენი.

გმადლობთ უფალო, ამ ცხოვრების ყოველი კურთხევისათვის.

მდუმარება

ხალხს შეუძლია საკუთარი სამადლობლის დამატება.

აღგამაღლებ შენ, ღმერთო - მეფეო ჩვენო;
ვაქებთ შენს სახელს, უკუნითი უკუნისამდე.

ვლოცულობთ ყოველი გარდაცვლილისათვის, რათა შენს მარადიულ სუფევაში ჰპოვონ განსასვენებელი.

მდუმარება

ხალხს შეუძლია საკუთარი საველრებლის დამატება.

უფალო, მათზე იყოს წყალობა შენი;
ვინც მოგენდო შენ.

ასევე ვლოცულობთ შენდამი, ჩვენს ცოდვათა შენდობისათვის.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება.

ლიდერი და ხალხი:

შეგვიწყალე ჩვენ, მამაო ყოვლადმწყალობელო;
შენი ლმობიერებით მოგვიტევე ჩვენი ცოდვანი,
ცნობილი და უცნობი,
ჩადენილი და ჩაუდენელი;
და განგვამტკიცე შენი სულით,
რათა ვიცხოვროთ და გემსახუროთ განახლებულ სიცოცხლეში,
შენი სახელის პატივისა და დიდებისათვის;
ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს მიერ. ამენ.

მწირველი დაასრულებს ცოდვათა მიტევების წარმოთქმით, ან სათანადო კოლექტით.

ქორწინების აღნიშვნა და კურთხევა

ჯვრისწერა

დანიშნულ დროს, დასაქორწინებელი წყვილი და მოწმეები (მეჯვარეები) იკრიბებიან ეკლესიაში ან სხვა შესაბამის ადგილზე.

მათი შემოსვლის დროს შეიძლება იგალობონ საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი, ან შეიძლება პროცესიით შემოსვლა გაფორმდეს ინსტრუმენტული მუსიკით.

ღვთისმსახური დგას სახით ხალხისა და დასაქორწინებელი წყვილის (ქალი მარჯვნივ, ხოლო კაცი მარცხნივ) მიმართულებით და მიმართავს მრევლს:

საყვარელნო: დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ღმერთის წინაშე, რათა დავამოწმოთ და ვაკურთხოთ ამ კაცისა და ქალის წმინდა ჯვრისწერით შეერთება. საქორწინო კავშირი და აღთქმა ღმერთის მიერ მოგვეცა სამყაროს შექმნისას, ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ კი განადიდა ცხოვრების ეს წესი გალილეის კანას ქორწილში მისი მყოფობითა და პირველი სასწაულით. ეს ჩვენდამი არის გამოხატულება ქრისტესა და მისი ეკლესიის მისტიური შეერთებისა, წმინდა წერილი კი მცნებად გვიდებს ამის წმინდაყოფას ყველა ხალხში.

ქმრისა და ცოლის გულისმიერი, სხეულებრივი და გონებისმიერი შეერთება განზრახულია ღმერთის მიერ, მათი ორმხრივი სიხარულისათვის; გეძლევათ ერთმანეთი, რათა ჭირსა და ლხინში იყოთ ურთიერთ დამხმარენი და ხელშემწყობნი; და როცა ეს ღმერთის ნებაა, გააჩინოთ შვილები და აღზარდოთ ისინი ღვთის შემეცნებითა და სიყვარულით. ამიტომაც ქორწინება არ უნდა იყოს უმნიშვნელო აქტი, არამედ ღირსეული, ფიქრით გადაწყვეტილი და ღვთის მიერ მოცემული მცნებებით აღსრულებული.

N.N. და N.N. ახლა მოვიდნენ რათა შეერთდნენ ამ წმინდა კავშირით. თუ კი რომელიმე თქვენგანს შეუძლია წარმოგვიდგინოს საფუძვლიანი მიზეზი, რატომაც არ შეიძლება მათი კანონიერად დაქორწინება, თქვით ახლა ან სამუდამოდ დადუმდით.

შემდგომ ღვთისმსახური ეუბნება დასაქორწინებელ წყვილს:

ახლა კი მოვითხოვ და გავალდებულებთ ორივეს, აქ - ღმერთის წიაღში, თუ კი იცით რაიმე მიზეზი, რის გამოც არ შეიძლება თქვენი შეერთება ქორწინებაში, კანონისა და ღმერთის სიტყვის მიხედვით, აღიარეთ ახლავე.

აღთქმების დადება

ღვთისმსახური ეუბნება ქალს:

N., შეირთავ ამ კაცს შენს ქმრად, რათა იცხოვროთ ერთად შეთანხმებულ ქორწინებაში? გეყვარება იგი, პატივს სცემ მას, მხარში ამოუდგები და დაიცავ მას სნეულობისა და ჯანმრთელობის ჟამს, მიატოვებ ყოველივე სხვას მის გამო და იქნები მისი ერთგული სიცოცხლის ბოლომდე?

ქალი პასუხობს:

დიახ.

ღვთისმსახური ეუბნება კაცს:

N., შეირთავ ამ ქალს შენს ცოლად, რათა იცხოვროთ ერთად შეთანხმებულ ქორწინებაში? გეყვარება იგი, პატივს სცემ მას, მხარში ამოუდგები და დაიცავ მას სნეულობისა და ჯანმრთელობის ჟამს, მიატოვებ ყოველივე სხვას მის გამო და იქნები მისი ერთგული სიცოცხლის ბოლომდე?

კაცი პასუხობს:

დიახ.

ღვთისმსახური მიმართავს კრებულს:

იქნებით მათი დაპირებების მოწმენი და დაიცავთ მათ, მათივე ქორწინებაში?

კრებული პასუხობს:

დიახ.

შეიძლება იგალობოს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

სიტყვის მსახურება

ღვთისმსახური მიმართავს ხალხს:

უფალი იყოს თქვენთან.

ხალხი: **და ასევე შენთან**

ვილოცოთ:

გულმოწყალე და მარადიულო ღმერთო, შენს ხატად შეგვქმენი ჩვენ კაცად და ქალად: გულმოწყალე მზერით მოხედე ამ კაცსა და ქალს, რომლებიც შენი კურთხევის მისაღებად მოვიდნენ აქ. დაეხმარე მათ შენი მადლით, რათა ჭეშმარიტი ერთგულებითა და მტკიცე სიყვარულით დააფასონ და დაიცვან ის აღთქმანი და დაპირებანი, რომლებიც მათ დადეს. ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან ერთად, წმინდა სულთან ერთობაში, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

შემდგომ იკითხება ერთი ან მეტი პასაჟი წმინდა წერილიდან. თუ კი ჯვრისწერისას ტარდება ზიარებაც, საკითხავები აუცილებლად უნდა შეიცავდეს სახარებასაც.

დაბადება 1: 26-28
დაბადება 2: 4-9, 15-24
ქებათა-ქება 2: 10-13; 8: 6-7
ტობითი 8: 5b-8

I კორინთელთა 13: 1-13
ეფესელთა 3: 14-19
ეფესელთა 5: 1-2, 21-33
კოლოსელთა 3: 12-17
I იოანე 4: 7-16

საკითხავებს შორის შეიძლება ითქვას ან იგალობოს ფსალმუნი, საგალობელი ან ჰიმნი. შესაბამისი ფსალმუნებია 67, 127 და 128.

როდესაც იკითხება პასაჟი სახარებიდან, ყველა ფეხზე დგას, ხოლო დიაკონი ან ღვთისმსახური ამბობს:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმინდა სახარება _____ მიხედვით.
ხალხი: **დიდება შენ, უფალო ქრისტე.**

მათე 5: 1-10
მათე 5: 13-16
მათე 7: 21, 24-29
მარკოზი 10: 6-9, 13-16
იოანე 15: 9-12

სახარების შემდგომ მკითხველი ამბობს:

უფლის სახარება.

ხალხი: **ქება შენ, უფალო ქრისტე.**

საკითხავებს შეიძლება მოსდევდეს ქადაგება.

ჯვრისწერა

კაცი შებრუნდება ქალისაკენ, აიღებს მის მარჯვენა ხელს და ეუბნება:

ღმერთის სახელით, მე, N., შეგირთავ შენ N., ჩემს მეუღლედ, რათა მიყვარდე და დაგიცვა ამ დღიდან, ჭირსა და ლხინში, სიმდიდრესა და სიღარიბეში, სნეულებასა და ჯანმრთელობაში, სიყვარულითა და პატივისცემით, სანამ სიკვდილი დაგვაშორებდეს. ეს ჩემი საზეიმო ფიცია.

ისინი ხელს უშვებენ ერთმანეთს. ქალი კი ისევ დგას სახით კაცისაკენ, აიღებს მის მარჯვენა ხელს და ამბობს:

ღმერთის სახელით, მე, N., შეგირთავ შენ N., ჩემს მეუღლედ, რათა მიყვარდე და დაგიცვა ამ დღიდან, ჭირსა და ლხინში, სიმდიდრესა და სიღარიბეში, სნეულებასა და ჯანმრთელობაში, სიყვარულითა და პატივისცემით, სანამ სიკვდილი დაგვაშორებდეს. ეს ჩემი საზეიმო ფიცია.

ისინი ხელს უშვებენ ერთმანეთს.

მღვდელი მოიხმობს ღვთის კურთხევას ბეჭდებზე:

აკურთხე, უფალო, ეს ბეჭდები იმ აღთქმების ნიშნად, რომლითაც ეს კაცი და ქალი საკუთარ თავს ერთმანეთს უძღვნიან. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

წყვილი მონაცვლეობით იღებს ბეჭდებს, უკეთებენ ერთმანეთს თითზე და ამბობენ:

N., მე გაძლევ ამ ბეჭედს ჩემი აღთქმის სიმბოლოდ, ნიშნად იმისა რომ ჩემი მთელი არსებითა და შეძლებით დაგაფასებ შენ. მამის, ძისა და წმინდა სულის სახელით.

შემდეგ ღვთისმსახური აერთებს წყვილის მარჯვენა ხელს და ამბობს:

ახლა N. და N.-მ თავი მიუძღვნეს ერთმანეთს საზეიმო აღთქმებით, ხელების შეერთებითა და ბეჭდების გაცვლით. მე ვაცხადებ მათ ცოლად და ქმრად, მამისა, და ძისა, და წმინდა სულის სახელით.

ვინც ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშრებს მათ.

ხალხი: **ამენ.**

ლოცვები

ყველა ფეხზე დგას, ღვთისმსახური ამბობს:

ვილოცოთ ერთად იმ სიტყვებით, რომელიც ჩვენმა უფალმა გვასწავლა.

ხალხი და ღვთისმსახური ერთად:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ.

თუ კი ჯვრისწერას მოსდევს ზიარება, მაშინ აქ მოხდება საუფლო ლოცვის გამოტოვება.

დიაკონი ან წინასწარ არჩეული პიროვნება წაიკითხავს შემდეგ ლოცვებს, რომელსაც ხალხი პასუხობს: ამენ.

თუ კი ჯვრისწერას არ მოსდევს ზიარება, მაშინ უნდა მოხდეს ერთი ან რამდენიმე ლოცვის გამოტოვება.

ვილოცოთ.

მარადიულო ღმერთო, ყოველი სიცოცხლის შემოქმედო და დამცველო, ხსნის ავტორო და ყოველი მადლის მომნიჭებელო: კეთილად მოხედე შენს მიერ შექმნილ სამყაროს, რომლისთვისაც შენმა ძემ

თავისი სიცოცხლე შესწირა, განსაკუთრებით კი მოხედე ამ კაცსა და ქალს, რომლებიც გახადე ერთი სხეული წმინდა ჯვრისწერაში. *ამენ.*

ღმერთო, მიეცი მათ სიბრძნე და ერთგულება მათი ერთობლივი ცხოვრების დაგეგმვისათვის, რათა ერთმანეთისთვის ძალა იყვნენ გაჭირვებაში, დაბნეულობისას მრჩეველნი, მწუხარებისას მანუგეშებელნი და სიხარულისას ბედნიერების გამზიარებელნი. *ამენ.*

მიმადლე, რათა მათი ნება შეერწყას შენს ნებას და მათი სული შენს სულს, რათა ისინი გაიზარდონ სიყვარულსა და მშვიდობაში შენთან და ერთმანეთთან, მათი ცხოვრების ყოველი დღის განმავლობაში. *ამენ.*

მიეცი მათ მადლი, რათა როცა ისინი ერთმანეთს გულს ატკენენ, შეიცნონ და აღიარონ თავიანთი ბრალეულობა და ეძიონ პატიება ერთმანეთისაგან და შენგან. *ამენ.*

მათი ერთობლივი ცხოვრება გახადე ქრისტეს სიყვარულის მიმანიშნებლად ამ ცოდვილი და გატეხილი სამყაროსათვის, რათა ერთობამ გადალახოს გაუცხოება, პატიებამ განკურნოს დანაშაული და სიხარულმა დაამარცხოს სასოწარკვეთა. *ამენ.*

მიჰმადლე მათ, თუ ეს შენი ნებაა, შვილების ყოლის ბედნიერება და მადლი, რათა გაზარდონ ისინი ისე, რომ გიცნობდნენ, უყვარდე და გემსახურონ შენ. *ამენ.*

მიჰმადლე მათ ურთიერთ სიყვარულის ისეთი აღსრულება, რომ მათი სიყვარული და მზრუნველობა სხვებსაც მისწვდეს. *ამენ.*

მიჰმადლე ყოველ დაქორწინებულს, ვინც დაამოწმა ეს აღთქმები, რომ თავიანთ ცხოვრებაში იპოვონ სიძლიერე და დადასტურებული ერთგულება. *ამენ.*

მიჰმადლე, რომ ჩვენი საერთო კაცობრიობის კავშირი, რომლითაც შენი ცოცხალი და გარდაცვლილი შვილები ერთმანეთთან არიან გაერთიანებულნი, დაე შენი მადლით ისე გარდაიქმნან, რომ შენი ნება ისევე განხორციელდეს დედამიწაზე, როგორც ეს სამოთხეშია; სადაც შენ, მამაო, შენს ძესთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობ და სუფევ სრულყოფილ ერთობაში, აწ და მარადის. *ამენ.*

ქორწინების დალოცვა

ხალხი დგას, ქმარი და ცოლი დაჩოქილები არიან, ხოლო მღვდელი ამბობს შემდეგ ლოცვას.

ღმერთო, შენ აკურთხე ქორწინების შეთანხმება ისე, როგორც ეს ქრისტესა და მისი ეკლესიის სულიერ ერთობაშია გამოხატული. მოავლინე შენი კურთხევა ამ შენს მსახურებზე, რათა უყვარდეთ, პატივი სცენ და დააფასონ ერთმანეთი ერთგულებითა და მოთმინებით, სიბრძნითა და ჭეშმარიტი ღვთისმოსაობით, რათა მათი სახლი იყოს კურთხევისა და მშვიდობის სამყოფელი. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ვინც ცოცხლობს და სუფევს შენითურთ ერთობაში სულისა წმინდისა, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ქმარი და ცოლი ისევ დაჩოქილნი არიან, მღვდელი ამატებს კურთხევას.

მამა ღმერთმა, ძე ღმერთმა და სულმა წმინდა ღმერთმა გაკურთხოთ, დაგიცვათ და დაგიფაროთ თქვენ. უფალმა თავისი მოწყალე მზერით მოგხედოთ თქვენ და აგავსოთ თავისი სულიერი დალოცვითა და მადლით, რათა ერთგულებით იცხოვროთ ერთად ამ სამყაროში და მარადიული ცხოვრება გქონდეთ ცათა სასუფეველში. *ამენ.*

მშვიდობა

ღვთისმსახური ეუბნება ხალხს:

	უფლის მშვიდობა იყოს მარადჟამს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**

ახალდაქორწინებული წყვილი ცვლის მშვიდობის სალამს, შემდეგ მშვიდობის სალამს ცვლის მთელი საკრებულო. როცა ჯვრისწერა არ გრძელდება ზიარებით, ჯვრისწერაზე შეკრებილი კრებული ტოვებს ეკლესიას. იგალობება საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი, ან უკრავს ინსტრუმენტული მუსიკა.

ევქარისტიისას

ლიტურგია გრძელდება ახალდაწორწინებული წყვილის მიერ პურისა და ღვინის საკურთხეველთან მირთმევით.

ჯვრისწერის წინათქმა

ზიარებისას, ღვთისმსახურების შემდეგ პირველი ეზიარება ახალდაქორწინეული წყვილი.

ზიარების შემდგომი ლოცვის ადგილზე ითქმის შემდეგი ლოცვა.

ღმერთო, ყოველი ჭეშმარიტების, სიყვარულისა და გულმოწყალების მომნიჭებელო, მადლობას გწირავთ შენ, რომ გაგვაერთიანე შენი ძის იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლის წმინდა საიდუმლოში. მოგვმადლე, რომ შენი წმინდა სულით N. და N., ახლახანს წმინდა ქორწინებაში შეერთებულნი, იყვნენ ერთი გულითა და სულით, იცხოვრონ ერთგულებითა და მშვიდობით, დაე მიიღონ ის მარადიული სიხარული, რომელიც შენს მოყვარულთათვის არის გამზადებული. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

როცა ჯვრისწერისთვის შეკრებილი კრებული ტოვებს ეკლესიას, საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი იგალობება, ან უკრავს ინსტრუმენტული მუსიკა.

მონანულის შერიგება (აღსარება)

ფორმა ერთი

მონანული იწყებს:

მაკურთხე, რამეთუ შევცოდე.

მღვდელი ამბობს:

უფალი იყოს შენს გულში და შენს ბაგეებზე, რათა წრფელად და თავმდაბლად აღიარო შენი ცოდვები: მამისა და ძისა და წმინდა სულის სახელით. ამენ.

მონანული:

ვაღიარებ ყოვლისშემძლე ღმერთის, მისი ეკლესიისა და შენს წინაშე, რამეთუ ჩემი ბრალეულობით ვცოდე ფიქრით, სიტყვითა და საქმით, ქმედებითა და უმოქმედობით; განსაკუთრებით კი _____ . ამ და სხვა ცოდვათა გამო, რომელსაც ახლა ვერ ვიხსენებ, წრფელად ვწუხვარ. ვლოცულობ რათა შემიწყალოს ღმერთმა. მტკიცედ განვიზრახავ ცხოვრების გამოსწორებას და თავმდაბლად ვითხოვ მიტევებას ღმერთისა და მისი ეკლესიისაგან, შენ კი შეგთხოვ რჩევას, მიმართულებასა და შენდობას.

მღვდელი მისცემს რჩევას, მიმართულებასა და ნუგეშს.

შემდგომ მღვდელი წარმოთქვამს შენდობის ლოცვას:

ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, რომელმაც მის ეკლესიას დაუტოვა ძალმოსილება რომ მიუტევოს ყველა ცოდვილს რომელიც ჭეშმარიტად ინანიებს და წამს მისი, თავისი დიდებული მოწყალებით მოგიტევა შენი ბრალეულობანი; მის მიერ ჩემზე მონიჭებული უფლებამოსილებით, მე განთავისუფლებ შენ ყოველი შეცოდებისაგან: მამისა და ძისა და წმინდა სულის სახელით. *ამენ.*

მღვდელი ამატებს:

უფალმა ჩამოგაშორა ყოველი შეცოდება.

მონანული:

მადლობა ღმერთს.

მღვდელი ამატებს:

წადი მშვიდობით და ილოცე ჩემთვის, ცოდვილისათვის.

შენდობის კურთხევა დიაკონის ან ღვთისმსახურების ლიდერის მიერ:

ჩვენი უფალი იესო ქრისტე, რომელიც ჩვენს გამო მსხვერპლად შეწირვით მიეძღვნა მამას, წმინდა სულის მადლით გპატიობს შენს შეცოდებებს. ამენ.

მსახურება სნეულისათვის

ავადმყოფობის შემთხვევაში უნდა ემცნოს სამრევლოს ღვთისმსახურს.

მსახურებისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს ქვემოთ მოცემული მსახურების ერთი ან მეტი ნაწილი, როგორც ეს მიზანშეწონილია; მაგრამ როცა ორი ან მეტი არის ერთდროულად გამოყენებული, ის გამოიყენება მოცემული მითითების შესაბამისად. საუფლო ლოცვა გამოიყენება ყოველთვის.

ამ მსახურების პირველი ნაწილი შესაძლოა ყოველთვის აღსრულდეს დიაკვნის ან საერო პირის მიერ.

როცა ხელდადება ან ცხება ხდება ევქარისტიის საჯარო აღსრულებისას, სასურველია რომ ის ჩატარდეს ზიარების დარიგებამდე, და რეკომენდირებულია ის აღესრულოს მშვიდობის გაცვლამდე.

აღმსრულებელი იწყებს მსახურებას ქვემოთ მოცემული ან სხვა რომელიმე მისალმებით:

მშვიდობა ამ სახლს (ადგილს) და ყველას, ვინც მასში მკვიდრობს.

ნაწილი I. სიტყვის მსახურება

იკითხება ქვემოთ მდებარე ერთი ან რამდენიმე წმინდა წერილის პასაჟი

ზოგადი
2 კორინთელთა 1:3-5 (ღმერთი გვანუგეშებს გასაჭირში)
ფსალმუნი 90 (თავის ანგელოზებს დაავალებს შენზე მზრუნველობას)
ლუკა 17:11-19 (შენმა რწმენამ გიხსნა შენ)

სინანული
ებრაელთა 12:1-2 (შევხედოთ იესოს, ჩვენი რწმენის სრულმყოფელს)
ფსალმუნი 102 (ის გვპატიობს ყოველ შეცოდებას)
მათე 9:2-8 (მოგეტევა შენი ცოდვები)

როცა ცხება უნდა ჩატარდეს
იაკობი 5:14-16 (არის თქვენს შორის ვინმე ავად?)
ფსალმუნი 22 (ზეთი სცხე ჩემს თავს)
მარკოზი 6:7, 12-13 (სცხებდნენ ზეთს მრავალ სნეულს)

როცა ზიარება უნდა ჩატარდეს
1 იოანე 5:13-15 (რათა იცოდეთ, რომ გაქვთ თქვენ საუკუნო სიცოცხლე)
ფსალმუნი 144:14-22 (ყველას თვალები შენ შემოგცქერის, უფალო)
იოანე 6:47-51 (მე ვარ პური სიცოცხლისა)

ყოველი საკითხავის შემდგომ, აღმსრულებელმა შესაძლოა მის შესახებ გააკეთოს მოკლე კომენტარი.

ლოცვები შესაძლოა აღევლინოს შესაბამისი შემთხვევის მიხედვით.

თუ კი სნეულის სინდისი შეწუხებულია, მღვდელს შეუძლია შესთავაზოს სპეციალური აღსარების ჩატარება, მონანულის შერიგების წესის გამოყენებით.

ან შესაძლოა ითქვას ქვემოთ მდებარე ზოგადი აღსარება:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში
და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

მხოლოდ მღვდელი ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით შეგინდოს ყოველი შეცოდება, გაგაძლიეროს ყოველგვარ სიკეთეში და წმინდა სულის ძალით დაგიფაროს საუკუნო სიცოცხლეში. ამენ.

დიაკონი ან საერო პირი, რომელიც წინამდებარე ტექსტს იყენებს, მესამე პირში არსებულ სიტყვებს (შეგიწყალოს, შეგინდოს, გაგაძლიეროს, დაგიფაროს) ცვლის პირველის პირის მრავლობითით (შეგვიწყალოს, შეგვინდოს, გაგვაძლიეროს, დაგვიფაროს).

ნაწილი II. ხელთდადება და ცხება

თუ კი სნეულის ცხებისათვის ზეთი უნდა ეკურთხოს, მღვდელი ამბობს:

უფალო, წმინდა მამაო, ჯანმრთელობისა და ხსნის მომნიჭებელო, გარდამოავლინე შენი წმინდა სული, რათა წმინდაჰყო ეს ზეთი; რადგან ვითარცა შენმა წმინდა მოციქულებმა სცხეს მრავალ

სნეულს და განკურნეს, ასევე ისინი, რომელნიც რწმენითა და სინანულით მიიღებენ ამ წმინდა ცხებას - გაჯანსაღდნენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ითქმის შემდგომი ჰიმნი:

ქვეყნიერების მაცხოვარო, შენი ჯვრითა და უწმინდესი სისხლით გამოგვისყიდე;
გვიხსენი და შეგვეწიე, თავმდაბლად შეგთხოვთ, უფალო.

შემდგომ მღვდელი ხელებს დაადებს სნეულს და ამბობს ქვემოთ მდებარე ტექსტთაგან ერთ-ერთს:

N., მე ხელს გდებ შენ - მამისა და ძისა და წმინდა სულის სახელით, ჩვენი უფლის იესო ქრისტესადმი ვედრებით, რომ გაგაძლიეროს მისი მყოფობით, განდევნოს სხეულისა და სულის ყოველი სნეულება, და მოგცეს სიცოცხლისა და მშვიდობის ის გამარჯვება, რომელიც შეგაძლებინებს ემსახურო მას ვითარცა ახლა, ისე უკუნისამდე. *ამენ.*

ან ეს:

N., მე ხელს გდებ შენ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სახელით, ვედრებით რომ განგამტკიცოს და აღგავსოს მისი მადლით, რათა იუწყოდე მისი სიყვარულის განმაკურნებელი ძალის შესახებ. *ამენ.*

თუ კი პიროვნებას ზეთი უნდა ეცხოს, მღვდელი ცერა თითს ჩააწობს წმინდა ზეთში და მისით ჯვარს გამოუსახავს სნეულს შუბლზე, სიტყვებით:

N., მე გცხებ შენ ზეთით, მამისა და ძისა და წმინდა სულის სახელით. *ამენ.*

მღვდელს შეუძლია დაამატოს:

როგორც გარეგნულად ხარ ცხებული ამ წმინდა ზეთით, ასევე ჩვენმა ზეციერმა მამამ მოგმადლოს წმინდა სულისმიერი შინაგანი ცხება. თავისი დიდი მოწყალებით, მან მოგიტევოს შენი ცოდვანი, განგათავისუფლოს ტანჯვისაგან და აღგადგინოს სიჯანსაღესა და ძლიერებაში. დაე დაგიფაროს ყოველგვარი ბოროტისაგან, დაგიცვას ყოველ სიკეთეში და შეგიყვანოს მარადიულ სიცოცხლეში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

აუცილებლობიდან გამომდინარე, დიაკონს ან საერო პირს შეუძლია აღასრულოს ცხება, ეპისკოპოსის ან მღვდლის მიერ ნაკურთხი ზეთის გამოყენებით.

თუ კი მსახურებას არ მოსდევს ზიარება, ახლა შეიძლება ითქვას საუფლო ლოცვა.

მღვდელი დაასრულებს:

ყოვლისშემძლე უფალი, რომელიც მტკიცე გოდოლია, მისთვის ვინც მასზე ამყარებს ნდობას, რომელსაც ყოველივე თავს უხრის და ემორჩილება ცაში, მიწაზე და მიწის ქვეშ: იყოს ახლა და უკუნისამდე შენი მცველი, და შეგაცნობინოს და გაგრძნობინოს რომ ერთადერთი სახელი, რომელიც ცისქვეშეთში მოგვეცა ჯანმრთელობისა და ხსნისათვის, არის ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელი. *ამენ.*

ნაწილი III. წმინდა ზიარება

თუ კი უნდა აღსრულდეს ევქარისტია, მღვდელი იწყებს [მშვიდობითა და] ოფერტორიუმით.

თუ კი ზიარება უნდა მიეცეს უკვე ნაკურთხი საიდუმლოდან, მაშინ გამოიყენება „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზიარების“ წესი, რომელიც იწყება [მშვიდობით და] საუფლო ლოცვით.

თუ კი სნეულს არ შეუძლია მიიღოს ნაკურთხი პური ან ღვინო, რეკომენდირებულია საიდუმლოს მიცემა მხოლოდ ერთი სახით (პურით, ან ღვინით).

გამოიყენება ერთ-ერთი ჩვეული ზიარების შემდგომი ლოცვა, ან შემდგომი:

მწყალობელო მამაო, გიძღვნით ქებასა და მადლობას შენი საყვარელი ძის - იესო ქრისტეს სხეულისა და სისხლის ამ წმინდა ზიარებისათვის, რომელიც ჩვენი გამოსყიდვის საწინდარია; და ვლოცულობთ რომ მან მოგვანიჭოს ცოდვათა შენდობა, ძლიერება ჩვენი სისუსტისას და მარადიული ხსნა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

მსახურება მთავრდება კურთხევით ან დასრულების სიტყვებით:

ვაკურთხოთ უფალი.
მადლობა ღმერთს.

თუ კი პიროვნებას სურს რომ მიიღოს ზიარება, თუმცა ძლიერი ავადმყოფობის ან ფიზიკური უძლურების გამო მას არ შეუძლია პურის შეჭმა ან ღვინის დალევა, აღმსრულებელმა უნდა დაარწმუნოს სნეული რომ ზიარების ყოველი სარგებელი მიღებული აქვს, მიუხედავად იმისა რომ მას საიდუმლო მისი ბაგეებით არ მიუღია.

ლოცვები სნეულისთვის

სნეულისთვის

წყალობათა მამაო და ყოველი ნუგეშის ღმერთო, საჭიროების ჟამს ჩვენო ერთადერთო შემწევ: თავმდაბლად გევედრებით რომ მოხედო, ეწვიო და შეამსუბუქო შენი სნეული მსახური N. ვისთვისაც აღევლინება ჩვენი ლოცვანი. უმზირე მას შენი მოწყალების თვალებით; ანუგეშე შენი სიკეთის შეგრძნებით; დაიფარე მტრის საცდურებისაგან; და მიეცი მოთმინება მისი გასაჭირისას. შენს კეთილ ჟამს, აღუდგინე ჯანმრთელობა, და შეაძლებინე რომ მისი დარჩენილი ცხოვრება შენს შიშსა და დიდებაში გაატაროს; და მიმადლე რომ საბოლოოდ ის შენთან ერთად დაემკვიდროს მარადიულ სიცოცხლეში; ჩვენი უფლის ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სნეულებისგან გამოჯანმრთელებისთვის

ღმერთო, სუსტთა სიძლიერევ და ტანჯულთა ნუგეშო: მოწყალედ მიიღე ჩვენი ლოცვანი და მიმადლე შენს მსახურს N. შენი ძალის შეწევნა, რათა მისი სნეულება ჯანმრთელობად გარდაისახოს და ჩვენი დარდი სიხარულად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

ზეციურ ძალთა ღმერთო, რომელიც შენი ბრძანების ძალით განდევნი ჩვენი სხეულებიდან ყოველგვარ სნეულებასა და სისუსტეს: შენი კეთილშობილებით იყავი შენს მსახურ N.-თან მყოფი, რათა მისი უძლურება განქარდეს და ძალა აღუდგეს; რათა როცა მისი ჯანმრთელობა აღდგება, აკურთხებდეს ის შენს წმინდა სახელს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სნეული ბავშვისათვის

ზეციურო მამა, ჩვენთან ერთად იზრუნე შენს ბავშვზე, N.-ზე, და მიმადლე რომ მას აღუდგეს სრულყოფილი ჯანმრთელობა, რომლის მიცემაც მხოლოდ შენ ძალგიძს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

უფალო იესო ქრისტე, ცხვართა კეთილო მწყემსო, რომელიც შენი მკლავით კრებ მათ და უბით ატარებ: შენს მოსიყვარულე მზრუნველობას მივანდობთ ამ ბავშვს N.-ს. შეამსუბუქე მისი ტკივილი, დაიცავი ყოველი საფრთხისაგან, აღუდგინე სიხარულისა და სიძლიერის შენი ნიჭები, და აღადგინე ის შენი მსახურების სიცოცხლეში; შეისმინე ჩვენი, გევედრებით, შენი საყვარელი სახელის გამო. *ამენ.*

ოპერაციამდე

ყოვლისშემძლე ღმერთო, ჩვენო ზეციერო მამა, მოწყალებით ანუგეშე შენი მსახური N. მის განსაცდელში, და აკურთხე საშუალებები, რომლებიც მისი განკურნებისათვის გამოიყენება. აღავსე მისი გული დარწმუნებით, რომ თუნდაც ხანდახან შეშინებული იყოს, მას შეუძლია შენი ნდობა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, გააძლიერე შენი მსახური N., რათა აღასრულოს მასზე დაკისრებული და დაითმინოს, რაც დასათმენია; რათა, ქირურგთა და მედდათა უნარის მეშვეობით, შენი განკურნების ნიჭთა მიღებით, ის მადლიერი გულით აღდგეს შენი ქვეყნიერების სარგებლიანობისთვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სიძლიერისა და ნდობისთვის

ზეციურო მამა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომნიჭებელო: ანუგეშე და შვება მიჰგვარე შენს სნეულ მსახურს N.-ს, და მიჰმადლე განკურნების შენი ძალა მათ, რომლებიც მის საჭიროებებს ემსახურებიან, რათა ის გაძლიერდეს მისი სისუსტისას და ჰქონდეს ნდობა შენი მოსიყვარულე მზრუნველობისადმი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სნეულების განწმენდისათვის

განწმინდე, უფალო, შენი მსახურის N.-ს სნეულება, რათა სისუსტის განცდამ გააძლიეროს მისი რწმენა და მონანიების სერიოზულობა; და მიმადლე რომ შენთან ერთად იცხოვროს მარადიულ სიცოცხლეში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სხეულისა და სამშვინველის სიჯანსაღისთვის

მამა ღმერთმა გაკურთხოს, ძე ღმერთმა განგკურნოს, სულიწმინდა ღმერთმა გაგაძლიეროს. დაე ღმერთმა - წმინდა და განუყოფელმა სამებამ დაიცვას შენი სხეული, იხსნას შენი სამშვინველი, და მშვიდობით მიგიყვანოს მის ზეციურ ქვეყანაში; სადაც ის ცოცხლობს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ექიმთა და მედდათათვის

განწმინდე, უფალო, რომელთაც მოუწოდე განკურნების ხელოვნების შესასწავლად და გამოსაყენებლად, დაავადებისა და ტკივილის თავიდან აცილებისათვის. გააძლიერე ისინი შენი სიცოცხლის მიმნიჭებელი სულით, რათა მათი მსახურების მეშვეობით საზოგადოების ჯანმრთელობა განმტკიცდეს და შენი ქმნილება განდიდდეს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სამადლობელი გამოჯანმრთელების დაწყებისას

უფალო, ულევია შენი თანაგრძნობა და ყოველ დილით ახალია წყალობა შენი: ჩვენ გმადლობთ ჩვენი ძმა (და) N.-სთვის, რადგან ტკივილისაგან გაანთავისუფლე ის და ასევე მიეცი სასოება ჯანმრთელობის აღდგენისა. განაგრძე მასში იმ კეთილ საქმეთა ქმნა, რომლებიც დაიწყე; რათა მან, ყოველდღიურად მომატებული სხეულებრივი ძალებითა და შენს კეთილშობილებაში სიხარულით, ისე წარმართოს მისი ცხოვრება და ქცევა, რომ ყოველჟამს ფიქრობდეს და აკეთებდეს იმას, რაც გაამებს შენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სნეულისათვის განკუთვნილი ლოცვები

ღვთისადმი ნდობისათვის

ღმერთო, ყოველი ჯანმრთელობის წყაროვ: ისე აღავსე ჩემი გული შენი სიყვარულისადმი რწმენით, რომ მშვიდი მოლოდინით შევქმნა ადგილი შენი ძალისადმი, რათა ის დამეუფლოს მე, და მადლიერებით მივიღო შენი განკურნება; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. ამენ.

ტკივილისას

უფალო იესო ქრისტე, განსაცდელისას შენი მოთმინებისას განწმინდე მიწიერი ტკივილი და მოგვეცი შენი მამის ნებისადმი მორჩილების მაგალითი: მომიახლოვდი ჩემი სისუსტისა და ტკივილის ამ ჟამს; განმამტკიცე შენი მადლით, რათა არ დავკარგო ჩემი სიძლიერე და გამბედაობა; განმკურნე შენი ნებისამებრ; და დამეხმარე ყოველჟამს მწამდეს, რომ რაც აქ ჩემს თავს ხდება, უმნიშვნელოა, თუ შენ მიგყავარ მარადიულ სიცოცხლეში, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო. ამენ.

დასაძინებლად

ზეციურო მამა, შენ აძლევ შენს შვილებს ძილს სამშვინველისა და სხეულის განახლებისათვის: მომანიჭე ეს ძღვენი, გევედრები; შემინარჩუნე ამ სრულყოფილ მშვიდობაში, რომელიც აღუთქვი მათ, რომელთა ფიქრებიც შენზეა მომართული; და მომანიჭე შენი მყოფობის ისეთი შეგრძნება, რომ მდუმარების საათებში ვიხარო შენი სიყვარულის ნეტარი დარწმუნებით; ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ. ამენ.

დილით

ეს კიდევ ერთი დღეა, უფალო. არ ვუწყი თუ რას მოიტანს ის, მაგრამ შემამზადე, უფალო, რაც არ უნდა იყოს ის. თუ უნდა ვიდგე, შემეწიე შეუპოვრად ვიდგე. თუ მშვიდად უნდა ვიჯდე, დამეხმარე მდუმარედ ვიჯდე. თუ უნდა დავწვე, შემეწიე მოთმინებით გავაკეთო ეს. და თუ კი არაფერი უნდა ვქნა, დამეხმარე ღირსეულად გავაკეთო ეს. მიანიჭე ამ სიტყვებს რეალური მნიშვნელობა და მიბოძე იესოს სული. ამენ.

მსახურება გარდაცვალების ჟამს

როცა პიროვნება სიკვდილის პირასაა, ეს უნდა ემცნოს სამრევლოს ღვთისმსახურს, რათა ეკლესიამ მისთვის მსახურება აღასრულოს.

ლოცვა მომაკვდავისათვის

ყოვლისშემძლე ღმერთო, მიაპყარ მზერა შენს მსახურთ, რომელიც დიდი სისუსტითაა დაცემული, და ანუგეშე ის მარადიული სიცოცხლის დაპირებით, რომელიც შენი ძის - ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომითაა ბოძებული. *ამენ.*

ლიტანია გარდაცვალების ჟამს

როდესაც შესაძლებელია, სასურველია რომ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა ერთად მიიღონ მონაწილეობა ლიტანიაში.

მამა ღმერთო,
შეიწყალე მსახური შენი.

ძე ღმერთო,
შეიწყალე მსახური შენი.

სულიწმინდა ღმერთო,
შეიწყალე მსახური შენი.

წმინდა სამება, ერთო ღმერთო,
შეიწყალე მსახური შენი.

ყოველი ბოროტისაგან, ყოველი ცოდვისაგან, ყოველი გასაჭირისაგან,
კეთილო უფალო, დაიცავი ის.

შენი წმინდა განკაცებით, შენი ჯვრითა და ვნებით, შენი ძვირფასი სიკვდილითა და დაფლობით,
კეთილო უფალო, დაიცავი ის.

შენი დიდებული აღდგომითა და ამაღლებით, და წმინდა სულის მოსვლით.
კეთილო უფალო, დაიცავი ის.

ჩვენ, ცოდვილნი გევედრებით, შეისმინე ჩვენი, უფალო ქრისტე: რომ ინებო და ბოროტის ძალისაგან და მარადიული სიკვდილისაგან დაიფარო სამშვინველი შენი მსახურისა,
გევედრებით რომ შეისმინო ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ინებო, რომ მოწყალებით შეუნდო ყოველი შეცოდება,
გევედრებით რომ შეისმინო ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ინებო, რომ მიმადლო მას განახლებისა და მარადიული ნეტარების ადგილი,
გევედრებით რომ შეისმინო ჩვენი, კეთილო უფალო.

რათა ინებო, რომ უბოძო მას სიხარული და ბედნიერება შენს სასუფეველში, ნათელში შენს წმინდანთა თანა,
გევედრებით რომ შეისმინო ჩვენი, კეთილო უფალო.

იესო, ღვთის კრავო:
შეიწყალე ის.

იესო, ჩვენს ცოდვათა ამღებელო:
შეიწყალე ის.

იესო, ქვეყნიერების გამომსყიდველო:
მიეცი მას მშვიდობა შენი.

უფალო შეგვიწყალე.
ქრისტე შეგვიწყალე.
უფალო შეგვიწყალე.

ხალხი და მწირველი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ.

აღმსრულებელი ამბობს ამ კოლექტას:

ვილოცოთ.

უზენაესო უფალო ქრისტე, დაიცავი მსახური შენი, *N.,* ყოველი ბოროტისაგან, და გაანთავისუფლე ის ყოველგვარი ბორკილისგან; რათა მან განისვენოს შენს ყოველ წმინდანთან, მარადიულ საცხოვრისში; სადაც მამასთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობ და სუფევ, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

მიბარება გარდაცვალების ჟამს:

განუტევე, ქრისტიანო სამშვინველო, ეს წუთისოფელი;
ყოვლისშემძლე მამა ღმერთის სახელით, რომელმაც შეგქმნა;
იესო ქრისტეს სახელით, რომელმაც გამოგისყიდა;
წმინდა სულის სახელით, რომელიც განგწმენდს;
და შენი განსვენება დღეს იყოს მშვიდობაში,
და სამკვიდრო შენი - ღვთის სამოთხეში.

მიბარების ლოცვა:

მწყალობელო მაცხოვარო, შენს ხელთ მივაბარებთ შენს მსახურს *N.*-ს. თავმდაბლად გევედრებით, სცანი ცხვარი შენი სამწყოსი, კრავი შენი ფარისა, შენს მიერ გამოსყიდული ცოდვილი. მიიღე ის შენი წყალობის მკლავებში, მარადიული მშვიდობის ნეტარ განსვენებაში, და წმინდანთა დიდებული დასის ნათელში. *ამენ.*

დაე მისმა სამშვინველმა და ყოველი გარდაცვლილის სამშვინველმა, ღვთის წყალობით, განისვენოს მშვიდობით. *ამენ.*

ლოცვები ღამისთევისას

მიზანშეწონილია რომ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა, დაკრძალვის წინ, ერთად ილოცონ. შეუძლიათ გამოიყენონ შესაფერისი ფსალმუნები, საკითხავები და კოლექტები (მაგალითად ისინი, რომლებიც დაკრძალვის მსახურებაშია). შესაძლოა წარმოთქვან გარდაცვალების ჟამის ლიტანია, ან შემდგომი:

საყვარელნო, სწორედ ჩვენმა უფალმა იესომ თქვა: "მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ." ასე რომ, მოდით ვილოცოთ ჩვენი ძმისთვის (დისთვის) - *N.*-სთვის, რათა მან დაისვენოს თავისი გარჯისაგან და შევიდეს ღვთის მარადიული შაბათის ნათლის განსვენებაში.

მიიღე, უფალო, მსახური შენი, რადგან ის გიბრუნდება შენ.
უფალო, შენს ხელთ,
მივანდობთ ჩვენს ძმას (დას) - N-ს.

მარადიული ცხოვრების წმინდა ემბაზში განბანე,
და შენი საქორწილო სამოსით შემოსე ის.
უფალო, შენს ხელთ,
მივანდობთ ჩვენს ძმას (დას) - N-ს.

ისმინოს მან სიტყვანი შენი მოხმობისა: "მოდით, მამაჩემის კურთხეულნო."
უფალო, შენს ხელთ,
მივანდობთ ჩვენს ძმას (დას) - N-ს.

პირისპირ გიმზიროს მან, უფალო, და იგემოს
ნეტარება სრულყოფილი განსვენებისა.
უფალო, შენს ხელთ,
მივანდობთ ჩვენს ძმას (დას) - N-ს.

ანგელოზნი შემოეკრან მას, და წმინდანები შეეგებნონ მშვიდობაში.
უფალო, შენს ხელთ,
მივანდობთ ჩვენს ძმას (დას) - N-ს.

აღმსრულებელი დაასრულებს:
ყოვლისშემძლე ღმერთო, ცათა შინა მამაო ჩვენო, რომლის წინაშეც ცხოვრობს ყოველი უფალში გარდაცვლილი: მიიღე ჩვენი ძმა (და) *N.* შენი ზეციური სამკვიდროს ეზოებში. დაე ახლა მისი გული და სამშვინველი სიხარულით აჟღერდეს შენში, უფალო, ღმერთო ცოცხალო, და იმათთა ღმერთო, ვინც ცოცხლობს. ამას შეგთხოვთ ჩვენი უფლის - ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სხეულის მიღება

შემდგომი წესი შესაძლოა გამოყენებული იყოს მაშინ, როცა გარდაცვლილის სხეულს ეკლესიაში შეაბრძანებენ.

აღმსრულებელი ეკლესიის კართან შეეგებება სხეულს და იტყვის:

იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენ ვიღებთ ჩვენი ძმის (დის) *N-ს* სხეულს, რათა დავკრძალოთ. მტკიცე რწმენით ვილოცოთ სიცოცხლის მომნიჭებელი ღვთისადმი, რათა მან აღადგინოს ის წმინდანთა დასის სრულყოფაში.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება; რომლის შემდგომაც აღმსრულებელი ამბობს:

უზენაესო უფალო ქრისტე, დაიცავი მსახური შენი, *N.,* ყოველი ბოროტისაგან, და გაანთავისუფლე ის ყოველგვარი ბორკილისგან; რათა მან განისვენოს შენს ყოველ წმინდანთან, მარადიულ საცხოვრისში; სადაც მამასთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობ და სუფევ, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ვილოცოთ ყოველი მგლოვიარესთვის, რათა მოგენდონ შენ და შეიცნონ შენი სიყვარულის ნუგეშისცემა.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება; რომლის შემდგომაც აღმსრულებელი ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, თანაგრძნობით უმზირე შენს მსახურთა საწუხარს, რომელთათვისაც ვლოცულობთ. დაიხსომე ისინი, უფალო, შენს მოწყალებაში; განამტკიცე ისინი მოთმინებით; ანუგეშე ისინი შენი კეთილშობილების შეგრძნებით; შენი სახე მიაპყარ მათ და მიმადლე მშვიდობა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

თუ კი ამ მსახურებას მაშინვე არ მოსდევს დაკრძალვა, მაშინ გარდაცვლილის სხეულს ეკლესიაში შეაბრძანებენ, რომლის დროსაც შესაძლოა იგალობოს ან წარმოითქვას შესაფერისი ფსალმუნი ან ჰიმნი. შესაძლოა ამის შემდეგ წარმოითქვას შესაბამისი ლოცვები, მაგალითად როგორიცაა "ლოცვები ღამისთევისას" (ამავე მსახურების ტექსტში).

თუ კი ამ მსახურებას მაშინვე მოსდევს დაკრძალვა, მაშინ ის გაგრძელდება დაკრძალვის წესით (რასაც ამ წიგნში ეწოდება: "გარდაცვლილის დაკრძალვა: წესი მეორე").

სამრევლოს წევრებს, ანთებული საპასექო კელაპტრით, შეუძლიათ შეუძღვნენ პროცესიას ეკლესიაში.

გარდაცვლილის დაკრძალვა: მეორე წესი

ყველა დგას მაშინ, როცა ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე ჰიმნი იგალობება ან ითქმის.
მის მაგივრად შეიძლება იგალობოს საგალობელი, ფსალმუნი ან სხვა რომელიმე შესაფერისი ჰიმნი.

მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ამბობს უფალი.
ვისაც მე ვწამვარ, კიდეც რომ მოკვდეს,
იცოცხლებს.
ყველა, ვინც ცოცხალია
და მე მიწამებს,
არ მოკვდება უკუნისამდე.

მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი
და საბოლოოდ აღიმართება მიწაზე.
ჩემი გამოღვიძების შემდგომ, ის აღმადგენს;
და ჩემი სხეულიდან ვიხილავ ღმერთს.
თავად ვიხილავ მას, და თვალნი ჩემნი იხილავენ მას
რომელიც მეგობარია ჩემი და არა უცხო.

ვინაიდან არცერთ ჩვენთაგანს არ აქვს სიცოცხლე საკუთარ თავში,
და არავინ ხდება თავისი თავის ბატონი სიკვდილის შემდეგ.

რადგან, თუ ვცოცხლობთ, უფალში ვცოცხლობთ
და, თუ ვკვდებით, უფალში ვკვდებით.
ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით,
უფლისანი ვართ.

ნეტარია ამიერიდან
ვინც უფალში კვდება!
ასეა, ამბობს სული,
რათა განისვენონ თავიანთ შრომათაგან.

ან ეს ანტიფონი:

სიცოცხლის შუაგულში, სიკვდილში ვართ;
ვისგან ვპოვოთ შველა?
მხოლოდ შენგან, უფალო,
რომელიც, ჩვენი ცოდვებით, სამართლიანად განგარისხეთ.

წმინდაო ღმერთო, წმინდაო და ძლიერო,
წმინდაო და მოწყალე მაცხოვარო,
გვიხსენ მარადიული სიკვდილის სიმწარისაგან.

უფალო, შენ უწყი ჩვენს გულთა საიდუმლონი;
ნუ დაუხშობ შენს სასმენელს ჩვენს ლოცვებს,
შეგვინდე, უფალო.

წმინდაო ღმერთო, წმინდაო და ძლიერო,
წმინდაო და მოწყალე მაცხოვარო,
გვიხსენ მარადიული სიკვდილის სიმწარისაგან.

ღირსეულო და მარადიულო მსაჯულო,
ნუ დაუშვებ, რომ სიკვდილის ტკივილებმა
შენგან ჩამოგვაშოროს, ჩვენს უკანასკნელ ჟამს.

წმინდაო ღმერთო, წმინდაო და ძლიერო,
წმინდაო და მოწყალე მაცხოვარო,
გვიხსენ მარადიული სიკვდილის სიმწარისაგან.

როდესაც ყველა ადგილზეა, აღმსრულებელმა შესაძლოა მიმართოს კრებულს, მოკლედ შეახსენოს შეკრების მიზეზი და ითხოვოს ლოცვები გარდაცვლილისა და მგლოვიარეთათვის.

აღმსრულებელი შემდგომ ამბობს:

უფალი იყოს თქვენთან.

ხალხი: **და ასევე შენთან.**

აღმსრულებელი: ვილოცოთ.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება; რომლის შემდგომაც აღმსრულებელი იტყვის ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთ კოლექტას:

ზრდასრულის დაკრძალვისას

ღმერთო, რომელმაც შენი ძის იესო ქრისტეს დიდებული აღდგომით გაანადგურე სიკვდილი, და ნათელი მოჰფინე სიცოცხლესა და უხრწნელებას: მიჰმადლე, რომ შენი მსახური *N.,* მასთან ერთად აღმდგარი, უწყოდეს მისი მყოფობის ძალა და იხარებდეს მის მარადიულ დიდებაში; რომელიც შენთან და წმინდა სულთან ერთად ცოცხლობს და სუფევს, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ან ეს:

ღმერთო, რომლის წყალობაც უთვალავია: მიიღე ლოცვანი ჩვენი, შენი მსახურის *N.*-სთვის, და მიმადლე მას შესვლა სინათლისა და სიხარულის სამყოფელში, შენს წმინდანთა თანაზიარებაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

ან ეს:

მადლისა და დიდების ღმერთო, ამ დღეს შენს წინაშე ვიხსენებთ ჩვენს ძმას (დას) *N.-ს.* გმადლობთ რომ მოგვმადლე ის, მისი ოჯახი და მეგობრები, რომ ვიცნობდით და გვიყვარდა, როგორც თანამგზავრი ჩვენი მიწიერი პილიგრიმობისას. შენი უსაზღვრო თანაგრძნობით გვანუგეშე, რომლებიც ვგლოვობთ. მოგვეცი რწმენა, რათა სიკვდილში მარადიული სიცოცხლის კარიბჭე დავინახოთ, რათა მშვიდი ნდობით გავაგრძელოთ ჩვენი გზა დედამიწაზე, სანამ, შენი მოწოდებით, ხელახლა გავერთიანდებით მათთან, რომლებიც ჩვენამდე წავიდნენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ბავშვის დაკრძალვისას

ღმერთო, რომლის საყვარელი ძე ბავშვებს მოეხვია და აკურთხა ისინი: მოგვანიჭე მადლი, რომ *N.* მივანდოთ შენს საიმედო მზრუნველობასა და სიყვარულს, და მიგვიყვანე ჩვენ ყველა შენს ზეციურ სასუფეველში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

აღმსრულებელმა შესაძლოა დაამატოს შემდგომი ლოცვა:

ყოვლადმოწყალე ღმერთო, რომლის სიბრძნეც ჩვენს გაგებას აღემატება, მოწყალებით მოეპყარი *NN.* მათი გლოვისას. შენი სიყვარულით მოიცავი ისინი, რათა მათმა დანაკლისმა არ დაამძიმოს ისინი, მაგრამ ჰქონდეთ დარწმუნება შენს კეთილშობილებაში, და სიძლიერით შეხვდნენ მომავალ დღეებს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ხალხი დამსხდარია.

წაიკითხება ქვემოთ მოცემული წმინდა წერილის ერთი ან მეტი მონაკვეთი. თუ კი ზიარება უნდა ჩატარდეს, საკითხავებს აუცილებლად დაასრულებს სახარების წაკითხვა.

სიტყვის ლიტურგია

ძველი აღთქმიდან:

ესაია 25:6-9 (შთანთქავს სიკვდილს საუკუნოდ).
ესაია 61:1-13 (სანუგეშებლად ყოველი მგლოვიარისა).
გოლება იერემიასი 3:22-26, 31-33 (კეთილია უფალი მისი მოსავისთვის).
სიბრძნე სოლომონისა 3:1-5, 9 (მართალთა სულები ღვთის ხელთ არიან).
იობი 19:21-27a (ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი).

შესაძლოა ამას მოყვეს შესაფერისი ფსალმუნი, საგალობელი ან ჰიმნი. სათანადო ფსალმუნებია: 41:1-7, 45, 89:1-12, 120, 129, 138:1-11.

ახალი აღთქმიდან:

რომაელთა 8:14-19, 34-35, 37-39 (დიდება, რომელიც გამოცხადდება).
I კორინთელთა 15:20-26, 35-38, 42-44, 53-58 (უხრწნელი სხეული).
II კორინთელთა 4:16 — 5:9 (უხილავი საუკუნოა).
I იოანე 3:1-2 (მისი მსგავსნი ვიქნებით).
გამოცხადება 7:9-17 (მოსწმედს მათ ღმერთი თვალთაგან ყველა ცრემლს).
გამოცხადება 21:2-7 (აჰა, ვქმნი ყოველივეს ახალს).

შესაძლოა ამას მოყვეს შესაფერისი ფსალმუნი, საგალობელი ან ჰიმნი. სათანადო ფსალმუნებია: 22, 26, 105:1-5, 114-115.

სახარება:

შემდგომ, ყველა დგას, დიაკონი ან არჩეული ღვთისმსახური კითხულობს სახარებას, მანამ კი ამბობს:

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წმინდა სახარება იოანეს მიხედვით.
ხალხი: **დიდება შენ, უფალო ქრისტე.**

იოანე 5:24-27 (ვისაც სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს).
იოანე 6:37-40 (ყველა, ვინც მამამ მომცა, ჩემთან მოდის).
იოანე 10:11-16 (მე ვარ მწყემსი კეთილი).
იოანე 11:21-27 (მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე).
იოანე 14:1-6 (მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა).

სახარების შემდეგ მკითხველი ამბობს:

უფლის სახარება.
ხალხი: **ქება შენ, უფალო ქრისტე.**

ამ მომენტში შეიძლება წარმოითქვას ჰომილია აღმსრულებლის, ოჯახის წევრის ან მეგობრის მიერ.

შესაძლოა შემდგომ წარმოითქვას მოციქულთა მრწამსი, რა დროსაც ყველა დგას. აღმსრულებელმა შესაძლოა წარადგინოს მრწამსი ქვემოთ მოცემული, ან მსგავსი სიტყვებით:

ნათლობისას მიღებული მარადიული ცხოვრების დარწმუნებით, ვაღიაროთ ჩვენი რწმენა და ვთქვათ:

მწამს ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა,
ცისა და ქვეყნიერების შემოქმედი.

მწამს იესო ქრისტე, მისი მხოლოდშობილი ძე, ჩვენი უფალი.
ის ჩაისახა წმინდა სულის ძალით
და იშვა ქალწული მარიამისაგან.
ივნო პონტოელი პილატეს მიერ,
ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა.
ჩავიდა მკვდრებთან.
მესამე დღეს აღდგა.
ზეცად ამაღლდა,
და ზის მამის მარჯვენით.
და კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.

მწამს წმინდა სული,
წმინდა კათოლიკე ეკლესია,
წმინდანთა თანაზიარება,
ცოდვათა შენდობა,
სხეულის აღდგომა,
და მარადიული ცხოვრება. ამენ.

თუ კი არ უნდა ჩატარდეს ზიარება, მაშინ საუფლო ლოცვა ითქმის ამ მომენტში და ლიტურგია გაგრძელდება კვერექსით, ან ამ ლიტურგიის ტექსტის ბოლოს მოცემული შესაფერისი ერთი ან რამდენიმე ლოცვით.

როცა ზიარება უნდა ჩატარდეს, გამოიყენება ქვემოთ მოცემული კვერექსი, ან კვერექსის ის ტექსტი, რომელიც გარდაცვალების ჟამს მსახურების ლიტურგიაშია:

ჩვენი ძმისთვის (დისთვის) *N.*, ვილოცოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტესამდი, რომელმაც თქვა "მე ვარ აღდგომა და მე ვარ სიცოცხლე."

უფალო, შენ ანუგეშე მართა და მარიამი მათი ტანჯვის ჟამს; მოგვიახლოვდი ჩვენ, რომელნიც ვგლოვობთ *N.*, და დააშრე ცრემლი მოტირალთა.
შეისმინე ჩვენი, უფალო.

შენ ტიროდი ლაზარეს, შენი მეგობრის განსასვენებელთან; გვანუგეშე ჩვენი დარდისას.
შეისმინე ჩვენი, უფალო.

შენ სიცოხლეში აღადგინე გარდაცვლილი; მიეცი ჩვენს ძმას (დას) საუკუნო სიცოხლე.
შეისმინე ჩვენი, უფალო.

შენ მონანულ ავაზაკს აღუთქვი სამოთხე; ზეციურ სიხარულში შეიყვანე ჩვენი ძმა (და).
შეისმინე ჩვენი, უფალო.

> ჩვენი ძმა (და) ნათლობაში განბანილი და წმინდა სულით ცხებული იყო; მიეცი მას თანამოზიარეობა შენს ყველა წმინდანთან ერთად.
> ***შეისმინე ჩვენი, უფალო.***

> ის საზრდოობდა შენი სხეულითა და სისხლით; მიმადლე მას ადგილი ტრაპეზთან, შენს ზეციურ სუფევაში.
> ***შეისმინე ჩვენი, უფალო.***

გვანუგეშე ჩვენი დარდისას, ჩვენი ძმის (დის) გარდაცვალების ჟამს; ჩვენი რწმენა იყოს ჩვენი ნუგეში, და საუკუნო ცხოვრება ჩვენი იმედი.

შესაძლოა შენარჩუნდეს მდუმარება.

აღმსრულებელი დაასრულებს ქვემოთ მოცემული ან სხვა მსგავსი ლოცვით:

უფალო იესო ქრისტე, შენ მოგაბარებთ ჩვენს ძმას (დას) *N.* რომელიც წყლითა და სულით ახლად იშვა წმინდა ნათლობაში. მოგვმადლე რომ მისი გარდაცვალება ჩვენთვის სიკვდილზე შენი გამარჯვების შეხსენება იყოს, და შესაძლებლობა, როცა შენი მამის სიყვარულისადმი ჩვენს ნდობას განვაახლებთ. გევედრებით, მოგვანიჭე რწმენა, რომ გავყვეთ შენს მიერ გაკვალულ გზას; და სადაც შენ ცოცხლობ და სუფევ, მამასთან და წმინდა სულთან ერთად, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ან ეს:

მამავ ყოველთა, შენდამი ვლოცულობთ *N.*-სთვის, და ყველა იმათთვის რომლებიც გვიყვარს, მაგრამ ვეღარ ვხედავთ. საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ. მარადიული ნათლით განანათლე ისინი. მისმა სამშვინველმა და ყოველი გარდაცვლილის სამშვინველმა, ღვთის მოწყალებით, განისვენოს მშვიდობით. *ამენ.*

როცა არ აღესრულება ზიარება, მსახურება გაგრძელდება მიცვალებულის მიბარებით, ან დაკრძალვით.

ევქარისტიისას

ღვთისმსახურება გაგრძელდება მშვიდობის გაცვლითა და ოფერტორიუმით.

გარდაცვლილის მოხსენიების წინათქმა.

ჩვეული ზიარების შემდგომი ლოცვის ადგილზე, ითქმის ქვემოთ მოცემული ლოცვა:

ყოვლისშემძლე ღმერთო, გმადლობთ რომ შენი დიდებული სიყვარულით გამოგვკვებე ჩვენ შენი ძის იესო ქრისტეს სხეულისა და სისხლის, სულიერი საკვებითა და სასმელით, და წინასწარ გვაგემე შენი ზეციური ნადიმი. მოგვმადლე რომ ჩვენთვის ეს საიდუმლო იყოს ნუგეში დარდისას, და პირობა შენს სუფევაში ჩვენი მემკვიდრეობისა, სადაც არ არის სიკვდილი, არც დარდი ან ტირილი, არამედ არის სიხარულის სისრულე შენს ყოველ წმინდანთან ერთად; ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

თუ კი გარდაცვლილის სხეული ადგილზე არ იმყოფება, მაშინ მსახურება გაგრძელდება [დალოცვითა და] გამოსამშვიდობებელი სიტყვით.

თუ კი ეკლესიის შემდგომ პირდაპირ არ მოხდება დაკრძალვა, მაშინ გამოიყენება ქვემოთ მოცემული მიბარების წესი.

მიბარება

აღმსრულებელი და სხვა ღვთისმსახურები დაიკავებენ თავიანთ ადგილს გარდაცვლილის სხეულთან ახლოს.

შესაძლოა იგალობოს ეს ჰიმნი, ან სხვა შესაფერისი ჰიმნი, ან საგალობელი:

ქრისტე, განუსვენე შენს მსახურს [მსახურთ] შენს წმინდანთა თანა,
სადაც აღარ არის მწუხარება და ტკივილი,
აღარც ოხვრა, არამედ ცხოვრება მარადიული.

მხოლოდ შენ ხარ უკვდავი, შემოქმედი და გამჩენი კაცობრიობისა;
ჩვენ კი მოკვდავნი ვართ, მიწისაგან გამოსახულნი, და მიწასვე დავუბრუნდებით. რამეთუ ასე დაადგინე, როცა შემქმენი, თქვი: "მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი." ყველანი მტვერს დავუბრუნდებით; თუმცა საფლავშიაც ვიგალობებთ: ალელუია, ალელუია, ალელუია.

ქრისტე, განუსვენე შენს მსახურს [მსახურთ] შენს წმინდანთა თანა,
სადაც აღარ არის მწუხარება და ტკივილი,
აღარც ოხვრა, არამედ ცხოვრება მარადიული.

აღმსრულებელი, გარდაცვლილის სხეულისაკენ მიბრუნებული, ამბობს:

მწყალობელო მაცხოვარო, შენს ხელთ მივაბარებთ შენს მსახურს *N.*-ს. თავმდაბლად გევედრებით, სცანი ცხვარი შენი სამწყოსი, კრავი შენი ფარისა, შენს მიერ გამოსყიდული ცოდვილი. მიიღე ის შენი წყალობის მკლავებში, მარადიული მშვიდობის ნეტარ განსვენებაში, და წმინდანთა დიდებული დასის ნათელში. *ამენ.*

აღნსრულებელს, ან ეპისკოპოსს - თუ კი ის ადგილზე იმყოფება, შეუძლია აკურთხოს ხალხი, ხოლო დიაკონს ან სხვა ღვთისმსახურს შეუძლია გამოემშვიდობოს მათ, სიტყვებით:

წავიდეთ ქრისტეს სახელით.
მადლობა ღმერთს.

გარდაცვლილის სხეულის ეკლესიიდან გაბრძანების მომენტში შესაძლოა შესრულდეს საგალობელი, ან ერთი ან რამდენიმე ამ ჰიმნთაგან:

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.

დიდებულად აღდგა მზე სიმართლისა, ბნელში და სიკვდილის ჩრდილში მსხდომარეთათვის ნათლის მისაცემად.

უფალი წარმართავს ჩვენს ფერხთ მშვიდობის გზაზე, ის რომელმაც აღიღო ქვეყნიერების ცოდვა.

ქრისტე გახსნის ზეციურ სასუფეველს მისი სახელის ყოველი მორწმუნისადმი, იტყვის: მოდით, ნეტარნო ჩემი მამისა; დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული.

ანგელოზნი წარგიძღვნენ სამოთხეში. შენი მოსვლისას მოწამეებმა შეგეგებონ და წმინდა ქალაქ იერუსალიმში შეგიყვანონ.

ან ერთ-ერთი ამ ჰიმნთაგან:

ზაქარიას საგალობელი, *Benedictus.*
სიმეონის საგალობელი, *Nunc dimittis.*
ქრისტე ჩვენი პასექი, *Pascha nostrum.*

დაკრძალვა

იგალობება ან ითქმის ქვემოთ მოცემული ჰიმნი, ან ამ ლიტურგიის დასაწყისში მოცემული ჰიმნებიდან [“მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ამბობს უფალი,” და “სიცოცხლის შუაგულში, სიკვდილში ვართ”] ერთ-ერთი.

ყველა, ვისაც მამა მაძლევს, ჩემთან მოვა;
ჩემს მორწმუნეს არასოდეს გავაძევებ.

ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო ქრისტე
ჩვენს მოკვდავ სხეულებსაც მისცემს ახალ სიცოცხლეს
ჩვენში დამკვიდრებული მისი სულით.

ამიტომ ხარობს ჩემი გული და ილხენს ჩემი სული;
ჩემი ხორციც მოისვენებს სასოებით.

მასწავლი გზას ცხოვრებისას;
სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე,
ნეტარებაა შენი მარჯვენით უკუნისამდე.

შემდგომ, როცა კუბოს მიწას დააყრიან, აღმსრულებელი წარმოთქვამს ამ სიტყვებს:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, საუკუნო სიცოცხლეში აღდგომის უეჭველი და უცილობელი იმედით, ყოვლისშემძლე ღმერთს მივანდობთ ჩვენს *ძმას (დას) N.-ს,* და მიწას მივაბარებთ მის სხეულს; მიწა მიწას, ფერფლი ფერფლს, მტვერი მტვერს. უფალმა აკურთხოს და დაიცვას ის, მოჰფინოს უფალმა ნათელი თვისი სახისა და შეიწყალოს ის, მიაქციოს უფალმა თავისი სახე მისკენ და მისცეს მშვიდობა. *ამენ.*

აღმსრულებელი ამბობს:

	უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
აღმსრულებელი:	ვილოცოთ.

აღმსრულებელი და ხალხი:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ.

შესაძლოა დაემატოს სხვა ლოცვებიც.

შემდგომ შესაძლოა ითქვას:

საუკუნო განსვენება მიანიჭე მას, უფალო;
და მარადიული ნათლით განანათლე ის.

მისმა სამშვინველმა და ყოველი გარდაცვლილის სამშვინველმა,
ღვთის წყალობით, განისვენოს მშვიდობით. *ამენ.*

აღმსრულებელი გამოემშვიდობება ხალხს ამ სიტყვებით:

ალელუია. ქრისტე აღდგა.

ხალხი: **უფალი ჭეშმარიტად აღდგა. ალელუია.**

აღმსრულებელი: წავიდეთ ქრისტეს სახელით.

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან ქვემოთ მოცემული სიტყვებით:

მშვიდობის ღმერთმა, საუკუნო აღთქმის სისხლით მკვდრეთით რომ აღადგინა ცხოვართა დიდი მწყემსი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე: სრულგყოთ თქვენ, რათა მისი ნებისამებრ აღასრულოთ ყოველი კეთილი საქმე, ჩაგინერგოთ ის, რაც სათნო ჩანს მის წინაშე; იესო ქრისტეს მიერ, ვისიცაა დიდება უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

საფლავის კურთხევა

თუ კი საფლავი ისეთ ადგილზეა, რომელიც აქამდე არ იყო ქრისტიანული დაკრძალვისთვის განკუთვნილი, მღვდელს შეუძლია ქვემოთ მოცემული ლოცვის გამოყენება დაკრძალვის მსახურებამდე, ან სხვა ხელსაყრელ ჟამს.

ღმერთო, რომლის კურთხეული ძეც ბაღის სამარხში დაასვენეს: გევედრებით, აკურთხე ეს საფლავი და მიმადლე, რომ ის, ვისიც სხეულიც აქ დაიმარხა [*უნდა დაიმარხოს*], ქრისტესთან ერთად სამოთხე დაიმკვიდროს და მოვიდეს შენს ზეციურ სასუფეველში; შენი ძის იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის მეშვეობით. *ამენ.*

დამატებითი ლოცვები

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელთანაც კვლავაც ცხოვრობენ უფალში გარდაცვლილთა სულები და რომელთანაც მორწმუნეთა სამშვინველნი სიხარულსა და ნეტარებაში არიან: ჩვენ გულითადად გმადლობთ შენს მსახურთა კეთილი მაგალითისათვის, რომელთაც რწმენით განლიეს თავიანთი ცხოვრება, ახლა კი განისვენებენ და განახლდებიან. დაე ჩვენც, შენი წმინდა სახელის ჭეშმარიტ რწმენაში ყოველ გარდაცვლილთან ერთად, გვქონდეს სრულყოფილი აღსრულება და სიხარული შენს საუკუნო და მარადიულ დიდებაში, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ღმერთო, რომლის დღენიც უსასრულოა და რომლის წყალობაც უთვალავი: გევედრებით, საფუძვლიანად შეგვაცნობინე ადამიანური ცხოვრების ხანმოკლეობა და ბუნდოვანება; შენი წმინდა სული წარგვიძღვეს სიწმინდისა და სიმართლისაკენ, ყოველთა დღეთა ჩვენთა; რადგან თუ კი ჩვენს თაობაში შენ გემსახურებით, შეკრებილნი ვიქნებით ჩვენს წინაპრებთან, კეთილი სინდისის მოწმობის ქონით, კათოლიკე ეკლესიასთან თანაზიარებაში, უცვლელი რწმენისადმი ნდობით, რელიგური და წმინდა სასოებით ნუგეშცემულნი, შენი კეთილგანწყობით, ღმერთო ჩვენო, და ქვეყნიერებასთან სრულყოფილ სიყვარულში. ყოველივე ამას შეგთხოვთ იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის მიერ. *ამენ.*

ღმერთო, მეფევ წმინდანთა, ვაქებთ და ვადიდებთ შენს წმინდა სახელს შენი ყოველი მსახურის გამო, რომლებმაც შენდამი რწმენითა და მოშიშებით განვლეს თავიანთი ცხოვრება: ნეტარი ქალწული მარიამისათვის; წმინდა პატრიარქთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მოწამეთათვის; და ყოველი შენი სხვა მართალი მსახურისათვის, ჩვენთვის ცნობილთა და უცნობთათვის; და ვლოცულობთ, რომ მათი მაგალითით გამხნევებულები, მათი ლოცვით შეწევნილები, მათი თანამოზიარეობით განმტკიცებულები, ჩვენც ვიყოთ ნათელში წმინდანთა მემკვიდრეობის თანამონაწილენი; შენი ძის იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის დამსახურებათა გამო. *ამენ.*

უფალო იესო ქრისტე, შენ რომელმაც შენი მოკვდინებით სიკვდილის ნესტარი ჩამოგვაშორე: მოგვმადლე, შენს მსახურებს, რომ რწმენით გავყვეთ გზას რომელიც გაკვალე, რათა დასასრულს მშვიდობით მივიძინოთ შენში და გავიღვიძოთ შენს მსგავსებაში; შენს სათუთ მოწყალებათა გამო. *ამენ.*

მამავ ყოველთა, შენდამი ვლოცულობთ მათთვის ვინც გვიყვარს, მაგრამ ვეღარ ვხედავთ: მიანიჭე მათ შენი მშვიდობა; მარადიული ნათლით განანათლე ისინი; და შენი მოყვარული სიბრძნითა და ყოვლისშემძლე ძალით ამოქმედე მათში შენი სრულყოფილი ნების კეთილი მიზანსწრაფვა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

მწყალობელო ღმერთო, მამავ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც აღდგომა და სიცოცხლეა: თავმდაბლად გევედრებით, ცოდვის სიკვდილისაგან აღგვადგინე მართალ სიცოცხლეში; რადგან როცა ამ ცხოვრებიდან წავალთ, მასში განვისვენოთ, და აღდგომისას მივიღოთ ის კურთხევა, რომელსაც შენი საყვარელი ძე წარმოთქვამს: “მოდით, ჩემი მამის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სამყაროს დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი.” მოგვმადლე ეს მწყალობელო ღმერთო, იესო ქრისტეს - ჩვენი შუამავლისა და გამომხსნელის მიერ. *ამენ.*

უფალო, მიმადლე ყველა მგლოვიარეს რწმენისა და სიმამაცის სული, რათა ჰქონდეთ ძალა, მომავალ დღეთა სიმტკიცითა და მოთმინებით შესახვედრად; არ იგლოვონ უიმედოთა მსგავსად, არამედ იყვნენ შენი დიდებული კეთილშობილების მადლიერ ხსომებაში და მათ საყვარელ ადამიანებთან ერთად მარადიული ცხოვრების სასიხარულო მოლოდინში. ამას შეგთხოვთ იესო ქრისტეს - ჩვენი მაცხოვრის სახელით. *ამენ.*

ყოვლისშემძლე ღმერთო, მამავ მოწყალებათა და ნუგეშის მომნიჭებელო: გევედრებით, მოწყალებით მოეპყარ ყოველ მგლოვიარეს; რათა შენზე მონდობილებმა, შეიცნონ შენი სიყვარულის ნუგეშისცემა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ლოცვები და სამადლობლები

4. *მშვიდობისათვის*

მარადიულო ღმერთო, შენს სრულყოფილ სამეფოში არ აღიმართება მახვილი, გარდა სამართლიანობის მახვილისა და არ არის ცნობილი სხვა ძალა, გარდა სიყვარულის ძალისა: ასევე ძლიერად განავრცე შენი სული, რათა ყველა ხალხი გაერთიანდეს მშვიდობის მეუფის ბაირაღის ქვეშ, ვითარცა ერთი მამის შვილები; ვისიც არის ძალაუფლება და დიდება, აწ და მარადის. *ამენ.*

5. *ერებს შორის მშვიდობისათვის*

ყოვლისშემძლე ღმერთო, ჩვენო ზეციერო მამა, უწინამძღვრე მსოფლიოს ერებს სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გზაზე, და დაამყარე მათ შორის მშვიდობა, რომელიც კეთილსინდისიერების ნაყოფია, რათა ისინი გახდნენ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის - იესო ქრისტეს სამეფო. *ამენ.*

6. *ჩვენი მტრებისათვის*

ღმერთო, ყოველთა მამაო, ვისმა ძემაც მცნებად დაგვიდო ჩვენი მტრის სიყვარული: ცრურწმენიდან ჭეშმარიტებაში უწინამძღვრე მათ და ჩვენ; სიძულვილის, სისასტიკისა და შურისძიებისაგან დაიფარე ისინი და ჩვენ; და შენს კეთილ ჟამს, შეგვაძლებინე ყოველ ჩვენგანს, რომ ვიდგეთ შერიგებულნი შენს წინაშე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

7. *ეკლესიისათვის*

გულმოწყალე მამაო, ვლოცულობთ შენი წმინდა კათოლიკე ეკლესიისათვის. აღავსე ის ყოველი ჭეშმარიტებით, ყოველ ჭეშმარიტებაში ყოველი მშვიდობით. სადაც უპატიოსნობაშია - განწმინდე ის; სადაც შეცდომაშია - წარმართე; სადაც არამართებულობაშია - შეცვალე. სადაც სიმართლეშია -

გააძლიერე; სადაც საჭიროებაშია - უზრუნველყავი ; სადაც გათიშულობაშია - გააერთიანე; ჩვენი მხსნელის, შენი ძის იესო ქრისტეს გამო. *ამენ.*

8. *ეკლესიის მისიისათვის*

მარადცოცხალო ღმერთო, ვისი ნებაცაა რომ ყველა შენთან მოვიდეს, შენი ძის იესო ქრისტეს მეშვეობით: შთააგონე ჩვენი მოწმობა მასში, რათა ყველამ იცოდეს მისი მიტევების ძალა და აღდგომის იმედი; რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

11. *სამრევლოსთვის*

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო, ცასა და მიწაზე ყოველივეს განმგებელო, ისმინე ჩვენი ლოცვა ამ სამრევლო ოჯახისათვის. გააძლიერე მორწმუნე, წამოაყენე უდარდელი და აღადგინე მონანული. გვიბოძე ყოველივე საჭირო ჩვენი საერთო ცხოვრებისათვის, და შეგვკრიბე ყველანი რომ ვიყოთ ერთი გულითა და აზრით შენს წმინდა ეკლესიაში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

14. *ეკლესიის ერთობისათვის*

ჩვენი ერთადერთი მაცხოვრისა და მშვიდობის მეუფის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამა ღმერთო: მოგვეცი მადლი, რათა სერიოზულად მივუდგეთ იმ დიდ საფრთხეს, რომელშიც ჩვენი სამწუხარო განყოფით ვართ; ჩამოგვაშორე ყოველი სიძულვილი და ცრურწმენა, და ყველაფერი ის, რამაც შესაძლოა ხელი შეგვიშალოს ღვთაებრივ კავშირსა და თანხმობაში; რადგან არის მხოლოდ ერთი სხეული და ერთი სული, ერთი სასოება და ერთი მოწოდება, ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი ღმერთი და მამა ყოველთა, რათა ყველანი ვიყოთ ერთი გულისა და ერთი სულის, გაერთიანებულნი ჭეშმარიტებისა და მშვიდობის ერთ წმინდა კავშირში, რწმენასა და სიყვარულში, და დაე ერთი აზრითა და ბაგით განგადიდოთ შენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

17. *ეკლესიის მუსიკოსებისა და ხელოვანებისთვის*

ღმერთო, ვისაც წმინდანები და ანგელოზები დავანებულნი თაყვანს გცემენ სამოთხეში: მარადმყოფი იყავი შენს მსახურებთან, რომლებიც გეძიებენ ხელოვნებითა და მუსიკით, რათა სრულყონ დედამიწაზე, შენი ხალხის მიერ აღვლენილი ქება; ახლაც მიანიჭე მათ შენი მშვენიერების ხილვა და გახადე ღირსნი დღეგრძელობისა, რათა მუდამ გაგამჟღავნონ შენ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

27. *სოციალური სამართლიანობისათვის*

მოგვმადლე ღმერთო, რომ შენმა წმინდა და სიცოცხლის მომნიჭებელმა სულმა ისე აღძრას ყოველი ადამიანის გული [განსაკუთრებით კი ამ მიწის მკვიდრნი], რომ ჩვენი გამყოფი წინაღობები დაიმსხვრეს, ეჭვები გაქრეს და სიძულვილი შეწყდეს; რათა განყოფა განიკურნოს, ჩვენ კი სამართლიანობასა და მშვიდობაში ვიცხოვროთ; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

28. *კონფლიქტის ჟამს*

ღმერთო, შენ თანაცხოვრებაში შეგვაკავშირე ჩვენ. დაგვეხმარე, რათა სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისთვის ბრძოლის შუაგულში, სიძულვილისა და წყენის გარეშე დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, და ვიშრომოთ ერთად ურთიერთშემწყნარებლობითა და პატივისცემით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

31. *სკოლებისა და კოლეჯებისათვის*

მარადიულო ღმერთო, აკურთხე ყველა სკოლა, კოლეჯი და უნივერსიტეტი [განსაკუთრებით კი _____], რათა ისინი იყვნენ მტკიცე განათლების, ახალი აღმოჩენებისა და სიბრძნისაკენ სწრაფვის ცოცხალი კერები; და მიჰმადლე, რათა მათ ვინც ასწავლის და ვინც სწავლობს, დაე გიპოვონ შენ - ყოველი ჭეშმარიტების წყარო; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

35. *ღარიბთა და მიუსაფართათვის*

ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალე ღმერთო, შენს წინაშე ვიხსენებთ ყველა ღარიბსა და მიუსაფარ პიროვნებას, რომელთა დავიწყებაც ჩვენთვის ადვილი იქნებოდა: უსახლკაროებსა და შეჭირვებულებს, მოხუცებსა და სნეულებს, და ყველას, რომელთაც მზრუნველი არ გააჩნიათ. დაგვეხმარე განვკურნოთ სხეულსა და სულში გატეხილნი, რათა მათი მწუხარება სიხარულად გარდავქმნათ. მოგვმადლე მამაო, შენი ძის სიყვარულის გამო, რომელიც ჩვენს გამო ღატაკი გახდა, ჩვენი უფალი იესო ქრისტე. *ამენ.*

36. *ჩაგრულთათვის*

სიბრალულით მოხედე, ზეციერო მამა, ამ მიწის ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ უსამართლობასთან, ტერორთან, სნეულებასთან და სიკვდილთან, როგორც მათ მუდმივ თანამგზავრთან ერთად. შეგვიწყალე ჩვენ. დაგვეხმარე აღმოვფხვრათ ჩვენი სისასტიკე მოყვასისადმი. გააძლიერე ისინი, რომლებიც საკუთარ ცხოვრებას უძღვნიან ყველასათვის კანონისმიერი თანასწორი დაცვისა და თანასწორი შესაძლებლობების დამყარებას. და გვიბოძე, რათა ყველა ჩვენგანმა იხაროს ამ მიწის სიმდიდრის სამართლიანი წილით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

48. *მათთვის ვინც მარტოხელაა*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომლის ძესაც არ ჰქონდა თავის მისადრეკელი: უბოძე მათ, რომლებიც მარტონი ცხოვრობენ, დაე არ იყვნენ მარტოსულნი თავიანთ განმარტოებაში, არამედ მის ნაკვალევზე იპოვონ სრულყოფა შენსა და თავიანთი მოყვასის სიყვარულში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

49. *მოხუცთათვის*

მოწყალებით უმზირე, ღმერთო ჩვენო მამავ, ყველას ვისთვისაც ნამატ წლებს სისუსტე, მწუხარება ან მარტოობა მოაქვს. უზრუნველყავი მათთვის ღირსებისა და მშვიდობის სახლი; მიეცი მათ გონიერი შემწეები და ნება იმისა რომ დათანხმდეს დახმარებას; და რაც უფრო მცირდება მათი სიძლიერე, გაზარდე მათი რწმენა და შენს სიყვარულში დარწმუნება. ამას შეგთხოვთ ჩვენი უფლის - იესო ქრისტეს სახელით. *ამენ.*

50. *დაბადების დღისთვის*

ღმერთო, ჩვენი ჟამი შენს ხელშია: ვლოცულობთ, კეთილგანწყობით უმზირე შენს მსახურს N, როცა ის იწყებს ახალ წელს. უბოძე, რათა გაიზარდოს სიბრძნესა და მადლში, და გააძლიერე შენს კეთილშობილებაში ნდობა მისი, თავისი ცხოვრების ყოველ დღეს; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

54. *მათთვის ვინც გვიყვარს*

ყოვლისშემძლე ღმერთო, ამ და მომავალ ცხოვრებაში შენს უცვლელ ზრუნვასა და სიყვარულს ვანდობთ ყველას, ვინც ძვირფასია ჩვენთვის, ვიცით რომ შენ აკეთებ მათთვის იმაზე უკეთეს საქმეებს, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია ვისურვოთ ან ვილოცოთ ამისთვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

62. *ლოცვა მიეწერება წმ. ფრანცისკე ასიზელს*

უფალო, მაქციე შენი მშვიდობის იარაღად. სადაც სიძულვილია, დაე სიყვარული ვთესო; სადაც ჭრილობაა - პატიება; სადაც უთანხმოებაა - ერთობა; სადაც ეჭვია - რწმენა; სადაც სასოწარკვეთაა - იმედი; სადაც სიბნელეა - სინათლე; სადაც მწუხარებაა - სიხარული; გვიბოძე, რათა არ ვეძიოთ ნუგეშისცემა სხვისგან, არამედ თავად ვანუგეშოთ; სხვისგან გაგება, არამედ თავად გავუგოთ;

სხვისგან შეყვარება, არამედ თავად შევიყვაროთ. რადგან გაცემითაა რომ ვღებულობთ; პატიებითაა რომ ვიღებთ მიტევებას; და სიკვდილითაა რომ ვიბადებით მარადიულ სიცოცხლეში. *ამენ.*

64. *ღვთისმსახურებამდე*

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელიც გადმოედინები ყველაზე, ვინც გესწრაფვის მადლისა და ვედრების სულით: როცა მოგეახლებით, დაგვიცავი გულის სიცივისა და გონების გაფანტვისაგან, რათა მტკიცე ფიქრებითა და ანთებული გრძნობებით თაყვანი გცეთ სულითა და ჭეშმარიტებით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

66. *ზიარების მიღებამდე*

იყავი მყოფი, ჰოი იესო, ჩვენო დიდო მღვდელმთავარო, ვითარცა მყოფობდი შენს მოციქულებთან და გაცხადდი ჩვენში პურის გატეხვისას; რომელიც ცოცხლობ და სუფევ მამასთან და წმინდა სულთან ერთად, აწ და მარადის. *ამენ.*

67. *ზიარების შემდგომ*

უფალო იესო ქრისტე, რომელმაც მშვენიერ საიდუმლოში დაგვიტოვე შენი ვნების სახსოვარი: გვიბოძე, გევედრებით, დაე ისე ვცეთ თაყვანი შენი სხეულისა და სისხლის წმინდა საიდუმლოს, რომ ოდესმე შევიცნოთ ჩვენში შენი გამოსყიდვის ნაყოფი; რომელიც ცოცხლობ და სუფევ მამასთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

68. *ღვთისმსახურების შემდგომ*

მოგვმადლე, გევედრებით, ყოვლისშემძლე ღმერთო, რომ ეს სიტყვები, რომლებიც დღეს ჩვენი გარეგანი სასმენელით მოვისმინეთ, დაე შენი მადლით ისე იყოს ჩვენს გულებში შინაგანად დამყნობილი, რომ მათ მოიყვანონ ჩვენში კეთილი ცხოვრების ნაყოფი, შენი სახელის პატივისა და ქებისათვის; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

70. *სამადლობელი კვებისას*

მოგვეცი მადლიერი გულები, მამაო ჩვენო, ყველა შენი წყალობისათვის და შეგვაგონე სხვათა საჭიროებებზე; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

ან ეს:

კურთხეული ხარ შენ, უფალო ღმერთო, სამყაროს მეუფევ, რადგან მოგვეცი საკვები ცხოვრების შესანარჩუნებლად და გულის გასახალისებლად; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

სამადლობლები:

4. *წმინდანთა და რწმენით გარდაცვლილთათვის*

გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, წარსული დროის შენს მსახურთა და მოწმეთათვის: აბრაამის - მორწმუნეთა მამისათვის, სარასთვის - მისი ცოლისათვის; მოსეს - რჯულის მომცემისათვის, მღვდელ აარონისათვის; მირიამისა და იესო ნავესათვის, დებორასა და გედეონისათვის, სამუელისა და მისი დედის - ჰანასათვის; ესაიასა და ყველა წინასწარმეტყველისათვის; მარიამის - ჩვენი უფლის დედისათვის; პეტრესთვის, პავლესთვის და ყველა მოციქულისათვის; მარიამისა და მართასთვის და მარიამ მაგდალელისათვის; სტეფანე პირველწამებულისათვის და ყველა მოწამისა და წმინდანისათვის ყველა საუკუნეში და ყველა მიწაზე. შენს მოწყალებაში, უფალო ღმერთო ჩვენო, მოგვეცი ჩვენც, ვითარცა მათ მიეცი, იმედი ხსნისა და მარადიული ცხოვრების დაპირებისა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც არის განსვენებულთაგან პირმშო. *ამენ.*

7. *რასებისა და კულტურების მრავალფეროვნებისათვის*

ღმერთო, რომელმაც ყოველი ხალხი შენს ხატად შექმენი, გმადლობთ შენ ამ სამყაროში რასებისა და კულტურების მშვენიერი მრავალფეროვნებისათვის. გაამდიდრე ჩვენი ცხოვრება მუდმივად მზარდი თანამეგობრობის წრეებით და დაგვანახე შენი მყოფობა მათში, რომლებიც ჩვენგან ყველაზე მეტად განსხვავდებიან, სანამ შენი სიყვარულის შესახებ ჩვენი ცოდნა, არ გახდება სრულყოფილი ჩვენს სიყვარულში ყველა შენი შვილისადმი; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. *ამენ.*

8. *დედამიწის მშვენიერებისათვის*

გმადლობთ შენ, ყოვლადმოწყალე ღმერთო, მიწის, ცისა და ზღვის მშვენიერებისათვის; მთების, ვაკეებისა და ზღვების სიუხვისათვის; ჩიტების ჭიკჭიკისა და ყვავილების სილამაზისათვის. გაქებთ ამ კარგი ძღვენისათვის და ვლოცულობთ, დაე დავიცვათ ის ჩვენი შთამომავლებისათვის. გვიბოძე, რათა მადლიერი სიხარულით განვაგრძოთ ზრდა შენს უხვ ქმნილებაში, შენი სახელის პატივისა და დიდებისათვის, აწ და მარადის. *ამენ.*

10. *შვილის ყოლის საჩუქრისათვის*

ზეციერო მამა, შენ გამოგზავნე შენი ძე ამ სამყაროში. გმადლობთ, ჩვენს მოვლას მინდობილი ამ ბავშვის N. სიცოცხლისათვის. დაგვეხმარე გვახსოვდეს, რომ ჩვენ ყველანი შენი შვილები ვართ, და დაე ისე შევიყვაროთ და აღვზარდოთ ის, რომ მან მიაღწიოს შენს მარადიულ სამეფოში მისთვის განკუთვნილ სრულ სიმაღლეს; შენი საყვარელი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამო. *ამენ.*

სარწმუნოების ნარკვევი
ჩვეულებრივ ცნობილი, როგორც:

კატეხიზმო

კატეხიზმოს შესახებ

ეს კატეხიზმო პირველყოვლისა განკუთვნილია სამრევლოს მღვდლების, დიაკვნებისა და საერო კატეხისტებისთვის, რათა მათ მისცეს ნარკვევი ინსტრუქტაჟისთვის. იგი არის განმარტება მრწამსის ტექსტებზე, მაგრამ არ ნიშნავს რომ ეს სრულყოფილი საბუთია სარწმუნოებისა და პრაქტიკის შესახებ; არამედ, არის გზის მიმანიშნებელი მასწავლებლისთვის, ჩამოყალიბებული ტრადიციული კითხვა-პასუხის ფორმით, მარტივი მითითებებისათვის.

კატეხიზმოს მეორე დანიშნულებაა, რომ უზრუნველყოს ეკლესიის სწავლების მოკლე შეჯამება მაძიებელი სტუმრისთვის, რომელიც გადაშლის ლოცვანს.

ის ასევე შეიძლება მარტივი მსახურების ორგანიზებისთვისაც იყოს გამოყენებული. რამდენადაც საკითხები რუბრიკების ქვეშ არის ჩამოყალიბებული, ის მოსახერხებელია შერჩევითი მოხმარებისთვის, და საჭიროებისამებრ, ხელმძღვანელს შეუძლია ლოცვებისა და საგალობლების დამატება.

ადამიანური ბუნება

Q. როგორი ვართ ბუნებით?

A. ჩვენ ვართ ღმერთის ქმნილების ნაწილი, შექმნილნი ღვთის ხატად.

Q. რას ნიშნავს იყო შექმნილი ღვთის ხატად?

A. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ თავისუფალნი, გავაკეთოთ არჩევანი: გვიყვარდეს, შევქმნათ, განვსაჯოთ და ვიცხოვროთ ჰარმონიაში ქმნილებასთან და ღმერთთან.

Q. რატომ ვცხოვრობთ ღმერთისაგან განცალკევებით და ქმნილებასთან ჰარმონიის გარეშე?

A. დასაწყისში ადამიანებმა არამართებულად გამოიყენეს თავიანთი თავისუფლება და გააკეთეს არასწორი არჩევანი.

Q. რატომ არ ვიყენებთ ჩვენს თავისუფლებას ისე, როგორც ის უნდა გამოვიყენოთ?

A. რადგან ჩვენ მივდივართ ღმერთის წინააღმდეგ და ვაყენებთ ჩვენს თავს ღმერთის ადგილზე.

Q. რაშია ჩვენი შვება?

A. ჩვენი შვება ღმერთშია.

Q. როგორ დაგვეხმარა ღმერთი თავდაპირველად?

A. ღმერთი თავდაპირველად დაგვეხმარა საკუთარი თავისა და ნების ჩვენთვის გაცხადებით, ბუნებისა და ისტორიის, მრავალი მჭვრეტელისა და წმინდანის, განსაკუთრებით კი ისრაელის წინასწარმეტყველთა საშუალებით.

მამა ღმერთი

Q. რას ვსწავლობთ ღმერთის, როგორც შემოქმედის, შესახებ ისრაელელებთან მისი გამოცხადებებიდან გამომდინარე?

A. ჩვენ ვსწავლობთ, რომ არის ერთი ღმერთი, ყოვლისშემძლე მამა, ზეცისა და ქვეყნიერების შემოქმედი, ყოველივეს შემქმნელი, რაც ხილული და უხილავია.

Q. რას ნიშნავს ეს?

A. ეს ნიშნავს, რომ სამყარო კარგია, რომ ის არის ერთადერთი მოსიყვარულე ღმერთის ნამოქმედარი, რომელიც ქმნის, იცავს და წარმართავს მას.

Q. რას ნიშნავს ეს ჩვენი ადგილის შესახებ ამ სამყაროში?

A. ეს ნიშნავს, რომ სამყარო ეკუთვნის მის შემოქმედს; და რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიხაროთ ამით და ვიზრუნოთ მასზე, ღმერთის მიზნების შესაბამისად.

Q. რას ნიშნავს ეს ადამიანის ცხოვრებისათვის?

A. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი არის ღირსი პატივისცემისა და დაფასებისა, რადგან ყველანი ღვთის ხატად არიან შექმნილნი და ყველას შეუძლია უპასუხოს ღმერთის სიყვარულს.

Q. როგორ გადმოგვეცა ჩვენ ეს გამოცხადება?

A. ეს გამოცხადება გადმოგვეცა იმ თემის მეშვეობით, რომელიც ღმერთთან დადებული შეთანხმებით შეიქმნა.

ძველი შეთანხმება

Q. რა იგულისხმება ღმერთთან შეთანხმებაში?

A. შეთანხმება არის ღმერთის ინიციატივით წამოწყებული ურთიერთობა, რომელსაც ხალხის ერთობა რწმენით პასუხობს.

Q. რა არის ძველი შეთანხმება?

A. ძველი შეთანხმება არის ის, რომელიც ღმერთმა ებრაელ ხალხს მისცა.

Q. რას დაჰპირდა ღმერთი მათ?

A. ღმერთი დაჰპირდა მათ, რომ ისინი იქნებოდნენ მისი ხალხი, რომელიც მიიყვანდა მსოფლიოს ყველა ერს მასთან.

Q. საპასუხოდ რა მოითხვა ღმერთმა რჩეული ხალხისაგან?

A. ღმერთმა რჩეულ ხალხს მოსთხოვა, რომ იყვნენ ერთგულები, უყვარდეთ სამართლიანობა, იყვნენ მოწყალენი და მოწიწებით იარონ თავიანთი ღმერთის წინაშე.

Q. სად შეიძლება ვნახოთ ეს ძველი შეთანხმება?

A. შეთანხმება ებრაელ ხალხთან შეგვიძლია ვნახოთ წიგნებში, რომლებსაც ძველ აღთქმას ვუწოდებთ.

Q. ძველ აღთქმაში ყველაზე ზუსტად სად შეიძლება დავინახოთ ღმერთის ნება ჩვენთან მიმართებით?

A. ღმერთის ნება ჩვენთან მიმართებით ყველაზე ზუსტად ათ მცნებაში ჩანს.

ათი მცნება

Q. რა არის ათი მცნება?

A. ათი მცნება არის კანონი, რომელიც მიეცა მოსესა და ისრაელელებს.

Q. რას ვსწავლობთ ამ მცნებებიდან?

A. ჩვენ ვსწავლობთ ორ რამეს: ჩვენს ვალდებულებას ღმერთის წინაშე და ვალდებულებას მოყვასის წინაშე.

Q. რა ვალდებულება გვაქვს ღმერთთან?

A. ჩვენი ვალდებულებაა ღმერთის რწმენა და მასზე მინდობა.

I. შევიყვაროთ და დავემორჩილოთ ღმერთს, მივიყვანოთ სხვები მის შემეცნებამდე.

II. არაფერი დავაყენოთ ღმერთის ადგილზე.

III. გამოვავლინოთ ღვთისადმი პატივისცემა ფიქრით, სიტყვითა და საქმით.

IV. გამოვყოთ დრო ღვთისმსახურების, ლოცვისა და ღვთის გზების შემეცნებისათვის.

Q. რა არის ჩვენი ვალდებულება მოყვასის წინაშე?

A. ჩვენი ვალდებულება მოყვასის წინაშე არის ის, რომ გვიყვარდეს ისინი როგორც საკუთარი თავი და მოვექცეთ მათ ისე, როგორც თავად გვინდა რომ მოგვექცნენ.

V. შევიყვაროთ, დავაფასოთ და დავეხმაროთ ჩვენს მშობლებსა და ოჯახის წევრებს; პატივი ვცეთ მათ ავტორიტეტს და დავაკმაყოფილოთ მათი სამართლიანი მოთხოვნები.

VI. გამოვხატოთ პატივისცემა იმ სიცოცხლისთვის, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, ვიღვაწოთ და ვილოცოთ მშვიდობისთვის. მოვიშოროთ ბოროტება, ცრურწმენა და სიძულვილი გულებიდან და ვიყოთ კეთილშობილნი ღმერთის ყოველი ქმნილების მიმართ.

VII. გამოვიყენოთ სხეულებრივი სურვილები ღმერთის განზრახვის შესაბამისად.

VIII. ვიყოთ გულწრფელი და სამართლიანი ჩვენს საქმიანობაში. ვეძიოთ სამართლიანობა, თავისუფლება და ცხოვრებისეული საჭიროებები ყველა ხალხისათვის, და გამოვიყენოთ ჩვენი ნიჭი და შესაძლებლობები იმათ მსგავსად, ვინც ამისათვის უფალს პასუხობს.

IX. ვილაპარაკოთ ჭეშმარიტება და ჩვენი დუმილით არ შევიყვანოთ სხვები შეცდომაში.

X. წინ აღვუდგეთ შურის, სიხარბისა და ეჭვიანობის ცდუნებებს. ვიხაროთ სხვების ცხოვრებისეული შესაძლებლობებისა და წყალობისათვის. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობები ღვთის სიყვარულის გამო, რომელმაც მასთან მეგობრობისაკენ მოგვიწოდა.

Q. რა არის ათი მცნების დანიშნულება?

A. ათი მცნება მოგვეცა, რათა განსაზღვროს ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან და მოყვასთან.

Q. თუკი არ ვასრულებთ მათ სრულად, გააჩნია კი მათ რაიმე სარგებელი?

A. მათი სრულად შეუსრულებლობის შემდეგ უფრო მკაფიოდ ვხედავთ ჩვენს ცოდვას და გამოსყიდვის აუცილებლობას.

ცოდვა და გამოსყიდვა

Q. რა არის ცოდვა?

A. ცოდვა არის, ესწრაფოდე საკუთარი ნების აღსრულებას, ღმერთის ნების აღსრულების მაგივრად. ამგვარად ხდება ჩვენი ურთიერთობის შებღალვა ღმერთთან, ადამიანებთან და მთელს მის ქმნილებასთან.

Q. როგორ ბატონობს ცოდვა ჩვენზე?

A. ცოდვა ბატონობს ჩვენზე, რადგან ვკარგავთ თავისუფლებას, როცა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა შებღალულია.

Q. რა არის გამოსყიდვა?

A. გამოსყიდვა არის ღმერთის ქმედება, რომელიც გვათავისუფლებს ბოროტი ძალის, ცოდვისა და სიკვდილისაგან.

Q. როგორ მოგვამზადა ღმერთმა გამოსყიდვისათვის?

A. ღმერთმა გამოგზავნა წინასწარმეტყველები, რომ მოვებრუნებინეთ მისკენ, ეჩვენებინა ჩვენთვის გამოსყიდვის აუცილებლობა და ეუწყებინა მესიის მოსვლის შესახებ.

Q. რა იგულისხმება მესიაში?

A. მესია არის ღმერთის მიერ გამოგზავნილი, რომელიც გვათავისუფლებს ცოდვის ძალაუფლებისაგან, რათა ღმერთის შეწევნით ვიცხოვროთ ჰარმონიაში მასთან, საკუთარ თავთან, მოყვასთან და მთელს ქმნილებასთან.

Q. ვინ გვწამს ჩვენ მესიად?

A. მესია, ანუ ქრისტე, არის იესო ნაზარეველი, ღმერთის მხოლოდშობილი ძე.

ძე ღმერთი

Q. რას ვგულისხმობთ მაშინ, როდესაც ვამბობთ, რომ იესო არის ღმერთის მხოლოდშობილი ძე?

A. ჩვენ ამით ვგულისხმობთ, რომ იესო არის მამის ერთადერთი სრულყოფილი მსგავსება, რომელიც გვიჩვენებს ღმერთის ბუნებას.

Q. რა არის იესოში გაცხადებული ღმერთის ბუნება?

A. ღმერთი სიყვარულია.

Q. რას ვგულისხმობთ მაშინ, როცა ვამბობთ რომ იესო ჩაისახა წმინდა სულის ძალით და ქალწული მარიამისაგან განხორციელდა?

A. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ღმერთის უშუალო მოქმედებით, მისმა ღვთაებრივმა ძემ ქალწული მარიამისაგან - მისი დედისაგან მიიღო ჩვენი ადამიანური ბუნება.

Q. რატომ მიიღო მან ჩვენი ადამიანური ბუნება?

A. ღვთაებრივი ძე გახდა ადამიანი, რათა მასში ადამიანები ღვთის შვილებად ეშვილებინა და ღმერთის სამეფოს მემკვიდრენი გაეხადა.

Q. რა არის იესოს ვნებისა და სიკვდილის უდიდესი მნიშვნელობა?

A. თავისი მორჩილებით, თუნდაც ვნებულიყო და მომკვდარიყო, იესომ შესაწირავი გაიღო, რომლის გაღებაც ჩვენ არ შეგვეძლო; მასში განვთავისუფლდით ცოდვის ბატონობისაგან და შევრიგდით ღმერთთან.

Q. რა არის იესოს აღდგომის მნიშვნელობა?

A. თავისი აღდგომით იესომ სძლია სიკვდილს და ჩვენთვის გახსნა მარადიული ცხოვრების გზა.

Q. რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ის ჩავიდა მკვდრებთან?

A. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ის იმყოფებოდა გარდაცვლილებთან და მათაც შესთავაზა გამოსყიდვის სარგებელი.

Q. რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ის ამაღლდა ზეცად და ზის მარჯვენით მამისა?

A. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იესომ ჩვენი ადამიანური ბუნება ზეცაში აიტანა, სადაც ის მეფობს მამასთან ერთად და შუამავლობს ჩვენთვის.

Q. როგორ შეგვიძლია გავიზიაროთ მისი გამარჯვება ცოდვაზე, ტანჯვასა და სიკვდილზე?

A. ჩვენ ვიზიარებთ მის გამარჯვებას, როდესაც ვინათლებით ახალ აღთქმაში და ვხდებით ქრისტეს ცოცხალი წევრები.

ახალი შეთანხმება

Q. რა არის ახალი შეთანხმება?

A. ახალი შეთანხმება არის ახალი ურთიერთობა ღმერთთან, იესო ქრისტეს, მესიის მიერ, მინიჭებული მოციქულთათვის, და მათი საშუალებით ყველა მისი მორწმუნისათვის.

Q. რას დაგვპირდა მესია ახალ აღთქმაში?

A. ქრისტე დაგვპირდა, რომ შეგვიყვანს ღმერთის სამეფოში და მოგვანიჭებს სიცოცხლეს მთელი თავისი სისრულით.

Q. რა მოითხოვა ქრისტემ ჩვენგან?

A. ქრისტემ ჩვენგან მოითხოვა, რომ ვიწამოთ ის და დავიცვათ მისი მცნებები.

Q. რომლებია ქრისტეს მიერ ჩვენთვის ნასწავლები მცნებანი?

A. ქრისტემ გვასწავლა შემაჯამებელი კანონი და მოგვცა ახალი მცნება.

Q. რა არის შემაჯამებელი კანონი?

A. გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და უდიდესი მცნება. მეორე მცნებაა: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.

Q. რა არის ახალი მცნება?

A. ახალი მცნებაა, რომ ისე გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ.

Q. სად ამოვიკითხავთ, თუ რა სწამთ ქრისტიანებს ქრისტეს შესახებ?

A. თუ რა სწამთ ქრისტიანებს ქრისტეს შესახებ, ამოვიკითხავთ წმინდა წერილში, რაც შეჯამებულია მრწამსის ტექსტებში.

მრწამსის ტექსტები

Q. რა არის მრწამსის ტექსტები?

A. მრწამსის ტექსტები არის ღმერთის შესახებ ჩვენი ძირითადი რწმენის საბუთი.

Q. რამდენ მრწამსის ტექსტს იყენებს ეს ეკლესია მის ღვთისმსახურებაში?

A. ეს ეკლესია იყენებს მრწამსის ორ ტექსტს: მოციქულთა მრწამსსა და ნიკეის მრწამსს.

Q. რა არის მოციქულთა მრწამსი?

A. მოციქულთა მრწამსი არის ნათლობის უძველესი რწმენის სიმბოლო; ის გამოიყენება ეკლესიის ყოველდღიურ ღვთისმსახურებაში, ჩვენი ნათლობის აღთქმის შესახსენებლად.

Q. რა არის ნიკეის მრწამსი?

A. ნიკეის მრწამსი არის საყოველთაო ეკლესიის რწმენის სიმბოლო, რომელიც ევქარისტიისას წარმოითქმის.

Q. მაშინ რა არის ათანასეს მრწამსი?

A. ათანასეს მრწამსი არის უძველესი საბუთი, რომელიც ამოწმებს განკაცების ბუნებას და ღმერთს, როგორც სამებას.

Q. რა არის სამება?

A. სამება არის ერთი ღმერთი: მამა, ძე და წმინდა სული.

წმინდა სული

Q. ვინ არის წმინდა სული?

A. წმინდა სული არის სამების მესამე პირი, სამყაროსა და ეკლესიაში მოქმედი ღმერთი ამჟამად.

Q. როგორ არის გამოვლენილი წმინდა სული ძველ აღთქმაში?

A. წმინდა სული ძველ აღთქმაში გამოვლენილია, როგორც სიცოცხლის მიმნიჭებელი, ის ვინც საუბრობდა წინასწარმეტყველთა მეშვეობით.

Q. როგორ არის გამოვლენილი წმინდა სული ახალ აღთქმაში?

A. წმინდა სული გამოვლენილია, როგორც უფალი, რომელიც მიგვიძღვის ყოველგვარ ჭეშმარიტებაში და შეგვაძლებინებს გავიზარდოთ ქრისტეს მსგავსებაში.

Q. როგორ ვხვდებით წმინდა სულის მყოფობას ჩვენს ცხოვრებაში?

A. ჩვენ ვხვდებით წმინდა სულის მყოფობას, როდესაც იესო ქრისტეს ვაღიარებთ უფლად და შევდივართ სიყვარულსა და ჰარმონიაში ღმერთთან, საკუთარ თავთან, მოყვასთან და მთელს ქმნილებასთან.

Q. როგორ ვხვდებით წმინდა სულისაგან ნასწავლ ჭეშმარიტებას?

A. ჩვენ ვხვდებით, რომ ჭეშმარიტება წმინდა სულისაგანაა ნასწავლი, როცა ის შესაბამისობაშია წმინდა წერილთან.

წმინდა წერილი

Q. რა არის წმინდა წერილი?

A. წმინდა წერილი, რომელიც ჩვეულებრივ ბიბლიად იწოდება, არის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები; ბიბლია ხშირად შეიცავს წიგნებს, რომლებიც აპოკრიფებად იწოდებიან.

Q. რა არის ძველი აღთქმა?

A. ძველი აღთქმა შეიცავს წიგნებს, რომლებიც დაწერილია ძველი შეთანხმების ხალხის მიერ, წმინდა სულის შთაგონებით, რათა გამოაჩინოს ბუნებასა და ისტორიაში მოქმედი ღმერთი.

Q. რა არის ახალი აღთქმა?

A. ახალი აღთქმა შეიცავს წიგნებს, რომლებიც დაწერილია ახალი შეთანხმების ხალხის მიერ, წმინდა სულის შთაგონებით, რათა წარმოაჩინონ იესოს ცხოვრება და სწავლება და ამცნონ ყველა ხალხს კეთილი უწყება სამეფოს შესახებ.

Q. რა არის აპოკრიფული წიგნები?

A. აპოკრიფები არის დამატებითი წიგნების ერთობლიობა, რომლებიც დაწერილია ძველი აღთქმის ხალხის მიერ და რომლებიც გამოიყენება ქრისტიანულ ეკლესიაში.

Q. რატომ ვუწოდებთ წმინდა წერილებს ღვთის სიტყვას?

A. ჩვენ მათ ვუწოდებთ ღვთის სიტყვას, რადგან მათი მიწიერი ავტორები ღვთისაგან იყვნენ შთაგონებულნი და ღმერთი კვლავაც გვესაუბრება ბიბლიის მეშვეობით.

Q. როგორ ვგებულობთ ბიბლიის მნიშვნელობას?

A. ბიბლიის მნიშვნელობას ვგებულობთ წმინდა სულის დახმარებით, რომელიც ხელმძღვანელობს ეკლესიას წერილების ჭეშმარიტ განმარტებაში.

ეკლესია

Q. რა არის ეკლესია?

A. ეკლესია ახალი შეთანხმების თემია.

Q. როგორ არის აღწერილი ბიბლიაში ეკლესია?

A. ეკლესია აღწერილია როგორც სხეული, რომლის თავიც იესო ქრისტეა და რომლის წევრიცაა ყველა მონათლული პიროვნება. ის იწოდება, ღვთის ხალხად, ახალ ისრაელად, წმინდა ერად, სამეფო სამღვდელოებად და ჭეშმარიტების სვეტად და საყრდენად.

Q. როგორ არის ეკლესია აღწერილი მრწამსის ტექსტებში?

A. ეკლესია აღწერილია, როგორც ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო.

Q. რატომ არის ეკლესია აღწერილი, როგორც ერთი?

A. ეკლესია ერთია, რადგან ის ერთი სხეულია, რომლის თავიც ჩვენი უფალი იესო ქრისტეა.

Q. რატომ არის ეკლესია აღწერილი, როგორც წმინდა?

A. ეკლესია წმინდაა, რადგან წმინდა სული მკვიდრობს მასში, აკურთხებს მის წევრებს და მიუძღვის მათ ღმერთის საქმის აღსასრულებლად.

Q. რატომ არის ეკლესია აღწერილი, როგორც კათოლიკე?

A. ეკლესია კათოლიკეა, რადგან ის აცხადებს მთელს რწმენას ყოველი ხალხისათვის, ჟამის აღსასრულამდე.

Q. რატომ არის ეკლესია აღწერილი, როგორც სამოციქულო?

A. ეკლესია სამოციქულოა, რადგან ის აგრძელებს მოციქულთა მოძღვრებასა და თანაზიარებას და წარგზავნილია ყველა ხალხთან, ქრისტეს მისიის განსახორციელებლად.

Q. რა არის ეკლესიის მისია?

A. ეკლესიის მისიაა ყოველ ადამიანს აღუდგინოს ერთობა ღმერთთან და ერთმანეთთან, ქრისტეში.

Q. როგორ იღწვის ეკლესია თავისი მისიისათვის?

A. ეკლესია იღწვის თავისი მისიისათვის, ლოცვითა და ღვთისმსახურებით, სახარების უწყებითა და სამართლიანობის ხელშეწყობით, მშვიდობითა და სიყვარულით.

Q. ვისი მეშვეობით ახორციელებს ეკლესია თავის მისიას?

A. ეკლესია თავის მისიას ყოველი მისი წევრის მსახურების მეშვეობით ახორციელებს.

მსახურება

Q. ვინ არიან ეკლესიის მსახურები?

A. ეკლესიის მსახურები არიან საერო პირები, ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები.

Q. რა არის საეროთა მსახურება?

A. საეროთა მსახურებაა, რომ განასახიერონ ქრისტე და მისი ეკლესია; დაამოწმონ მასზე, სადაც არ უნდა იყვნენ; მათზე მინიჭებული შესაძლებლობებით იზრუნონ სამყაროში შერიგების ქრისტესეულ საქმეზე და დაიმკვიდრონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, ღვთისმსახურებაში და ეკლესიის მმართველობაში.

Q. რა არის ეპისკოპოსის მსახურება?

A. ეპისკოპოსის მსახურებაა, რომ განასახიეროს ქრისტე და მისი ეკლესია, განსაკუთრებით კი როგორც მოციქულმა, მღვდელმთავარმა და ეპარქიის წინამძღვარმა.დაიცვას რწმენა, ერთობა და მთელი ეკლესიის წესრიგი; აუწყოს ღმერთის სიტყვა; ქრისტეს სახელით იღვწოდეს სამყაროს შერიგებისა და ეკლესიის აღორძინებისათვის და ხელი დაასხას სხვებს ქრისტეს მსახურების გასაგრძელებლად.

Q. რა არის მღვდლის, ანუ პრესვიტერის მსახურება?

A. მღვდლის მსახურებაა, რომ განასახიეროს ქრისტე და მისი ეკლესია, განსაკუთრებით კი, როგორც ხალხის მწყემსმა; ეპისკოპოსთან ერთად ზედამხედველობა გაუწიოს ეკლესიას; აუწყოს სახარება; ჩაატაროს საეკლესიო საიდუმლოებები; აკურთხოს და მიუტევოს ღვთის სახელით.

Q. რა არის დიაკვნის მსახურება?

A. დიაკვნის მსახურებაა, რომ განასახიეროს ქრისტე და მისი ეკლესია, განსაკუთრებით კი, ემსახუროს მათ ვისაც დახმარება სჭირდება; სახარების უწყებასა და საეკლესიო საიდუმლოებათა აღსრულებაში დაეხმაროს ეპისკოპოსებსა და მღვდლებს.

Q. რა არის ყოველი ქრისტიანის მოვალეობა?

A. ყოველი ქრისტიანის მოვალეობაა, რომ მიჰყვნენ ქრისტეს; კვირიდან კვირამდე შეიკრიბონ საერთო ღვთისმსახურებისათვის; იშრომონ, ილოცონ და გასცენ ღვთის სამეფოს გავრცელებისათვის.

ლოცვა და ღვთისმსახურება

Q. რა არის ლოცვა?

A. ლოცვა არის პასუხი ღვთისადმი, ფიქრებითა და საქმეებით, სიტყვით ან უსიტყვოდ.

Q. რა არის ქრისტიანული ლოცვა?

A. ქრისტიანული ლოცვა პასუხია მამა ღმერთისადმი, იესო ქრისტეს მეშვეობით, წმინდა სულის ძალით.

Q. რომელი ლოცვა გვასწავლა ქრისტემ?

A. ჩვენმა უფალმა მოგვცა ლოცვის ნიმუში, რომელიც საუფლო ლოცვად არის ცნობილი.

Q. რა არის ლოცვის ძირითადი ფორმები?

A. ლოცვის ძირითადი ფორმებია: თაყვანისცემა, ხოტბა, მადლიერება, სინანული, მიძღვნა, შუამდგომლობა და ვედრება.

Q. რა არის თაყვანისცემა?

A. თაყვანისცემა არის გულისა და გონების ღვთისადმი შემართვა, არა რაიმეს თხოვნა, არამედ ღმერთის მყოფობაში სიხარული.

Q. რატომ ვასხამთ ხოტბას ღმერთს?

A. ღმერთს ხოტბას ვასხამთ არა რაიმეს მისაღებად, არამედ იმიტომ, რომ ღმერთის არსებობა აღგვძრავს ქებისათვის.

Q. რის გამო გამოვხატავთ მადლიერებას?

A. ვმადლობთ ღმერთს მისგან მომდინარე ყოველი ცხოვრებისეული კურთხევისათვის, ჩვენი გამოსყიდვისათვის და ყოველივესთვის, რაც ღმერთთან გვაახლოებს.

Q. რა არის სინანული?

A. სინანულისას ვაღიარებთ საკუთარ ცოდვებს და ვანაზღაურებთ მათ შესაძლებლობისებრ, ჩვენი ცხოვრების გამოსწორების განზრახვით.

Q. რა არის მიძღვნის ლოცვა?

A. მიძღვნა არის ჩვენი თავის, ჩვენი ცხოვრებისა და შრომის შეწირვა, ქრისტესთან ერთობაში, ღმერთის მიზნებისათვის.

Q. რა არის შუამდგომლობა და ვედრება?

A. შუამდგომლობით ღმერთამდე მიგვაქვს სხვათა საჭიროებანი, ვედრებით კი მას ჩვენს საჭიროებებზე შევღაღადებთ, რათა მან ისინი შეგვისრულოს.

Q. რა არის საერთო ღვთისმსახურება?

A. საერთო ღვთისმსახურებისას ჩვენ ვერთიანდებით სხვებთან, რათა ვაღიაროთ ღმერთის სიწმინდე, მოვისმინოთ ღმერთის სიტყვა, ვილოცოთ და აღვასრულოთ საეკლესიო საიდუმლოებები.

საეკლესიო საიდუმლონი

Q. რა არიან საეკლესიო საიდუმლონი?

A. საეკლესიო საიდუმლონი არიან შინაგანი და სულიერი მადლის გარეგანი და ხილული ნიშნები, ბოძებული ქრისტეს მიერ, როგორც სარწმუნო და უტყუარი პირობა, რომლის მიერაც ვხდებით მადლის მიმღებნი.

Q. რა არის მადლი?

A. მადლი ღმერთის კეთილი ნებაა ჩვენდამი, რომელსაც გამომუშავებისა და დამსახურების გარეშე ვიღებთ; მადლის საშუალებით ღმერთი გვპატიობს ცოდვებს, გაანათლებს ჩვენს გონებას, აღანთებს გულებს და აძლიერებს ნებას.

Q. რომელია სახარების ორი უმთავრესი საიდუმლო?

A. ქრისტეს მიერ მისი ეკლესიისთვის მიცემული ორი უმთავრესი საიდუმლოა წმინდა ნათლობა და წმინდა ევქარისტია.

წმინდა ნათლობა

Q. რა არის წმინდა ნათლობა?

A. წმინდა ნათლობა არის საიდუმლო, რომლითაც ღმერთი გვიღებს, როგორც მის შვილებს, გვხდის ქრისტეს სხეულის - ეკლესიის - წევრებად და ღმერთის სამეფოს მემკვიდრეებად.

Q. რა არის ნათლობის გარეგნული და ხილული ნიშანი?

A. ნათლობის გარეგნული და ხილული ნიშანი წყალია, რომლითაც ადამიანი ინათლება მამისა, და ძისა და წმინდა სულის სახელით.

Q. რა არის ნათლობის შინაგანი და სულიერი მადლი?

A. ნათლობის შინაგანი და სულიერი მადლი ქრისტესთან ერთობაა, მის სიკვდილსა და აღდგომაში, ღმერთის ოჯახში - ეკლესიაში დაბადება, ცოდვების მიტევება და ახალი ცხოვრება წმინდა სულში.

Q. რა მოგვეთხოვება ნათლობისას?

A. მოგვეთხოვება რომ განვეშოროთ სატანას, მოვინანიოთ ცოდვები და მივიღოთ იესო ჩვენს უფლად და მაცხოვრად.

Q. მაშინ რატომ ინათლებიან ჩვილები?

A. ჩვილები ინათლებიან, რათა მათ შეძლონ გაიზიარონ აღთქმაში მოქალაქეობა, ქრისტეში წევრობა და ღმერთისაგან გამოსყიდვა.

Q. როგორ დებენ ჩვილები აღთქმებს და როგორ ახორციელებენ მათ?

A. მათთვის აღთქმებს დებენ მშობლები და ნათლიები, რომლებიც პირობას დებენ, რომ ჩვილები ეკლესიაში აღიზრდებიან, შეიმეცნებენ ქრისტეს და შეძლებენ მიჰყვნენ მას.

წმინდა ევქარისტია

Q. რა არის წმინდა ევქარისტია?

A. წმინდა ევქარისტია ქრისტეს მიერ დაწესებული საიდუმლოა მისი სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის გასახსენებლად, მის დაბრუნებამდე.

Q. რატომ იწოდება ევქარისტია მსხვერპლშეწირვად?

A. რადგან ევქარისტია, ეკლესიის მიერ ქებისა და მადლიერების შეწირვა, არის გზა, რომლითაც ქრისტეს მსხვერპლი ცოცხლდება და რომელშიც იგი გვაერთიანებს საკუთარ ერთადერთ თვითშეწირვაში.

Q. ამ მსახურების აღმნიშვნელი სხვა რომელი სახელწოდებები არსებობს?

A. წმინდა ევქარისტია იწოდება უფლის სერობად და წმინდა ზიარებად; ის ასევე არის ცნობილი როგორც საღმრთო ლიტურგია, წირვა და დიდი მსხვერპლშეწირვა.

Q. რა არის ევქარისტიაში გარეგნული და ხილული ნიშანი?

A. ევქარისტიაში გარეგნული და ხილული ნიშანი პური და ღვინოა, გაცემული და მიღებული ქრისტეს მცნების შესაბამისად.

Q. რა არის ევქარისტიაში მიღებული შინაგანი და სულიერი მადლი?

A. წმინდა ზიარებაში შინაგანი და სულიერი მადლი არის რწმენით მიღებული, ქრისტეს მიერ თავისი ხალხისათვის მიცემული საკუთარი სხეული და სისხლი.

Q. რა სარგებელს ვიღებთ უფლის სერობაში?

A. სარგებელი, რომელსაც ვიღებთ, არის ცოდვათა შენდობა, ქრისტესთან და ერთმანეთთან ჩვენი ერთობის გაძლიერება და ზეციური ზეიმის წინასწარი განცდა, რაც ჩვენი საზრდოა მარადიულ ცხოვრებაში.

Q. რა მოგვეთხოვება, როცა ევქარისტიის მისაღებად მივდივართ?

A. მოგვეთხოვება, რომ გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, მოვინანიოთ ცოდვები და ვიყოთ სიყვარულსა და მოწყალებაში ყველასთან.

სხვა საკრამენტული წესები

Q. სხვა რომელი საკრამენტული წესები განვითარდა ეკლესიაში წმინდა სულის ხელმძღვანელობით?

A. სხვა საკრამენტული წესები, რომლებიც ეკლესიაში განვითარდა, არის კონფირმაცია, ხელდასხმა, წმინდა ჯვრისწერა, მონანულის შერიგება და სნეულთა ზეთისცხება.

Q. როგორ განსხვავდებიან ისინი სახარების ორი საიდუმლოსაგან?

A. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან მადლის მიღების საშუალებები, ისინი იგივენაირად აუცილებელნი არ არიან ყოველი ადამიანისათვის, როგორც ნათლობა და ევქარისტია.

Q. რა არის კონფირმაცია?

A. კონფირმაცია არის წესი, რომლითაც გამოვხატავთ ზრდასრულობის ვალდებულებებს ქრისტეს წინაშე, ლოცვითა და ეპისკოპოსის მიერ ხელთდადებით ვიღებთ სიძლიერეს წმინდა სულისაგან.

Q. რა მოეთხოვება კონფირმაციის მსურველს?

A. კონფირმაციის მიღებამდე საჭიროა ისინი იყვნენ მონათლულნი, საკმარისად განათლებულნი ქრისტიანულ რწმენაში, საკუთარი ცოდვების გამო მონანულნი და იყვნენ მზად, რომ აღიარონ იესო ქრისტე საკუთარ მაცხოვრად და უფლად.

Q. რა არის ხელდასხმა?

A. ხელდასხმა წესია, რომლითაც ღმერთი ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და დიაკვნებს აძლევს უფლებამოსილებასა და წმინდა სულის მადლს, ლოცვითა და ეპისკოპოსთა მიერ ხელდასხმის მეშვეობით.

Q. რა არის წმინდა ჯვრისწერა?

A. წმინდა ჯვრისწერა ქრისტიანული ქორწინებაა, რომლითაც ქალი და კაცი უწყვეტ კავშირში შედიან, დებენ აღთქმებს ღმერთისა და ეკლესიის წინაშე და იღებენ ღმერთის მადლსა და კურთხევას, რათა ეს დაეხმაროთ საკუთარი აღთქმების აღსრულებაში.

Q. რა არის მონანულის შერიგება?

A. მონანულის შერიგება, ანუ სინანული, არის წესი რომლითაც ის, ვინც ინანიებს საკუთარ ცოდვებს, აღიარებს მათ ღმერთის წინაშე მღვდლის თანდასწრებით, რათა მიიღოს შენდობის დასტური და მიტევების მადლი.

Q. რა არის სნეულთა ცხება?

A. ცხება არის სნეულის ზეთით ცხების წესი, ან ხელთდადება, რომლითაც მას ღმერთის მადლი ეძლევა სულის, გონებისა და სხეულის კურნებისათვის.

Q. იზღუდება ღმერთის მოქმედება ამ წესებით?

A. ამ წესებით ღმერთი არ იზღუდავს თავს; ისინი არიან ნიმუში იმ უამრავი გზისა, რომელშიც ღმერთი მატერიალურ საგნებს იყენებს ჩვენამდე მოსაწვდენად.

Q. როგორ არიან საიდუმლონი დაკავშირებულნი ჩვენს ქრისტიანულ სასოებასთან?

A. საიდუმლოებები ინარჩუნებენ ჩვენს აწმყო სასოებას და განჭვრეტენ მის სამომავლო სრულქმნას.

ქრისტიანის სასოება

Q. რა არის ქრისტიანის სასოება?

A. ქრისტიანის სასოება მდგომარეობს სიცოცხლის სიახლისა და სისრულის რწმენაში, ქრისტეს დიდებით მოსვლისა და ღვთის მიერ ქვეყნიერების საზრისის აღსრულების მოლოდინში.

Q. რას ვგულისხმობთ ქრისტეს დიდებით მოსვლაში?

A. ქრისტეს დიდებით მოსვლაში ვგულისხმობთ, რომ ის მოვა არა სისუსტით, არამედ ძლიერებით და რომ ის განაახლებს ყოველივეს.

Q. რას ვგულისხმობთ ზეცასა და ჯოჯოხეთში?

A. ზეცაში ვგულისხმობთ მარადიულ ცხოვრებას ღმერთის ნეტარებაში; ჯოჯოხეთში ვგულისხმობთ მარადიულ სიკვდილს ჩვენს მიერ ღმერთის უარყოფაში.

Q. რატომ ვლოცულობთ გარდაცვლილთათვის?

A. ჩვენ ვლოცულობთ მათთვის, რადგანაც ჯერაც ვინარჩუნებთ მათ ჩვენს სიყვარულში და გვჯერა, რომ ღვთის წიაღში, ისინი ვინც მისდამი მსახურება აირჩიეს, გაიზრდებიან მის სიყვარულში, სანამ მას ისე არ დაინახავენ, როგორიც ის არის.

Q. რას ვგულისხმობთ განკითხვის დღეში?

A. ჩვენ გვწამს, რომ ქრისტე დიდებით მოვა და განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს.

Q. რას ვგულისხმობთ სხეულის აღდგომაში?

A. ვგულისხმობთ, რომ ღმერთი სიკვდილიდან აღგვადგენს ჩვენი ყოფიერების სისრულეში, რათა ვიცხოვროთ ქრისტესთან ერთად, წმინდანთა თანაზიარებაში.

Q. რა არის წმინდანთა თანაზიარება?

A. წმინდანთა თანაზიარება არის ღმერთის ერთიანი ოჯახი, ცოცხლები და მკვდრები, ისინი ვინც გვიყვარს და ისინი, ვისაც ვავნეთ, შეერთებულნი ქრისტეში საიდუმლოთი, ლოცვითა და ხოტბით.

Q. რას ვგულისხმობთ მარადიულ სიცოცხლეში?

A. მარადიულ სიცოცხლეში ახალ არსებობას ვგულისხმობთ, რომელშიც გაერთიანებულნი ვიქნებით ღვთის ყოველ ხალხთან, ყოვლისმცოდნე და მოსიყვარულე ღმერთთან და ერთმანეთთან სიხარულში.

Q. მაშინ რა არის ჩვენთვის, როგორც ქრისტიანთათვის უეჭველი?

A. ჩვენთვის, როგორც ქრისტიანთათვის, უეჭველია ის, რომ არაფერს, სიკვდილსაც კი, არ ძალუძს ჩამოგვაშოროს ღმერთის სიყვარულს, რომელიც არის ჩვენს უფალ ქრისტე იესოში. ამენ.

განმარტება ქრისტეს პიროვნებაში ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებათა ერთობის შესახებ.

ქალკედონის კრება, ჩვ. წ. 451, Act 5

ამიტომ, წმინდა მამათა მიმდევარნი, ჩვენ ერთხმად ვასწავლით კაცთ, რომ ცნონ ერთი და იგივე ძე, ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ერთდროულად სრული ღვთაებრიობაში და სრული ადამიანურობაში, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, რომელიც ასევე შედგება გონიერი სამშვინველისა და სხეულისაგან; ღვთაებრიობით მამის თანაარსი (homoousios), ადამიანურობით კი ჩვენი თანაარსი;

ყოველგვარად ჩვენი მსგავსი, გარდა ცოდვისა; ღვთაებრიობით მამისაგან შობილი ვიდრე დრო გაჩნდებოდა, ადამიანურობით კი შობილი, ჩვენთვის - კაცთათვის და ჩვენი ხსნისათვის, ქალწული მარიამისაგან, ღვთისმშობლისაგან (Theotokos); ერთი და იგივე ქრისტე, ძე, უფალი,

მხოლოდშობილი, ორი ბუნებისაგან შემდგარი, შეურწყმელი, შეუცვლელი, განუყოფელი, განუცალკევებელი; ბუნებათა განსხვავება არ უქმდება ერთობით, არამედ თითოეული ბუნების თვისება შენარჩუნებულია და ერთიანდება ერთ პიროვნებასა და ჰიპოსტაზში, არა როგორც დაყოფილი ან გაყოფილი ორ პიროვნებაში, არამედ ერთი და იგივე ძე და მხოლოდშობილი ღმერთი

სიტყვა, უფალი იესო ქრისტე; როგორც ადრეული ჟამიდან წინასწარმეტყველები საუბრობდნენ მასზე, და როგორც ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემა თავად გვასწავლა, და როგორც მამათა რწმენის სიმბოლო გადმოგვცემს.

წმინდა ათანასეს რწმენის სიმბოლო

Quicunque Vult

ვისი სურვილიც ხსნაა, უწინარესად აუცილებელია რომ მას ჰქონდეს კათოლიკე რწმენა.
ვინც არ შეინახავს ამ რწმენას სრულად და განუყოფლად, უეჭველად ის მარადიულად დაიღუპება.
კათოლიკე რწმენა კი ეს არის: რომ ჩვენ თაყვანს ვცემთ ერთ ღმერთს სამებაში და სამებას ერთობაში, არც პიროვნებებს შევურევთ და არც არსებას ვაცალკევებთ.
რადგან არის ერთი პიროვნება მამისა, სხვა ძისა და სხვა წმინდა სულისა.
მაგრამ მამის, ძის და წმინდა სულის ღვთაებრიობა ერთია, დიდება თანასწორი, დიდებულება კი თანამარადიული.
როგორიც მამაა, ისეთივეა ძე და ისეთივეა წმინდა სული.
მამა უქმნელია, ძე უქმნელია და წმინდა სული უქმნელია.
მამა ჩაუწვდომელია, ძე ჩაუწვდომელია და წმინდა სული ჩაუწვდომელია.
მამა მარადიულია, ძე მარადიულია და წმინდა სული მარადიულია.
და მაინც, ისინი არ არიან სამი მარადიული, არამედ ერთი მარადიული.
როგორც ასევე არ არიან ისინი სამი ჩაუწვდომელი, არც სამი უქმნელი, არამედ ერთი უქმნელი და ერთი ჩაუწვდომელი.
მსგავსად ამისა მამა ყოვლისშემძლეა, ძე ყოვლისშემძლეა, წმინდა სული ყოვლისშემძლეა.
და მაინც, ისინი არ არიან სამი ყოვლისშემძლე, არამედ ერთი ყოვლისშემძლე.
ასე რომ მამა ღმერთია, ძე ღმერთია და წმინდა სული ღმერთია.
და მაინც, ისინი არ არიან სამი ღმერთი, არამედ ერთი ღმერთი.
მსგავსად ამისა მამა უფალია, ძე უფალია და წმინდა სული უფალია.
და მაინც, არის არა სამი უფალი, არამედ ერთი უფალი.
რადგან, როგორც ქრისტიანული ჭეშმარიტება გვაიძულებს რომ ვცნოთ თითოეული პიროვნება ღმერთად და უფლად,
ასევე კათოლიკე რელიგია გვიკრძალავს თქმას, რომ არის სამი ღმერთი, ან სამი უფალი.
მამა არავისგან შექმნილა და არც შობილა.
ძე მამისაგანაა მხოლოდ, ის არ შექმნილა, მაგრამ იშვა.
წმინდა სული მამისაგან და ძისაგანაა, არ შექმნილა, არ შობილა, მაგრამ გამოდის.
ასე რომ არის ერთია მამა, და არა სამი მამა; ერთია ძე, და არა სამი ძე; ერთია წმინდა სული, და არა სამი წმინდა სული.

და ამ სამებაში არცერთია უპირატესი ან მომდევნო; არცერთია სხვაზე აღმატებული;
არამედ ეს სამი პიროვნება ერთად თანამარადიული და თანასწორია.
ასე რომ, როგორც ყველა ზემოთქმულშია - თაყვანცემული უნდა იყოს ერთობა სამებაში და სამება ერთობაში.
შესაბამისად, ვისაც სურს ხსნა, სამების შესახებ ასე უნდა ფიქრობდეს.

უფრო მეტიც, მარადიული ხსნისათვის აუცილებელია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს განკაცების სწორი რწმენა.
სწორი რწმენა არის ის, რომ გვწამს და ვაღიარებთ, რომ ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ღმერთის ძე, არის ღმერთი და კაცი;
ღმერთი, მამის არსიდან, ქვეყნიერების შექმნამდე შობილი; და კაცი, დედის არსიდან, ქვეყნიერებაში შობილი;
სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, გონიერი სამშვინელითა და ადამიანური ხორცით არსებული;
მამის თანასწორი, ღვთაებრიობით; მამაზე მდაბალი, ადამიანურობით.
ის არის ღმერთი და კაცი, მიუხედავად ამისა ის არ არის ორი, არამედ არის ერთი ქრისტე;
ერთია ის, არა იმიტომ რომ ღვთაებრივი გადაიქცა ხორცად, არამედ იმიტომ რომ ადამიანური ბუნება მიიღო ღვთაებრივმა;
ერთი მთლიანი, არა არსთა აღრევით, არამედ პიროვნების ერთობით.
რადგან, როგორც გონიერი სამშვინველი და ხორცია ერთი კაცი, ასევეა ღმერთი და კაცი ერთი ქრისტე;
რომელიც ეწამა ჩვენი ხსნისათვის, ჯოჯოხეთში ჩავიდა, მესამე დღეს აღდგა მკვდრეთით.
ის ამაღლდა ზეცაში, დაჯდა მამის, ყოვლისშემძლე ღმერთის მარჯვნივ, საიდანაც მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად.
მისი მოსვლისას ყოველი ადამიანი სხეულებრივად აღდგება და ანგარიშს ჩააბარებენ თავიანთ საქმეთა შესახებ.
ისინი, რომლებიც კარგს სჩადიოდნენ, მარადიულ სიცოცხლეში შევლენ, ისინი კი, ვინც ბოროტს სჩადიოდნენ, მარადიულ ცეცხლში.
ეს არის კათოლიკე რწმენა და თუ ადამიანს ამის გულწრფელად არ სწამს, ის ვერ გადარჩება.

წინათქმა

პირველი საერთო ლოცვანი (1549)

არასოდეს ყოფილა რაიმე ისე კარგად მოფიქრებული ადამიანის გონების მიერ, არც ისე მტკიცედ ჩამოყალიბებული, რომელიც დროთა განმავლობაში არ შელახულიყოს; როგორც, სხვა გარემოებათა შორის, ნათლად ჩანს ეკლესიაში გამოყენებულ საზოგადო ლოცვებში, რომლებსაც ჩვეულებრივ ჟამნი ეწოდება: პირველსაწყისი და საფუძველი ისეთია, თუ ვინმე ადრინდელი მამებში მოიკვლევს, აღმოაჩენს, რომ იგი დადგინდა მხოლოდ კეთილშობილური მიზნისთვის და

ღვთისმოსაობის დიდად გასაძლიერებლად: მათ იმგვარად გადაანაწილეს, რომ სრული ბიბლია (ან, მისი უმეტესი ნაწილი) წაკითხულიყო წელიწადის განმავლობაში, რათა ამგვარად ღვთისმსახურები და განსაკუთრებით ისინი, ვინც კრებულთა მსახურები იყვნენ, აღძრულიყვნენ (ღვთის სიტყვის ხშირი კითხვითა და მედიტირებით) ღვთისმოსაობისაკენ, უფრო მეტად შესძლებოდათ ჯანსაღი მოძღვრებით სხვათა შეგონება და ჭეშმარიტების მოწინააღმდეგეთა შეცდომის მხილება; და, ამას გარდა, რათა ერი (ყოველდღიურად წმინდა წერილების საკითხავების მოსმენით ეკლესიაში) სულ უფრო გამდიდრებულიყო ღვთის შემეცნებითა და სულ უფრო მეტად ანთებულიყო თავისი ჭეშმარიტი სარწმუნოების სიყვარულით.

თუმცა, მრავალი წლის განმავლობაში, ადრეული მამების ეს ღვთისმოსავი და ღირსეული განჩინება იმდენად შეიცვალა, დაირღვა და მივიწყებული იქნა, დაუდასტურებელი ამბების, ლეგენდების, პასუხების, სტროფების, ამაო გამეორებების, მოსახსენებლებისა და სინოდური კანონების ჩამატებით, რომ ჩვეულებრივ როდესაც ბიბლიის რომელიმე წიგნის კითხვა იწყებოდა, სანამ სამი ან ოთხი თავი წაიკითხებოდა, ყველა სხვა დანარჩენი წაუკითხავი რჩებოდა. ამგვარად, ესაიას წიგნი ადვენტში იწყებოდა და დაბადების წიგნი სეპტუაგესიმაში; მაგრამ ისინი მხოლოდ იწყებოდა და არასოდეს იკითხებოდა სრულად. წმინდა წერილის სხვა წიგნების შემთხვევაშიც მსგავსად ხდებოდა. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა პავლე ისურვებდა, რომ იმ ენაზე ელაპარაკა, რომელიც ეკლესიის ხალხს ესმოდა და, შესაბამისად, ისარგებლებდა მოსმენილით, ინგლისის ეკლესიის ღვთისმსახურება (ამ მრავალი წლის განმავლობაში) ლათინურად იკითხებოდა იმ ხალხისათვის, რომელთაც ეს ენა არ ესმოდათ, ისე რომ მხოლოდ სასმენელით ისმენდნენ, ხოლო მათი გული, სული და გონება ვერ პოვებდა მასში საზრდოს. ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულმა მამებმა ფსალმუნები დაყვეს შვიდ ნაწილად და უწოდეს მათ ღამისთევა, ბოლო ხანებში ზოგიერთი ფსალმუნი ყოველდღიურად იკითხებოდა (და ხშირად მეორდებოდა), ხოლო დანარჩენი სრულად გამოტოვებული რჩებოდა. გარდა ამისა, წესების რაოდენობა და სიმკაცრე, სახელწოდებით "the Pie", და მსახურებისას მომხდარი მრავალი ცვლილება, იყო მიზეზი იმისა, რომ წიგნის უბრალოდ ფურცვლა იმდენად ძნელი და რთული იყო, რომ ხშირად უფრო შრომატევადი იყო იმის პოვნა, რაც უნდა წაკითხულიყო, ვიდრე თავად წაკითხვა.

ამ უხერხულობათა გათვალისწინებით, აქ ისეთი თანმიმდევრობა შემუშავდა, რომ ყოველივე ეს გამოსწორდეს. საამისოდ, აგრეთვე, დადგინდა კალენდარი, მარტივი და იოლი გასაგებად და რომელშიც (შეძლებისდაგვარად) წმინდა წერილის საკითხავები იმგვარადაა გადანაწილებული, რომ ყოველივე შესრულდეს თანმიმდევრობით, ერთი ნაწილის მეორისგან მოწყვეტის გარეშე. ამისათვის ამოღებულ იქნა ანტიფონები, საპასუხოები, მოსახმობლები და სხვა მსგავსი რამ, რომლებიც წყვეტდნენ წერილის თანმიმდევრულ კითხვას.

თუმცა, იმის გამო, რომ სხვა გზა არ არის და აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული წესები, ჩვენ აქ ვადგენთ რამდენიმე წესს, რომლებიც იმის გამო, რომ მცირეა, ნათელი და ადვილად გასაგებია. აქ ნახავთ ლოცვის თანმიმდევრობას (წმინდა წერილის კითხვასთან დაკავშირებით), რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ოდინდელ მამათა მენტალიტეტსა და მიზანს და ბევრად უფრო სასარგებლო და მოსახერხებელია, ვიდრე ის, რომელიც აქამდე იყო ძალაში. უფრო სასარგებლოა, რადგან აქ ბევრი რამ ამოღებულ იქნა, ზოგი ყალბი, ზოგი დაუდასტურებელი, ზოგი ფუჭი და ცრურწმენის შემცველი; და დადგენილია, რომ არაფერი უნდა იკითხებოდეს, გარდა ღვთის წმინდა სიტყვისა, წმინდა წერილისა, ან ის, რაც აშკარად მასზეა დაფუძნებული; და ყველაფერი უფრო

მკაფიო და გასაგები ენითა და თანმიმდევრობით, როგორც წამკითხველისთვის, ასევე მსმენელისთვის. ის ასევე უფრო მოსახერხებელია, როგორც მისი სიმოკლის და თანმიმდევრობის სიმარტივისთვის, ასევე იმის გამო, რომ წესები ცოტაა და იოლი. გარდა ამისა, ამ თანმიმდევრობით მღვდლებს არ დასჭირდებათ სხვა წიგნები თავიანთი საჯარო მსახურებისას, გარდა ამ წიგნისა და ბიბლიისა; ასე რომ, ადამიანებს არ მოუწევთ დიდი ხარჯი გაიღონ წიგნებზე, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე დიდი მრავალფეროვნება არსებობდა იმაში, რაც ითქმებოდა და იგალობებოდა ამ სამეფოს ეკლესიებში, – ზოგი მიჰყვება სოლსბერის ჩვეულებას, ზოგიც ჰერეფორდის, ბანგორის, იორკის ან ლინკოლნის –, ამიერიდან მთელ სამეფოს ერთ წესი ექნება. თუ ვინმე იტყვის, რომ ასე უფრო რთულია, რადგან ყველაფერი წიგნიდან უნდა წაიკითხოს, მაშინ როცა ადრე, ამდენი გამეორების გამო, შეეძლო ზეპირად ეთქვა ბევრი რამ, რომ შეედარებინა ძალისხმევა იმ ცოდნის შეძენასთან, რომელსაც მოიპოვებდა ყოველდღიური წიგნის კითხვით, ის არ იტყოდა უარს ამ უხერხულობაზე, იმის გათვალისწინებით, თუ რა დიდ სარგებელს მიიღებს მისგან.

ვინაიდან არაფერი, ან თითქმის არაფერი, არ შეიძლება ითქვას ისე მკაფიოდ, რომ არ წარმოიშვას ეჭვი მის გამოყენებასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით, რათა აღმოიფხვრას ყოველი განსხვავებულობა (თუკი ასეთი არსებობს) და გადაჭრას ნებისმიერი ეჭვი, რომელიც დაკავშირებულია ამ წიგნის შინაარსის გაგების, კეთების და განხორციელების გზებთან, ისინი, ვისაც ამგვარად ეჭვი ეპარება ან სხვაგვარად განმარტავს რაიმეს, ყოველთვის მიმართოს ეპარქიის ეპისკოპოსს, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, როგორ დაამშვიდოს და გააქარვოს ეჭვი, იმ პირობით, რომ მისი გადაწყვეტილება არ შეეწინააღმდეგება ამ წიგნის შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წინასიტყვაობაში ადრე იყო ნათქვამი, რომ ეკლესიაში ყველაფერი უნდა წაკითხულ და ნაგალობებ იქნას ინგლისურ ენაზე, რათა კრებულმა მიიღოს საზრდო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ როდესაც დილისა თუ საღამოს ლოცვა პირადად სრულდება, იკრძალება ამის კეთება ნებისმიერ სხვა ენაზე, რომელიც თავად მკითხველს ესმის. არც ვინმეს ექნება ვალდებულება წაიკითხოს ჟამნი, იმათ გარდა, ვინც მსახურობს საკათედრო ტაძრებისა და კოლეგიური ეკლესიების კრებულებში, სამრევლო ეკლესიებში და მათთან მიმაგრებულ სამლოცველოებში.

ჩიკაგო-ლამბეთის ოთხპუნქტი

მიღებული ეპისკოპოსთა პალატის მიერ, ჩიკაგო, 1886

ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტანტული ეპისკოპალური ეკლესიის ეპისკოპოსები, კრებად გაერთიანებულნი, როგორც ღვთის ეკლესიის ეპისკოპოსები, საზეიმოდ ვაცხადებთ ყველასთვის, ვისაც ეს შესაძლოა ეხებოდეს, განსაკუთრებით კი ამ მიწის სხვადასხვა თანაზიარების ჩვენს თანაქრისტიანთათვის, რომლებიც მათ სხვადასხვა სფეროში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქრისტეს რელიგიის გამო:

1. ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ მაცხოვრის ლოცვა, „რათა ყოველნი ერთნი იყვნენ“, მისი უღრმესი და ჭეშმარიტი გაგებით, სწრაფად აღსრულდეს;

2. რომ გვწამს, ყველა ვინც წესისამებრ მონათლულია წყლით, მამისა, და ძისა, და წმინდა სულის სახელით, არის წმინდა კათოლიკე ეკლესიის წევრი.

3. რომ ყველაფერში, რაც დაკავშირებულია ადამიანურ წესებთან თუ ადამიანურ არჩევანთან, დაკავშირებული ღვთისმსახურების ტიპთან და დისციპლინასთან, ან ტრადიციულ ჩვეულებებთან, ეს ეკლესია სიყვარულისა და თავმდაბლობის სულისკვეთებით მზად არის უარი თქვას საკუთარ უპირატესობებზე;

4. რომ ეს ეკლესია არ ესწრაფვის სხვა თანაზიარებათა შთანთქმას, არამედ სურს მათთან თანამშრომლობა საერთო რწმენისა და წესრიგის საფუძველზე, რათა აღმოფხვრას სქიზმა, განკურნოს ქრისტეს სხეულის ჭრილობები და ხელი შეუწყოს სიყვარულს, რომელიც ქრისტიანულ მადლთა შორის უმთავრესი და სამყაროში ქრისტეს ხილული გაცხადებაა.

თუმცა, ამას გარდა, ვაცხადებთ, რომ ქრისტიანთა ერთობა... შესაძლებელია აღდგეს მხოლოდ ქრისტიანულ თანაზიარებათა დაბრუნებით ერთობის იმ პრინციპებთან, რომლებიც გამოიხატა განუყოფელი კათოლიკე ეკლესიის მიერ მისი არსებობის პირველ ეპოქებში; ეს პრინციპები, გვწამს, რომ წარმოადგენენ ქრისტიანული რწმენისა და წესრიგის არსებით საუნჯეს, რაც ქრისტემ და მისმა მოციქულებმა დააკისრეს ეკლესიას სამყაროს აღსასრულამდე, რის გამოც შეუძლებელია მათზე რაიმენაირი დათმობა ან უარი იმათი მხრიდან, ვინც დანიშნულნი არიან მათ მსახურებად და დამრიგებლებად ყოველი ადამიანის საერთო და თანაბარი სიკეთისათვის.

როგორც ამ წმინდა საუნჯის განუყოფელი ნაწილნი, ქრისტიანობის დაყოფილ ტოტთა შორის ერთობის აღდგენისთვის არსებითად განვიხილავთ შემდეგს:

1. ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილები, როგორც ღვთის გაცხადებული სიტყვა.

2. ნიკეის მრწამსი, როგორც ქრისტიანული რწმენის საკმარისი განცხადება.

3. ორი საკრამენტი - ნათლობა და უფლის სერობა - ქრისტეს მიერ დაწესებული სიტყვების უცვლელი გამოყენებითა და მის მიერ დადგენილი ელემენტებით აღსრულებული.

4. ისტორიული ეპისკოპატი, თავისი მმართველობითი ფორმებით, ადგილობრივად მორგებული, ღვთის მიერ მისი ეკლესიის ერთობაში მოხმობილი ერებისა და ხალხების საჭიროებებზე.

ამას გარდა, ღრმად დადარდიანებულნი იმ სამწუხარო დაყოფილობის გამო, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს მიწაზე მყოფ ქრისტიანულ ეკლესიაზე, ვაცხადებთ ჩვენს სურვილსა და მზადყოფნას, მაშინვე როგორც კი იქნება უფლებამოსილი პასუხი ამ განცხადებაზე, რომ შევალთ ძმურ მოლაპარაკებაში ყველა ან ზოგიერთ ქრისტიანულ სხეულთან, რომელიც ესწრაფვის ეკლესიის სხეულის ერთობის ორგანულ აღდგენას, იმ პირობათა გულითადი შესწავლით, რომლითაც ფასდაუდებელი კურთხევა შესაძლოა სიხარულით განხორციელდეს.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა რომ ზემოაღნიშნული ოთხპუნქტის ფორმა მიღებულ იქნა ეპისკოპოსთა პალატის მიერ, ის არ იქნა მიღებული დეპუტატთა პალატის მიერ, არამედ შევიდა ახლადშექმნილი ქრისტიანთა გაერთიანების საერთო კომისიის შესწავლისა და ქმედების გენერალურ გეგმაში.

1888 წლის ლამბეთის კონფერენცია, რეზოლუცია 11

მასზე, რომ კონფერენციის აზრით, შემდგომი პუნქტები იძლევა საფუძველს, რომელთან დაახლოებამაც შესაძლოა, ღმერთის კურთხევით, მიგვიყვანოს სახლის გაერთიანებასთან:

1. ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილები, როგორც „ხსნისთვის აუცილებელი ყოველივეს შემცველი“, რწმენის კანონი და საბოლოო ნიმუში.

2. მოციქულთა მრწამსი, როგორც ნათლობის სიმბოლო; ნიკეის მრწამსი, როგორც ქრისტიანული რწმენის საკმარისი განცხადება.

3. თავად ქრისტეს მიერ დაწესებული ორი საკრამენტი - ნათლობა და უფლის სერობა - ქრისტეს მიერ დაწესებული სიტყვების უცვლელი გამოყენებითა და მის მიერ დადგენილი ელემენტებით აღსრულებული.

4. ისტორიული ეპისკოპატი, თავისი მმართველობითი ფორმებით, ადგილობრივად მორგებული, ღვთის მიერ მისი ეკლესიის ერთობაში მოხმობილი ერებისა და ხალხების საჭიროებებზე.

Appendix

კოლექტები

წმინდა ნინო

ყოვლისშემძლე ღმერთო, რომელმაც მოუწოდე შენს მხევალს - ნინოს, რომ ყოფილიყო შენი მოციქული საქართველოს ხალხთათვის, რომ სიბნელეში მოხეტიალენი შენს ჭეშმარიტ ნათელსა და შემეცნებაში მოეყვანა; ჩვენც გვიბოძე რომ ვიაროთ ამ ნათელში, რათა საბოლოოდ მივიდეთ შენი მარადიული დღის სინათლეში; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, აწ და მარადის. *ამენ.*

წმინდა ფრანცისკე ასიზელი

უზენაესო, ყოვლადძლიერო და კეთილო უფალო, მიანიჭე შენს ხალხს მადლი, რომ ხალისით განეშორონ ამქვეყნიურ ამაოებას; რათა ნეტარ ფრანცისკეს კვალად, შენი სიყვარულის გამო, ჩვენც დავტკბეთ შენს მთელს ქმნილებაში, სიხარულის სრულყოფილებით; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

წმინდა ლეო მალანია

ყოვლისშემძლე და მარადცოცხალო ღმერთო, რომელმაც საქართველოდან მოუწოდე ლეო მალანიას - შენს მსახურს, რათა უძველეს ლიტურგიათა სიბრძნით გაემდიდრებინა შენი ეკლესია და ეშრომა საერთო ლოცვანის განახლებისათვის: მოგვამდლე რომ ჩვენ, მისი ხედვით შთაგონებულებმა, თაყვანი გცეთ სულითა და ჭეშმარიტებით, სიწმინდის მშვენიერებით გახარებულებმა; ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენთან და წმინდა სულთან ერთად, ერთი ღმერთი, უკუნითი უკუნისამდე. *ამენ.*

ლოცვები წიგნიდან: Enriching Our Worship 1

ცოდვათა აღსარება *(EOW1, p. 56)*

ყოველი მოწყალების ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ,
ჩვენს ცხოვრებაში შენი ნებისადმი წინააღმდეგობით.
ჩვენ უარვყავით შენი კეთილშობილება ერთურთში,
ჩვენს თავსა და შენს მიერ შექმნილ ქვეყნიერებაში.
ვინანიებთ იმ ბოროტებას, რომელიც გვიმონებს,
ბოროტებას, რომელიც ჩავიდინეთ,
და ბოროტებას, რომელიც ჩვენი სახელით ჩაიდინეს.
მოგვიტევე, აღგვადგინე და გაგვაძლიერე
ჩვენი მაცხოვრის - იესო ქრისტეს მიერ,
რათა დავემკვიდროთ შენს სიყვარულში
და ვემსახუროთ მხოლოდ შენს ნებას. ამენ.

ზიარების შემდგომი ლოცვა *(EOW1, p. 69)*

სიუხვის ღმერთო,
შენ გამოგვკვებე
სიცოცხლის პურითა და ხსნის სასმისით;
შენ გაგვაერთიანე
ქრისტესთან და ერთმანეთთან;
და გაგვაერთიანე
შენს ყოველ ხალხთან ზეცასა და მიწაზე.
ახლა კი მიგვავლინე
შენი სულის ძალით,
რათა ქვეყნიერებას გავუცხადოთ შენი გამომსყიდველი სიყვარული,
და მარადის დავრჩეთ
ქრისტეს - ჩვენი მაცხოვრის აღმდგარ სიცოცხლეში. ამენ.

კურთხევა

მოკლე ფორმა

მღვდელი:

კურთხევა ყოვლისშემძლე ღმრთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისა იყოს თქვენზე და დაივანოს თქვენთან მარადის. *ამენ.*

ვრცელი ფორმა

მღვდელი:

ღვთის მშვიდობამ, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფაროს თქვენი გულები და ფიქრები ღმერთისა და მისი ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებასა და სიყვარულში; და კურთხევა ყოვლისშემძლე ღმრთისა: მამისა, ძისა და სულისა წმინდისა იყოს თქვენს შორის და დაივანოს მარადჟამს თქვენთან. *ამენ.*

აარონისეული კურთხევა

მღვდელი: უფალმა გაკურთხოთ და დაგიცვათ თქვენ.
ხალხი: ***ამენ.***
მღვდელი: უფალმა მოგფინოთ ნათელი თავისი სახისა და შეგიწყალოთ თქვენ.
ხალხი: ***ამენ.***
მღვდელი: უფალმა მოაქციოს თავისი სახე თქვენსკენ და მოგცეთ მშვიდობა.
ხალხი: ***ამენ.***

პონტიფიკალური კურთხევა:

ეპისკოპოსი: ჩვენი შეწევნა უფლის სახელშია;
ხალხი: ***ცისა და ქვეყნის შემოქმედისა.***
ეპისკოპოსი: კურთხეულ იყოს უფლის სახელი;
ხალხი: ***ამიერიდან და უკუნისამდე.***
ეპისკოპოსი: კურთხევა, წყალობა და მადლი ყოვლისშემძლე ღვთისა: მამისა, ძისა და სულისა წმინდისა იყოს თქვენზე და დაივანოს თქვენთან მარადის. *ამენ.*

პირველშეწირულის ლიტურგია

ღვთის სიტყვა

საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი იგალობება.

ხალხი დგას, დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი კი ამბობს:

კურთხეულ იყოს ღმერთი: მამა, ძე და წმინდა სული.
ხალხი: **და კურთხეულ იყოს მეუფება მისი, აწ და მარადის.**
ამენ.

აღდგომიდან სულთმოფენობის ჩათვლით ითქმის:

ალელუია. ქრისტე აღდგა.
ხალხი: **უფალი ჭეშმარიტად აღდგა. ალელუია.**

მარხვის ან სხვა სინანულის პერიოდისას ითქმის:

აკურთხეთ უფალი, რომელიც გვპატიობს ყველა შეცოდებას.
ხალხი: **მარადიულია წყალობა მისი.**

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთო, შენთვის ღიაა ყოველი გული, იცი ყოველი წადილი და შენს წინაშე არ არსებობს დაფარული საიდუმლო: განწმინდე ჩვენი გულის ზრახვანი შენი წმინდა სულის შთაგონებით, რათა სრულყოფილად შეგიყვაროთ და ღირსეულად განვადიდოთ შენი წმინდა სახელი. ჩვენი უფლის, ქრისტეს მიერ. ამენ.

როცა ეს განსაზღვრულია, შემდგომი საგალობელი ან განდიდების რომელიმე საგალობელი იგალობება ან ითქმის. ყველა დგას.

დიდება მაღალთა შინა ღმერთს,
და მშვიდობა ქვეყნად მის ხალხს.
უფალო ღმერთო, ზეციერო მეფე,
ყოვლისშემძლე ღმერთო და მამა,
თაყვანს გცემთ, გმადლობთ,
გაქებთ შენი დიდებისათვის.
უფალო იესო ქრისტე, მამის მხოლოდშობილო ძე,
უფალო ღმერთო, ღვთის კრავო,
რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვა:
შეგვიწყალე ჩვენ;
მამის მარჯვენით მჯდომო:
მიიღე ჩვენი ლოცვა.
რადგან მხოლოდ შენ ხარ წმინდა,
მხოლოდ შენ ხარ უფალი,

მხოლოდ შენ ხარ უზენაესი,
იესო ქრისტე,
წმინდა სულთან ერთად,
მამა ღმერთის დიდებაში. ამენ.

სხვა შემთხვევებში გამოიყენება:

უფალო შეგვიწყალე. კირიე ელეისონ.
ქრისტე შეგვიწყალე. ან *ქრისტე ელეისონ.*
უფალო შეგვიწყალე. კირიე ელეისონ.

ან ეს:

წმინდაო ღმერთო,
წმინდაო ძლიერო,
წმინდაო უკვდავო,
შეგვიწყალე ჩვენ.

დღის კოლექტა

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ეუბნება ხალხს:

უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი: **და ასევე შენთან.**
ვილოცოთ.

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამბობს კოლექტას, ხალხი კი პასუხობს:
ხალხი: **ამენ.**

საკითხავები

ხალხი დამსხდარია, ერთი ან ორი არჩეული საკითხავი იკითხება. მკითხველი თავდაპირველად ამბობს:

საკითხავი _____-დან.

საკითხავების შემდგომ მკითხველი ამბობს:

უფლის სიტყვა.
ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

შეიძლება ამას მოსდევდეს მცირე ხნიანი დუმილი. ყველა საკითხავს შეიძლება მოსდევდეს ფსალმუნის, საგალობლის ან ჰიმნის გალობა. შემდგომ, ყველა დგას, დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი კითხულობს სახარებას, მანამ კი ამბობს:

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წმინდა სახარება _____ მიხედვით.

ხალხი: **დიდება შენ, უფალო ქრისტე.**

სახარების შემდეგ მკითხველი ამბობს:

უფლის სახარება.
ხალხი: **ქება შენ, უფალო ქრისტე.**

ქადაგება.

კვირაობით და ყველა სხვა მნიშვნელოვან დღესასწაულზე ითქმის:

ნიკეის მრწამსი

გვწამს ერთი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა, ზეცისა და ქვეყნიერების, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედი.

გვწამს ერთი უფალი იესო ქრისტე, ღვთის მხოლოდშობილი ძე, რომელიც იშვა მამისაგან, დროის შექმნამდე, ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან, შობილი და არა ქმნილი, მამის თანაარსი. რომლის მიერ ყოველივე შეიქმნა. რომელიც ჩვენთვის, ადამიანთათვის, და ჩვენი ხსნისათვის გარდამოევლინა ზეციდან: წმინდა სულის მიერ განხორციელდა ქალწული მარიამისაგან, და განკაცდა. ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელი პილატეს დროს; ეწამა და დაიმარხა. წმინდა წერილის თანახმად აღდგა მესამე დღეს; ამაღლდა ზეცად და დაჯდა მამის მარჯვენით. კვლავ მოვა დიდებით, ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად და მის სუფევას არ ექნება დასასრული.

გვწამს წმინდა სული, უფალი და მაცოცხლებელი, რომელიც მამისაგან გამოდის. მამასთან და ძესთან ერთად ის თაყვანცემული და განდიდებულია, რომელიც საუბრობდა წინასწარმეტყველთა მიერ.
გვწამს ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ვაღიარებთ ერთ ნათლისღებას ცოდვათა მისატევებლად. მოველით მკვდართა აღდგომას და მომავალ საუკუნეებში ცხოვრებას. ამენ.

ხალხის ლოცვები

დიაკონს ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელს შეუძლია თქვას:

მთელი ჩვენი გულითა და მთელი ჩვენი გონებით, ვილოცოთ უფლისადმი.

ლოცვები აღევლინება:

საყოველთაო ეკლესიის, მისი წევრებისა და მისიისათვის.

ერისა და უფლებამოსილი პირებისათვის.
მსოფლიოს კეთილდღეობისათვის.
ადგილობრივი თემის საჭიროებებისათვის.
მათთვის, ვინც ტანჯვასა და გასაჭირშია.
გარდაცვლილთათვის (წმინდანის მოხსენიებით, როცა ეს საჭიროა).

ცოდვათა აღსარება

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამბობს:

მოდით ვაღიაროთ ღმერთისა და ჩვენი მოყვასის მიმართ ჩადენილი ცოდვები.

მცირედი დუმილი.

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი და ხალხი ამბობს:

ყოვლადმოწყალე ღმერთო,
ვაღიარებთ რომ შევცოდეთ შენს მიმართ:
ფიქრით, სიტყვითა და საქმით,
ჩადენილითა და უმოქმედობით.
ჩვენ არ შეგიყვარეთ მთელი გულით;
არ შევიყვარეთ მოყვასი ვითარცა თავი ჩვენი.
ჭეშმარიტად ვწუხვართ და თავმდაბლად ვინანიებთ.
შენი ძის - იესო ქრისტეს გამო,
შეგვიწყალე და მოგვიტევე;
რათა ვიხაროთ შენს ნებაში
და ვიაროთ შენს გზებზე,
შენი სახელის დიდებისათვის. ამენ.

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი წამოდგება და ამბობს:

ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგვიწყალოს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით შეგვინდოს ყოველი შეცოდება, გაგვაძლიეროს ყოველგვარ სიკეთეში და წმინდა სულის ძალით დაგვიფაროს საუკუნო სიცოცხლეში. ამენ.

მშვიდობა

ყველა დგას. დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ეუბნება ხალხს:

	უფლის მშვიდობა იყოს მარადჟამს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
	მივცეთ ერთმანეთს მშვიდობის ნიშანი.

შემდგომ დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი და მორწმუნეები უფლის სახელით გაცვლიან მშვიდობის ნიშანს.

წმინდა ზიარება

წმინდა ზიარება ეკურთხა ეპისკოპოსის ან მღვდლის მიერ, ახლა კი განაწილდება მორწმუნეებში დიაკვნის ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელის მიერ.

ხალხი დგას. დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი მიბრუნდება ხალხისაკენ და გალობს ან ეუბნება:

	უფალი იყოს თქვენთან.
ხალხი:	**და ასევე შენთან.**
	შემართეთ გულნი.
ხალხი:	**შევმართავთ უფლისა მიმართ.**
	ვმადლობდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს.
ხალხი:	**სამართლიანია რომ ვმადლობდეთ და ვაქებდეთ მას.**

შემდეგ, დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი, მიბრუნებული წმინდა ტრაპეზისაკენ, აგრძელებს:

სამართლიანი, კარგი და სასიხარულოა, რათა ყოველჟამს და ყველგან გმადლობდეთ შენ, ყოვლისშემძლე მამაო, ცისა და მიწის შემოქმედო.

აქ სათანადო წინსართი ითქმის ან იგალობება ყველა კვირადღეს ან სხვა შემთხვევებში, თუ კი ეს გამორჩეულია.

ამიტომ გაქებთ შენ და ხმას ვუერთებთ ანგელოზებს, მთავარანგელოზებსა და ცის მთელს მხედრობას, რომლებიც დაუსრულებლად გალობენ ამ საგალობელს, რათა გააცხადონ დიდება შენი სახელისა:

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი და ხალხი:

წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი ღმერთი ცაბაოთ,
ცა და ქვეყანა სავსეა შენი დიდებით.
ჰოსანა მაღალთა შინა.
კურთხეულია ის, ვინც მოდის უფლის სახელით.
ჰოსანა მაღალთა შინა.

იესომ თქვა: "მე ვარ ცოცხალი პური, რომელიც ზეციდან გადმოვედი; ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს. პური, რომელსაც მე გავცემ, ჩემი ხორცია, რომელსაც ქვეყნიერების სიცოცხლისათვის გავცემ. რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი. ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება, და მე – მასში." *იოანე 6: 51, 55-56.*

შესაძლოა აღევლინოს შესაბამისი ლოცვები, რომელიც უნდა დასრულდეს შემდგომი ან სხვა რომელიმე კოლექტით:

ყოვლისშემძლე მამაო, შენმა საყვარელმა ძემ იმ ღამით, ვიდრე ევნებოდა, დააწესა მისი ხორცისა და სისხლის საიდუმლო: მოწყალედ გვიბოძე, რათა მივიღოთ ის ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლიერებითა და გახსენებით, რომელიც ამ წმინდა საიდუმლოებებში გვაძლევს მარადიული ცხოვრების საწინდარს. რომელიც ცოცხლობს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

როგორც ჩვენმა მაცხოვარმა ქრისტემ გვასწავლა, ახლა ვლოცულობთ:

ხალხი და დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი:

ტრადიციული:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა,
წმინდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი,
იყოს ნება შენი
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ
თანამდებთა მათ ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში,
არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენია სუფევა, და ძალი,
და დიდება, უკუნისამდე. ამენ.

თანამედროვე:

მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ზეცაში,
განიწმინდოს შენი სახელი,
მოვიდეს სამეფო შენი,
შესრულდეს შენი ნება მიწაზე,
როგორც ეს ზეცაშია.
მოგვეცი დღეისთვის სამყოფი პური.
გვაპატიე ჩვენი ცოდვები,
როგორც ჩვენ ვაპატიებთ
ჩვენს წინაშე შემცოდებლებს.
დაგვიფარე განსაცდელისაგან,
და დაგვიცავი ბოროტისაგან.
რადგან შენია მეფობა, ძალა და დიდება,
მარადიულად. ამენ.

შესაძლოა ერთობლივად ითქვას ან იგალობოს შემდეგი:

ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
შეგვიწყალე ჩვენ.
ღვთის კრავო, რომელმაც იტვირთე ქვეყნიერების ცოდვანი:
მოგვმადლე ჩვენ მშვიდობა.

ხალხისაკენ მიბრუნებული, დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი მოიწვევს მათ:

ღვთის ძღვენი ღვთის ხალხისათვის.

შეიძლება დაამატოს: მიიღეთ ისინი იმის გახსენებით, რომ ქრისტე აღესრულა თქვენთვის და იკვებეთ მისით, თქვენს გულებში რწმენითა და მადლიერებით.

პური და ბარძიმი მიეცემა მაზიარებლებს ამ სიტყვებით:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეულმა (სისხლმა) დაგიფაროს საუკუნო სიცოცხლეში. ***[ამენ].***

ან ამ სიტყვებით:

ქრისტეს სხეული, პური ზეციისა. ***[ამენ].***
ქრისტეს სისხლი, ბარძიმი ხსნისა. ***[ამენ].***

ზიარების განაწილების დროს შეიძლება იგალობოს საგალობელი, ფსალმუნი ან ჰიმნი.

ზიარების შემდეგ დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამბობს:

ვილოცოთ.

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი და ხალხი:

მარადიულო ღმერთო, ზეციერო მამა,
შენ გულმოწყალედ მიგვიღე შენი ძის,
ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ცოცხალ წევრებად
და დაგვაპურე სულიერი საკვებით
მისი სხეულისა და სისხლის საიდუმლოში.
ახლა მშვიდობით მიგვავლინე ქვეყნად,
გვიბოძე ძალა და გამბედაობა,
რათა გვიყვარდე და გემსახუროთ
სიხარულითა და გულწრფელებით;
ჩვენი უფლის ქრისტეს მიერ. ამენ.

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამბობს:

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, ღმერთის სიყვარული და წმინდა სულის თანაზიარება იყოს მარადჟამს ყველასთან ჩვენთან. *ამენ.* *2 კორინთელთა 13:14*

დიაკონი ან ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამთავრებს მსახურებას შემდეგი სიტყვებით:

	წავიდეთ ქრისტეს სახელით.
ხალხი:	**მადლობა ღმერთს.**

ან:

	წავიდეთ მშვიდობით, უფლის სიყვარულისა და მსახურებისათვის.
ხალხი:	**მადლობა ღმერთს.**

ან:

წავიდეთ ქვეყნად, სულის ძალაში მოზეიმენი.

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

ან:

ვაკურთხოთ უფალი.

ხალხი: **მადლობა ღმერთს.**

აღდგომის ღამიდან სულთმოფენობამდე დამასრულებელ სიტყვას შესაძლოა დაემატოს „ალელუია, ალელუია“, რომელსაც ხალხი პასუხობს: **მადლობა ღმერთს. ალელუია, ალელუია.**